

114  
1941 / 3



# მნათობი

1

114/5  
50

ი ა ნ ვ ბ გ დ

თბილისი

1941

5. 5. 5-13

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,  
სასკოლო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო  
ჟურნალი

წელიწადი "მეთვრამეტი

1

4066

~~457~~






პ.გ. რედაქტორი ალიო მახაშვილი.



ქართული  
ლიბრეო



ვ. ი. ლენინი რუსეთში

მოჭანდაკე პინუტი

## ლ ე ნ ი ნ ი

1924 წლის 21 იანვარს, გორკაში, მოსკოვის მახლობლად გარდაიცვალა ჩვენი ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი ლენინი. მთელი მოწინავე კაცობრიობა ლენინის გარდაცვალების ამბავს შეხვდა როგორც უმძიმეს დანაკლისს. ღრმა მწუხარებამ მოიცვა საბჭოთა კავშირისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა მილიონები.

ლენინის გარდაცვალების სამგლოვიარო დღეებში ამხანაგმა სტალინმა პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი, რომ ბოლშევიკები თვალის ჩინივით გაუფრთხილდებოდნენ და განახორციელებდნენ ლენინის ანდერძს. ეს ისტორიული ფიცი საბჭოთა კავშირის ხალხმა ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განახორციელა. განვლილი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. სტალინურმა კონსტიტუციამ, რომელიც ბრწყინვალე და სრული განხორციელებაა სტალინის ისტორიული ფიცისა, აღბეჭდა თავის ფურცლებზე სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებანი, აღბეჭდა საბჭოთა სახელმწიფოს აყვავება და განმტკიცება.

ლენინის მიერ დასახული გზით, სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში. დიად სტალინურ ხუთწლეულებში, სტალინურ მოძღვრებაში სოციალისტურ სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების შესახებ, წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებში, საბჭოთა ხალხების ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებაში სიოცხოვრებს ლენინის საქმე და სახელი.

ფართოდ ცნობილია ის განუზომელი და უღრმესი სიყვარული, რომლითაც გამსჭვალული იყო დიდი ლენინი ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ. ადამიანი რომელმაც თავისი ბრძოლით მსოფლიო ისტორიის ახალი და ყველაზე ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა, რომლის გენიალური აზრი ნათლად ხედავდა შორეულ და მახლობელ ისტორიულ პერსპექტივებს — ღრმა სიყვარულით, დაუღალავი ინტერესით შესცქეროდა ადამიანური აზრისა და გრძნობის შემოქმედების გამოვლენას ხელოვნების ყველა სფეროში. მისი გენიალური თვალი უფრო შორსა ჰხედავდა, გენიოსი გონება უფრო ღრმად სწვდებოდა ყოველ მოვლენას. იგი ხელოვნებაში ხედავდა ადამიანის ბუმბერაზ ძალას და სწორედ ამ ძალას, ამ შთაგონებას აფასებდა.

ცნობილია თუ რა ფართოდ და კარგად იცნობდა ლენინი მთელი მსოფლიო ხელოვნების ისტორიას. ჰეგელის ტომებთან ერთად მას მუდამ ხელთა ჰქონდა გოეტეს, პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის და სხვათა წიგნები, და ლენინის მისწრაფება იყო, ხალხის საკუთრებად ექცია ყველაფერი ის,

რაც კი კარგი შეუქმნია კაცობრიობას თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. ლენინის მისწრაფება ის იყო, რომ ბეთოვენი და ალბრეხტ დიურერი, შექსპირი და რაფაელი, პუშკინი და ტოლსტოი მშრომელთა მადლოვნებისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, — ამბობდა ლენინი — მან თავისი ფესვები ღრმად უნდა გაიდგას მშრომელთა ფართო მასების შუაგულში, იგი ვასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. მან უნდა გააერთიანოს ამ მასების გრძნობა, აზრი და ნებისყოფა, ამაღლოს ისინი. მან უნდა გამოაღვიძოს მათში მხატვრები და განავითაროს ისინი“.

თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში მშრომელთა მილიონებისათვის ყველა გზა კულტურისა და განათლებისაკენ გადაკეტილი იყო. კაპიტალიზმში ათასობით და მილიონობით აღრჩობდა ნიქს. ისინი გაუფურჩქნავად და ფრთაგაუშლელად იღუპებოდნენ. და აი სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებშივე ლენინმა დაიწყო დაუღალავი ზრუნვა იმისათვის, რომ ხალხის წიაღში დაბადებული ადამიანები დაუფლებოდნენ იმ საუნჯეს, რაც კაცობრიობის გენიამ მრავალი ათასი წლის მანძილზე შექმნა. ჭერ კიდევ იმ დროს, როდესაც გააფთრებული მტრების მთელი ურდოები მიესივნენ ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკას, როცა მეფის გენერლები, საერთაშორისო ინტერვენტები ყოველი მხრიდან თავს დაესხნენ ჩვენს მიწა-წყალს, — ბურჟუაზიის სამხედრო კამარლიის მუქარის პირობებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა განსაცდელში იყო და თოთხმეტი კაპიტალისტური სახელმწიფო ცდილობდა მის ჩაკვლას, — ჩვენი ქვეყანა ლენინის და სტალინის მეთაურობით ფოლადის ხელით იგერიებდა მტრებს, ანმტიციებდა მუშათა და გლეხთა კავშირს, საფუძველს უყრიდა სოციალისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში და ამავე დროს იწყებდა კულტურული რევოლუციის საქმეს, საბჭოთა კულტურის შექმნას.

ბლოკადისა და ინტერვენციის წლებში, მძვინვარე სამოქალაქო ომის წლებში დიდი ლენინი ერთი წუთითაც არ სწყვეტდა ზრუნვას ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, სახალხო განათლებაზე. დეკრეტებს მიწის, ზავის და სახალხო კომისარათა საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნენ ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღეს, რვა ნოემბერს, სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე, ორი დღის შემდეგ მოჰყვა სახკომსაბჭოს დეკრეტი ლენინის ხელმოწერით ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. 1918 წლის იანვარს გამოქვეყნდა დეკრეტი ახალი მართლწერის შემოღების შესახებ. იმავე თვეში ჩამოყალიბებული იქნა სახელმწიფო გამომცემლობა. დეკრეტი სახელმწიფო გამომცემლობის ჩამოყალიბების შესახებ პირველ რიგში მოითხოვდა კლასიკოსების თხზულებათა გამოცემის დაჩქარებას. მასში ვკითხულობთ: „კლასიკოსების სახალხო გამოცემები უნდა გაიყიდოს თვითღირებულების მიხედვით, თუ სახსრები საშუალებას მოგვცემენ, შეღავათიან ფასად, ან გავრცელდეს უფასოდაც კი ბიბლიოთეკების საშუალებით, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ მშრომელ დემოკრატებს“. ლენინის მითითებით შედგენილ იქნა ფართო საგამომცემლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიოსა და რუსეთის საუკეთესო კლასიკოსების თხზულებათა გამოცემას. „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა სია ლენინის ხელმოწერით იმ კლასიკოსებისა, რომელთა ძეგლები უნდა დადგმულიყო მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. ამ სიაში შეტანილი იყო ოცი მწერალი, და მათ შორის პუშკინი, ლერმონ-



ტოვი, ბელინსკი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, შევჩენკო და სხვები. ამ ღონისძიებას ლენინმა უწოდა მონუმენტალური პროპაგანდა.

ამ გზით ეცნობოდა და ეუფლებოდა განთავისუფლებულ ხალხს — კლასიკური ხელოვნების ეს ჭეშმარიტი მემკვიდრე, — კაცობრიობის მდიდარ კულტურას.

გენიალური სიზუსტით და სინათლით განსაზღვრა ლენინმა ის თეორიული პრინციპები, რომლებზედაც შენდება სოციალისტური კულტურა. ისტორიული პროცესის ლენინური ანალიზი ლიტერატურის ისტორიკოსს გზას უჩვენებს და შესანიშნავ ორიენტაციას აძლევს. ლენინის შეხედულებანი გერცენის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვისა და სხვა რევოლუციური დემოკრატების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმ პროცესებზე, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის რუსულ ლიტერატურაში ხდებოდა. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ხსენებული მწერლების შემოქმედებაში ლენინს იტაცებდა ის, რომ ეს მწერლები იყვნენ არა კარჩაკეტილი ესთეტიები, არამედ მოწინავე მოქალაქენი, უშიშარი მებრძოლნი კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის. ლენინს იტაცებდა მათი დემოკრატიზმი, მათი ხალხურობა. იგი აუბნებდა იმას, რომ მათი პოლიტიკური და მხატვრული პრაქტიკა მთლიანი იყო. ლენინის გენიალური წერილები ტოლსტოიზე უძვირფასესი განძია მარქსისტულ ესთეტიკაში, რადგან ხსენებულ წერილებში მთელი სისრულით და სიზუსტით არის ამოცნობილი და გარკვეული კლასიკური რეალიზმის ურთულესი ბუნება.

ლენინის ლიტერატურული შეხედულებანი, რომელიც უშუალოდ და განუყრელად არიან დაკავშირებულნი ლენინიზმის მთელ მსოფლმხედველობასთან, წარმოადგენენ იმ აზრებისა და პრინციპების დაცვასა და შემდგომ განვითარებას, ახალ საფეხურზე აყვანას, რომელიც ხელოვნების შესახებ გამოსთქვეს მარქსმა და ენგელსმა. ასახვის თეორია, რომელიც ლენინმა გენიალურად დაასაბუთა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“, გვაძლევს არა მარტო დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიას, არამედ მხატვრულ რეალიზმის რთული ბუნების ყოველმხრივ ახსნასაც. „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინმა გაანადგურა ყველა ჭურის იდეალისტებისა და აგნოსტიკოსების ცდები — უარეყოთ მატერიალისტური მოძღვრება ობიექტური სამყაროს რეალობის შესახებ. ლენინმა უმტიციცესი თეორიული საფუძველი შეუქმნა სოციალისტურ ესთეტიკას, წინასწარ განსჭვრიტა მისი პრინციპები, მიუთითა სოციალისტური ხელოვნების მომავალ დიდ ოსტატებს იმაზე, თუ რა გზით უნდა ევლოთ იმისათვის, რომ მათს შემოქმედებაში სწორი გამოხატულება მოეპოვა ცოცხალ სინამდვილეს. დღეს ამ თეორიულ საფუძველზე შენდება სოციალისტური ხელოვნების მკვიდრი და მონუმენტალური შენობა.

ლენინი თავის წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში დაიწერა, გენიალურად განსაზღვრავდა სოციალისტური ლიტერატურის დამახასიათებელ ნიშნებს. ლენინი აღნიშნავდა, რომ ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც აყვავდება და გაიფურჩქნება განთავისუფლებული ხალხის წიაღში, რომელიც განასახიერებს ხალხის უგულითადეს მისწრაფებებს, რომელიც თავისი იდეებით, ტრადიციებით, მთელი შინაარსით ხალხური იქნება, რომელიც შთაგონებული სოციალიზმის იდეებით შესძლებს მხატვრულ სახეში გაა-

ცოცხლოს ეპოქა და უშუალო, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი/ცხოვრების გრანდიოზულ მშენებლობაში. ხსენებულ წერილში ლენინმა გვიჩვენა სახე ახალი ტიპის მხატვრისა, რომელიც შეიარაღებულ კლასურ მშენებელ მსოფლმხედველობით, რომელიც პოლიტიკურად გამობრძმედილი იქნება, რომელიც აღჭურვილი იქნება ჩვენი ბრძოლის საბოლოო მიზნების შეგეცნებით და რომლის გონების წინაშე ფართო პორიზონტები იქნება გადამლილი. ასეთ ოსტატს შემოქმედებითი აქტიური დამოკიდებულება აქვს სინამდვილესთან. მისი ნაწარმოები არის არა პასიური მკვრეტელობა, არამედ მებრძოლი, დამრავლავი და აღმზრდელი ხელოვნება. ლენინის აზრით, ლიტერატურა ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება მექანიკურ გათანაბრებას, ნიველიარებას, — ამ მხრივ ლენინი სასტიკად ილაშქრებდა სქემატიზმის წინააღმდეგ და მწერლობაში აზრისა და ფანტაზიის ფართოდ გაშლას უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა.

ლენინის ეს წინასწარდასახულობა, ისევე, როგორც ყველა სხვა, დღეს ბრწყინვალედ განხორციელდა. შეიქმნა ტიპი ახალი მწერლისა, რომელსაც დიდმა სტალინმა ადამიანის სულის ინჟინერი უწოდა. ეს ლიტერატურა, რომელმაც კლასიკური მწერლობის ყველა საუკეთესო ტრადიცია აითვისა, დიდმა სტალინმა განსაზღვრა როგორც სოციალისტური რეალიზმის მწერლობა. ასეთი მწერლობა უკვე წარმოიშვა, დამკვიდრდა და გაიფურჩქნა ჩვენს სინამდვილეში. სოციალისტური ლიტერატურის ახალახალ წარმატებას ყოველდღიურად ამრავლებენ საბჭოთა მწერლების კადრები, რომელნიც აღსავსენი არიან უღრმესი ერთგულებით ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი. ახალი საბჭოთა სოციალისტური ლიტერატურა ყოველდღიურად იზრდება და იფურჩქნება ჩვენი სამშობლოს გიგანტურ ზრდასთან ერთად.





აწ იგი, ვისაც დაღლისათვის  
დრო არა ჰქონდა —  
გადაიღალა და გაჩუმდა...  
მხარე დაღონდა.

არ დანებდება მაინც იგი  
ღრმა მწუხარებას —  
ვინც არ ჩვეულა ამნაირ დროს  
გულზელ დაკრეფას.

ჩვენ მოგვიწოდებს მდგომარება  
და მოვლენანი  
ვიყოთ ფხიზელნი და ცოცხალნი  
როგორც ლენინი.

დიდი ლენინის აზროვნების  
სინათლე მიწას,  
მიაღწევიანებს სასურველს და  
ბედნიერ მიზანს.

სტალინის ფიცი მისი მტკიცე  
საწინდარია —  
თავდადებულნი სამშობლოსთვის  
მასთან არიან.



ი. გრიშაშვილი

## ახალწლის ღამეს

ამზანავი სტალინი 1902 წელს ბათუმში დაესწრო  
საიდუმლო კრებას, რომელიც ახალწლის ღამეს  
მოხდა.

„მეუშათა მოგონები“-დან

გაშლილი იყო ახალწლის სუფრა  
იყო კამათიც, მღერაც, კასკასიც;  
მაგრამ ამ ღამეს ყველაზე უფრო  
ფიქრს მისცემოდა ერთი ვაშკაცი.

ქროდა ღრუბელი ცეცხლმა დახაზა,  
აცისკრებული ცა ეღვარებდა.  
კობამ აიღო ჭიჭა ხასხასა  
და შეუქს შეხედა ღია კარებთან.

„უკვე თენდება, — სთქვა, — მალე, მალე  
მზე ვარდისფერად დაიწყებს ბრწყინვას.  
ჩვენც გაგვინათებს ეს მზე ბრწყინვალე,  
და გადღურჩებით ციმბირის ყინვას!“

ღამის ოცნებამ მზე გაიმინდვრა,  
ტოტზე შემოჭდა ზამთრის ბელურა,  
და გამარჯვების ხმების საწინდრად  
კობამ დაიწყო „ხასანბეურა!“

1 იანვარი. 1941 წ.

ლადო ბალიაური

## ლ ა მ ე

რომანიდან „შურისგება“

„თუ შეიძინევი ცანი ქალაღდაღ მქონდეს, სრულად ვარსკვლავნი მწიგნობრად მყუეს, ღამის ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქუიშათა და ზღვათაებრ ხშირად სხდენ, — შენმან მზემან, ნახევარს ვერცა მაშინ დავსწერ სურვილსა“.

ვისრამიანი

მშვიდი ღღე გათენდა — ცა მოწმენდილი იყო, ოღნავ მოწითალო ფერი ეღებოდა მტრედისფერს, წირწამული ეფრქვეოდა მიდამოს და შორეული მთები იისფერ სივრცეში იკარგებოდნენ, თითქოს ცა და ღედამიწა გავრთიანებულაო. მდინარენი იღუმლად ჰქრებოდნენ მთათ უბეში. ნიავე ჩამდგარიყო, წყაროდ ხმაურის ჩქრო ისმოდა ხანდიხან, ან გალაღებული ხარი იყვიენებდა სადმე, შემკრთალი შურთხი გნისად ჩაუვლიდა მწვანე მთის ფერღობებს და ქუჩიანებში იმაღებოდა. გაღმა-გამოღმა გორებზე ცხერის თეთრი ფარები გაშლილიყვენენ; ნელიად დაქანავდნენ ხრამებში, თანაბრად მოძრაობდნენ, — წინა უკანას ელოდებოდა, ეხათრებოდა ბალახის გათელვის. მწყემსები უხმოდ მისდევდნენ ფარებს, ჯოხზე დაეყრდნიან მალიმალ, თითქოს ბუნების ჩქროს უგდებენო ყურს.

ვიწრო ბილიჯზე, მაღალ ლოსეურას მთასა და გულმკერდ ყვავილიან ფადლაურას რომ ეხვევა, ფრთხილი კაკბები დაგოგავდნენ, ჯერ კიდევ დაუთელავნი ყვავილნი ლაღობდნენ, ეტყობოდა, — მგზავრი იშვიათი სტუმარი იყო იმ გაზაფხულს ლოსეურას მთისა, არაგვისა და იორს შორის რომ ჩამდგარა მოღავესავით.

ბილიჯზე ორი მგზავრი გამოჩნდა. მათ ღინჯად გაიარეს ყვავილოვანი ფერღობი, რამდენიმე აღვილას კაკბების ფარა წამოშალეს და ქვიშაზე ფეხის ხმაურით დაარღვიეს გამეფებული სიმყუდროვე. მაგრამ თავათ უხმოდ მიდიოდნენ — არც ერთი ხმას არ იღებდა; არა ბევრად იმოქმედა მათზე ახალმა მიდამომ, ვანხევის ლამაზმა სანახებმა, არაგვის ტურფა სათავეებმა, რძესავით თეთრი წყაროები რომ მოჩუხჩუხებდნენ. ხანდიხან თუ მოაველიან თელი გარემოს — გზა-ბილიჯი შეათვალეირიან და ისევე ფიქრს მიეცნიან.

ერთი მგზავრთავანი, რომელიც წინ მოუძღოდა, ტანდაბალი კაცი იყო, ფშაურად ჩაცმული: რამდენიმე ახალუხის ძველი ნაფლეთი და გახუნებული ჩოხა ემოსა, თოხლის ტყავის გრძელბეწვა ქუდი ეხურა სიცხე-პაპანაქებაში; ოფლი სდიოდა სახეზე, შეთეთრებული წვერ-ულვაში რომ უმშვენებ-

და. მარად თავდახრილი მიდიოდა, მიწას მისჩერებოდა. წვრილი ტანდერი თვალელები წამოსიებული ქუთუთოებიდან იჭვრიტებოდნენ. ფქვილის ხრილი ედვა მხარკისერზე და ტანისამოსზე, თითქოს ეხლავა გამოსულად. წინაწინედან. მხარზე ხურჯინებულად გადაეკიდა ტყავის ჩანთა და რაღაც ნივთებით საესე ტომარა. წინ მიდიოდა — მიჩაქჩაქებდა მოკლე ნაბიჯით.

მეორე დახარებული ვაკეა იყო, ქერა შეხედულებისა, ტანმალალი, მსუბუქად მიაბიჯებდა; სწრაფი მზერით ზვერადა გარემოს. კულასავით ტანს წყლისფერი ჩოხა ემოსა, წყლისფერივე პაიკები, ფეხებზე კოხტა წაღები ეცვა, ქერა, ხუჭუქა თმაზე მოგვერდულად დაეხურა თუშური ქუდი. წვრილ წელს ოქროთი მორთული ქამარ-ხანჯალი უმკობდა, ოქროსავე მოკაზმული მათხერი. სიარულში და მზერაში სიფრთხილე ეტყობოდა, საეკვო საგნებს ყურადღებით ათვალეირებდა, ბილიკს შორიდან ზვერადა. უმოწყალოდ მისთვავდა ნაზად ყელმოღერებულ ყვავილებს, მარგალიტებივით რომ ასხმოდნენ ხავერდის ფერად გაშლილ ალბიურ ფერდობებს; გლიდა „თავსვილათ“ ნაზად რომ ირწყოდნენ ნიავის ოდნავ წამოქროლვაზე და ილასტებოდნენ, ტალღებურად გადადიოდნენ ერთი მეორეზე, თითქოს გაურბიანო უცნობის გულგრილ ნაბიჯს.

უკან მდგომი მალემალ დააკვირდებოდა წინ მდგომს; უფრო მეტად ოფლითა და ფქვილის ხრილით შესერილ კისერს უჭკერტდა. ქვერტაში ზიზლი და იდამულება იხატებოდა; უსიამოვნო ფიქრის ეტლი ცქიატობდა უცნობის კრელ თვალეებში. კაცი ერთი შეხედვით შეატყობდა, რომ მას წინმდგომი სძულდა, რომ მათ შორის იყო საიდუმლოთა შავი ძაფები, რომლებიც დაწყვეტის პირად მისულიყვნენ...

მათ უხმოდ განვლეს მთის კალთები, აქა-იქ ლურჯი ქვიშა რომ ჩამოშლილიყო, გავიდნენ გაშლილ ტაფობზე და სპარსულ ნოხივით გადაეშალათ წინ ტურფა „უბისთავი“. მშვიდმა იერმა გადაჰკრა სახეზე. წინმდგომმა მძიმედ ამოისუნთქა, შედგა — ბარგი მეორე მხარეზე გადაინაცვლა, მზეს შეხედა და ჩატეხილი ხმით სთქვა:

— გრძელ სამხრობა გადავიდა, ჩვენ კი...

მისი თანამგზავრი ფიქრებიდან გამოვიდა.

— რა სთქვი? — იკითხა ანგარიშმიუცემლად.

— გრძელსამხრობა გადავიდა...

— ში.. რამდენი სამხრობა გადავიდა... რამდენჯერ დაღამდა და გათენდა, სად მიგეჩქარება? — ცივი ღიმილით წაესიტყვა თანამგზავრი და კვლავ წინმდგომის კეფას დააკვირდა, თითქოს იქიდან სურსო ამხანაგის გულის ზრახვის ამოკითხვა.

ბარგიანმა ნაბიჯი მოუჩქარა, კისერი კვლავ დახარა, დახედა მიწას: ქალამნიანი ფეხი ააცდინა ყვავილების ჯგუფს, მძიმედ ამოიოხრა, საუბარი განაგრძო:

— შენ აბა სად მიგეჩქარება, მე კი... — სთქვა და მძიმედ შეიჩეჩა განიერი ბეჭები.

— მე არსად... მხოლოდ სიკვდილისაკენ... — უდარდელად გაიცინა ახალგაზრდამ. — მე არსად მიმეჩქარება, ჩემი გზები დახლართულია, რომელი გზა ავირჩიო, ისიც კი არ ვიცი, მაგრამ მოიცა!

შეუდგნენ ორივენი:

— ჭლუგავ! — წყენით მიმართა ბარგიანს, წინ შემოუარა, სახეზე მკრთალმა ფერმა გადაჰკრა: — შენ ხომ იცი! — უფრო ბრაზიანად შეუუტია და თვალებში ჩააშტერდა.

— დიახ... — ჩაფიქრებით უპასუხა ჭლუგამ.

— მაშ ფრთხილად, აგერ ხალხი, შენ კი...

— ხალხი მუდამ ეგრეა საბოსლოს, მაგრამ მაგათ რა ეცოდინების...

— მე კი ვამჩნევ, რომ გზის პირზე გროვდებიან...

ჭლუგამ მოკლე კისერი მოხარა, ტანი მძიმედ მოაყოლა: გაუპკრიტა საიალალს.

— მწყემსები იქნებიან! — სთქვა და სიარული განაგრძო.

— მოიცა! — ხმას აუწია თანამგზავრმა, გზა არ დაანება. — იქნება გინდა, რომ... მაგრამ გაფრთხილებ! — მაუხერზე დაიღო ხელი: — უმალ შენი მზე დაბნელდება!

ჭლუგა ერთ აღგილზე გაეშღა.

— რამდენი ხანი ყურში ჩაგყვირი: სიფრთხილეო და შენ კი... იქნება გაცემა გსურს?

— გიორგი... რად არ გრცხვენია?..

— ხომ ხედავ, მამაკაცები გვიანლოვდებიან!

— ვინ გვიცნობს!

— ცნობას არა აქვს მნიშვნელობა: მე არა მსურს დამინახონ...

ჭლუგა გაოცებით დააკვირდა გიორგის, თითქოს პირველად ხედავსო.

— სადღა წავიდე? — იკითხა მან, ნაწყენობა დაეტყო ხმას.

— გზა უნდა გამოინახო!

— მაშ კარგი, მარცხნივ ვიაროთ. შორიდან უხვევს სატიალე. მაგვიანდება: როდისღა გადავალ იორზე....

„მგონი არასოდეს!“ — გაიფიქრა მისმა თანამგზავრმა და მწყურალად გახედა საიალალს:

უბისთავს ნელი ნიავეი დანავარდობდა, ბალახნი ილასტებოდნენ, მიწას ეკვროდნენ, მიჰყვებოდნენ ნიავეის სელას და კვლავ წელში იხრებოდნენ. წყაროთ ჩქამი გაისმოდა წამით და გაქრებოდა უკვალოდ.

მწევანე ფერდოზე ცხვარ-ძროხისა და ცხენის ჯოგები ნებვირობდნენ; სანიაოზე ვადამდგარი ხარები დადუმებულოყვნენ, ნელიად იცოხნიდნენ. შუბლი მიეშვირათ ნიავეისათვის. ხანდახან მთის სილალე წამოაყვირებდათ. აელერდებოდა მიდამო, ან რომელიმე კურატის ვნებიან ბუბუნს და გულამოსკვილ ყვირილს უპასუხებდნენ ნებიერი ბუბუნით და სიმყუდროვეს ირჩევდნენ კვლავ.

გაღმა სოფლებიდან მყეფრების ყეფა, ცხენების ჰიხინი და ფშურის სიმღერის ხმა ისმოდა ხანდახან. გზის ნაპირზე მჭდომი ცხვარ-ძროხის მწყემსები ერთმანეთს ეშაირებოდნენ. ხმამალალი სიცილის ხმა ჩამოჰქონდა ნიავეს.

მგზავრები აკრეფილი ნაბიჯით მისდევდნენ საცალფეხო გზას. მწყემსებს მარცხნივ ჩაუარეს, გაპარვა სურდათ. ერთი მწყემსთავანი წამოდგა ფეხზე. ჩაჰკივლა მგზავრებს და ნაძალადევი ბოხი ხმით ჩასძახა:

— რომელი ხარ, ლომთამე გახოლ, შვიდ მამასაც ნულარ მახოლ! — გაიცინა, გაიცინა ხმამალლა, სხვებმაც ბანი მისცეს და სიცილ-ხარხარით გაიშალნენ ბუსნოზე.

— სიკვდილი თქვენს — ჩაილაპარაკა ჭლუგამ. არ მიუხედნია, არ მიუხედნია არც მის თანამგზავრს — მიილუტნებოდნენ უხმოდ. *ეკონსული*

იუცხოვეს მწყემსებმა — სასაცილოდ რასმეს ეძახოდნენ; *სწავლა* აღოძლედა ბანს: უბისთავი ნელიად ბიბინებდა. კეკლუცობდნენ ნაზნი ყვაილნი, მხოლოდ ფუტკართ იღებდნენ სტუმრად, გულუხვად მასპინძლობდნენ, თავმოწონედ იღერებდნენ ყელს, მზის სხივებით ლაღნი, პირმშვენიერნი...

ყველა მხიარულობდა, ყველა პირმომლიმარი ეგებებოდა დილის სიამეს, სტებებოდა სულიერი თუ უსულო. ის ორი მგზავრი კი... თითქოს მოსძულეზა ყველაფერი ამქვეყნიური, ცივად მისჩერებოდა ერთი მათგანი დედამიწას, ხოლო მეორე იღუმლად უქვრეტდა გარემოს, მაგრამ ისე კი, რომ გზაზე შემოხვედრილს ან რომელიმე მწყემსს არ შეემჩნია უცხოობა, იგი მალე მალ წაესიტყვებოდა ჭლუგას:

— დედამიწის ჩატებისა ზომ არ გეშინიან! მოუჩქარე ნაბიჯს!

ჭლუგა ხმას არ ამოიღებდა — გაბაჯბაჯდებოდა, მაგრამ წუთის შემდეგ დაავიწყდებოდა ბრძანება და სიარულს შეანელებდა, ფიქრში გართული.

ამ ყოფით შიალწიეს მათ უბისთავის კალთაზე შეფენილ ტყეს, არავის ნაპირებიდან რომ იშლებოდა ნაომარი გმირებივით შემოწოლილ გორებზე.

— აქეთ წამოდი! — ბრძანების კილოთი უთხრა გიორგიმ ჭლუგას და კვლავ მის კეფას დააკვირდა, თანაც სახის იერი შეუფერმკრთალდა რატომღაც.

დაეჭვებით შეხედა ჭლუგამ, ზანტად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

— მანდ რაისადა?! — იკითხა ისე, რომ თანამგზავრისთვის არ შეუხედნია.

— გზას ავსცდეთ!

— რადა?

გიორგის ყურადღება არ მიუქცევია. დარწმუნებული იმაში, რომ ჭლუგა მას მიჰყვებოდა, აჩქარებული ნაბიჯით წავიდა ტყისკენ. სახე გაებაღრა. ხელები გაშალა, სწრაფი ნახტომი გააკეთა — თბილის ბუჩქებში შეერია, დაეცა ფოთოლთაზე და მძლავრად ამოისუნთქა, თითქოს განთავისუფლებული ტუსადი გამოვიდაო ციხის კარებიდან, ლალად გახედა ლილისფერ ტყის მასას.

— ტყე! — სთქვა თავისთვის, ამოდ შეაყრყოლა, თვალები გაუბრწყინდა. შემდეგ მილულა, იამა, რომ ვერაფერს ხედავდა ირგვლივ და უმალ ფიქრებში დაიძირა.

ჭლუგა მიუახლოვდა, დაოსებული შედგა, მდურვით დახედა.

გიორგის თვალები არ გაუხელია, შემოწევა ფოთოლთაზე. თუშური ქუდი თვალებზე ჩამოიფარა, ფეხი ფეხზე გადაიღო და გაირინდა.

ჭლუგამ ბუზღუნით მოიხადა ტვირთი, მძიმედ ამოიშქუნა, წამებულებით დაეცა მიწაზე, სახე ოფლიანი, ტანდატბორილი; ჩოხის კალთა ამოიკვართა, დახედა, სუფთა ადგილი შეარჩია — შუბლი მოიწმინდა, მიწას მიაჩერდა და თავისი წისქვილი დაუდგა თვალწინ, — ნათლად ხედავდა ფქვილით სავსე ალატთ, ჩამოცლილ ხუმბურას და ესმოდა წისქვილის ყვილი მშვიერი ქვა რომ წიოდა ქვაზე. გულგაცეცხლებულმა თავი გააქნია, ადგომა ეწადა, მაგრამ მისი თანამგზავრი ნებეირად ეწეოდა პაპიროსს, კვამლს კვამლზე უშვებდა. «გეტყობა არც შენა ხარ კარგ გუნებაზე», გაიფიქრა ჭლუგამ და ხმის ამოღება გაბედა:

— ნუ ვიგვიანებთ, ხთის მადლს..

თანამგზავრი ყურადღებას არ აქცევდა. სიჩუმე იწვა ირგვლივ. ხეები სწორად და გამართულად დასდგომოდნენ თავს, მხოლოდ ერთგვარად შეიკრათ ცისკენ, თითქოს საბოძვარს სთხოვენო ლაევარდს. წინააღმდეგობა მალულად დაძვრებოდნენ ფოთოლთა შორის. ნელი ტკაცუნის ისმოდა. მათ მან-ლობლად რაღაცამ გაიშრიალა. ცოტა ხნის შემდეგ ჩხიკვა დაარღვია სიჩუმე, და კვლავ გაჩუმდა ყველაფერი. ელდ-ელდად არაგვის ჩქაში შემოვარდის, თითქოს დედამიწამ ამოიოხრაო და მდინარის ხმამ წისქვილი გაახსენის ჯლუგას. გამწარებული ერთ ადგილზე ველარ იძლევა, მწყრალად უჭვრეტდა თანამგზავრს, ბოლოს ველარ მოითმინა — ფეხზე წამოდგა, ვიაროთო წამოსცდა უნებურად. საკმაოდ ბრანთანად გაისმა მისი ხმა, მაგრამ თანამგზავრს წარბი არ შეუხრია, უფრო გულიანად გააბოლა პაპიროსი.

— გეჩქარება!.. — ჩაილაპარაკა ისევ ჯლუგამ.

გიორგის ცივი ღიმილი შეუთამაშდა სახეზე, დინჯად წამოიშართა, პაპიროსი გადააგდო, ცივი იერი მიიღო.

— სად გეჩქარება? — იკითხა მან ისე, რომ ჯლუგასთვის არ შეუხედნია.

— მაგით მომაძულე თავი, გიორგი!.. — მღურვით ჩაილაპარაკა ჯლუგამ და ქალამანი გაიკეთა, თითები რომ უჩანდა საბრალობლად. — მაგვიანდება და შენ კი...

— სიკვდილისთვის თუ გეჩქარება! — გადაიხარხარა თანამგზავრმა. მხოლოდ ხმა იცინოდა, სახე კვლავ ცივი, ცივი და უეტლო იყო.

ჯლუგა შეიშმუშნა, იღუმალეებით სავე ტყის სიღრმეს გახედა და შიშმა აიტანა, თანამგზავრისკენ აღარ იყურებოდა, თავად ესმოდა თავის თმის ჩქა-მი. შიშით რომ იშლებოდა ნაოფლი.

ხმის ამოღებისა და მოძრაობისა შეეშინდა ორივეს.

„ბარემ გათავდეს!“ — ფიქრობდა გიორგი, ხოლო ჯლუგა თავს უჭავრდებოდა:

„რად მეშინიან?... დალაზეროს კაცთ გამჩენმა, ხელები მიკანკალებს, მუხლები ცივდება“.

— მაშ გეჩქარება?.. — დაარღვია სიჩუმე გიორგიმ, აიწია, ხელი მაუზერისკენ წაუვიდა.

ჯლუგას მისკენ არ მიუხედნია, თითქოს გრძნობსო ამხანაგის გულის საიდუმლოს — სახე უფითრდებოდა.

— გეჩქარება მეტი? — კვლავ იკითხა გიორგიმ, ხმა აერია, სახე წამოუწითლდა, გაწივლებული თვალებით დააკვირდა კეფაზე.

— ამაღამ ის კაცი მოვა, — ხმის კანკალით მიუტო ჯლუგამ...

გიორგიმ მწარედ გაიციხა:

— შენ რა? — იკითხა უდარდელად.

— შენი ამბავი უნდა მიუტანო...

„არც ის მოვა არასოდეს და ვერც შენ მიხვალ შენ წისქვილში“, გაიფიქრა გიორგიმ, კვლავ კეფაზე დააკვირდა, თვალები აერია, ტუჩები გაუშრა, სახე გაუფერმკრთალდა.

— ცოტა გზა-ლა დარჩა ორწყლამდინ, იქნება როგორმე გადავიდოდი პირიქით, წისქვილ-ტიალი...

— ვერასოდეს!.. — უნებურად წამოსცდა გიორგის, ფეხზე წამოდგა, დაუფიქრდა რაღაცას. — მაშ შენ ამბობ, ცოტა გზა დავგრიხო? — იკითხა არეულად.



— დაახ.

— ვიაროთ! — თითქოს წამოსცდაო ეს სიტყვა, შეყოყმანდა გიორგი, მხოლოდ ჭლუგამ აღარ დააყოვნა, ბარგი სწრაფად წამოიკიფა, მუდრისკაზე გადაიგდო, სიარული განაგრძო.

გიორგიმ წინ გადაუარა, მოშორებით დადგა. ეხლა დააკვირდა ჭლუგა, გული შეეკუმშა, ბარგი დაუმძიმდა, წვრილი ბალები, ფერმკრთალი მეუღლე და წისქვილი დაუდგა თვალწინ.

— უგზოდ! — შეაყენა გიორგიმ.

— აქ საშიში არა არის-რა...

— მე ეგრე მსურს!..

— ეხ... რამდენი ხანია ჩემთან ხარ და კიდევ არ მენდობი... ჰაი, ჰაი დრო... წინათ რომ ერთხელ შერეოდნენ პურმარილს სუფრაზე, ძმობა იქნებოდა, ძმის მკვლეელი ენდობოდა მოსისხარს, ეხლა კი...

— გენდო? — ცივად ჩაიცინა გიორგიმ.

— ნუ, ეგრე ნუ შექცევი, გიორგი, მეც კაცი ვარ, ერთი წუთი ძვირადირს გლეხი კაცისთვის, წვრილი ცოლშვილის პატრონი ვარ და მიჭირს... შენთვის კი სულერთია: ვინდა დაღამდეს, ვინდა გათენდეს... — ამბობდა ჭლუგა და თავად უკვირდა, რა ეშმაკი მალაპარაკებსო. ხოლო გიორგი ფიქრობდა: „ილაპარაკე, რამდენიც გსურს, ეს წუთები მიპატიებია შენი სიცოცხლისთვის“.

უსიტყვოდ გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი. მათ ირგვლივ ჩქრო ნებივრობდა, ხშირი ტყე საამური სურნელებით იყო გაყენითილი. ირწეოდნენ ტანმალალი ნერგები, შიმელანი; ქალის საყურებივით ციმციმებდნენ ვერხვის ფოთოლნი, შრიალებდნენ ოღნავ, მძრომელა ჩიტო წრიბინებდა მათ შორის, ხიდან ხეზე გადადიოდა, შემკრთალი ჩასწიოდა მიწას. ციყვმა გადაურბინა წინ, სწრაფად აირბინა წიფლის ტიტველი ტანი და კენწეროზე შეცუცქდა კუდბუთთთა. ჩურჩულებდა ტყე, ფოთოლთ შრიალს ჭალიდან შემოვარდნილი არაგვის ტალღების შუილი ფარავდა. წყლის ხმაურის სიძლიერე ჭლუგას ორწყლის სიახლოვეს აუწყებდა, წისქვილ-ტიალზე ფიქრი აღარ შორდებოდა.

— მე მგონავის... — სთქვა მან და გაჩუმდა.

— რა, ჭლუგო? — დაცინვის კილოთი უთხრა შემდგარმა გიორგიმ და ისევ კეფაზე დააკვირდა.

ჭლუგა შედგა, შემობრუნდა.

— დიდხანს ეღარ ვნახავთ ერთმანეთს...

— მიხვდი, მაგრამ რა საჭიროა ნახვა...

— ამდენი ხანია და კიდევ არ მენდობი...

უხმოდ განაგრძეს სიარული.

— გიორგი! — დაიწყო ისევე ჭლუგამ, დადგა, თავი უფრო დაბლა დახარა.

— სთქვი, რა გინდა! — გაუწყრა გიორგი.

— სად მიდიხარ, რად არას მეტყევი?..

გიორგი ასეთ კითხვას არ მოელოდა, შეყოყმანდა.

— თავდაც არ ვიცი. — უპასუხა ანგარიშმიუცემლად.

— რაისად არ იცი, უმიზნოდ სიარული რაღაა...

— თავად ცხოვრებამ ამირივა გზა, მიმაჩეია ასეთ ყოფნას.

ნობ, მტერს სამაგიეროს გადაეუხდი და მერე...





— მაშ იმისად უნდა დაიკარგო?..

გიორგის პასუხი არ გაუცია.

— მე მაინც ვიცოდე, სად წახვალ?

გიორგი ყურადღებას აღარ აქცევდა, არეული ნაბიჯით მისდევდა ტყიან ფერდობს. იცვლებოდა მიდამო, ტყე თანდათან თხელდებოდა, არაგვის ხმაური გაძლიერდა, ჭალა მოახლოვდა. სოფელ უძილაუთიდან ადამიანების ხმაური ისმოდა. მოწმავს გორის ბოლოს ნახირი შემართულიყო შინისაკენ, მწყემსი საღამოს სიახლოვეს გაეხარა, ხმამაღლა მღეროდა რომელიღაც ვაჟკაცის საქებს.

ადამიანების სიახლოვე აამებდა ჭლუგას, გულს იმედი ეძლეოდა, საუბრის წადილმა მოუარა კვლავ:

— ორი წელიწადი ჩემს წისქვილში გაატარე, რამდენი რამე ჩაგიდენია, დამინდვიხარ ეხლა კი, ვითომ მტერი ვიყო, აღარ მენდობი, არა, — ამბობდა იგი, თითქოს დედამიწასთან საუბრობსო.

გიორგი უხმოდ მიდიოდა წინ, ტყის სიღამაზეს გაეტაცა მისი გრძობა-გონება — მწვანედ განათებულ ოთახში ეგონა თავისი თავი: იამებოდა.

— ტყე. — იმეორებდა ფიქრში.

— ჩემი წისქვილი იყოს შენი თავშესაფარი, იქ ათევედი დამეებს, ჩემი წისქვილის ნაფქავი ფქვილით ირჩენდი თავს, ეხლა არაფრად მაგდებ... სხვა რომ არაფერი იყოს, ერთი გვარის ხალხნი ვართ: ჩვენი ფესვები ხევსურეთში გადგმულა, მხოლოდ შტოები დავშორებულვართ ერთმანეთს.

— ნეტამც გაჩუმდებოდე! — შეუტია გიორგიმ, მწყურალი სახის იერი მიიღო: ტყე თავდებოდა — არაგვის ვიწრო ხეობა დანდა.

შედგა გიორგი: ტყისკენ იბრუნა პირი — ეხამუშებოდა ველები.

— შევისვენოთ! — მუდარის კილოთი უთხრა ჭლუგას..

გაიკვირვა ჭლუგამ:

— ეხლა ავდექით! — ტვირთის მოხდა და კვლავ აკიდება ეზარებოდა.

— რა გეჩქარება! — სთქვა გიორგიმ და დასაჯდომად მოემზადა.

— აგერ, გამოჩნდა ორწყალი, იქამდენ გინდოდა გაყოლა...

— დიახ, — მიუგო გიორგიმ.

ამ დროს ქეროზა ჩიტმა ჩამოსწივლა, მწყურის მაგვარი ჩიტი დაწრიბინდა მათ გარშემო, ხმაური ასტეხა. მეორეც წამოეშველა. მწუხარებით წიოდნენ, ხტოდნენ, კვლავ სხდებოდნენ, ვერ ისვენებდნენ, თავზე დაჰფარტაშებდნენ მგზავრებს.

გიორგიმ მიიხედ-მოიხედა.

— ბუდე სადმე ექნებათ! — სთქვა მან, ბუჩქებს დააკვირდა.

ერთი ჩიტთაგანი მახლობელ ბუჩქებს მიუახლოვდა, ჩაქდა ტოტებში, მაგრამ ჩაჯდომის უმალ აფრინდა, ადამიანის სიახლოვეთ შემკრთალი.

— ენახე ბუდე! — წამოიძახა გიორგიმ, დაიხარა, დიდი ქვა აიღო.

— ნუ! — გაუწყრა ჭლუგა.

გიორგიმ არ დააყოვნა: ქვა დაუმიზნა ჩიტის ბუდეს, ღონიერად ესროლა, გაიცინა, — ქვა ბუდის ძირში ტოტს მოხვდა, ტოტის მაგრად შენჯღრევამ ბუდე ჰაერში შეაგდო, გადმოაბირქვაეა, ტრიალით დაეცა მიწაზე ჩიტების ნაჭირმაგალი.

ჩიტები ჯერ გაჩუმდნენ, თითქოს გულის ბოროტმა გააშტერაო, შემდეგ მწარედ დაიწივლეს, მხარგაშლილები ჩაჰყვნენ ბუდეს, საბრალოს რასმეს



ამბობდნენ და ბუდიდან გადმოცეცნილი ბარტყების გარშემო ხტოდნენ, საესავებდნენ გულის წასვლის პირად მისულნი. მათ გარშემო მთვრალდნენ სხვა ჩიტებიც, ყველა ერთი ხმით წივოდა, თითქოს სატირალე გავრცელდა და წყევლას მოსთქვავენო მტრისას.

ბარტყები ჰყიპინებდნენ, გორაობდნენ ცივ მიწაზე, სუსტნი, ჯერ კიდევ უბუმბლონი.

ჯლუგამ ვერ გაუძლო ჩიტების ცოდობრალს, თავდახრილი გასცდა და აჩქარებული ნაბიჯით ჩაიარა ტიტველი ფერდობი, არაგვის ნაპირზე რომ ჩასდგამდა კალაპოტად.

გიორგი ჩიტის ბარტყებს მიუახლოვდა, ერთხანს იდგა, — ათვლიერებდა, დასცინოდა ჩიტების სისუსტეს, შემდეგ დაიხარა — აიყვანა ერთი მათგანი, შეუბერა, გაუცინა, მიუაღერსა, გაისროლა მიწაზე და ჯლუგას მიჰყვა უკან.

ჩიტები წრაპინით ვაჰყვენენ, შემდეგ მხრების საცოდავი სავსავით შემობრუნდნენ და ჩუმი ტყე ააქვითინეს ცოდვა-ბრალით...



ორწყალს მუდამ ცივი ნიავი დაშრიალეებს თავს: ხევსურეთისა და ფშავის არაგვის ჯიშად მოსდევს მარად სუსხიანობა, ერთს ამაყ ჭაუხიდან, ზოლო მეორეს გულსევიდან ბორბალოდან. ორწყლის კალთაზე მარად ბრძოლაა გამართული: მდინარე მდინარეს ეჯახება, სუსხი სუსხს და მკაცრდება ბუნებით დინჯი მიდამო; ზვიადი მთების ფესვები იხლართებიან ორწყალში, იჭრებიან მქუხარე ტალღებში, წამით ლაგმავენ, მაგრამ არაგვი მკაცრია, ამაყ მებრძოლივით დასჰყივის მთებს, ომში შესულ წითელარმიელივით იკაფავს გზას და შორს, შორს გაშხუის გამარჯვებული. ორწყლის მიდამოს ძმით ფიცი ესმის განუწყვეტლად — ფშავის არაგვი ხევსურეთის არაგვის ეფიცება, მიდიან, თანაბრად მიიშლერიან, ხანდისხან კი... აყვირდებიან დაღრეკებულ ვაჟკაცებივით და მაშინ ნახეთ ნგრევა კალაპოტისა, ზარალი მგზავრისა. მათ კალაპოტში ხედებიან ფშავ-ხევსურეთის გზანი ერთიმეორეს, მგზავრი იშვიათად ასცდება ბილიკებით და აი, ჯლუგამ ფრთხილად ჩაიარა ფშავის არაგვის ნაპირი — ორწყალი შეათვალერა, ოდნავ დაუსტვინა და მის დასტვენისთანავე გიორგი გამოვიდა ტყიდან, დაკვირვებით გადახედა ორწყალს. ხევსურეთის არაგვის ხეობიდან ჩამოქროლილმა ნიავმა გაუთამაშა, გასცდა, გამწარებულმა ფოთლებში ჰპოვა თავშესაფარი.

შედგა გიორგი. გახედა ხევსურეთის მიდამოს.

„ახალი ხალხი, ახალი მიდამო, იქნება შვება მიეცეს ადამიანის გულს... მაგრამ... არის სადმე სიამე?..“ — გაიფიქრა, ნაღვლიანი გამომეტყველებით მიუახლოვდა ჯლუგას, მისვლისთანავე უბრძანა:

— ჩადი წყლის პირზე, აგერ ლურჯი ჭევა რომ ძეხს... შეენაყრდეთ...

ჯლუგას პური მოშინოდა, არ იუარა. წყლის პირზე დიდი ლოდის პირდაპირ დასხდნენ და თვალი ააცილეს ერთიმეორეს: გიორგი ერთხანს მიდამოს ათვლიერებდა, ჩრდილებსა და ტყით დაფარულ ადგილებს აკვირდებოდა. შემდეგ ჯლუგას მიხედა, დააკვირდა კეფაზე, ფერი ეცვალა, აქანტოდა და, ფეხზე წამოდგა და დინჯად გადახედა არაგვის ნაპირს.



დაოსებული ჯლუგა ჯერ კიდევ ოფლიან სახეს იწმენდდა, იღუმალად უთვალთვალებდა გიორგის, უამურს აფიქრებინებდა მისი სუქცეფულუი „რაისად იქცევა ასე?“ — გაიოცებდა თავისთვის.

პირი დაეიბანათო, მიიპატივა გიორგიმ, თავათ დაეწაფა არაგვის ტალღებს, თანაც იღუმალად შეხედა ჯლუგას.

„დასრულდეს!“ — გაიფიქრა. ატკრეცილ სახეზე არაგვის ცივი წყალი შეისხა, წელში გაიმართა.

ჯლუგა ადგილიდან არ იძროდა, ეზარებოდა წამოდგომა, დაღლილი იმდენად არ იყო, მაგრამ ტანი რატომღაც დაუმძიმდა, არაგვის ხმაური აკრთობდა, სხეული ეყინებოდა. ჯერ ღმერთი გაახსენდა, — შევლა რატომღაც სთხოვა ლაშარის ჯვარს, შემდეგ წვრილი ხიზანი დაუდგა თვალწინ, ამოშქუნა, თავათ გაუკვირდა თავისი გულის ფიქრები. ის იყო გუნებას გაუჯავრდა დამ დროს თითქოს მიუხედაო გულის დარღს, კვლავ დაჰპატივა გიორგიმ.

წამოდგა ჯლუგა, ზარმაცად წავიდა გიორგისკენ, მუხლები გასციებოდა, გული სიმებჩაწყვეტილივით უცემდა, წისქვილი და ფერმკრთალი ბავშვები დაესახა წამით, ამოშქუნა, სახე მოისრისა, გიორგის მახლობლად დადგა, არაგვის ხეობას გახედა: შებინდებულყო გარემო.

— ლამდება, ე!.. — ჩაილაპარაკა მდურვით და წყლის პირს ჩაცუქკდა.

— მე არსად შეჩქარება, შენ კი... — სამუდამოდ დაიგვიანებო, უნდოდა ეთქვა გიორგის, თავი ძლივს შეიმაგრა, მისმა ხელებმა უნებურად გაიწიეს მათხერისკენ, მაგრამ გონებას დააძლევინა გრძნობისთვის: ვაზნა დაინანა — სხვა დროს დამკვირდებო გაიფიქრა.

— ამას კი!.. — კეფას გადახედა, აიწია, სწრაფად დასწვდა წინასწარ შერჩეულ მრგვალ ქვას, ორივე ხელით შემართა ჰაერში.

წყლის პირზე დახრილმა ჯლუგამ თვალი მოჰკრა მის ლანდს, მაგრამ გვიან იყო, მძიმედ დაშვებულმა ქვამ გრძნობა დაუკარგა, დაყირავდა არაგვის ანკარა ტალღებში, ერთხელ დაგმინება მოასწრო, გაიშხლართა. და ძონძივით გაითრია მდინარეში.

— დაიგვიანა! — ნიშნის მოგებით სთქვა გიორგიმ, რომელიც ერთი ადგილიდან არ იძროდა: თვალთ მისდევდა ჯლუგას, სანამ იგი უღრანებს არ მიიბარეს არაგვის ტალღებმა. — საიქიოს უამბე საიდუმლო ამბები! — გადაიხარხარა მან.

საკუთარმა სიცილმა შეაკრთო, ფრთხლად შეათვალეირა გარემო, გადმოხდა წყლის ნაპირიდან, ხელებზე დაიხედა.

— თფ!.. — ლამით დამისერია. ისევ დაბანა... — სწრაფად შეტრიალდა, კვლავ შეიბანა ხელები, ბარგს მიუახლოვდა, ჩანთა გახსნა: ტანისამოსი ამოალაგა — ხევსურული ჩოხა, პერანგი, ნაჭრელით ნაქარგები, მძივ-ლილი რომ არ დაეშურა მომქარგველს, პაქიკები, ოქროსფერი ფაფახი. ტანზე ნაცვამი ტანისამოსი გაიხადა, ხევსურულ ტანისამოსში გამოეწყყო. სულ სხვა კაცად გადაიქცა, შეკრევილ უღვაშებზე ხელი გადაისო, უღვაში დაინატრა, ამაყად დადგა, ხევსურეთისკენ შეტრიალდა:

— ხევსური ვარ! — სთქვა, ღიმილი შეუთამაშდა სახეზე. შემდეგ ჩაფიქრდა, ზიდს დააკვირდა — ხეებით მაგრა შეკრული ზიდი ხევსურეთს აერთებდა ბართან. ბრაზი მოუვიდა, ზიდზე შეტბა.

— სატიალე! — სთქვა ნელი ხმით.

წუთით ჩაფიქრების შემდეგ შუბლი გაეხსნა, გადმოხდა ხილიდან, ბარგი მიალაგ-მოალაგა, ჩანთიდან შეკრული ქაღალდები ამოიტანა, უკვე შეუშლინება.

— დამჭირდებით. — ჩაილაპარაკა, ბარგი აიღო, მდინარეს გასწვრივ დაიწყო. პირუკუ შეტრიალდა: ხელუკუღმა ისროლა ქვა ბარისკენ, მარცხნივ გადააფურთხა და პირუკუღმა გადავიდა ხიდს, გადასვლისთანავე შედგა: კვლავ დააკვირდა ხიდის ნაგებობას. — შეიძლების! — უთხრა თავს. ბარგი მიწაზე დასდო, გარშემო ნაყარი წვრილი ნაფოტები მოზიდა, ხიდის კუროს მიუწყო, იმ ადგილს, სადაც ხეები და დაგრეხილი წნელები იყრიდნენ თავს, შემდეგ მოშორებით შეფენილ ხმელ ქუჩებისკენ გაიქცა, მშრალი ბალახი შეარჩია, ღიმილით მიუახლოვდა ხიდს, ასანთი აანთო, მოუკიდა ბალახს, წუთიც და მოწითალო ალი აპყვა ტყვიისფერ კვამლს, შუბის წვრებად აიკლაკნა, ბინდი გაკვეთა, გაანათა.

ატყინდნენ ხმელი ხეები, აღულუნებული ალი გაპყვა ხიდს — წყლის გაღმა მხარეს გაიჭრა, ბიბინი მორთო: ნიავემა შეუტია, გააღუმფლა. გადიოდა და გამოდიოდა ხეებზე, ხანდიხან შეტოტავდის, თითქოს სიბნელეს უტევესო, შემდეგ დაიკლანის — ნიავეს ჩაპყვის წყლისკენ, ენებად დაიძაბის, არაგვის ტალღების ლოკვას თუ აპირებსო ტანდაალული ხიდი.

აყფდა არაგვი, არაგვი არაგვის დაეჭახა, ქარაფთ კალთაზე აქუხდნენ მწყრალი ტალღები, წითელმა ფერმა გადაპყრა მიდამოს, მთების მკერდიდან ნაღენმა სისხლმა თუ შეღებოთ არე-მარე, ალმა შეტრუსა ორწყალი...

იღვა გიორგი, უმზერდა განათებულ გარემოს, ეამებოდა ცეცხლის სიტურფე, არაგვის ღრიანცელი, ბნელეთში გაჭრილი აღნარევი კვამლი, — იცინოდა, თანაც ფიჩხს აყრიდა ხიდს.

ხიდი იკეცებოდა, ნელნელა ვარდებოდნენ დამწვარი ხეები არაგვში, თითქოს თავის დახრჩობა სურთო და, როდესაც ალმა უკანასკნელად დაილულუნა, გიორგიმ ბარგი აიღო, ალს მისცა ლუკმად, გაღიზარებულა და ხიდიან დაკეპმასთან ერთად შებრუნდა ზევსურეთისკენ.

— ჯამრული მერქმევა დღეის შემდეგ, გამეცალე გიორგი! — სთქვა, პირჯვარი გადაიწერა, ხევესურეთის ხატებს სთხოვა მფარველობა და ნელი ნაბიჯით შეპყვა სახევესურეთე ბილიკს, — ბნელი სუღარასავით გაპყვა კვალდაკვალ, ხოლო არაგვის შფოთიანი ჩქამი — მატირალივით.

მიდიოდა და ფიქრობდა:

— მთა ბარს მოეწყვიტე, ზღვარად ხევესურეთს არაგვი დაუღევი. მშვილობით ბარო, ჯამრულს ხევესურეთი შეიხიზნებს!..

ღამე უსმენდა გულის თქმას, შავი ღამე იწვა მის გარშემო, ფშვინავდა დაღლილივით, ხოლო უკუნეთში შეტოტავებული შავი გორები იმზირებოდნენ კუშტად, თითქოს არ სურთო ჯამრულის სტუმრობა.

ჯამრულმა სამიოდე კილომეტრი გაიარა ხილიდან, რომ ცხენების ფეხის-ხმა შემოესმა, შეკრთა, დაიხარა: ყური დაუგდო, მგზავრები ხევესურეთიდან მოდიოდნენ ბარისკენ. ჯერ უნდოდა პირდაპირ შეხვედროდა, რადგან ჯამრულს იმ მხარეში არაფერ იცნობდა, თანაც ღამე შევლოდა, მაგრამ გადაიფიქრა — გზის ნაპირზე გადახდა და ის იყო ტყის ბუჩქებს ამოეფარა, რომ ცხენოსნები მიუახლოვდნენ. მხედრები ხმას არ იღებდნენ, მხოლოდ ცხენების

ფეხის ხმა გაისმოდა. ნალურსმარი ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიდა ჰეიშანებში. ფრთხილად ზედები, იგრძენს ადამიანის სიახლოვე, წაფრთხილებს სადავის თავისუფლებას მოითხოვდნენ, მაგრამ მხედრები ნემსსა და სისქვედნენ: ბილიკი კლდეზე გადადიოდა, ამიტომაც შეენელებინათ ჩქარად სიარული. ჯამრულს რომ მიუახლოვდნენ, ცხენები აფხვრიალდნენ.

— მეშინის! — გაისმა ქალის მისუსტებული ხმა.

— ცხენს ენდები. — დაიმედა ვილაკამ.

— სადავეს მართმევს, რა უყო...

— წინ დგომა სწადის სატიალეს...

გაჩუმდნენ, შავად მოსჩანდნენ უკუნეთში. ცხენების ფეხის ხმა მკაცრად გაისმოდა.

ოთხი ცხენოსანი დათვალა ჯამრულმა. აიწია, უკან მდგომი ცხენი შეაფრთხო. შემკრთალი ცხენი წინმდგომ ცხენს წააწყდა, წაბორძიკდა. ბილიკზე, დაიფრთხილა, — გზის ძირს გადავარდა.

— სატიალე! — გაისმა მხედრის მწყრალი ხმა, მათრახის ტყლაშუნი და ცხენის გმინი, მაგრამ ცხენმა ფეხი ვერ მოიკიდა, გზის ძირს ვარდებოდა.

მხედარს ამხანაგები წაეხმარნენ, როგორც იყო ცხენი გზაში შემოახდინეს, უნაგირი შეუსწორეს, შესხდნენ.

— საცაა დაგვეწვიან! — გაისმა კაცის ხმა.

— ლაგაზს მიჰყვით! — მიადახა მეორემ და ცხენებს გაუჯავრდნენ, გაუჩინარდნენ.

ჯამრული იმედიანად წამოდგა ფეხზე, თავისუფლად ამოისუნთქა.

— ლამე! — გაიფიქრა მან, გაბრწყინებული თვალებით გახედა უკუნეთს, ჩოხის კალთები შეიკეცა, ფაფახი თვალებზე ჩამოიფარა. — დაილოცე ლამე! — გაიმეორა ფიქრი და სიარული განაგრძო.

ცხენმხედრები დიდი სიფრთხილით მისდევდნენ ბილიკს ორწყლისკენ. წინ მდგომი ნელი ხმით უჯავრდებოდა საფერხეს. ხან ამშვიდებდა, ამხნევებდა თანამგზავრებს: ახარებდა ორწყლის სიახლოვე, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გოცება, როდესაც ხიდი არ დახვდათ.

— ხიდი! — ამოხდათ ერთხმად. ცივმა ჟრუანტელმა დაუარათ. მწარედ ჩაფიქრდნენ.

— ხიდი! — იძახოდა მიდამო, ქუფრ-მოღებული მიდამო და უმაღ ფიქრს ეძლეოდნენ. მხოლოდ არაგვი შხუოდა კვლავინდებურად, ასკდებოდა ქარაფების შუბლს და დაპრილივით გასწყუოდნენ ტალღები უკუნეთს.

წუთით დაფიქრების შემდეგ მგზავრები აირ-დაირივნენ, ცხენები აქიხინდნენ — რბენას მოითხოვდნენ დახელებულები. თავათ მხედრებსაც ეჩქარებოდათ. მღვეარი მოსდევდათ უკან, ხანი აღარ იყო დაყოვნებისა.

— სისხლის კვალი მოგვდევს! საცაა წამოგვეწვიან, გვიშველე, ლაგაზს! — გაისმოდა ხმები.

იდგა ლაგაზი ჩაფიქრებული, დაღლილი ხალხის ცოდვა-ბრალით, ლამის სიბნელითა და ადამიანთა სიავით. ხიდის კუროზე ცეცხლის ნალვერდალი ნახა, ბოროტმა ხანჯალივით გაუარა გულში.

— ადამიანო! — ჩაილაპარაკა სინანულით და წყალში შესვლა ურჩია ამხანაგებს.

— მაგრამ ხათუთა! — წამოიძახეს ერთხმად.

ხათუთა თავდახრილი დამდგარიყო მოშორებით, იმ ღამესვეთ შავი თვალებით აწვიმებდა ცრემლს, ზარავდა მდინარის აწყვეტელს მშუღლი და მღვერის მოახლოვება. შავი ცხენი ფრუტუნებდა მის მახლობლად, ისინი ერთ-ერთი ეწადა, აღარ ედგომებოდა გულხელს, ფრთხალად რომ უჭვრეტდა უკუნეთს.

მაღალი ტანის ახალგაზრდა მიუახლოვდა ხათუთას, ცხენის სადავე დაუჭირა.

— დავ! — უთხრა ნაღვლიანის ხმით და გაჩუმდა.

ქალი უფრო მეტად ატირდა, ხმას ვერ იღებდა.

— ყოფილიყავი ხევსურეთს...

— უშენოდ?

ამ დროს შორეული ხმაური გაისმა: მღვეარი ახლოვდებოდა.

— შევიდათ! — წამოიძახა ლაგაზმა.

ყველანი არაგვის ნაპირთან წაქუჩდნენ.

საზარელი იყო ცხენების ჭიხვინი და თქრიალი არაგვის ტალღებისა, სიცივის სიოს რომ აფრქვევდნენ პირშავნი.

ლაგაზი გადადგა წინ: ხათუთას ამოუდგა გვერდში და ნელი ხმით უთხრა:

— დასჩებოდი ხევსურეთ!

— ნუ!

— მდინარე დიდიას...

— სიკვდილი მირჩევ! — გაჭიუტდა ქალი.

— მაშ შენი საფერხე დამითმე ცოტახან: მარდია, წყალს დავზვერავ.

— შენ თუ? — შეერთა ხათუთა.

ლაგაზი სულ ახლოს მივიდა, ხათუთას თმაც კი შეეხო მის სახეს. ამოვრუანტელმა გაუარა ვაეკაცს, სხვა დროს აკოცებდა კიდევ, გულში ჩაიკრავდა ასეთი სიბნელით ნასარგებლები, მაგრამ ეხლა სასწრაფოდ დაიწია უკან: ცხენის სადავე გამოართვა ხათუთას, — ცხენმა პატრონის სიახლოვე იგრძნო, ნელიად დაიჭიხვინა, ტოტები ადგილზე დაჰკრა, ელვის სისწრაფით მოახტა ლაგაზი, დაამშვიდა, ნებას მიუშვა არაგვში და ფაფარში ჩაეჭიდა.

ცხენმა ოდნავ დაიგმინა, შეტოტავდა — მკერდი მისცა პირველად დაჯახებულ ტალღას და კალმახივით გაკვეთა მდინარე.

ლაგაზი დაიხარა — ფაფარზე აკოცა ცხენს, უკან შემობრუნდა, მაგრამ ეხლა გაუჭირდა გამოსვლა: ქვებზე შევარდა ულაცი, აბორძიკა, წამით მისცა თავი ტალღებს და ამ დროს მითრახის მწვავე ტლაშუნი გაისმა, გამწარებული ცხენი გასხლტა მდინარეს და ამხანაგების წინ გაჩნდა ტანდატბორილი.

ლაგაზმა გადმოხდომა დააპირა, მაგრამ აღარ დასცალდა: სულ ახლოს მოსულიყო მღვეარი, დანარჩენები ცხენებზე შესხდნენ, არაგვში შეჰყარეს გაცეცხლებული ულაციები. ერთმანეთში აირია მხედართ ძახილი, ცხენების ფეხის ხმა, მღვერის ხმაური და არაგვის ტალღების თქარუნი.

შეერთა ცხენ-მხედარი: წყლის შხუილი შემზარავი ხდებოდა, თითქოს იუკადრისაო არაგვმა შელახვა — აფაფრულად წამოსული ტალღები ერთიორად გამკაცრდნენ, შეშხუვლეს უკუნეთს და ჭიქურად დაეჭახნენ ცხენების გულმკერდს. ხვადები ტალღებს მიენდნენ, გმინავდნენ ნელია. შხუილი, კვილი და მღვერების ცხენების ჭიხვინი ისმოდა ღამეში. წყლის სინათლეზე ელდ-ელდად გამოჩნდიან შეტოტავებული ცხენები, აფარული ტალღები

და ლანდად-ქცეული მხედრები. ხმას არავინ იღებდა, ყველა გრძნობდა საშინელებას, ყველა ცხენსა და მდინარეს მიენდო; ხანდისან ლაგაზის გამაგმხნევებელი ხმა თუ გაისმოდა, მართალია, მისი საფერზე უწინდებულად შესძლებდა წყლის გაქრას, მაგრამ ლაგაზი ნელნელად მისდევდა ხათუთას ცხენს, უღონოდ რომ ასდევნებოდა ტალღების სვლას...

ცხენების მუხლმა ვერ გაუძლო არაგვის ტალღების სიმძლავრეს, თანაც ქვა-ლორღი და ფონის უცოდინარობა უწყობდა ხელს სივარჯლახს. ამიტომაც იყო, რომ ცხენები შეიტყუა არაგვა შუა წელში, ტალღებზე გაიყარა, გაათამაშა. ცხენები მიენდნენ, მიჰყვნენ, შემდეგ შემოტრიალდნენ, მკერდი შეუბრუნეს ტალღებს და ფაფარზე გადამდინარი წყალი დახიეს გაბრაზებულთ.

ხათუთას საფერზე პატარა ტანისა იყო, ფიცხი, ბრაზიანი, ბატკანივით ხდებოდა დაჯახებულ ტალღებს შორის. მხედარს სახე გაპფითრებოდა, მანდილი და შავი თმა ეშლებოდა, წყალი ეშხეფებოდა ტანზე და სახეზე, მკლავები უსუსტდებოდა, ველარ იმაგრებდა სადავეს. მოიწადინა ლაგაზისთვის ეთხოვნა შველა, მაგრამ ძმა მიჰყვებოდა გვერდით — ერიდებოდა ლაგაზის იმედის გამხელისა.

რამდენჯერმე შეაყენა ცხენი ლაგაზმა, წამოიწია, — მოხმარება სურდა, მაგრამ ცხენი ცხენს დაჯახეს მკაცრმა ტალღებმა, უფრო საშიში გახდა გადარჩენის ცდა, თვალის დევნება-ლა დარჩა იმედად.

ლაგაზს აზრად მოუვიდა გასულიყო ნაპირზე, გაენთავისუფლებინა ცხენი, შეცურებულიყო წყალში. იქნება ესე მაინც გადავარჩინოთ ხათუთა, მაგრამ მდინარე საშიში იყო, მით უმეტეს ბნელში: არაგვი მთებიდან დაშლილ ქვა-ლორღს ებრძვის, შლის, მიაქანებს ბარისკენ, ამიტომაც ძნელდება ცურვა...

საშველი არაფერი იყო — ხათუთას ცხენი უფრო და უფრო შორს გაიტყუა მდინარემ. ლაგაზი კვლავ წამოეწია, გადასწყვიტა: ან ხათუთასთან ერთად დაღუპულიყო, ან გადაერჩინა. მაგრა ჩაველო სადავეს ხელი, ნაპირისკენ გაუძღვა ცხენს, მიაღწიეს კიდევ ნაპირს, ცხენები უკანასკნელად შეტოტავდნენ, მძლავრად გაიწიეს ნაპირისკენ, მაგრამ მდინარის მიერ ნალოკი კლდეები დაუხვდათ, ფეხი ვერ მოიკიდეს, ორი მათგანი უკან გამობრუნდა — ისევ ტალღებს დახვდნენ, ხოლო ხათუთას საფერებმ მოინდომა არაგვიდან თავისდაღწევა, გადასაფრენად გაიწია, გასხლტა თუ არა წყალს, უკანა ფეხებმა უღალატეს: გადაყირავდა, ზურგით დაეცა მიწაზე და წივილი გაისმა, საშინელი წივილი, მხოლოდ წამით და გაქპრა...

ამ დროს ლაგაზი გაუსხლტა არაგვის ტალღებს, ნაპირი შემოირბინა და იმ ადგილას გაჩნდა, სადაც კივილი გაისმა.

ყველაფერი ეს სწრაფად მოხდა: ხათუთას ცხენი ჯერ კიდევ არაგვის ტალღებში იყო ჩაწოლილი და გამწარებული ფეხებს აქნევდა, ხოლო მხედარი გულწასული უნაგირზე ეკიდა, მისი შავი თმა მდინარეს გადაეფინა მკერდზე, მანდილი სიკვდილის დროშასავით ფრიალებდა ტალღებზე.

ლაგაზი სწრაფად გადახტა ცხენ-მხედართან, დაიხარა, გმინი ამოხდა. — ხათუთაე! — ჩასძახა ხმამაღლა.

პასუხი არ მიუღია, ხელფეხი მოუღუნდა, წამით გონება დაუბნელდა.

— ქალო, ხათუთა! — იმეორებდა ძახილს. არ იცოდა, როგორ ემოქმედნა, თავზარი ჰქონდა დაცემული. ამ დროს სხვებიც წამოეშველნენ, ცხენის წამოყენება სცადეს, მაგრამ ფეხზე ველარ დგებოდა. მაშინ სწრაფად დაქრეს

მოსართავეები, ცხენი გაანთავისუფლეს, მაგრამ ვერც ცხენი და ვერც მხედარი ფეხზე ვერ წამოღდა: ცხენს უკანა ფეხების კოჭები ქვეყნის გაღვივების — ტოტებზე შედგომის დროს სიბისთვის ჩაეკრა, სისხლე და დიდუღე ქვიზინებდა გულსაკლავად, თითქოს ვაჟაკებს ემუდარებო: „მომხმარეთ, კარგებო, თქვენი გულისთვის მივეცი თავი სიკვდილს...“

ცხენისთვის ყურადღება არავის მიუქცევია: ხათუთას კენესას გაეხელებინა ვაჟაკები, სამღურავს უთელიდნენ ღამეს და მდინარეს.

გრძობა-დაკარგული ხათუთა ნაპირზე გადაიყვანეს, მშრალად გადარჩენილი ჩოხები გაუშალეს მოლზე, შემოაწვინეს და გაჩუმდნენ...

მგზავრები ამ ამბავში რომ იყვნენ, ამ დროს მდინარის გაღმა მხარეს მღევარი მოიჭრა, ნახიღარის წინ შედგა — მდინარემ შეაკრთო, თანაც ხეცურეთის საზღვარი თავდებოდა: ორწყლის ქვემოთ სირცხვილი აღარ ითვლებოდა სირცხვილად ხეცურისათვის. მტერს არ მისდევდნენ, ამაღაც მოისწრაფოდნენ ჩვენი მგზავრები თავდადებით.

— გადასულანი! — სოქვა ერთმა მღევართაგანმა და მძიმედ დაეცა მიწას, — სისხლი, სისხლი! — ღმუოდა იგი.

ამხანაგები გაუჭაერდნენ, წამოაყენეს:

— ვაშაკის ტირილი!

— აუ, დედასა!

— სისხლი, სისხლი! — იძახდა ბრაზით გულგახელებული ჭაბუკი.

მღევარმა დიდხან იბოროლიადა ერთ ადგილზე, როგორც იყო დაამშვიდეს გულმტკივანი, საფერზე მოჰგვარეს და თავდაბრილნი უკან გაბრუნდნენ.

საქმე შემდეგში იყო: წინა დღეს ბელისკარ, სოფელ გულანში, ხეცურები გროვდებოდნენ — ათენგენობა იწყებოდა, მლოცავი ბარიდან მოდიოდა, ქალ-დისწული, დედულ-მამული — მთელი საყმო ეხვეწებოდა დიდ-გულანის ჯვარს.

ხათუთას ძმა — ცქანტლი ვაჟაკი სუმბატი დილაადრიან წავიდა სოფელ გულანში, რადგანაც იმ დღეს ხეცურეთის რჩეულ ვაჟაკების სიმამაცეს და იარაღში დახელოვნებას ამოწმებდნენ. მამაც ვაჟაკებს შორის დასახელებული იყო სუმბატაც. ბელის კარზე რომ მივიდა, ხალხი უკვე მოგროვილიყო, ლუღის სმით ერთობოდნენ და ვაჟაკობის შესახებ საუბრობდნენ. სუმბატას დანახვაზე აიშალნენ, მხიარულად შემოეგებნენ და მისალმებისთანავე საუბარი ჩამოუგდეს:

— ვაჟაკები გემუჭრებიან!

— არ შეგვარცხვინო, სუმბატ!

ლუღ-არაყი მოართვეს და შეუმღერეს:

„ხმალსა რას უშლის სიმოკლე:

ფეხი წადგი და წაგძების!

ვაჟაკსა სიმდაბალაე, —

ომის კარ გაიზარდების!“

სუმბატს წადილი შეუთამაშდის, ქება-საკვეხურად მიიღის, აჩქარდის ფიცი ემაწვილი. ომი ეწადის გულით, ცერებზე დგებოდა მაღიმაღ: ვინ არისო ჩემდ მებრძოლი, — ყვიროდის წადილით გახელებული.

— სიფიცხე სიმამაცეს ვერ შეედრების! — იცინოდნენ დანარჩენები და მიღგ-მოღგებოდნენ იარაღით შექურვილნი. ზოგნი მუხლებზე ჩამომასხარია-



ყვენენ ხელთასიან მოხუცთ წინაშე: თავაზას იჩენდნენ, იცუდნენ მამაპაპის წესს; ზოგიც განზე გამდგარიყო, ფრთხილობდა, ერიდებოდა სიმძვინვარეს...

ერთი პირშიშველა ყმაწვილი ერია მამაცთა შორის, <sup>ქანთარაძე</sup> იყო. ცქანტლი, სწრაფი მიმოხერისა. მარად აქეთ-იქით აცეცებდა წერილ თვალებს, სუმაბატას მოსვლა რადმე არ იამა, ხილვისთანავე იღუმალი ზრახვა ჩაისახა გულად, ხმლის ვადა გაშინჯა, თავზე ჩაჩქანი შეისწორა, სამკლავენი შეიმაგრნა და ამხანაგებს ხალისიანად უთხრა:

— დღეს ვფარიკაობ!

ერთმა ამხანაგმა იღუმალად ჩაიციხა: იმავე წამს სუმაბატი დაუდგა თვალწინ.

— ფრთხილად! — უთხრა და განშორდა.

შუადღის დროს მოხუცი ბელლის კარ გამოვიდნენ და საუფროსო სკამზე დარიგდნენ. მათ წინ ჩაჯარდნენ რჩეული ვაჟაკანი.

ერთი უფროსთაგანი წამოდგა და ხმაოდლა განაცხადა:

— იწყების!

ახალგაზრდებს მიწისფერმა გადაკრა სახეზე, ფარხმალი აედრიალდა და მქისე სუნი რამ დატრიალდა ირგვლივ, თითქოს რკინად იქცაო ყველაფერი.

წრე ვაკეთდა, ხალხი ჯარებულად ჩადგა, თავჩაჩქინიანები დაირჩივნენ:

— წყვილ-წყვილად! — იყო მოხუცის ბრძანება.

როცა ყველაფერი მოწყობიდა, გუდანის ჯვარის ხუცესი წამოდგა, ლუდით სავსე ვერცხლის კოჭობი აიღო ხელში, დასტურმა ანთებული სანთელი დაუკრა ზედ, ხუცესმა ხევსურეთის ხატები ახსენა და წესრიგის დამცველთა საშველად მოიხმო მფარველი ანგელოზები.

ხუცესის ხუცობის დროს ყველა ფეხზე იდგა, ერთმანეთს ამწყალობებდნენ. თასები დაცალეს და ხევის ბერმა ბრძანება გასცა:

— დაიწყით!

ხმლებმა გაიღლეს — ოროლი ვაჟაკი დადგა პირისპირ — დიდი იყო გამარჯვების წადილი.

გახურდა ფარიკაობა, საჯარეში მხოლოდ იარაღის წკაპუნის და მოკლე შეძახილები ისმოდა, რიგნი მარცხდებოდნენ, რიგნი იმარჯვებდნენ. დამარცხებულნი მორცხვად სტოვებდნენ საფარიკაოს, ხოლო გამარჯვებულნი ხმამაღლა კიოდნენ: გვარსა და დედულეთს იკეხნიდნენ.

სუმაბატს გული გაეწრთენა, დინჯად იჭდა ბრძოლის დროს. ადგილიდან არ იძროდა — სიდიწით იმარჯვებო, ამბობდნენ ხევსურები. სულ ბოლოს ადგა იგი, ფრანგული მოიმარჯვა, ჯაჭვის პირსაფარი ჩამოუშვა სახეზე და ზვიადად გადახტა წრეში, არწივის მზერით მიმოხედა ხალხს. სახეზე სინისფერი ედვა, ცივად იღიმებოდა, გამარჯვების საითი უამებდა გულს. სიჩუმე იწვა ირგვლივ, მხოლოდ არაგვი შხუოდა შორს და ქალის კაპასი სიმღერა ისმოდა სოფელ გუდანიდან...

არავინ სჩანდა სუმაბატთან მეტბრძოლი: თავის გვარის ვაჟაკები ერიდებოდნენ, ხოლო სხვებს დამარცხებისა ეშინოდათ — იცოდნენ სუმაბატას ამბავი: მრავალჯერ ეწყობა ხმლით ახალგაზრდები.

ხუცესი ადგა, ახალგაზრდებს გადახედა:

— არას! — სთქვა წყენით.



ადგილიდან არავინ იძროდა. მაშინ ხუცესის სახემ გაიღიმა, წერილი ლურჯი თვალეზი გაუბრწყინდა და იმავე წამს შვილის სახე დაეფლანკრებინა.

შინგლინიშუქა

— ბერდიხაე! — შესძახა ალმაცერად მარცხნივ მჯდომ ყმაწვილს. თითქოს ამას ელოდაო ჭაბუკი, ელვის სისწრაფით გადახტა წრეში, ტანწერილი, კისერმაღალი იასარად გახდა, ელვასავით გაელვდა სუმბატას თვალწინ.

სუმბატამ მძიმედ ამოიშქუნა.

— ისევ! — სთქვა ნელის ხმით, უნდოდა ფარიკაობაზე უარი ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა, ბერდიხამ ხმაღს ხელი აკრა, ფარი დაისაბლუჯა.

— მადეგ! — გაიწვია სუმბატა და ერთ ადგილზე შეცქმუტდა უხედნი კვიცივით.

სუმბატა ნაძალადევი ნაბიჯით მიუახლოვდა და ნელი ხმით წასჩურჩულა:

— თუ შესამედაც...

ბერდიხას თვალეზმა უნდობლად გაიელვეს ქანგიან ჭაქვს იქით, ღიმილი ცივად გამოკვესდა.

— დაიფარო! — უპასუხა და ფრანგულნი აელვდნენ შვის სხივებზე.

თითქოს მეზი გაისროლაო პირმოპლიმარმა ცამ — ბერდიხას ხმალი დაგელდა, ეღრიალი გაჰქონდათ ფარებს, რკინისა და ქანგის სული დატრიალდა ირგვლივ. მაყურებლნი გაოცდნენ, ერთ ადგილზე ხელქმნილნი გაანცებით მისჩერებოდნენ მეფარიკავით.

მშვიერი მგელივით სწრაფი იყო ბერდიხა, ქარივით დააცვიტა დარტყმები სუმბატას, საჩქაროდ მიაგლო ბელლის კარებთან, ის იყო ერთი დარტყმაც და გამარჯვება ბერდიხას რჩებოდა, მაგრამ გამგელდა სუმბატი: ელვის სისწრაფით დაიხარა — დაარღვია წესი ფარიკაობისა: გამწარებულმა მთელი ძალონით დასცა ხმალი მარცხენა მკერდში, სისხლის შტო გამოჰყვა ფრანგულის წვერს.

დაიკვნესა ბერდიხამ, დაბარბაცდა, კვლავ გაეტანა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ღონემ უღალატა: მოსხლიტა ადგილს და გულდანის ხატის კარების წინ გაგორდა სისხლიანი.

ოხერა ამოხდათ მაყურებლებს, აიშალნენ, აყვირდნენ, მხლები აელვდა, მაგრამ ესლა ფარიკაობა ჭრა-ჭრილობაზე გადავიდა — ჩეხდნენ ერთიმეორეს: გვარი გვარს დაეჯახა, თანაც ბერდიხას შრებოდა სისხლი, კვდებოდა ვაჟკაცი, თეთრი ფერი ეღებოდა, ხოლო ბაგეთ ღიმილი დაჰკვედომოდა, მწარედ ეთხოვებოდა სამზეოს.

სუმბატამ თავს უშველა, უჩინარივით გაჰქრა — მეგობრებმა იპატიეს, დინჯი ყმაწვილი ლაგაზი წაეხმარა: ცხენები მოაშველეს, შესხდნენ, ხათუთა გაიყოლიეს, მდევარს გაერიდნენ და როგორც მკითხველმა დაინახა, ორწყალმა უღალატა მათ, ხოლო მდევარი უკან გაბრუნდა ხევსურეთის საზღვრებიდან.

თენების ქამს გაირინდა შფოთიანი ორწყალი, მდინარენი ყრუდ ღმუოდნენ, თითქოს ახლად იხილესო სივაგლახე: ხმა უტყდებოდათ, ნიავი მიჩუმებულყო და პირქუში კლდეები რაინდებივით დამდგარიყვნენ პირისპირ.

მეხვეწურივით ეხვეოდა კალთათ ფშავ-ხევსურეთის არაგვი — აღარ ყავდა ღამინდებურად.

ერთობლივ სიმყუდროვე ხანდიხან ცხენის მწარე ჭიხვიძრე და ჯიჯივის: ფეხებ-დაქრილი ხათუთას საფერზე ერთ ადგილზე დამარჩალიყო, ჭრილობების ტკივილითა და სიმარტოვით გამწარებული გასჭყვივოდა არაგვის უკუნ ხეობას, საწყევარს თუ ეუბნებავო ბოროტს.

ცხენის ცოტა მოშორებით სამი შეიარაღებული ვაჟკაცი იდგა ფეხზე გაყდარებული. მათ წინ მოლზე გაშლილ ნაბადზე ჯერ კიდევ გონს მოუვალი ხათუთა იწვა.

სუმბატს მიწისფერი ეღო სახეზე, ხმას ვეღარ იღებდა. უარეს დღეში იყო ლაგაზი — უყვარდა ხათუთა, საქმე რომ ყოფილიყო, მთელ სიცოცხლეს ანაცვალებდა, ეხლა კი... სიკვდილი ეკიდებოდა — შველა არ შეეძლო, იმასაც კი ვერ მიმხვდარიყო, რა სტკიოდა ხათუთას, მხოლოდ სისხლი ნახა მის ბაგეთაზე და იმედი გადაუწყდა.

— გულანის ჯვარმა ქნა! — წამოიძახა ერთმა მგზავრთაგანმა.

სუმბატმა მიწას დახედა: ხახმატურს მფარველობა სთხოვა, — სახეთო უქადა გულანის ჯვარს.

გულანათხრობილმა ლაგაზმა ექიმი დინატრა: შორს, ქალაქში ეგულუბოდა ექიმი. გზა დინატრა, საცალფეხო ბილიკი შავი მცურავივით გაწოლილიყო უღრანებზე... გული სტკიოდა ვაჟკაცს, ამას ლა ნატრობდა: ნეტამც გამიზიარაო ტკივილი...

ხათუთა ნელი ხმით კენესოდა, უგემურად იღოდა ღამე.

— ღამევე, ნუმც გამეორდები, ტიალო! — იმეორებდა ლაგაზი.

არას ამბობდნენ დანარჩენები: იდგნენ ღამეში, ღამესავით.

ცის პირის გაძვრის ფაშს სუმბატი გამოემშვიდობა — კახეთისკენ გაჰყვა არაგვის ნაპირს, დის გმინი გაიყოლა დარდად და ბოროტი ხევსურთა სიავისა. გულს ძალად მიაბიჯებდა, ეძნელებოდა ამხანაგებისა და დის მიტოვება, მაგრამ ორწყლის ახლო-მახლო ვერ გაითენებდა, რიდი ჰქონდა მოსისხლეთა. დანარჩენი ამხანაგებიც მას გაჰყვნენ, მარტო ლაგაზი დარჩა ხათუთასთან, ეამა სიმარტოვე, დაიახა, ხათუთას ხელი ხელში აიღო, მიუალერსა, ეამბორა ხელზე — სიცხით იწოდა ქალი.

ხათუთამ ოდნავ აიწია.

— ლაგაზ! — სთქვა სუსტი ხმით, სისხლის წვეთები გადმოყარეს ბაგეთ, ლაგაზის სანეტარო ბაგეთ.

— მე ვარ, ტკბილო! — წასჩურჩულა ლაგაზმა, თანაც ცივად შეაერგოლა — ეუტხოვა ქალის ხმა.

— ვკვდები. — სთქვა ხმამიზნედილმა ხათუთამ.

ლაგაზს სახე ჯერ წამოუწითლდა, შემდეგ გაუფითრდა, წითლად დაუჩნდა მთელი მიდამო.

— ნუ! — უთხრა მწყრალად, თითქოს ამით სურსო ქალის გამხნევება.

— სული მეხუთების... საცაა.. ოჰ!

— ხათუთავ! — წამოიძახა ხმაარეულმა ლაგაზმა, მიდამოს შემოავლო გაეცეცლებული თვალები, არაფერი იყო საშველი.

— მომეხმარე, არ მინდა სიკვდილი! — ემუდარებოდა ხათუთა.

— თავს გავსწირევი, მაგრამ...

რა ექნა ლაგაზს — წინ მდინარე, შავ ქანდაკებასავით დამდგარი მთა-გორები, დანგრეული ჭალა და შორს სოფლები, უგზო-უკვლევად...  
— ნუმც დასახლებულა კაცი! — ჩიოდა მწუხარე.

შეშინებულივით მილულ ღამეს დილის რიყრაყი წამოეწია, შავი მანდილი ჩამოხადა მიდამოს, დაჩნდა მთა-გორი, გულმკერდ ღამაში მშვარეები, ქალივით მორცხვი კორდები, არაგვის შამხნარიანი ნაპირები...

შის სხივები გადატყდა ჯერ კიდევ თოვლიან მწვერვალებზე. თავჩაჩქიანნი ჩამოდგნენ მოშორებით, დინჯნი, საზარნი, საუკუნეთა მანძილზე სიმყუდროვით დაოსებულნი, ჩვეულნი დარდსა, დუმილსა და იდუმალებას.

— გასთენდი, მაგრამ ნუმც გათენებულოყავი, ტიალო! — შეშინებულივით დააკვირდა ლაგაზი ხათუთას სახეს:

სახე თეთრი იყო, მოლევო თეთრი, აქა-იქ სილურჯე გადაჰკრავდა, სისხლის კვალი დასჩენოდა ბაგეთ.

მძიმედ სუნთქავდა ხათუთა, თვლების გახელა უძნელდებოდა — ბინდი ჩასდგომოდა ლაგაზის საყვარელ თვალებში, შავი, საამოდ შავი თვალები ცრემლით ევსებოდნენ.

— ვკვდები, არ მინდა ასე მალე სიკვდილი... — ამბობდა მიბნედილი ხმით.

ლაგაზმა ხელზე აკოცა, დაიგმინა.

ხათუთამ ძალღონე მოიკრიბა, აიწია, თვლების ახელა სცადა.

— სუმბატა სადას? — იკითხა ძლივს გასაგონის ხმით.

— მტერს გაერიდა დილის ხან.

— მარტომ თუ ორთ?

— მარტონი, ტკბილო...

— ახლოს დამიჯედი, ლაგაზ... ოჰ!.. როგორ მინდა სიცოცხლე... — სთქვა და შურიანად დააკვირდა ლაგაზს.

ლაგაზმა ქალის თვალს ვერ გაუძლო, თავი დახარა. თვალები ცრემლით ევსებოდნენ, გულს ტირილი ეწადა, მაგრამ ვაჟკაცი იყო, ვაჟკაცი, ქალის წინ ხომ არ ატირდებოდა...

— ნუ, ნუ დამანებებ სიკვდილს, ლაგაზ! — ემუდარებოდა ხათუთა, თან ღონე ელეოდა, სიკვდილის სიცივე იცქირებოდა მისი თვალებიდან.

ქალის მაცქერალ ლაგაზს მძიმე რამ ჩაუწყდა გულში, გრნება ებნეოდა, ძლივსლა იმაგრებდა თავს.

— ოჰ... ცუდად ვკვდები... ვის რა დაუშავე საბრალომ!.. — ამბობდა ხათუთა, სისხლი ღებავდა მის ბაგეთ.

ეხლა დააკვირდა დილაგახსნილ მკერდზე ლაგაზი: თეთრი, თოვლივით თეთრი მკერდი გალილისფრებულოყო — ცხენის წაქცევის ეამს უნაგირის ტახტა მოხვედროდა, დაემტვრია მკერდის ფიცარი... თავი მძიმედ დახარა ლაგაზმა, თითქოს მთელი მიდამო დააწვია ბეჭებზე, ატირდა, ატირდა გულის სიღრმეში, მაგრამ არც ერთი ცრემლი არ შეხებია მის წამწამთ.

ხათუთამ ივრძნო ვაჟკაცის გულის ბობოქარი, დაღონდა.

— ნუ! — დაემღურა ქალბნელი, თვალები ოდნავ გაახილა, გაჰკრობოდა ბრწყინვალეობა თვალისა. — ხელ მაშეც! — შეემუდარა ლაგაზს, ცხელი თითები ოდნავ შეახო ვაჟკაცის ხელს. — სიკვდილის წინ... პირობა... — ვეღარ დაამთავრა სათქმელი, ხელი ჩაუვარდა, აღარც ენა ემორჩილებოდა.

ყრუ, დაკავებული ხმა ძლივს გაარჩია ლაგაზმა:

— ძილო... გზა... შურისძიება... — და ჩქარა თხუთმეტი დღის მთავარ-სავით პირბადრი...



ლაგაზი პატარა დაობლებულიყო მამით, დედას უსუარი გაეზარდა. ერთი შვილისთვის შეეწირა სიყრმე ცხრამეტი წლის ქალს.

სიობლეს, სიმარტოვეს, გვარმცირეობას ემოქმედნა ვაჟკაცზე, — გულჩათხრობილი იყო, დინჯი ხასიათისა; სიმარტოვე უყვარდა, ნაკლებად ერეოდა ხალხში, ხშირად გაირიყის ხალხიდან, საერთო დღეობიდან, თავს გაუჯავრდის, მაგრამ გულს თავისი ვაჭქონდა. ხათუთას სიკვდილის შემდეგ უფრო გამოიცვალა, უფრო გულჩათხრობილი გახდა, ფიქრიანი, სახე გაუფერმკრთალდა, დაჩიავდა. ხათუთას მიბნედილი თვალები, სისხლით შესვრილი სპეტაკი სახე და უკუნი, ორწყლის ღამე ედგა მარად წინ. ხათუთამ თმებგაშლილმა, სახეგაფთრებულმა, ვაცრეცილმა ლანდმა აკანკალებული ხელები გაუშვირის, შევლას სთხოვდის, არ მინდაო სიკვდილი, მილულული, გაქრის, გაქრის და თან წაიყოლის ვაჟკაცის გმინი. თანაც იღუმალი ხმა ესმოდა სიკვდილით ხელთ გადაცემულ ქალისა:

— გზა... ძილო... შურისძიება...

დაფიქრდის ლაგაზი:

— ნეტავ რას ნიშნავს ეს ქართული? რაის თქმა გეწადა, ხათუთ?

და შურისძიების წადილი ჩაესახის გულად. ნატრობდა გაეგო: ვინ დაწვა ხიდი.

— ჩემი საკუთარი ხელით მოვესპობდი სიცოცხლეს! — დასთხოვის მუქარა, მაგრამ არ იქნა, ვერ მიაგნო.

არაგვისა და ღამის კაცობა დაინატრის:

— შავებრძოლებოდი, გულს მოვფჭავდი, გინდაც მომკვდარიყავ... — უთხრის თავს, მაგრამ მდინარე წამით იცვლებოდა, ღამე ქრებოდა, ჯავრი ჯავრად დარჩის, ბურუსად დააწვის ვაჟკაცის გულს, გაიმარტოვის, გათელის...

ერთხელ ჩვეულებრივი ფიქრყოლით მისდევდა ბილიკს, ბილიკი სოფლის სათავეს უვლიდა და გორს ჩაჰყვებრდა ძილოს სახლის გაღმა მხარეს. ძილოს სახლის ნახვამ იმავე წამს ხათუთას უკანასკნელი სიტყვები გაახსენა: „ძილო, გზა, შურისძიება“ რომ უთხრა ქალმა გამოთხოვების ჟამს.

კარგა ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ძილო აღარ ენახა, ეხლა გულმა მისკენ გაიწია, მისი ნახვა მოენატრა. მშვიდად მოავლო თვალი მიდამოს: მწვანე მთაგორი, ფერდობებზე გაშლილი ცხვარ-ძროხა. ქორის ბუდესავით ხმელ გორს მიკრული სოფელი. ნახეერად მიწური ქოხები და ბოლი, ტყვიისფერი ბოლი, დაქსაქსული, მოცეკვავე, სოფლის თავზე, სოფლის გარშემო. არაეინ სჩანდა ირგვლივ, მხოლოდ სიმღერის ხმა ისმოდა. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, დააყურა — ხევში ვიღაც მღეროდა. ქვიშის შრიალი ამოჰქონდა ნიავს. ლაგაზი კლდის მხარეზე გადადგა: გადახედა ხევს და ერთ ადგილზე გახევდა: ქალბნელი ძილო ჩასულიყო წყაროზე, ქვებს აგორებდა, ამხანაგებს კეითხებოდა, იცინოდა ხმამაღლა...

მზერა აერიდა ლაგაზს: თვალი ვერ გაუსწორა ოქროს-ქოჩრიან ქალს ამაყად რომ გადაეგდო მხარზე თეთრი ბაღდადი და იცინდა მხარხარად, გულღალი, უდარდელი;

ძილო შემობრუნდა, თვალი მოჰკრა ჩაფიქრებულ ლაგაზს, უფრო იმა-მალა გაიცინა, გაღიხარხარა, მრგვალი ქვა დააგორა ქვიშაზე, მეგობრებს რალაცა უთხრა, გაიცინა, მედიდური რხევით გაჰყვა ბილიქს და სასენო ლექსი დაამღერა:

„სანამდე ორ, ძილო იორ, ბუზიკანტას ვაეერება,  
მანამდეა ჩემ ყოფი, მანამ ღუშმანს ვაბეერება,  
გზაში არვის შევეყრები, ცერად არ გარდავხენება.  
ძილო ლექსობას არ მოშლის — ქრელის გარმონის ეერასა,  
ხიდის ყურ სეირნობასა, ჩუსტის ნალების ძგრიალსა,  
უღუშლივ გამაძაგებენ, ვერას იტყვიან გზიანსა;  
ვინძლივ რა უთხრაათ პირშია, რა ხელს მახელავთ ქვიანსა.  
ეს ლექსი დაუბარებავ: მზის პირას ზინზილიანსა...“

მიდიოდა, მიიმღეროდა, ყურადღებას არავის აქცევდა.

ლაგაზი წამოეწია, ნელი ხმით გაეხშიანა, მაგრამ ძილოს ყურადღება არ მიუქცევია, — ისევ ამხანაგებს ესიტყვებოდა, წყაროდან რომ ამოდრიოდნენ ბელთულუხიანნი.

ლაგაზს ჯერ უნდოდა თავი გაენებებინა ძილოსთვის, გაჰყოლოდა თავის გზას, მაგრამ ვერ გაუძლო ძილოსთან საუბრის წადილს, წინ გადაუდგა.

— ქალავ! — უთხრა ხმადაბლა.

განგებ შეერთა ძილო, შედგა, შეხედა, გაიღიმა.

— არსაითო!) — ჩისსაუბრა და გაღიხარხარა.

— ისევ! — სთქვა ლაგაზმა, თავდახრილი მიაჩერდა მიწას. მიწის ფერი დაეღო სახეზე, რათ შეეხვდით, დაიწყებდა თავი.

ძილო გულიანად დააკვირდა, მოტკბა, მხიარულ სახეზე ჩრდილმა გადაუარა, ღიმილი გაუქრა, მიუახლოვდა ლაგაზს.

— გამაცელილხარ! — ჩაილაპარაკა ნელი ხმით და ხელით შეეხო. — ბეჩავ! — სთქვა ხმადაბლა. შემდეგ გაიცინა, ერთი ნაბიჯი დაიწია უკან. — ხათუთაის გულისად! — გაღიხარხარა და წასასვლელად მოემზადა. გაჩუმდა, კვლავ გაიცინა. იცინოდა ცივად, სიმღერა ეწადა, ძალად ლა იოხებდა თავს.

— შე კი მეგონა... — სინანულით სთქვა ლაგაზმა.

— არსაითი ხარ, არსაითი! — მიაძახა განშორებულმა ძილომ, ამხანაგებს დაეწია, გაიცინა, სიცილ-ხარხარი ასტეხეს, უნდაური მზერა გააყოლეს ბილიკზე მიმავალ ლაგაზს.

ძილო შედგა, რალაც ჩაფიქრა, ლაგაზს მიხედა:

— იქნება სტუმრად მახვიდ წუხარ: ვაჟკაცებ გვესტუმრებიან, ქალებიც იქნებიან, კა ქალასთან ვიელჩებ! — ეძახოდა სიცილით.

ლაგაზი ერთხანს ერთ ადგილზე იდგა, შემდეგ ძილოსკენ წავიდა, მიუახლოვდა.

— მხიარულ გუნებაზე ხარ, ძილო...

— ვაშკაცი ვვესტუმრა, კა სტუმარ გულს გაახარებს...

— ვინ ბედიანა იქნება შენი სტუმარი?

\*) არსაითი — მორცხვი, უნათო.

— ჯამრულს ეძახიან, ვაშკაცი კი მეტის აღარ იქნებინ, მაგრამ შენ...  
დალონებულხარ!

— ვიტანჯები...

— ვის გულისად?

— შენ კარგად იცი...

— ხათუთა! მძულდა! — შურიანად ჩაილაპარაკა ძილომ და ცოტა ფიქრის შემდეგ დაუმატა: — ღირსი კი იყო გვლევნისა, მაგრამ ვაშკაცი ხარ...  
ჭირს გაძლება უნდა.

— უნდა ვაშკაცობის მადლმა და მე კი... ძნელი ყოფილა ნდომა...

— ხათუთაისა?

— შენ ვძულდა... ის კი... როგორ იტანჯებოდა... მისი უკანასკნელი  
სიტყვა შენი სახელი იყო...

— ჩემ სახელ რაისად?

— შენ გახსენებდა...

— სიცოცხლეში ვსძულდი... — სთქვა ძილომ.

ამხანაგები გამოეხმაურნენ, გაბრუნდა.

— მახვიდი, უეჭველად მახვიდი: კარგ ვაშკაცს გაგაცნობ, ბარიდან მოვიდა ორი დღის სტუმარია — მზესავით წაბრძანდება ხვალ...

— თუ ბარელია, ბარის ამბებიც ეცოდინების... — გაიხარა ლაგაზმა.

— ჰაი-ჰაი იცის, ყველა იცის... — იძახოდა ძილო, ცისფერი თვალები საამოდ უბრწყინავდნენ, სახე უღიმოდა, დაეღაჟა სახე, ოქროსფერი თმად რომ გადმოშალა ნიაემა, თითქოს ძილოს სახის სიმშვენიერე შურსო...

ნადვლიანი მზერა გააყოლა ლაგაზმა მიმავალ ქალს.

— ენახავ სტუმარს, ბარის ამბებიც ეცოდინების, ლხინი კი... გულს არ ელხინების! — გასძახოდა ძილოს, მაგრამ ძილო ამხანაგებთან ერთად იცინოდა, იცინოდა, მხიარული საუბრით მისდევდნენ ბილიკს და ბოლოს სიმღერა შემოსძახეს:

„ვინ მოკლა გახარებამა,  
ვინ გაამთელა გვლევამა...“

ვიწრო ხევი სიმღერით გაიარეს, გაღმა გორაზე კვლავ ჩამორჩა ამხანაგებს ძილო, კვლავ გადასძახა ლაგაზს:

— მახვიდი! უეჭველად მახვიდი! — თანაც გაიფიქრა: — მახვალ, გამაჩინდების შენი ვაჟაკობა.

და ისევ სიმღერა:

„ბაიას მზემ მზეს ვლგვიორ,  
ხიზანაის მზემ მთვარესა,  
ბაბუაის მზემ ვანათებ:  
არხოტის არე-მარესა!“

ძილოს ხმა ერჩეოდა სხვა ხმებიდან: წკრიალა იყო, წკრიალა და საამო. ამოდ ხედებოდა ლაგაზის გულს, ათრთოლებდა გულ-მწუხიარეს და სიერცეს უაზროდ მიჩერებული ლაგაზი უჩიოდა თავის თავს:

— დამცინის, დამცინის, მე კი... მე ვიწვები, გამაიცვალა, სულ გამაიცვალა...

ლაგაში ძილოსთან ერთად წამოიზარდა, სიყმაწვილე ერთად თავაშში გაატარეს, სიკაბუეის ცეცხლმა გააშორა ერთმანეთს, ხოლო სიყვერულმა უფრო მძლავრად გაშალა ოქროს ფრთენი მათ შორის და ლაგაში სიყვერულად ჩაიხრჩო, შეუყვარდა ძლიერი სიყვარულით. მისთვის ჰვრეტა უვერცხლისფერებდა სიცოცხლეს, ხმა და ღიმილი ალალებდა, მაგრამ ძილო თანდათან უცნაური ხდებოდა, — გაამაყდა; ახალგაზრდებს შემოიკრებდა გარშემო, მუდამ ჩხუბსა, სისხლსა და ვაჟაკობას მოითხოვდა მათგან. ლაგას ხალხში დასცილდა, მის თვალწინ აშოკობდა სხვებთან. ლაგაში ერთხანს სიყვარულმა გააბრუნა, ძილოს სიამე სიკეთედ ეჩვენებოდა, მაგრამ კაცის გულმა თავისი მოითხოვა, ვაჟაკმა თავი დამცირებულად იგრძნო და შეეშინდა, შეეშინდა სირცხვილისა. მისმა უცნაურმა ხასიათმა ვერ აიტანა ძილოს უკმეხობა — სისხლი სძულდა, ხევსურეთში ვაჟაკობა ვაჟაკობად არ მიაჩნდა, — გულში ბიტურათ აბას მინატროდა, მეფე ერეკლეს ხმლით რომ ედგა გვერდზე ასპინძის ომის ეამს, ჭალუნდაურის სიმღერას მღეროდა შარად და ორჯონიკიძის სიმამაცე დაისახის მაგალითად. ხსენებული გმირების ხსენებაზე ძილომ გაიცინის, ახალგაზრდებს შეუგმის და ფარხმლების ქრიალით დაიოხის წადილი. ლაგას გულის ფიციარი ასტივდის, გააყრყოლის, ვაჟაკებს ხევსურული კენჭნაობა დაუწუნის და გაირიყის ტოლებიდან. ბოლოს გადაიბრა ხათუთას სიმშვიდემ, ტყბილმა საუბარმა, შავმა, დამესავეთ შავმა თვალეზმა, სიამეს რომ აფრქვევდნენ, მაგრამ ბედმა უღალატა, მზე ჩაუქრა შუალამეში... ეხლა, ძილო რომ ნახა, ლაგას სიყმაწვილე დაუდგა თვალწინ, უწინდელი დღეები გაახსენდა და მოსწყურდა, მოსწყურდა ძილოსთან საუბარი.

— წაოლ, ვნახავ: გულს დავიოხებ: — ამბობდა თავისთვის მარტო, ობლად დარჩენილი.

ქალების სიმღერა ამოჰქონდა ნიავს და ძილოს ხმა მძლავრის სიამით ხედებოდა ლაგაზის გულს...



შებინდებს გულის დარდი დასდევს ტიალი — გახარებული დაღონდება და ლაგას რაღა ებრალებოდა... დიდხანს, დიდხანს იჯდა იგი ჩაფიქრებული, ბინდის ეამს ჭალაზე შემომდგარ ნისლებს ადევნებდა თვალს და ფიქრი ნისლივით აწეა გულს. ხათუთას შავი თვალეზი არ ასვენებდნენ, თანაც ძილოს უკმეხი ხარხარი ედგა ყურებში. უნდოდა ძილოსთან სტუმრად წასვლა, უცნობ ვაჟაკის გაცნობა, ბარის ამბებს მიაბობოსო, მაგრამ გულს ღზინი არ ეწადა. გულს უწადილოდ ადგა იგი, უხმოდ გადაიარა წინგარდა, ნელი ნაბიჯით აჰყვა ბილიკს და ძილოს სახლს მიაშურა. შორიდანვე შემოესმა ხალხის ხმაური და ძილოს სიმღერა:

„შენი ჩვენს მოსვლა, ძმობილო, რა დიდი სანატრელია!  
ერთხელ მენახე მასული, შუქნ მავოლიყვენეს — მუნია,  
სამნ მავოლიყვენეს ვაშაკანი, ჯვარ-მენდალ ესხა ბევრია,  
ხელში ოქროებ ეჭირა, მოთხრეს მზემ მთვარედ მცრელნია!“

მღეროდა ძილო — უეჭველია, ბარიდან მოსულ ვაჟაკს უმღეროდა, ან იქნება ლაგაზის მოსვლას ნატრობდა.



— არა დაიჯერების! — გაიფიქრა ლაგაზმა, არ ესაიამოვნა ძილომ მწყვეტილი ხმით სიმღერა. — ლაღიას! — უთხრა თავს და პირდაპირ კარები შეაღო.

დაბალი, გრძელი ბოსელი ხალხით, ბოლით და სასამისის სუნით იყო სავესე. კვამლის გამო არაფერი სჩანდა. თითქოს კედლებიც ლაპარაკობენო — მთელი ბოსელი ხმაურობდა, ბურბურებდა, ქუხდა, მხიარულებდა ბოსლის ყურეს ორფეხა სასანთეებზე კვარი ხიოლავდა, ხოლო მის მოშორებით წივად იღუმფლებოდა კერაში. წივის კვამლი გასჭდომოდა ბოსელს, მას უერთდებოდა თამბაქოს კვამლი და არყის მგაარი სუნი.

ლაგაზი კარებთან შედგა, შედგა წუთით და ჩვეულებისამებრ სთქვა: — აგვიშენდით!

ღრეობა წამით შენედა, ახალშესულის ხმამ ზოგიერთების ყურადღება მიიქცია და ერთხმად შესძახეს:

— მოგვიხვედი მშვიდობით!

ვინც ფეხზე იდგა, ხო ფეხზე იდგა, ვინც არა, ისიც ფეხზე წამოდგა — ახლად მოსულს პატივი დასდევს: სკამის სათავეს მიიპატივებს.

ღრეობამ ისევ თავი აიწყვიტა, სვამდნენ, ყვიროდნენ — ყველა თავის მოგონილ სადღეგრძელოს გაიძახოდა, მთა-ბარისას ამბობდა, მიცვალებულს იხსენებდა, ვაჟკაცობას აქებდა. ქალებზე იცინოდა: საწაწლოდ გაჩნდებიანო მხოლოდ.

თანდათან უტყდებოდა ბოსლის სიბნელე ლაგაზს, დაჩნდა ერთ მხარეზე ჩამომდგარი ქალები, ქალებს შორის პირმოპლიმარი ძილო, — ხელში გარმონი ეჭირა, თითებს მსუბუქად ათამაშებდა, ამოდ აელერებდა. ლაგაზს ყურადღებას არ აქცევდა: დობილს რაღაცას ელაპარაკებოდა და მისი თვალები სკამის სათავესკენ მიიწევდნენ.

ლაგაზი მიხვდა, მიხვდა, რომ უფროსებთან იჯდა ვიღაც საპატიო სტუმარი, რომელიც ძილოს ყურადღებას იქცევდა, მაგრამ განგებ არ მიუხედნია იმ მხარეს.

არ გასულა დიდი ხანი ლაგაზის შესვლის შემდეგ, რომ ზედამდეგი მიუახლოვდა: ლუდი შესთავაზა ლაგაზს. ლაგაზმა უხმოდ გამოართვა ლუდიანი თასი: სასმელი გულის დარდს გამიქარვებსო გაიფიქრა, მწყურვალესავით დაეწათა და ამ დროს ძილოს ლურჯი თვალები შეხვდნენ მის თვალებს.

— არსაითო!.. — შემოესმა ლაგაზს ქალის ხმა, გაწითლდა და თვალი აარიდა.

ძილომ უფრო ხმამალა გაიცინა, თანაც სკამის სათავეს უთვალთვალეზდა რაღაცას. ეხლა გააყოლა თვალი ლაგაზმა ძილოს მზერას: მოხუცებთან მჯდომი უცხო ვაჟკაცი იხილა. დააკვირდა, არ ეამა მისი ამაყი თავდაჭერა, ზვიადი საქციელი, მკაცრი მზერა, იგი არც იქ მყოფთ აქცევდა ყურადღებას, არც ძილოს, მალიმალ ფიქრს ეძლეოდა, ხანდიხან უფროსებს უყვებოდა ბარის ამბებს, ილიმებოდა ცივად.

დინჯად მსხდომნი ხევსურნი გულიანად უგდებდნენ ყურს ვაჟკაცის საუბარს. თავი გაიქნივიან — გაიკვირიან რაღაცა.

დიდი ხმაურის გამო არ ესმოდა მათი საუბარი ლაგაზს. წამოდგომა დააპირა, უცნობის ახლოს დაჯდომა, ბარის ამბებისა რასმეს მეტყვიისო, გაიფიქრა. ბოლშევიკიო შემოსმა მას.



„კომუნისტი იქნებისა“, — გაიფიქრა ლაგაზმა, წამოდგა, მაგრამ არ დასცალდა.

— არსაითო! — უთხრა ძილომ, მიუახლოვდა, გაუცინდა, უცნაურად ცხვირს ანიშნა თვალი.

— ჯამრულ იას! — წასჩურჩულა.

— ვნახე... — ცივად უპასუხა ლაგაზმა.

— ეა ვაშკაც იას! — სთქვა ქალბნელმა, თვალი თვალს გაუსწორა. — არსაითო! — წაიჩურჩულა, უკანვე გაბრუნდა, დობილებთან დაჯდა, გარმონი ააქღერა და ხმამაღლა დაამღერა:

— ქალი ვარ ოცის წლისაი, ჯალაფნ მამლევენ ქმარსაო, ნეტავინ, ზევსურის შვილო, დამანებებდი თავსაო, ან ქალაღლს გამაგზავნიდი, მოველი სიტყვის თქმასაო; ზაფხულის მოსვლას მოველი: უნდა გადავხდა მთასაო, — იქნება გამაგზავნიდი ჩემის გუნების ქმარსაო“.

ძილოს მღერის დროს ხმაური ოდნავ მინელდა, ჯამრულმა ეხლა მიიხედა ძილოსკენ, ერთმანეთს გაუცინეს.

„მოსწონს!“ — გაიფიქრა ლაგაზმა. ყველაფერი ცივად მოეჩვენა, დალონდა, სიმარტოვე იგრძნო, ლუდიანი თასი მოიყუდა, დაცალა. კვლავ გავსება სცადა, ამ დროს ჩასხმული ტანის ქაბუკი მივიდა მასთან, მხარეზე ხელი დაჰკრა.

— ითვრები განა? — უთხრა მღურვით.

— აბიკ! — წამოიძახა გახარებულმა ლაგაზმა.

აბიკა გვერდზე დაუჯდა, ეპენეულად ჩახედა თვალებში.

— რა გემართების? — იკითხა აბიკამ.

სახედაჩრდილული ლაგაზი პასუხს ეძებდა.

— გემჩნევის! — ჩაილაპარაკა ისევ აბიკამ და ყურში წასჩურჩულა: — გიყვარს!

— ლუდი მინდა! — თქვა ლაგაზმა.

— ქალი ტყის ფოთოლს ჰგავს: ვინ იცის, სადაური ნიავე მოიტაცებს, ბარემ ჩვენ დავასწროთ.

— ვითომ რაო?

— მოვიტაცოთ!

— არა...

— ხომ ხედავ! — ჯამრულისკენ მიახედა აბიკამ.

ლაგაზს ჩრდილმა გადაჰკრა სახეზე.

— შენც მიხვდი განა? — მწარედ გაიცინა, თასი დაცალა, ზედამდეგს მადლობა გადაუხადა.

— სმა! — სთქვა მან, სთქვა კი არა, წამოსცადა, თავადვე გაუკვირდა თავისი ნათქვამი: ასე ძალიან რად მწყურიათო სასმელი.

გახარებულმა აბიკამ იმ წამსვე ლუდი მოითხოვა.

— ღრეობა! — გადასძახა მოკეიფეთ.

ყველა აოხდა, აყვირდა. ვიღაცამ ლუდიანი თასი დაჰკრა კერას, დაამსხვრია, სხვამ ფშაური სიმღერა შემოსძახა, ქალებმა გარმონი დაუკრეს, გამხიარულდნენ, სიცილ-ხარხარით გაივსო ბოსელი, სადღეგრძელო სთქვიან, და ერთი მეორის შემჭობიას სცლიდიან თასებს...

ღრეობას ახალ-ახალი სტუმარი ემატებოდა. სტუმრების შემოსვლაზე წუთით დაოხდიან — შუდილობა-ამბავი იკითხიან და კვლავ კვლავდნენ თასი ჩამოარიგიან, ფეხზე წამოდგიან, პირზე მოსული სადღეგრძელად მოსვლიან თასი თასს დააჯახიან და მძლავრად მოსვიან სვიან ლუდი ხარებივით აშუენებულთ.

ღრეობასთან ერთად ავგულობა ძლიერდებოდა, იტუსებოდნენ ვაეკაცები, სახეატკრეცილები დადგიან პირისპირ, თითებზე ლაჯიებს ისხამდნენ და ხანჯლებს იმარჯვებდნენ.

ვაეკაცების მაკერალი ქალები იბადრებოდნენ, თავაშვებულად იცინოდნენ, ღულუნობდნენ მტრედებივით, მათი მოლიმარი თვალეხი ვაეკაცებს ასისინავებდნენ, ალომებდნენ: სცადეთო სიმამაცე, თანაც ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ვაეკაცებს აქებდნენ, აძაგებდნენ, თავიანთ ძმობილთ ამჯობინებდნენ. ძილოს მახლობლად ტანწერწეტა გოგონა ქალიცა იჯდა, ძილო მალიმალ ეჩურჩულებოდა, აბიკას უქებდა, თანაც ლაგაზისკენ ექირა თვალი.

— იშულღანი! — უთხრა ძილომ.

ქალიცა დაფიქრდა, მაშინვე აბიკას გადახედა.

— იშულღანი! — სთქვა ფიქრიანად.

— ვინც გაიმარჯვებს!

— ეგრ იყოს!

— ულექსათ!

— გაეახელათ!

გაიცინეს, ქალიცამ დაისაკუთრა გარმონი, მედიდურად დაჯდა აბიკას პირდაპირ, თვალი თვალს გაუსწორა და ლექსი უმღერა:

„ქალი შეუგმობს გიორგის: ცუდო, გადმოდი ხმლითაო,  
თუ არა, გადამიტე ქალ წითელ პერანგითაო!“

ახალგაზრდები გაირინდნენ, შემდეგ ერთმანეთი დახვედრეს მკაცრი მზერით და — შულღი! — დაიძახა ვილაცამ.

აბიკა ფეხზე წამოიჭრა, გახელებულმა ლუდიანი თასი დაჭრა კერას.

— შულღი! — წამოიძახა ხმამალლა და მკაცრი თვალეხით გადახედა ხალხს, კბილი კბილს გაჭრა, დაღრინა, ხანჯლის ტარი დაბლუჯა, — გამშადა საჩხუბრად.

— შულღი! — ამბობდნენ სახლის კედლები!

— შულღი! — იმეორებდა მთელი ღრეობა.

ყველა ფეხზე იდგა, ყველა საჩხუბრად იყო მზად, იტკრიცებოდნენ, თითის წვერებზე დგებოდნენ ავგულნი.

ძილო და ქალიცა იცინოდნენ — ეამებოდათ ვაეკაცების სიმქისე, სისხლის მოლოდინი და ხმამალლა მღეროდნენ:

„გიორგის ხმლისა გაჭრასა, გიორგის ცოლი ჰკვირსაო:  
მე ეგეთ არა მეგონა — გული სდებია ქვისაო...  
ამავის მალექსებელი დაი თრ გიორგისაო,  
გიორგის წაუვიდოდი წესი რომ იყოს ძმისაო.“

ქალების სიმღერით და ლუდ-არყით გახელებული ღრეობა ტოტზე დგებოდა, იმტერეოდა თასები, ჯამ-ჭურჭელი, იღვრებოდა ლუდით საცხე საწდებები, იქცეოდა ტაბლები. ადამიანთა აფუებული სისხლი გადმოსვლის

პირას იყო მისული და ამ დროს ორბივით თმაწვერ-გათეფრებული / კაცა წამოდგა ფეხზე.

— სასმელს ჭკვა დააყოლეთ!.. სისხლის დაღვრას ერეცხა ხალხს.

— სისხლისა გერიდებოდასთ!.. — წამოეშველა მეორე მოხუცი.

მოხუცის დაქანებისა შეეშინდათ ახალგაზრდებს, გაჩუმდნენ, მაგრამ ძილო არ ისვენებდა: კვლავ აქეზებდა ვაჟკაცებს, — მისი ლურჯი თვალები ორ ვაჟკაცს შორის დაელავდნენ — ჯამრულსა და ლაგაზს ენაცვლებოდნენ:

— სცადეთ ვაჟბა! — ეუბნებოდა იგი ხან ერთს, ხან მეორეს, ცეცხლში აყენებდა ორივეთ.

ჯამრული ჩაფიქრებული იყო, — იგი ვერ მიმხვდარიყო, რა სურდა ძილოს, მზისა და სიცივით დამწვარი სახე ხან უფითრდებოდა, ხან უწითლდებოდა, გული ხან ქალის წყურვილის ეჩინოებოდა, ხან სიბრაზით.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ჯამრული ჩვეული არ იყო ხევსურულ ცხოვრებას, მათთან ღრეობას, — იგი ყველაფერს აკვირდებოდა, თვალყურს ადევნებდა, მათებრ ჭკვევას ცდილობდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს მოსწყინდაო ხეცსურობა, თითქოს მათთან შეზრდილი, მთის ზნეჩვეულების კარგი მცოდნე იყო. ერთი რამ კი აოცებდა მაინც: რა საჭირო იყო შუღლი ვაჟკაცებს შორის, როდესაც არც პოლიტიკაზე იყო კამათი, არც სადაო საქმე რამე ჰქონდათ, არც ვინმე ქალების შესახებ ეჭიშვებოდა ერთი მეორეს, არც აზრთა სხვადასხვაობა იყო, იყო მხოლოდ სმა და უამური ყვირილი — ჭოთქოთობდნენ უგემურად.

— ნუ თუ ასე ტყუილ-უბრალოდ ღვრიან სისხლს! მაშინ.. მაშინ ჯამრულს შეუძლიან თავის საქმისთვის გამოიყენოს ეს ვაჟკაცები, ხარებივით რომ ღრიალებენ გულშფოთიანნი... რა უცნაური ანთებაა!.. დავიყოლებ, სრულიად ადვილად დავიყოლებ და მერე ვნახოთ... გულს მაინც მოეფქვა... — ფიქრობდა იმჟამს ჯამრული, თანაც ისე ეჭირა თავი მოხუცებთან, თითქოს გულდადებით ისმენსო საუბარს.

საკუთარ ფიქრებს დაჰბრუნებოდა ლაგაზი: მას აღარ ესმოდა არც ხალხის ხმაური, არც ქალების გესლიანი სიცილი და არც სასენო სიმღერა, პირველ მოსვლისთანავე რომ შეაკრთო იგი. ეხლა იჭდა ხმაგაკმენდილი, ტურფა სახესა მკრთალი ფერი რომ გადაჰკრავდა ულურად. ტანდიდს შეენოდა სიდიჩე და ნაღვლიანი თვალების ბინდიანობა.

— არა, — ფიქრობდა იგი, — ჩემს გულს სხვა სწადიან, შუღლი თქვენთვის დამილოცია, მე კი... ჯერ თქვენდ უცნობ მინდ...

ფიქრის დროს თავი მარტოდ ეჩვენებოდა — აბიკა სხვებთან საუბარში იყო გართული, ქალებთან აშოკობდა, დავეიწყებინა ლაგაზი.

ლაგაზს უნდოდა ჯამრულის ახლოს ყოფნა — ბარის ამბებზე საუბარი. ადგომა გაიფიქრის, შეხედის ჯამრულს — გული უსიამო რასმეს უგრძნობდის, ადგომა დაეზარის. თანაც სასმელს ატანდა ძალას, სვამდა, ითვრებოდა, ფიქრებს გამიქარევსო, მაგრამ წარა-მარად ეზმანებოდა ორწყლის ღამე, ძილოს ხმა ხათუთას ხმით იცვლებოდა — ათრობდა ფიქრი და ლუდი. ბოლოს თავს გაუწყრა:

— გეყო! — სთქვა და ადგა, კარებისკენ წავიდა ტანდაძრული. ამ დროს სიცილი გაისმა:

— არსაითი! — სულ ახლოდან წასჩურჩულა ძილომ. ხელი წიკჭრა, წინ გადაუდგა, გზას არ ანებებდა პირმოლიმარი. — სად მიხვედნენ, გვეყურა-სახეზე ციემა იერმა გადაჰყარა.

— ცუდად რადმე ვარ. — იცრუა ლაგაზმა.

— გეშინის! — მოუხათრელად მიახალა ძილომ, უკან დაბრუნდა, გადაიხარხარა გუნებით მთვრალმა და მაღალი ხმით გაჰკივლა სიმღერა ღრეობას:

„ვაშკაცო, შენისთანაი არ დღიანდების ჩვენშია,  
ლოგინს არც მაინც დაუგებ: დავაწვენთ ჩალა ბზეშია,  
ხელ შემოვაყრით ძონძებსა წაწლების მაგიერშია“.

უამურად მოხვდა სასენო სიმღერა ლაგაზს. ერთ ადგილზე გახევებულ იდგა კარებთან, არ იცოდა წასულიყო თუ დარჩენილიყო.

„გაიცინებენ“, — უთხრა თავს, შემობრუნდა.

ქალიკამ მოჭკრა თვალი, ვადიხარა, გვერდზე მჯდომ აბიკას წასჩურჩულა: — ლაგაზ მეცოდების!

იწყინა აბიკამ: ექვის თვალით შეხედა წაწალს.

— მარტო დგას! — საჩქაროდ მიუგო ქალიკამ და კარებისკენ მიახედა.

ადგა აბიკა, პირმოცინარ ძილოს სამღურავი უთხრა, ლაგაზთან მივიდა:

— ნუ მიხოლ! — გაუწყრა, შემოაბრუნა ღრეობისკენ.

— ესვათ!

— არა! — ჯიუტად ჩაესაუბრა ლაგაზი, წამით ჩაფიქრდა, გამორდა აბიკას და მოხუცებთან ვადიხდა: ჯამრულის მახლობლად დაჯდა.

ჯამრულს ყურადღება არ მიუქცევია ლაგაზისთვის: მოხუცს უსმენდა. მამაბაპურ ამბებს რომ უყვებოდა, თანაც მეფე ერეკლესა და ალექსანდრე ბატონიშვილს უხსენებდა მაღიმილად:

— მეფე ერეკლეს ჩვენი პაპა სდგომია გვერდზე კოხტა ბელადის მოკვლის უამს! — ამბობდა ამაყად და თანაც უმტკიცებდა: — ალექსანდრე ბატონიშვილს ერთი წელიწადი დაუღევია ხევსურეთში, ხევსურთ მძად მიუღავის. ეხლაც ვინახავ მის ხელმონაწერ ქალაქს თარხნობაზე, დრო იქნების: ბაგრატიონ გამეფდების, მაშინ გამომადგების...

ლაგაზმა ყური მოჭკრა მის საუბარს, უფრო ახლოს დაჯდა, ჯამრულს შეხედა, გაუცინა.

ალმაცერად ვადმოხედა ჯამრულმა, წუთით გაუსწორეს თვალი ერთი მეორეს...

მკაცრად იმზირებოდა ჯამრული — უცნაურმა ყრეოლამ გაუარა ტანში. იმავე წუთს ორწყლის ღამე გაახსენდა; — გაგონილი ჰქონდა ხათუთას დაღუპვა. ლაგაზის ვინაობაც სმენოდა, მოეშხადა მკაცრი შეხვედრისათვის, ეგონა, — ლაგაზი სამღურავს იტყვისო: „შურისძიებას მოინდომებს, მაგრამ ვანანებ“, — ჩაიფიქრა, კვლავ დააკვირდა ლაგაზს — თვალებიდან სურდა მისი გულისთქმის ამოკითხვა. მაგრამ ლაგაზი უღიმოდა, უღიმოდა ბავშვივით, ინაბებოდა ვაკაცის წინაშე. უფრო ზიზლით შეხედა ჯამრულმა, შესძულდა კაცობა, ზურგი შეაქცია: არ მეკადრებოთ მასთან საუბარი, უთხრა თავს და კვლავ მოხუცთ ვაესაუბრა. ლაგაზი ვანაწყენდა, საუბარი შეაწყვეტინა.

— შენ აქ ყოფნამ მომიყვანა! — უთხრა დაბალი ხმით.

ჯამრული შეფიქრიანდა. იქნება იცისო, გაიფიქრა. ყურადღება არ მიაქცია ლაგაზის თქმას, ისევე მოხუცს ჩამოუგდო საუბარი:



— რუსეთის მეფე სძულდაო ბატონიშვილს!

— ჰირივით, საქართველო მინდა თავისუფალი! — მედღეობდა მწარე პარაკა მოხუცმა.

საქართველოს ხსენებაზე გული ჯერ დაუამდა, შემდეგ მწარე ტკვილმა გასჩხვლიკა, სახედადვრემილი ალექსანდრე ბატონიშვილი წარმოიდგინა ოცნებით — „უბუღედოდ დარჩენილი არწივი“, გაიფიქრა.

— სამშობლოს გულისად... — უთხრა ჯამრულს გულის დასაოხებლად.

— უცხოობაში რაა სიამე!.. — წაიკაფიავა ჯამრულმა პოეტის ლექსი.

— ბოლშევიკიანო, ამბობენ, — გააწყვეტინა საუბარი ლაგაზმა.

— დიახ! — ცივად უპასუხა ჯამრულმა.

— მაშ ბარის ამბებშიც გეცოდინების...

— რა თქმა უნდა.

— პოლიტიკური...

უნდობლად გადახედა ჯამრულმა, თასი მოიყუდა პირზე, მოსვა მწარე ლუდი და ნელა ამოშქუნვის შემდეგ უპასუხა:

— რა მეპოლიტიკების!..

— მე მინდა, გკითხა... გკითხა... ბევრი მინდა გკითხა... ვიცი ლენინი, სტალინი — ამაყად ჩაესაუბრა იგი, გაამამაცა გულის სიამემ. — გაზეთები წამიკითხვის, ბევრი ვერაფერი გამიგავის, გული დამლონებავის...

ჯამრული ჯერ მოხუცებისკენ შეტრიალდა, შემდეგ ფეხზე ასადგომად დაემზადა, ლუდი მოსვა, თასის უკანიდან მდურვით გადახედა ლაგაზს.

„აქაც!“ — უთხრა გულს.

— მე წამიკითხავის, წამიკითხავის, ვერა გამიგავის, მთელი ღამე ფიქრით გამიტეხავის... შენ ბარით თუ მოხველი, ბევრი გეცოდინების პოლიტიკისა... რაღა თქმა უნდა, ბოლშევიკიც იქნები.

— ბოლშევიკი — ჩაილაპარაკა ჯამრულმა, შუბლი შეიკრა, ანგირილმა იერმა გადაჰკრა კუშტ სახეზე.

ლაგაზი ვერ მიხვდა ჯამრულის გულისთქმას, ისევ თავისას განაგრძობდა.

— ბევრი მინდა გკითხო... მაგრამ რა ერთი, ბარის ხალხს მზე მოეფინა მკურნალად. მიწა, თავისუფლება! დიდი მინდვრები, მთიელი კი... ორთ როგორც მჭრალი მზის სხივების ქვეშ გაშლილი ნაწვიმარი ფარა... გვხვდება მზე, მაგრამ ვერ გვათბობს...

„ალარ ხუმრობს“.. — გაიფიქრა სახე-გასვილაებულმა ჯამრულმა.

— უმეფოთ ხალხი ცხვრებივით დავრჩით, უპატრონოდ... — წაეშველა მოხუცი ჯამრულს. — უმეფოდ ცხოვრება რახლა იქნების! — ყვიროდა მთვრალი ხევსური.

— პარტია! ბოლშევიკები ხომ გაგიგონავის! — წამოიძახა სახეწამოწითლებულმა ლაგაზმა.

მოხუცმა ჯერ მწარედ გაიცინა, შემდეგ სახე დაედრუბლა, თვალკამარა წამოუსივდა, ოდნავ აიწია:

— მწერელტყვევ! — უთხრა ლაგაზს და ჯამრულისკენ იბრუნა პირი. ორივემ ზურგი შეაქცია ლაგაზს და თავიანთი გულის წადილის სასაუბრო განაგრძეს.

ლაგაზს კიდევ სურდა საუბარი, სურდა ელაპარაკა ჯამრულს ბარის ამბებზე, მაგრამ ყურადღებას აღარ აქცევდნენ.

ჯამრული თუმცა მოხუცთან საუბრობდა, მაგრამ სწამდებოდა მის თვალწინ ლაგაზი იდგა: „ბოლშევიკი, მინდა გკითხო!“ ამბობდნენ ლაგაზის თვალები და ჯამრული გრძნობდა მის ზურგთან მჭიდროდ მჯდომი ადამიანის მფოთს, გრძნობდა და ეშინოდა, მთელი ტანი უცივდებოდა რატომღაც.

ლაგაზს თავი ეუხერხულა, ადგა:

„ენახათ!“ — სთქვა თავისთვის და კარებისკენ წავიდა.

ჯამრულმა მჭისე მზერა გააყოლა ლაგაზს.

— არ მომწონს ეგ ყმაწვილი, — უთხრა ნელი ხნით თანამესაუბრეს.

— მწერელტყვე! — არ ღირს ყურის გდება! — დააყოვნა მოხუცმა, თასი ლუდით გაუვსო და ისევ, ბატონიშვილზე ჩამოუგდო ლაბარაკი.

კარებთან მისულ ლაგაზს ისევ ძილო გადაუდგა წინ.

— მაგწყინდა განა... არსაითავ!..

ლაგაზს ყურადღება არ მიუქცევია, აჩქარებული გავიდა ღრეობიდან, შარაზე მიმავალს ესმოდა ძილოს მწარე სიცილი და ქოთი ღრეობისა.

— ენახოთ! — იმეორებდა ერთსა და იმავეს.

მკაცრი არაგვი შემოსწევოდა უკუნეთიდან, მთის მსუბუქი ნიავი უთამაშებდა გარშემო, სოფელი იშმუშნებოდა, მყეფრები უყეფდნენ, მაგრამ ლაგაზი არაფერს აქცევდა ყურადღებას, მიდიოდა საკუთარ ფიქრებში გართული.



ლაგაზს სიმარტოვემ და უკუნმა ღამემ გაუძლიერა ფიქრი, ღრეობის ხმაური, ღიმილი ჯამრულისა და ძილოს მწარე სიცილი არ სცილდებოდა მის გულს. თვალები დახუჭის და იმავე წუთს ძილოს მოცინარი სახე დაუდგის თვალწინ.

„არსაითო“ — შემოესმის, მწარედ დაიკვნესის და კვლავ ფიქრები აფარფაშდის მის გარშემო.

ღამე თეთრად გატეხა. დილით რიყრატის სიამემ დაამშვიდა ოდნავე: ბავშური ღიმილით ჩამოდგნენ მთა-გორები მის წინ, ჩიტები აჩქამდნენ და მსუბუქ ნიავი ათამაშდა ირგვლივ ბალახთ სურნელება და არაგვის სიო რომ ამოჰქონდა.

ლაგაზი ბანზე გავიდა, მარტო ჩამოჯდა, სოფელს გადახედა. ვაახსენდა წუხანდელი ამბები, ხათუთა და ისევ ფიქრი... ფიქრი და გულისტკივილი, იდუმალი ტკივილი გულისა, გულის ფიცარს რომ სწვავდა, უმტკრევდა და აგმინებდა ვაჟკაცს.

საწოლიდან ახლად წამომდგარმა დედამ მოჰკრა თვალი ფიქრში გადავარდნილ ლაგაზს, გაკვირვებით დააკვირდა. მართალია, ლაგაზს თავიდანვე დაჰყვა იდუმალი სევდიანობა, მაგრამ ასე მწარედ დაფიქრებული არ ენახა იგი თამარს: იჭდა ფერმკრთალი, უძილარი ლაგაზი, ხელმუხლზე დაყრდნობილი მისჩერებოდა შორს, მწვანე ფერდობებზე გადაშლილ თეთრ ღრუბლებს, იმ ღრუბლებივით ირეოდა მისი ფიქრები.

დედა აკრეფილი ნაბიჯით მიუახლოვდა, სახე უღიმიოდა, ხმა ტკბილი გახდომოდა, დიდხანს ეალერსებოდა შვილს, ამშვიდებდა, ჰკითხავდა დარდის მიზეზს.

ლაგაზი ერთხანს გადაკვრით უპასუხებდა, ბოლოს ვეღარ დაფარა:

— ნეტამც არ დაგზადებელიყავი! — სთქვა მან ნაღვლიანი ნძოთ და გაჩუმდა.

ნაწყენი იერი მიიღო დედამ — არსად სმენოდა ვაჟყვავის სარჩივარი.

— დაბადების დღეს ნუ ემღერი, შვილო!

— დღე ლამაზია, მაგრამ ყოფია...

— კაცი კაცად გაჩნდების, გაჩენას დარდი დაჰყვების, ვაშკაცი თავს გაიტანს, ვინც ვაშკაცია წადილს აისრულებს...

— მე უცხო მინდი ხვესურეთში არ მედგომების...

— ფიქრს ნუ მიეცემი. სიყვარულმა იცი გახელება... ხათუთაის სიკვდილი, ნდომა...

— თავიც მეჭავრების, ნეტამც არ დაგზადე!..

— ეგრე ნუ! ნუ, შვილო!..

— თავი სიცოცხლის ღირსად არ მიმაჩნავის: დასიცილი, ხვესურნი მაშულღარნი არიანო...

მწარედ გაიცინა ლაგაზმა, გაიცინა დედამაც.

— სიმამაცე კი... აბა რა ვითხრა...

— სისხლისა შერიდების, ავი არ მინდა, ამისად მეუბნებიან აუგს, გული კი, გული ვერც ერთს იტანს, ვერც მეორეს...

— გულს გაუჭავრდი!

— ხვესურული არ მინდა!

— ყმაწვილი ხარ! ტკბილია სამშობლო.

— ხვესურს შუღლი შეშვენის... — მწარედ გაიცინა ლაგაზმა, გახედა მზის სხივების ქვეშ მკერდგადაშლილი მიდამოს და გაჩუმდა.

ეს ლაგაზ! სიმამაცე სამკაულია სილამაზისა... მოსაწონია შენი მშვიდი თვალები, ტურფა ტანი, საამური საქციელი, დინჯი, ინდოიანი საუბარი, მაგრამ...

— დედას მამაცი შვილი გაახარებს!

— შვილს სიტკბო და ბედნიერება ხალხისა!..

— ვაშკაცის გულიც გული უნდა იყოს — იმისად ერთ ას მწარე და ტკბილი...

— ჰაი, ჰაი, მაგრამ ჩემს გულს სხვა რაიმე უნდა, ჭერ ამოუცნობი ჩემდაც.

— დარდს ნუ გადაჰყვები, ნუ დედის გულო!..

თამარი ზან უცინოდა შვილს, ზან უჭავრდებოდა, მარჯვენა მკლავზე ჰკოცნიდა, ნიავს გადაშლილ ქოჩორს უგრუშავდა. ლაგაზის გულს თავისა გაჰქონდა, დედის აღერსი ვერ აოხებდა, თანაც არავგის შხუილი ამოჰქონდა ნიავს, შხუილი უბედურ დამეს აგონებდა ქაბუკს, ხათუთას თბილი, გალუული ხელები, მიბნედილი თვალები ელანდებოდა და ყურში შორეული ძაბილი უწიოდა.

— ლაგაზ! შური უნდი იძივა, შური!..

დედას არ ეამა შვილის გულცივობა, ადგა, უხმოდ განშორდა.



ლაგაზმა შვება იგრძნო, მაგრამ ძილოს სიმღერის ხმამ შეაერთო:

„ვაეკაცს არ გამოადგების: სოფელთ შეენება ტანისა, <sup>მეცხენული</sup>  
 ბანზე მიდგომა-მოდგომა: გამჩვენება ქალისა, <sup>მინგულიძისა</sup>  
 ხმალს უნდა აკრევენებდეს — იმედი ჰქონდეს მკლავისა...“

იმღეროდა და იცინოდა ქალბნელი ძილო, — გზა-ბილიკს მისდევდა, ხელს მიიქნევდა, ტანმალალი ვაეკაცი მიჰყვებოდა გვერდზე, მიეხუმრებოდა. ლაგაზმა მიხედა, ჯამრული იცნო: მიისტუმრებდა ძილო. უამური ქრუანტელი შეუჭდა გულს ლაგაზს: ქალ-ვაეკი, ერთიმეორესთან ლალობდა. უფრო მეტად ძილოს ეტყობოდა ვაეკაცის ნდობა, ამით ამაყობდა ჯამრული, ლაგაზი კი... მარტო იყო, ვარიყული.

დიდხან იჭდა ლაგაზი ბანზე. მიწყდა ძილოს მღერის ხმა, ღრეობის ქოთიც, დილით რომ გაახლეს ნამთვარაღვეითა და მხოლოდ მაშინ წამოდგა ლაგაზი.

— ვისწავლი!.. — მტკიცედ ჩაისაუბრა მან. — პოლიტიკურად! — დაუმატა გუნებაში. გულმა დაუდასტურა, ვადახდა შარაზე და ჩქარი ნაბიჯით გაემართა სოფლის ბოლოში ნადგომ სახლისკენ. ეზოს კარებიდან შეიხედა — არავინ ჩანდა, შეყოყმანდა, წამით უკან გაბრუნება იფიქრა, მაგრამ გული არ დაემორჩილა, — კვლავ გამოეხმაურა სახლის პატრონს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ოთახის კარები გაიღო, ვაცრეცილმა ყმაწვილმა გამოიხედა, გაუცინა ლაგაზს:

— მოვიდასო მამამა! — გამოსძახა ლაგაზს წკრიალა ხმით.

გაიღიმა ლაგაზმა, სახე გამოუდარდა, მიუახლოვდა ყმაწვილს — ხუჭუჭა თმაზე გადაუსვა ხელი და მხიარულად შევიდნენ სამყოფოს. მათ შესვლაზე ოჯახი გამოფხიზლდა, გაიბადრა, ახმაურდა.

— მოგვიხვედი მშვიდობით! — იძახოდნენ მაცინარნი.

მშვიდი უღურით მოეგება დაბალის ტანის კოკლი კაცი, ხელში ნაჭერი ყვითელფერგადაკრული წიგნი დახურა, გაუღიმა ჭაბუკს, ახლოს დაისვა, დააკვირდა — სევდა ედგა ლაგაზს თვალეებში, სევდიანობა ეტყობოდა სახეზე.

— ისევ! — გაიკვირვა მასპინძელმა და გაჩუმდა.

მასპინძელი გიგი ლიქოკელი ვახლდათ, ხევსურეთში „წიგნების კირკიტით“ სახელგანთქმული, ხაიბარი იყო, ფეხი გერმანიის საზღვარზე დაესამარებინა, ეხლა წიგნების კითხვითა და მასწავლებლობით ათირებდა გულს. ჭაბუკებს იბარებდა სახლში — ისწავლეთო, ემუდარებოდა, ლაგაზს უწყრებოდა სევდიანობაზე, ეხლაც დაემდურა. ლაგაზმა ვერ გაუძლო მის მზერას, წიგნებს გადახედა, დაინატრა „წიგნის ცოდნა“.

— არ მომწონს შენი საქციელი! — განაგრძო გიგიმ სამღურავი.

— გზა ამერივ თაეიდან...

— გუშინ ასდექი აკვნიდან და ახლავე...

— უნდა მამეხმარ... სწავლა მინდ... სასწავლი კი... — გაუბედავად სთქვა ლაგაზმა, ისევე წიგნებს გადახედა, გაწითლდა.

გიგის მშვიდი თვალეები გაუბრწყინდა, — პირველად ესმოდა ხევსური ჭაბუკის ასეთი საუბარი.

— წიგნები... — ამო ხმით სთქვა მან, წიგნებისკენ შეტრიალდა, თვალი გადაავლო, თითქოს თაეთაც პირველად ხედავსო.



ქართული

გვერდი 111

— აირჩიე! — მიმართა ლაგაზს.

— არა გამეგებოს...

— მაშ მე... — ადგა გიგი, წიგნებს მიუახლოვდა, გადაქექა, დასაძრწველად გადასდო რამდენიმე წიგნი.

ლაგაზი მშვიერ მზერას აყოლებდა მასპინძელს, მას უნდოდა ჰრელი ყლიანი, ლამაზი და დიდი გურჯები აერჩია გიგის, გიგი კი... „ხარბი ყოფილა“, — გაიფიქრა სტუმარმა, თავად ეწადა შეხებოდა იმ წიგნს, გიგი რომ კითხულობდა, დახედა: „ლენინი“, ეწერა გარე კანს, ხელი გასწივა წიგნისკენ, თითები აუკანკალდა, მოეხატრა, კვლავ წაიკითხა: ლენინი — „მამაცი იქნების“, ჩაიფიქრა, თავი ეჩოთირა, „მე კი... ვაი თუ“ — ფიქრი გაუწყდა. გიგიმ მოათავა წიგნების გადაჩრევა, ლაგაზის მახლობლად დაჯდა, უფრო სერიოზული გამომეტყველება მიიღო, თითქოს მასწავლებელი დგასო მოწაფეებით სავსე ჯგუფის წინაშე. დინჯად შეხედა ლაგაზს წიგნები გადაშალა ხელში.

— ეს სტალინის ნაწერია! — სთქვა მან ისე საამოდ, თითქოს მღერი-სო, ლაგაზის წინ პატარა ბროშურა გადაფურცლა ოქროსყლიანი რომ ეჩვენა ლაგაზს... — და ესეც ლენინს ეკუთვნის! — განაგრძო მასპინძელმა. — მხოლოდ დანარჩენი წიგნები შენთვის უცნობი ადამიანებისაა. დიდი ადამიანები გვაძლევენ გონების გასაღებს. ნეტა იმ ჰაბუკს, ვინაც სტალინისა და ლენინის სიტყვით გაშუქებულ გზას გაჰყვება! — ისეც სტალინის ნაწერში აიღო ხელში გიგიმ, ისე მშვიერად დააკვირდა, როგორც ძუნწი ოქროთ სავსე ქისას. — აბა წაიკითხე, ისწავლეო, გვეუბნებიან და იცხოვრეო შენი გონებით. იმათ იციან ჩვენი გულის წადილი, ერთი მეორეს გულისძგერა გვესმის, გულის ხმაურს უნდა მივჰყვეთ და ჰკვიანი ადამიანის სიტყვა ვიჭონით აზრის მანათობელად. მაშინ გაიხსნება შუბლი, მაშინ გაიხარებს ჩვენი გული, მხოლოდ მაშინ... წაიკითხე ლენინისა, სტალინისა და სხვათა ნაწერები, მხოლოდ მაშინ დაგიობდება გული, მაშინ იხილავ უხილავ ქვეყანას. — შეჩერდა გიგი, გადაჩრეულ ლიტერატურას გადახედა. — აი, მხატვრული ლიტერატურა: „სურამის ციხე“, „გლახის ნაამბობი“, „ელგუჯა“, „ტარიელ გოლუა“, — გადაუთვალა მან, — ყველა შენთვის მიჩუქებულია, მხოლოდ ერთი პირობით: წაიკითხე, ისწავლე, დაიხსომე მანდ ნაუბარი ამბავი და მომიყევი. გაუგებარს ავიხსნი, უსწავლელს გასწავლებ, წუთებს არ დავიშურებ შენთვის, — ამბობდა პირმოღიმარი გიგი, თან წიგნებს უთვლიდა, თან უღიმოდა სილალით გულგახსნილი.

კარგა ხანს ისაუბრეს: გიგიმ ოჯახური ამბები გამოჰკითხა, თავისა უამბო, მაგრამ ლაგაზს აღარ ედგომებოდა — გულში წიგნებს უალერსებდა, ადგომა და ჩქარა შინ წასვლა ეწადა. როგორც იყო გამოემშვიდობა, მადლობა გადაუხადა და თავდახრილი გამოვიდა ოთახიდან.

მოღიმარი მზერა გააყოლა გიგიმ, თავისუფლად ამოისუნთქა და იმ კაცის იერი მიიღო, დიდხნის ბრძოლის შემდეგ რომ აისრულებს ნანატრს. შემობრუნდა შინ, კვლავ გადაშალა დახურული წიგნი და კითხვა განაგრძო.

ლაგაზი ხალისიანად გაჰყვა შარას.

— გულის დარდს გამიქარვებს! — ეუბნებოდა თავს, წიგნებს გულში იხუტებდა, ეჩქარებოდა შინ მისვლა, წიგნების გადაშლა და კითხვა. ფიქრებში გართული სოფლის შუა ადგილას თავმოყრილ ხალხს წააწყდა, — ახალ-

გაზრდები საფარეოსად მოსულიყვნენ, მაყურებლები გარს შემოხვეოდნენ, გამწვრივებული იდგნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მთელი სიყვარულით, კიოდნენ ხმლების ხმაურზე, აკრთობდათ მამაცი ვაჟაკების სიყვარული, თავდახრილნი რომ სტოვებდნენ საფარეოსად.

ლაგაზმა არ ინდომა ხალხში მისვლა, მით უმეტეს რომ მას იმდენი წიგნი ეკავა ხელში.

— სასაცილოდ ამიგდებენ. — გაიფიქრა მან, მხარი უქცია ხალხს, მაგრამ ვერ მოასწრო მეორე შარაზე გადასვლა, რომ ხმამაღალი სიცილი და ძახილი შემოესმა:

— არსათაე!..

მკაცრად მიჰხედა ლაგაზმა, — იდგა ძილო, იცინოდა, სხვებიც მას ჰბაძავდნენ და ლაგაზისკენ იშვერდნენ ხელებს, რომ ყველას მისთვის მიექცია ყურადღება.

— ფილოსოფოსი! — დაიძახა ვიღაცამ და ხმამაღლა გაიცინა.

რამდენიმე ახალგაზრდა გამოვიდა ხალხიდან. ლაგაზისკენ წავიდნენ, შემოეხვივნენ, წიგნებს უქვერტდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ.

ლაგაზი ერთხანს წყენას არ იმჩნევდა, მიდიოდა თავისთვის, შემდეგ შესდგა, — დაეყუდა უხმოდ, ილიმებოდა ფერმკრთალი, გაცრეცილი.

— საპაპიროზო! — წამოიძახა ძილომ, ხელი გასწია წიგნებისკენ, მაგრამ ლაგაზმა არ დაანება. აბიკა მივიდა მისთან, ჯერ სახეზე დააკვირდა შემდეგ წიგნებს.

— ქალაღი! — ჩაიცინა მან.

— ას! — უპასუხა ლაგაზმა და ღიმილი გაუქრა სახეზე.

— მაშ... — წიგნს წასწვდა აბიკა.

— ნუ! — გაუწყრა ლაგაზი.

ყველას ეუცხოვა მისი გაცხარება, სახის სიფერმკრთალე. წუთით გაჩუმდნენ, ერთმანეთს გადახედეს, გაიცინეს და უფრო გაბედულად შეუტრეს:

— მაგვეც!

— პაპიროზისად!

— თამბაქოს „ნათალში“ ვხვევთ!

— ამდენი წიგნები!

— წიგნებს ხელი არ ახლათ! — შეუტია ლაგაზმა და განზე გადა.

ძილომ აღმაცერად გადახედა აბიკას, ცივი სიცილით გააქეზა.

— მაშ ვიფარეიკაოთ! — გამოიწვია აბიკამ ლაგაზი, ფარი დაისაბუჭლა, ხმალი ყუით დაჰკრა წიგნებს.

— აბიკ!.. — წამოიძახა გამწვარებულმა ლაგაზმა. მზად იყო სცემოდა ურცხვ ყმაწვილს, მაგრამ ძილო დადგა მათ შორის.

— აცათ! — სთქვა მან დამკინავი ღიმილით და წიგნებისკენ გაიშვირა ხელი: — კოქლამ თუ მაგც! — ჰკითხა ლაგაზს და გაიცინა, გაიცინა ხმამაღლა. მისი სიცილი ყრუ გუგუნმა დაფარა, მოულოდნელად რომ ამოხდა სოფელს. გუგუნნი იმავე წუთს ზირწულ გადაიქცა, ქალების კივილი გაჰყვა, მთელი სოფელი აქოთდა....

თავმოყრილი ხალხი წუთით გაშტერდა, შემდეგ გაფრთხილდა: გაიქცენენ, სწრაფად გადადიოდნენ ლობეებზე, თხრილებზე, ყორეებზე. *საქართველოს-საქართველო*

ხმაურის ატეხის შემდეგ ორი წუთი არ გასულა, რომ სოფლის სათავეს ჯერ შავი კვამლი ავარდა, შემდეგ გაღურჯდა, განისლისფერდა. ალი აპყვა კვალდაკვალ, ხვეულად, ძაბად და შავი ფერფლი დაათოვა მახლობელ სახლებს.

— იწვებიან! — დაიგმინა სოფელმა.

— ხევსურეთის სალოცავო, გვიშველე! ღმერთო, დაგვიფარე, ღმერთო! იძახდა ხალხი. გარბოდნენ თულუხებით, თოხებით და ცულებით ხელში, გროვდებოდნენ ცეცხლწაქიდებულ სახლის გარშემო, კვამლს რომ ანთხევდა და იხველიდა გახურებული ქვა-ყორე. გუგუნებდა ქერხ-ბოსელი, კენესოდა, ტორტმანობდა, თანაც ბავშვის საშინელი წივილი გაისმოდა აღმოდებულ სარკმელიდან.

სახლი ქვრივ დედაკაცს ქალუას ეკუთვნოდა, რომელიც იმჟამად მარილობდა იყო წასული ყაზბეგში, უპატრონოდ დატოვებული ყმაწვილი იწოდა ცეცხლში. ხმაურზე მოგროვილი ხალხი ვერ ბედავდა ბავშვისთვის მოხმარებას. ძნელი მისაწონი იყო ალით პირმოპრუნებული სახლი. მხოლოდ სახლის გარშემო ცოდვილობდნენ — წყალი მოჰქონდათ, ასხამდნენ ცეცხლს, მაგრამ ცეცხლი უფრო ძლიერდებოდა, უფრო საშიში ხდებოდა. ბავშვის ხმა თანდათან სუსტდებოდა, ბოლოს სულ მიქრა, ალის გრიგალმა დაჰფარა ყველაფერი.

— დაიღუპა! — აღმოხდა ხალხს გმინი.

ახლადმოსულ ლაგაზს ბავშვის უკანასკნელი წივილი შემოესმა. გაშტერდა, გაშტერდა წუთით, თითქოს მის გულს მოხვდაო ცეცხლის სიმწვავე. წაიქცევაო, იფიქრებდა კაცი. მაგრამ აი იგი უცბად გამოოცხლდა, სწრაფად დააწყო წიგნები მიწაზე, ქამარ-ხანჯალი შემოიხსნა, ჩოხა გადმოიხურა სახეზე და წელში ორად მოხრილი ელვის სისწრაფით შევარდა ალით შეტრუსულ კარებში.

— ლაგაზ! — აგმინდა გაოცებული ხალხი.

ლაგაზისაგან არავინ მოელოდა ასეთ საქციელს. შერცხვით ტოლებს, ფერმკრთალნი დაელოდნენ ვაგაზს. მაგრამ აღარც ბავშვი იღებდა ხმას, არც ლაგაზის ხმაური ისმოდა, ხოლო ალი ბიბინებდა, ალი ცას მიდიოდა, ქერხ-ბოსელი დნებოდა, საცაა წაიქცეოდა უზარმაზარი შენობა...

ყოველივე ისე სწრაფად ხდებოდა, ისე მოულოდნელად, რომ ხალხი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო. ბევრი ჯერ კვლავ გამოჩნდებოდა შარაზე და ხმაშალდა გაჰკიოდა საწუხარს, რომ ბევრი ხალხი მოეგროვებინა.

ძილო კვალდაკვალ მიჰყვა ლაგაზს. მან დაინახა, თუ როგორ გაოცებული შედგა ლაგაზი შენობის წინ, დაინახა ისიც, თუ როგორ გაბედულად შეიქრა იგი ცეცხლში და კივილი ამოხდა ქალბნელს, მაგრამ თავათ არ იყოფა, რატომ, რატომ დაიკივლა, შეეშინდა თუ ეამა ვაჟკაცის ასეთი საქციელი.

ამიკა, რომელიც ლაგაზის ახლო მეგობრად ითვლებოდა, შეეცადა შეპყროლოდა ლაგაზს ცეცხლში, მაგრამ ვერ გაბედა, — თავდახრილი მორცხვად გამოპრუნდა უკან და ჯგუფად მდგომ ტოლებს შეუერთდა. ერთმა მათგანმა ლაგაზის წიგნებზე მიუთითა ამხანაგებს:

— საპაპროზედ! — უთხრა და შეეცადა იდუმლივ აეღო წიგნები.

— ნუ! — გაუწყრა აბიკა, თან იღიმებოდა, ეწადა წიგნებზე, განიღვრებდა. ყმაწვილმა არ დაიშალა — მიუახლოვდა წიგნებს, დიდა გუჯარობა კილო და საჩქაროდ მიიჭრა ჭკუფში. ძილო კვალდაკვალ მიჰყვა, წიგნი წაართო, მიაფურთხა.

— ქალაჩუნებო! — უთხრა ზიზლით.

ახალგაზრდებს სირცხვილის აღმურმა გადაკრათ სახეზე. ველარ იყურებოდნენ ხალხისკენ.

— სახლი იწვების, ყმაწვილი იღუპების, თქვენ კი! — ამბობდა გამწარებული ძილო.

ხმას ვერავენ იღებდა. გაპარვას ლამობდნენ, აბიკამ სცადა თავის გამართლება, მაგრამ შეხედა თუ არა ძილოს, სიტყვა გაუქრა პირზე, ხოლო ძილოს ახლად მისული ჯამრული მიუახლოვდა, გაუკვირდა ძილოს ხელში წიგნები.

— საიდან? — იკითხა გაკვირვებით, ცქიოტი ღიმილი შეუთამაშდა სახეზე.

ძილოს არ ეამა ჯამრულის სიცილი, ხმა არ გაუცია, მხოლოდ მკაცრად გადახედა, წიგნები უფრო მაგრა დაიჭირა ხელში.

— შეუცნაურები! — დაემღურა ჯამრული.

— იწვებიან... — ჩატეხილი ხმით ჩაილაპარაკა ძილომ, ცრემლი ოდნავ აციაგდა მის თვალებში.

— ვინ, ქალო, ვინ იწვება?

— ხალხი! — მკაცრად მიუგო ძილომ.

სუსტმა კვიელმა მიიქცია მათი ყურადღება, — ცეცხლის აღმა შემოუტია ხალხს, შიგნიდან გამოქროლილ ნიავს რომ გამოჰყვა მდეერად.

— ვინ იწვის? — წამოიძახა ცეცხლის ალით შებუქვილმა ჯამრულმა. მას გულმა მოხმარებისთვის გასწია, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ აღარ დასცალდა: თვალი მოჰკრა აღმოდებულ კაცს, ცეცხლი რომ გამოჰყვა დამშეულივით.

— ლაგაზ! — ამოხდათ ერთხმად მაყურებელთ.

ლაგაზი დაბარბაცდა, წატორტმანდა, წაიქცა ხალხის წინ და გულწასულ ბავშვთან ერთად გაგორდა მიწაზე.

ჯამრული ჯერ გაოცდა, — გაუკვირდა ლაგაზის ვაბედულობა, შემდეგ სწრაფად გადახტა, ყველაზე ადრე მივიდა ლაგაზთან, დასწვდა ღონიერი მკლავებით, ასწია, ცეცხლწაყიდებული ჩოხა ვახანდა. სხვებიც წამოეშველნენ, — ფლასში გაახვიეს და ტანზე მოკიდებული ცეცხლი ჩაუქრეს.

ძილო ერთხანს გაშტერებით უყურებდა ლაგაზს, შემდეგ ყმაწვილთან მივიდა — პერანგის ღილი გაუხსნა, მოაგონთა.

ყველაფერი რომ მოთავდა, ძილო ლაგაზს მიუახლოვდა, მორცხვად შეხედა. მშვიდად იდგა სახეშეტრუსული ლაგაზი, თითქოს არაფერი მომხდარაო. ძილომ გაუღიმა, წიგნები გაუწოდა, საქები უნდა ეთქვა, მაგრამ პირზე მოსული სიტყვა გაუქრა, ენა არ დაემორჩილა. აღარც ლაგაზმა დააცალა, მადლობა გადაუხანდა და თავდახრილი განშორდა.

ძილომ ნაწყენი თვალი გააყოლა მიმავალ ლაგაზს და მძიმედ ამოიხრა. დიდხან, დიდხან იდგა ერთ ადგილას, უხმოდ, უმოძრაოდ.

— წავიდათ! — უთხრა ჯამრულმა, რომელიც გაბეჭდილ უმჯობესად ქალ-ვაყის საქციელს.

ძილომ ჯერ დაფერფლილ შენობას გადახედა, შემდეგ შარაზე გაშლილ ხალხს.

— წიქე! — უწადინოთ უთხრა ჯამრულს, ზურგი შეაქცია, ცრემლ-მაგუბარი თვალები დამალა და მიმდინარე ხალხს გაჰყვა.

ჯამრული კარგა მანძილზე მისდევდა კვალდაკვალ, ხმას არ იღებდა. არც ძილომ აქცევდა ყურადღებას, ბოლოს ველარ მოითმინა სიჩუმე.

— ძილო! — წაესაუბრა, გვერდზე ამოუდგა და საუბარი განაგრძო: — ეგრე ნუ, ნუ ხთის მადლს, არა ვარ ეგრე ქცევას ჩვეული!

უგემურად გაიცინა ძილომ.

— არც კი გხედავ! — სთქვა და ხელი გაიქნია, მედიდურად მიაბიჯებდა, ნიავი უშლიდა ოქროსფერ თმას, სახე უფრო ნალელიანი უხლებოდა, თვალებში ცრემლის გუბე დგებოდა. სიმღერა და სიმართლაცე ეწადა, მაგრამ ჯამრული აღარ ეშვებოდა:

— ეგეთი რა დავაშავე? სახლის დაწვაში ხომ არ მიმიძღვის ბრალი?... ველარ გიცან...

— არც მიცნობდი! — უკმეხად მიუგო ქალმა და ჩამოშორება მოიწადინა: წინ მიმავალ დობილებისკენ აჩქარდა.

— ძილო! — წამოიძახა ჯამრულმა, უიმედობის იერმა გადაჰკრა სახეზე. მოეჩვენა, რომ იგი მართო რჩებოდა ხევსურეთში, უძილოდ-კი ხალხში ყოფნა არ შეეძლო.

მართლაც, ჯამრულმა ხევსურეთში მოსვლისთანავე გადასწყვიტა, დამეგობრებოდა ძილოს, რადგან გაგონილი ჰქონდა ძილოს გვარის სიმძლავრე, ძილოს დღიანობა, სახელგანთქმულობა სიკეთით, სილამაზით, სწორფერით სიმრავლით. თუმცა ძილო არ იყო ნაზი, თავმდაბალი, თავაზიანი, არც თუ ისე ლამაზი სახისა, როგორც აქებდნენ, მაგრამ მასში იყო ერთგვარი სანდომიანიობა, ძალა იღუმალი, საჩვეველა ვაჟკაცებისა, ცეცხლიანი თვალები და თავდაჭერილობა. თავვანისცემას იწვევდა მამაკაცებში. მარად სტუმარგამოუღვეელი იყო, მისი ოჯახის კარი ღია იყო ყველასათვის, — მტერთან მტრობა შეეძლო, მოკეთესთან მოკეთეობა, მისი გვარი არაგვივით ქუხდა, ვაჟკაცები მუდამ მზად იყვნენ სიკეთისათვის. ყველაფერი ეს საჭირო იყო ჯამრულისათვის უცხო ხალხში ფეხისმოსაკიდებლად. ჯამრულს დიდი დრო არ დასჭირებია ძილოს დაახლოვებისათვის: მისმა ვაჟკაცურმა საქციელმა, სანდომიანმა სახემ და ამაყმა თავდაჭერამ მიიზიდა ქალის გული. ძილომ დაივიწყა ბავშვობიდანვე თანშეზრდილი მეგობრები, მათ შორის ლაგაზიც, და ეხლა, როდესაც ლაგაზმა სიკვდილს გამოსტაცა ყმაწვილი, ჰაბუტები გააწითლა, ძილომ კვლავ სინანული იგრძნო ვაჟკაცისადმი. ლაგაზის ხილვაზე სახე გაებადრა, უნდოდა გასაუბრებოდა ლაგაზს, მაგრამ ლაგაზმა არ აღროვა, არც გაუცინა, არ გაუცინა არც წასვლისას... გამწარებული ძილო აღარც ჯამრულს აქცევდა ყურადღებას, მკაცრად უმჯობრდა შინ მიმავალ ლაგაზს და თავს უწყრებოდა:

— მე გაუცინე, ის კი... — სულ ვერა გრძნობდა თითების ტყევის, ჯამრული რომ უპერდა ხელს და თვალეში უმზერდა ქალის სიბერაზედ შემკრთალი.

ჯამრულმა შეამჩნია ძილოს დაღონების მიზეზი, მოინდომა მისი გულის გადაბირება. „ამ ქალს იქით გზა არა მაქვს დაღუბულ მხარეში“, — ფიქრობდა იგი, ეალერსებოდა ქალს, მაგრამ ხმის ამოღება მაინც ვერ გაბედა.

— ცუდი საქმე მოხდა! — ნაღვლიანად სიტყვა ბოლოს, ძილოს თითებს უფრო მაგრა მოუჭირა ხელი, ამოიგმინა.

ძილოს ყურადღება არ მიუტყვევია, იგი კვლავ ლაგაზს უპერტდა და სიყმაწვილის სიყვარულის სითბო შლიდა იისფერ ფრთებს მის გარშემო, გული ეხლა იმ ვაჟკაცისკენ მისწევდა, ეწადა ლაგაზთან საუბარი, სამღურავის თქმა, მაგრამ ლაგაზი... ლაგაზი ცუდად ექცევა...

— გაუბედურდა ოჯახი, — განაგრძობდა საუბარს ჯამრული, გულში კი ფიქრობდა: „წყალსამც წაულია ყველაფერი, ოჯახიც, ხალხიც, ლაგაზიც და შენც, კუდიანო ეშმაკო. მხოლოდ ღრობებით ხარ ჩემთვის საჭირო და შემდეგ... შემდეგ ჯამრული საკუთარი ხელით მიგცემს აღუღებულ ფისის მორავს, იცინებს, ბევრს იცინებს, რომელიმე თქვენგანის სისხლში დაიბანს ხელებს და ღამეს ეტყვის მადლობას, ძმობილ ღამეს“. მან უნებური სიმძლავრით მოუჭირა ხელი ძილოს ნაზ თითებს. ძილომ ეხლა იგრძნო ხელის ტკევილი, გამოვიდა საკუთარ ფიჭრებიდან, ხელი წაართვა და მწყურალად უთხრა:

— წერას აუღიხარი! გერიდებოდას ძილოსთან თამაშისა!..

— მეუცნაურები! — ხმადაბლა ჩაესაუბრა ჯამრული, განზე დადგა, თავი დახარა — გაებუტა გუნებით, მაგრამ დიდხანს ვერ აიტანა ქალის დუმილი. — ეგრე ნუ! ნუ, ძილო! — ყრუდ თქვა მან.

— რა გინდ?

— სიყვარული!

— ჭირი თქვენ! სიმატოვე სწადის გულს...

— ჩემ გულს შენთან ყოფნა!

გაიცინა ძილომ, მწარედ გაიცინა.

— ნუ იცინი ეგრე! — ბრაზიანად გაისმა ჯამრულის ხმა.

გაჩუმდნენ ორივენი, დუმილი ჯამრულის მძიმედ ამოოხვრამ დაარღვია, გახედა ცის მკერდზე არეულ ღრუბლებს და კვლავ აგმინდა, აგმინდა ნაღვლიანად.

ძილოს გულს მოსწვდა ვაჟკაცის გმინი, სინანული იგრძნო: რად ვექცევიო ასე...

ჯამრული მიუხედა გულის საიდუმლოს და თავისთვის გაისაუბრა:

„ბედმა წიხლი დამადგა, ხალხმა გამთელა, გამთელა ძალის საწოლ ნაბადივით... ყველასაგან მოძულეული ვარ, შური თანდათან ფეხს იკიდებს ჩემს გულში, ყვირის, ღრიალებს, კაცთ სიავით გაბოროტებული და... ვიღუპები... ან რისთვის არის საინტერესო ჩემი ყოფნა, — ვის გვაჯარებ, ვინ დამათირებს, ერთი შენ იყავი... შენი იმედი მქონდა და შენ...“

— ვაშკაცი! — დასცინა ძილომ.

— ეგეთი ყოფილა ძალის სიცოცხლე: ერთი ტირის, მეორე იცინის. შეიცვლება სასწორი — ერთი იცინებს, მეორე ატირდება... — ამბობდა ჯამ-



რული, ნაბიჯს ანელებდა: ძილო აღარ ერიდებოდა ვაჟკაცის შეხებებს, თანაც იცინოდა, მაგრამ მიხვდა ჯამრული სიცილის გატეხას.

- მე ვფიქრობდი, რომ შენ... — დაიწყო ისევ ჯამრულს  
 — რას ფიქრობდი?  
 — რომ გიყვარდი...

ძილომ გადინარხარა, ხარხარი ნიავს შეუერთდა, ხალხს მისწვდა, შედგნენ, მიხედეს, თავები გაიქნიეს და სიარული განაგრძეს.

ჯამრულს სახე წამოუწითლდა, მის თვალებში ბრაზი გაციაგდა, შეაერ-ჟოლა ოდნავ, მაგრამ თავს ძალა დაატანა, დინჯად ყოფილიყო დრომდე და შერე... შერე გადავიხდიო სამაგიეროს, გაიფიქრა. ეს კი უთხრა ძილოს:

- არ გეკადრების: ცუდად მექცევი!  
 — რა იორ შენი? — ჰკითხა ძილომ.  
 — არც მე ვიცი!  
 — მაშ რა გინდა ჩემგან?  
 — შენი გული!  
 — ჩემ გულს სილაღე უნდა!  
 — სილაღეს მივსცემ!  
 — დაღონებულს რა ელაღების! — ჩაიცინა ძილომ.  
 — მაშ ეგრე?  
 — ჰო...

— მაშ შენ ისევ ლავაზი დაირჩიე ჩემს თავს? — წამოიძახა გამწარებულმა ჯამრულმა და აჩქარებული ნაბიჯით განშორდა. — მეჰკლავ! — გაისმა ფოლადის ძვრიალივით ხმა.

ალიო ალაშია

## ქორნილი კოლხიდაში

თავები კომედიან

### I.

შეხედნენ,  
პატარა მდინარის ბოგირს,  
ჩუმად დაეყრდნო სხეული წყვილი...  
და ამ მთვარიან ღამეში ორი  
წყალში, ცალცალკე ცახცახებს -  
ჩრდილი!

მ-უახლოვდნენ  
და დარბეული  
ერთსახედ იქცა ჩრდილი ღამისა!  
გადმოხრილიყო ვაჟის სხეული,  
გადახრილიყო მკერდი ქალისა...

და აი, სუნთქვაც,  
ესმით და ჰალაღეთ  
გაშრიალებდა ფოთლის მცირედიც, —  
წყალში ჩაეარდა კენჭი და ტალღამ  
დააცალკევა ისევ ჩრდილები!

შეკრთნენ და შიშმა  
შეჰბოჭა ქალი,  
(მგონია დედა ხედავს ეზოდან)!..  
მიბუტბუტებდა თავისთვის წყალი  
და მათი თრთოლვა აღარ ესმოდა...

და შრიალებდა  
მხოლოდ ტირიფი,  
ვით ჩუმი ღამის ჩუმი გულისთქმა!  
ისრისებოდა ქვაზე ქვირითი  
და მრავლდებოდა მაინც ურიცხვად...  
ცალცალკე იდგნენ  
თავდახრილები,  
და გარინდულნი ორივე ერთხანს!

და მოცახცახე წყალში ჩრდილებიც  
ჰბაძავდა მათი გულების ფეთქვას,

შემოიკრიბა ძალა ღონგემ და  
უნდოდა გულის წადილი ეთქვა!  
უცებ, იელვა ხმამ საზარელად!  
ეს ახლობელი  
იყო კვილი...  
ის შურდუღლივით მოსცილდა ბოგირს  
და უმძაფრესი გულისტკივილით  
გამოექანა შინისკენ ღონგი...

### XI

ჯერ კიდევ თბილი,  
და სახემკრთალი,  
დედას ულონო მკლავებში ეწვა...  
ერთხმად ჰკიოდა ორმოცი ჭალი  
და ყველას თმები ჩამოეწეწა!

იღვა მშობლებში გაუხარელი,  
შემდეგ მოწყვეტი  
გავარდა გარეთ!  
ბოსელში სდუმდნენ ნიშახარები,  
მაგრამ ხარივით ბლაოდა მამა —  
შუბლში იცემდა ხელებს, ღმუოდა,  
სიცოცხლე? რაღა ჭირათ უნდოდა!  
ევედრებოდა ზარზე მოსულებს  
მეც ჩამჭოლეთო და გამათავეთ...  
ჩამოეკაწრა უკვე პირსახე  
და ქრილობებში  
სისხლი სდიოდა...  
სახლში ორმოცი ქალი კენესოდა  
და ერთადერთი ქალი ჰკიოდა!

## XII.

ველარ მიუსწრო  
ძმას თვალგახელილს  
და ჩაეკონა წელმოწყვეტილად!  
„დედასთან ერთად შენი სახელი  
„ამოითქვაო და გაელიმა

„უკანასკნელად! ბევრი ეცადა  
„შშრალი თვალეები რომ გაეხილა,  
„მაგრამ ვაცივდა, შემოგვეყინა,  
„შემოეცრიცა  
„ბაგეს ღიმილი,  
„ნოდარი გაპქრა შვილო, ჩრდილივით!“

ასე სტიროდა მეზობლის ქალი,  
განა ნოდარი პირველი არის?  
ამ ჩვენს ქაობებს, ლაქაშს, ლელიანს,  
სიკვდილი აღარ გამოეღია!

## XIII

ღამეა, ზევებს  
ნისლი აცვიათ,  
დგას გამჭვირვალე ღამე მაისის,  
შრიალებს ვერხვი და აკაცია  
და ჩურჩულებენ ხენი თავისთვის!

შემოპყურებენ  
მწკრივს ალღებისას,  
ამაყად სდგანან სწორზე სწორები!  
მათ ყოველ დილით მისალმებისას  
მიმოერხევათ კენწეროები...

და ყოველ დილით გვახარებს მოსვლას  
მზე, მიწა ხელდება,  
ვით მასპინძელი,  
ეს ერთად ერთი სახლია სოფლად  
შავათ მოსილი და ძილფხიზელი!

## XIV

ქიშკარს გააკრეს  
შავი ზონარი,  
მიმოწერილი ბატიფებურით:  
„გარდაგვეცვალა ვაჟი ნოდარი,  
„დაერჩით მშობლები: ძმა: უბედური...

კვლავ აშრიალებს  
ტოტებს ფოთლიანს,  
ხე და ცახცახით უღივსს ჩაქუჩს  
მგზავრები ჩუმით შიდიშოდინა  
და ახლობელი ნალველი მიაქვთ!...

მაგრამ სტოვებენ  
ნალველს გზაშივე,  
კაცის ბუნებამ ასე ინება:  
უბედურება სხვისი აშინებს,  
საკუთარს როგორ შეურიგდება?!

## XV.

შეიწრიალა პატარა ოდა,  
ღამე, მინდორი  
და ეზოკარი, —  
იგი სტიროდა და ვაკიოდა —  
მომეგებეო, ბიჭო, ნოდარი!

არა, არ მჯერა მე ჩემი მოსვლის,  
ჰოი, განგებას  
თვალი დაეცსო!  
იგი ჩელია და ანგელოსი,  
ანგელოსებმა წაიყვანესო?

მერე ვინ დარჩა ოჯახს იმედით?  
ცალთვალა გახდა  
ეზო, სახლკარი!  
მოლით, ბებიას თავში დაჰკარით,  
სიკვდილმა ბავშვი ვით ვაიმეტა!

თვალი დაუდგეს ქვეყნის გაჩენას,  
ვინ სთქვა ვარსკვლავებს  
ძალა არ აქესო?

ცას რომ ვარსკვლავი გამოაკლდება,  
დაბლა სიცოცხლეს კაცი ჰკარგავსო!

ზეცას შევესთხოვდი მის გადარჩენას,  
ვარსკვლავი მოსწყდა უარის ნიშნად!..  
ველარ შევიძელ სახლში დარჩენა —  
სთქვა... მოჩვენების მსგავსი არსება —  
ეს ნისლისფერი

თმა აწეწილი,  
სახეზე ერთი სუფთა წერტილიც  
არ ჰქონდა, ფრჩხილებს ჩამოეკაწრა,  
თვალეებში ცრემლი ამომშრალიყო...  
ზინც იერი ჰქონდა კეთილი,

ჯერ მოქანცული შეჩერდა კართან,  
შემდეგ, დაეცა, ვით მოკვეთილი...

შეაწრიალა ოდა და ეზო  
და წყველით მოსპო  
მან ცა და მიწა!  
კარებთან შავი ბებია ეგდო,  
კუბოში თეთრი ნოდარი იწვა...

მერე ქვითინით სთქვა: ჯაღო არის,  
დასტოვეთ სახლი  
და ეზოკარი, —  
გაშორდით ჭაობს, ლაქაშს, ლელიანს,  
ვიდრე სიცოცხლე არ დაგლევიათ...

## XVI.

დამარხეს ბავშვი,  
დღე მეორმოცე,  
ეს ხელახალი იყო სიკვდილი!  
ისევ მოუხმეს ყველა მეზობელს  
ისევ ორმოცი ქალის კივილი, —  
გულისწამლები და შემზარავი!  
არ დაერჩებითო ცოცხლათ არავინ!  
ეს ერთადერთი იყო ნუგეში...  
მაგრამ ბავშვების სიკვდილის მსგავსი,  
არ არის ტანჯვა! დედაც კვდებოთ,  
დაუშრებაო რძე ძუძუებში,  
თვალეებში ცრემლი ჩაუშრებაო...  
შვილი თუ უწევს ციეს სამარეში,  
იდგეს ივლისი და მზე თაჯარა,  
მაინც სცივაო და იყინება,  
ვერ გაიხარებს იგი მთაბარათ!  
სძულს სიცოცხლე და მისი ცხოვრება,  
და სამუდამოთ გულგატეხილი  
ნატრობს სიკვდილის მოახლოებას...

## მეორე ნაწილი

### I

აი, სტოვებენ ნაცნობ ეზოკარს,  
ხეებს, ჭანდრების ტოტების რხევას,  
ალარ იჭნება ნინოს მეზობლად  
და ხანდისხანაც ველარ შეხედავს

მოსაგონებლად დარჩება მხოლოდ  
მისი თვალების ეშის შეხება.

ის კი დარჩება... თვალეები მისი  
მოალერსე და წყლიანი მუდამ —  
ახსოვს, ნოდარი რუჯა: ჩნდებოდა,  
იმის მაგიერ სიკვდილი სურდა...

ნოდარს გაყინულ ფეხებთან ეწვა  
გაქვავებული,  
არასულდგმული, —  
მერე სტიროდა გულდასაწყვეტად,  
ჩუმით სტიროდა გულდათუთქული...

## II.

ერთი ურემი და სამი მგზავრი  
შორდება სოფლის  
გზას და ბუნებას, —  
გულში წარსულის ჩამოჰკრავთ ზარი  
და ჩაპლადებებს შემობრუნებას —

ნასახლკარისკენ, სადაც დარაჯათ  
შერუჯული და  
კენტი ბუხარი  
დგას, და პატრონი რადგან არა სჩანს,  
ნიშნად გლოვისა და სიმწუხარის —

ქარის ხმას ერთვის მისი ზუზუნი!  
ცივია კერაჩამჭრალ კეცივით, —  
და რჩება მარტოთ  
ის და უკენი  
ლაშე, ჩუმი და ფრთადაკეცილი!

შეპყურებს კრძალვით ჭანდარს და  
ვერხვებს,

ხეებთან ერთად  
ისიც შინ არი,  
ეს ოცდაათი წელია ერთხელ  
მიუღებელი დარჩათ ჭიშკარი, —  
და შემოსულა ლორები უკვე,  
რქამოტეხილი  
მეზობლის ხარი! —

ძველი ოჯახის ეს ძველი ფუძე,  
დღეს მინდორია და ნასახლარი...

## III

ერთი ურემი და სამი მგზავრი  
შორდება სოფლის  
გზას და ბუნებას,

გულში წარსულის ჩამოჰკრავთ ზარი  
და მომავალი მოედრუბლებათ, —

სამივე მუნჯი და თვედახრილი,  
(და მარდი ცხენიც გამხდარა ყუჩი), —  
კვირტები სქდება —  
არის აპრილი,  
მდელოს ბიზინი და ფაჩიფუჩი —

გულს არ უხარებს ამათ ოდნავათ!  
შათი აპრილი გუშინ მოთავდა,  
შემოგება შათ იანვარი...

## IV.

ვერ დააცდინა დედამ ვერც ერთი  
ღიმილი, წარბი  
შეჰკრა ჯარადა,  
მესტები ეცვა ვიწრო და თეთრი,  
ტანს იისფერი ჩოხა ფარავდა.

არ აუღია მას ზევით თავი,  
(მიწაში ჩარჩა  
რალაც წერტილი),  
ლურჯა თან ახლდა გაუხედნავი,  
ცერზე შემდგარი, ყურდაცქვეტილი

დანატრებული მათრახის დარტყმას!  
და გიშრისფერის  
დაწნულ ფაფარით  
და ქორფლიანი როგორც ქანდარი,  
უცდის მხედარის შემომახებას —  
და ვანა ლონგი ისე წახდება  
რომ დაანატროს ლურჯას მათრახი!  
ძალა არის და გული არ არის..

## V

ეს დღევ მოთავდა და მიიღია  
და ჩაიხურეს  
კარი ოღებმა —,  
ყველა ჰიშკარი დაკეტილია,  
ეზოს სდარაჯობს ჰრიპინობელა!

მილაგებულა სოფელი, ბოლოს  
კენტათ გაისმის  
ძაღლების ყეფაც, —

ეს ერთადერთი ეზოა მხოლოთ  
ამ საღამოს რომ წკრიალით შეხვდა!

არ დაიძინებს პატარა ქობი,  
გატეხენ ღამეს <sup>ნაქონულნი</sup>  
თვალეზი წყვილი, <sup>შინაღიწმინა</sup>  
წავიდა, მაგრამ იისფერ ჩოხის  
ეზოში დადის ცახცახა ჩრდილი. —

ჯერ კიდევ მინდვრებს,  
გზებს და ბალახებს  
აჩნია ლონგის  
ფეხების კვალი,  
აი, მოადგა თითქოს ალაგეს  
და ჩამოუკრა ნინოსაც თვალი!

მისთვის არ სძინავთ  
თვალეზს. ნალველი  
გუბდება გულში,  
ღვივის, წრიალებს:  
შენ გამშორდი და ისე წახველი,  
რომ არ ჩახედე თვალეზს  
წყლიანებს —

როგორ გიცქერდნენ, რა დარიდებით,  
შენი მორჩილი და ბინადარი;  
თეთრი ტყემლებით ჰყვავის  
მინდვრები,  
ჩემს გულშიც თეთრი სდგას იანვარი!

## ნაწილი მესამე

## I.

ტბაზე სხვაგვარი საღამო იცის,  
ნისლიც მსუბუქი, თეთრი ებურვის,  
და გათენებაც ცისა და მიწის  
სხვაგვარია და თავისებური!

ჰბაძავს ხანდახან გადაშლილ ველებს,  
თოვლით, ქარბუქით,  
შაკერი ყინვებით,  
ნაპირს თანდათან შემოიბნელებს  
და თეთრად სჩანან ტბის ყვავილები.

ჩაგუბებულა თეთრი, ხან მუქი,  
ხან იბურება, უფრო შავდება!  
მთიდან ჩამოვა ქარი მსუბუქი  
ტბაზე ტალღები აშრიალდება...

გაინაბება  
და ბინდის ეამი,

მოვა წყნარი და უფრო კეთილი,  
ტბა —  
ვერცხლისწყალით სავსე ფინჯანი,  
ძირი ოქროთი ამოქედილი,  
წყნარია,  
როგორც ყოველი ფშანი  
და სიკვდილივით ხმაგაქმენდილი!

მებადურენი შესტრფიან ასეთს  
სალამოს, მთვარეც უყვართ გვიანი,  
გამწკრივდებიან ნავები ტბაზე  
უიალქნო და იალქნიანი —

ჩუმთ, ნიჩბების მოსმაც არ ისმის!  
სულის ამოთქმაც ესმითო თევზებს, —  
თევზი — მცირე ჩრდილს  
უკრთისო დღისით,  
და საზრდოს უფრო  
ლამლამით ეძებს, —

მაინც ვაჰყოფენ თავებს ბადეში,  
ატყუებთ ჩრდილი დიდი, უძრავი,  
შავი ღრუბლის და ღამის სადარი, —  
და თევზაობას ასეთ ღამეში  
სამკაულოვით ახლავს ზღაპარი:

## II.

ვალურია ჯგირიკოჩი,  
მებადური დიდი, —  
როცა ღამით თევზაობდა  
როცა ბადეს შლიდა,

გაღიწერდა პირუჯვარს სამჯერ,  
თავს მუხლამდი ხრიდა,  
რომ თევზები შესეოდნენ  
ბადეს ყოველ მხრიდან!

იყო ასე, მაგრამ ერთხელ,  
სწორედ ასეთ ღამით,  
აჯანყება ჰქონდათ თევზებს  
სურდათ დიდი ღლაფი —

დაეკლათ და გაესრისათ,  
გაერიყათ ცალკე,  
შემდეგ ბადეს მოჰყოლოდა,  
მოსდებოდა ანკეს!

იციო რისთვის აუჯანყდნენ,  
რისთვის შეჰკრეს პერქი,  
ღლაფი ქვირითს ადურს დადებდნენ  
სკამდა სხვების ქვირითს.

და რამდენმა სცადა მარტოთ  
ურჩობა და მკლავი,  
მაგრამ ღლაფი იმარჯვებდა,  
ის ვეება ღლაფი!

მაშინ შეჰკრეს ერთად პირი,  
მიესიენ გუნდათ, —  
რისთვის ჰამო ღლაფო ქვირითს,  
მოდგმა განადგურდა!

ბევრმა თვალი დაუქაწრა,  
ბევრმა გული, ტანი,  
და ტბის ფსკერზე გაიშხლართა  
დასისხლული ღლაფი...

ვალურია ჯგირიკოჩი  
მებადური დიდი,  
როცა ტბიდან ბრუნდებოდა  
უთენია დილით —

მოათრევდა ღლაფს ვეებას  
და სტკიოდა წელი,  
სთქვა ღლაფს ველარ მოერევა  
ერთი კაცის ხელი...

## III.

და მერე სხვები იტყვიან ახალს  
ლეგენდებს, ზღაპრებს  
ცისა და მიწის, —  
გაილურსება ტბა და ხანდახან  
შემშინებელი დუმილი იცის...

ვარ მე ასეთის ღამის მხილველი,  
(წნელია ნავის მარტოთ ტარება)!  
მიუწოდებიან მაშინ ფრინველნიც  
და ყურს უგდებენ  
ტბის მღუმარებას. —

და მებადურებს რჩებათ უთქმელი  
ლეგენდა, ნავებს უხმობს ნაპირი, —  
აიშლებიან წვრილი ღრუბელნი  
გველისწელივით მიმოკლაკნილი —

უთუოდ მოვა აედარი, თქეში,  
გარიყავს ნაგებს წვიმა და ქარი;  
თევზის თვალები ჰყრია ნაგებში  
როგორც „დუბარა“ და „იაგანი!“

## XI.

ჰკენკავენ ბარდს და სუროს შაშვები,  
ხეებს ფარივით შერჩათ ფთილები!  
დაგუნდაობენ თოვლში ბავშვები  
და სრიალებენ ლეკმარბილები...

წამოვა ციგა, „სასახლის“ გუმბათს  
მიამსხვრევს,  
ტყდება აყალ-მაყალი!  
და თოვლი მოდის  
კვლავ გუნდი-გუნდათ,  
და სცვივა თოვლი ახალთ-ახალი...

ახალი წელი, თოვლიც ახალი,  
თოვლს ნისლისფერათ ცა დაებურა, —  
თოვლმა წაშალა სოფლის გზა-კვალი  
და ზეწარივით გადაებურა!

თოვს და ეძებენ საკენეს ჩიტები,  
ბათქუნობს რაგვი და იჭერს ჩიტებს, —  
და გოგონები ლოყაწითელნი  
გუნდებს სახეში აყრიან ბიჭებს...

დიდის იმედით და ვახარებით  
ხედება ახალ წელს ყველა მოსახლე,  
კომწიაობენ სოფლის ქალები  
და ფერუმბარის არ იზოგავენ!

დეკემბრის დამე, ჩამოწვა ცივი,  
და როცა ყველა მოგროვდა ქერქვეშ:  
შეაწკრიალეს ჩონგურის სიმი  
და საახალწლო სიმღერა სჰეჰქეს!

ნაძვები დარგეს კლუბის დარბაზში  
და შრიალებენ მსუბუქ რწევითაც;  
გასულ წელიწადს სთხოვენ ანგარიშს,  
და აბარებენ ახალ წელიწადს...

აქ ყოველ სახეს ახლავს ღიმილი,  
რომ დილის რიერავს  
ღიმილით შეხედეს,  
და ხუთზე ნასწავლ გაკვეთილივით  
ახალწელიწადს მოუთხრობს შედეგს...

სჰეჰქეს სიმღერა, სიმღერას <sup>თითონ</sup>  
შეძახილი და ტაშისმა ჰტარავენ:  
დაჩუმდნენ უცებ, კინტორბს წინო,  
ბერიასათვის გასაგზავნ ბარათს.

## XII.

„ძველი რაც იყო, შენ კარგად იცი,  
და ის წარსულიც,  
ხომ ჩენი არის!  
იყო ბურუსი და იყო ნისლი,  
იყო ლაქაში და ლელიანი...“

ძველი რაც იყო, ძველს წიგნებს  
ჰკითხობნ,

უსმინონ —  
მღერის ლერწამის ღერი:  
ბაიასფერი მინდვრები იყო,  
და ზალხიც იყო ბაიასფერი!

ყოველ განთიადს და ცისკარს ახლდა  
დედის ცრემლი და  
კვნესა მეგრული, —  
ყოველ ეზოში და ყოველ სახლთან  
სიკვდილი იყო ჩასაფრებული...

ძველი რაც იყო, შენ კარგად იცი,  
გახსოვს ჩონგურის  
სიმი მკვნესარე!  
ახლის გარშემო მოგწერეთ წიგნი  
და საითითაოთ ყველა ხელს ვაწერთ:

ყოველ განთიადს და ცისკარს ახლავს  
სიმღერა (ყველამ ერთხმად მოვძახეთ),  
პატარაფოთი დიღია ახლა,  
ორასხუთმეტი არის მოსახლე!

ორასხუთმეტი მაღალი ოდა!  
მათ შორის ერთიც  
არაა ძველი, —  
დიდი მდინარის გაღმა-გამოღმა  
გამწკვრივებულა და მასპინძელი —

ჩვენ ვართ, ჩენივე ხელით დარგულა  
ეს ქადრები და  
ალვა კეთილი, —  
ჩენი სიკეთე, წინათ არ თქმულა,  
ახლა თქმულია და დაბეჭდილი!



ოგი აქ ითქვა, ამ ჩვენს წისქვილში,  
მინდორმა სთქვა და  
შზიან დარებმა,  
ოგი თქმულია დედის ღიმილში  
ღილის ცისკარს რომ დაედარება!

ოგი მერცხლებმა სთქვეს ალიონზე.  
და ფრთები გაპკრეს  
წყაროს ნაპირებს!  
ოგი თან ახლავს ვარდებს, მიმოზებს,  
მოშარიშურეთ და ცვარდაყრილებს...

დღე მოთავდება, როცა დაისი  
ჩაიშუქება,  
ხდება ზღვისფერი, —  
ჩვენი სიმღერის ხმები გაისმის,  
მღერის მწვემსების  
ლერწმების ღერი. —

ეს ჭიქანსავე დიდი ლაშქარი —  
შემობრძანდება  
სოფელში ჯოგო!  
მართა დახვდება — ფერმის დარაჯი  
და სათითაოდ მიუჩენს ლოგინს;

დილით ხელმარჯვე ქალი თოთხმეტი  
მოსწველის,  
ცხრება მათი ცურები, —  
ველავ აპყვებიან ფერდობს ძროხები,  
გზას უკაფავენ სალამურები!

გახსოვს შეიდი ხე და წყარო წმინდა?  
შეიდი ტირიფი,  
შეიდივე ქერა!  
დიდი, ლამაზი შენობა გვიდგას,  
საბავშვო ბაღი და ბავშვთა კერა —

სკოლაც, აქ არის და სამასთოთხმეტს  
მოსწავლეს უხმობს  
ის ყოველ დილით!  
მათი ყივილი აღვიძებს სოფელს,  
სამასთოთხმეტი ცახცახა ჩრდილი —

ცეკვით, სიმღერით შემოქრდება,  
და სალამურის ხმსაკვეთ ტყეელი  
დარეკავს ზარი და გაფურცდება!  
ჩვენი ღიმილი ვანთიადს ახლავს  
და მწუხარების  
დავხურეთ კარი!  
ჩვენში ღარიბათ ცხოვრება ახლა  
მშრომელ კაცისთვის სირცხვილი  
არის...

სირცხვილი არის, რომ ცალკე იყო,  
კარმობურულად  
დგომა ხეს უჭირს!  
გახედავ ბალებს, ვენახს, თუ მინდორს  
ყველგან საერთო  
შრომის ფერხულში —

ჩაბმულან, თიბავს ათასი ცელი,  
და ათასი ხმა  
ამბობს მოძახილს!  
ჩვენი სოფელი-ეზოა ვრცელი  
და არის ერთი დიდი ოჯახი...

შენ გვიწინამძღვრე, იცის ბელადმა,  
რარიგ ზრუნავხარ  
ჩვენთვის, გვახარებ, —  
შენი მარჯვენა ჩვენთან ელავდა,  
როცა პირველი არხი გაეთხარეთ!

შენ გვიწინამძღვრე, ბელადმა იცის —  
შრომაში როგორ  
დაგვაძმობილეს!  
შენ მიმოჰფანტე ის შავი ნისლი,  
ეს თეთრი ნისლი შენვე მოჰფინე...

ასე წკრიალებს სიმღერა ჩვენი,  
წარსულის სუსხმა  
ჩვენ ველარ გვტანჯოს, —  
რადგან მყარია შენით ნაშენი!  
შენ იღლეგრძელე და გავიმარჯოს!..

1940 წ.

ანდრო ლომიძე

## ნაღები და ყვავილები

### I

დილიდან ვნადირობდით ხოხობსა და ტყის ქათმებზე. ზურაბმა ერთი ხოხობი და ორი ღალღა აიღო, მე კი რვა ტყის ქათამი მოვკალი. ბინდდებოდა.

— ამ ღამით მოვისვენოთ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან. გაგაცნობ. საინტერესო კაცია. დილიდან ისევ შევუდგეთ ნადირობას, შეადლით კი ფოთს გავემგზავროთ, — მითხრა ზურაბმა.

სოფლისაკენ ვიბრუნეთ პირი.

ქარს მოჰქონდა კოლხეთის ტყეების ბუბუნია.

ზურაბის გრძელბეწვიანი მეძებარი — ლილღო უცებ გაქვავდა ეკალნარევ ბუჩქთან; წითური ტანი წაიგრძელა, კუდი გამართა. ბუჩქის მეორე მხრიდან ფრთხილად გამომძვრალ ტყის ქათამმა გაირბინა მცირე მანძილი, გაჩერდა, მაღლა ასწია გრძელი ნისკარტი და ვასაფრენად მოემზადა. ცხენი შევაყენე, მოწვიბული თოფი უმალ მოვიგდე მხარზე. აფრინდა ტყის ქათამი. ზაურის სისტემის თოფის მარცხენა ლულამ იგრიალა. მიწიდან მეტრნახევარ სიმაღლეზე აფრენილი ფრინველი ქადრის ძირს დაენარცხა. ლილღო ეკლებში გაიხლართა. თვალს არ აშორებდა ტყის ქათამს და წყმტუნებდა.

ტყის ქათამი ლილღოსკენ მიიჩქაროდა და მოტეხილ ფრთას მიათრევდა. ჩვენთან ერთად გაუკვირდა ლილღოს; არ მოელოდა ამ პატარა ფრინველისაგან ასეთ გამბედაობას. ლილღომ ცხვირი ამოჰკრა ტყის ქათამს და ყირამალა გადაატრიალა. ტყის ქათამი დადგა ფეხზე, შემობრუნდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა. ლილღომ ჰერ უყურა, შემდეგ ეკლებისაგან განთავისუფლდა, გაეკიდა, სტაცა პირი და ფრინველი მოიტანა ჩვენთან.

— თვალში მოგიტყამს, დაგიბრმავებია, — წყენით მითხრა ზურაბმა და თავისი ცალღულიანი თოფის ჩაზმახი დაუშვა.

იმ ბუჩქთან, სადაც აფრინდა ტყის ქათამი, მსცოვანი ქადარი იდგა. ქადარზე ლურსმნით მიჰედილ ორ ნალს ეანგი მოჰკიდებოდა. ყვავილები და ვარდები ეყარა ქადრის ძირას. სდუმდა ამაყი, უფოთლო ქადარი. მის ბებერ კანზე დანით ვილატას ღრმად ამოეკრა: „აქ მარხია და“.

— ვინ იყო ის უბედური, რომ სასაფლაოც კი არ აღირსეს მას?

— არ ვიცი, — მომიგო ზურაბმა.

დიღბანს დაეცქეროდი ახლად მოკრეფილ ვარდებს და ყვავილებს.

ფეიქრობდი: ესთქვათ, რომ აქ ადამიანი მარხია, მაგრამ ჰადარზე ჩაღების მიქედვა რათ დასჭირდათ ნეტავი?

ერკინული  
ნივლირთხა

## II

გაზაფხულის გრილი ღამე აკანკალებდა ვარსკვლავებს, როცა შევედით კოლმეურნეობის თავმჯდომარის ეზოში.

სახლის კიბეზე გაწოლილი ნაგაზი წამოვარდა და აყეფდა.

ახალგაზრდა ქალმა გააღო ფანჯარა და შეგვეკითხა: ვინ გნებათ?

— რაული გვინდა.

— მამა თათბირზეა კოლმეურნეობაში. დედაც იქ არის. შემობრძანდით ბატონო ზურაბ, მამა ჩქარა მოვა.

გრძელნაწნავებიანი, შავგვრემანი, ეშხიანი, ხუთმეტი წლის გოგო სიხარულით შეეგება ზურაბს და უსაყვედურა: მამა ნაწყენია თქვენზე — დაგვივიწყაო.

კრამიტით გადახურულ, ორი ოთახიან ფიცრულ სახლში ლომონის და ფორთხლის სურნელება იდგა. კედელთან მიდგმულ ახალ პიანინოზე წიგნები იყო მიყრილი.

ხუთი ტყის ქათამი და ხოხობი გადავეციტ შესაწვავათ.

— მე ღვინისათვის მივდივარ ვენერა! ეს კაცი ჩემი საუკეთესო ამხანაგია, არ გაეარშიყო.

ვენერას გაეცინა, დახვეტა ნანადირევი და მეორე ოთახში შევარდა.

ზურაბმა თოფი მიაყუდა კუთხეში და კარებში გასვლისას გადმოძახა: ეხლავე მოვალ... არ მოიწყინო.

დავრჩი მარტო. წიგნებს დაეუწყე თვალღერება.

ხელთნაწერს მოვკარი თვალი. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა. მაგიდაზე დავალაგე ფურცლები, თუთუნის კვამლში გავეხვიე და კითხვას შეეუღდექ:

## III

„ცამეტი წლისა ვიყავი, როცა მამამ დამიტახა და მითხრა: შეილო! წადი ბიძაშენთან, ხომ ხედავ—მომსპო ციებამ. ის შეძლებული მეჯოგაა, ჩემზე უკეთესათ მოგივლისო.

გამეხარდა.

მხარბეჭგანიერს, წელში ოდნავ მოხრილს ბიძია რემას გრძელი უღვაშები და შავი, მრისხანე თვალები ჰქონდა. დინჯი სიარული იცოდა. დამით მოდიოდა ჩვენთან. ხანდისხან თავისი შვილი — დემნა მოჰყავდა. მოჰქონდა ყველი, სიმინდის ფქვილი, მამას აძლევდა ფულს. ამიტაცებდა ხელში და დამიყვავებდა: ჩემთან არ წამოხვალ რაულ?

— ბიძია რემა, დედა არ მიშობს, უთხარი ბიძია რემა, რომ გამიშვას, უთხარი შენი ჭირიმე.

ბიძია რემა ხარხარებდა.

ერთხელ, ლოგინში დაწოლისას მივირბინე დედასთან.

— დედა როდის წამიყვ.ნს რემა?

— დაიძინე შეილო, ხვალ მოვა ბიძია და წაგიყვანს.

— ხვალ მოვა, ხომ დედა?

— კი ჭირიმე, ხვალ მოვა.

დედამ მაკოცა შუბლზე და იტირა... გამაკვირვეს დედას ცრემლებმა. მე ბედნიერებას ვგრძნობდი და ვერ გამეგო რა ატირებდა დედას ცრემლებს.

მამას დიდი ხანი არ უცხოვრია. ციებამ მოუღო ბოლო. მამა რომ გარდაიცვალა, სწორეთ იმ თვეში რიონმა წააღწია სოფელი. სამასი ადამიანი დააღწია.

## IV

დღით ვაძოვებდი ჯოგს. შეღამებისას ძროხებს და კამეჩებს მივერეკებოდი ისლით ვადახურულ კარავთან. რემა აანთებდა ცეცხლს, გამოაცხობდა ქაღს, ააღლებდა რძეს და შევექცეოდით. როცა დაიძინებდა რემა, გარედ გამოვიდოდი, კამეჩის კისერს ჩავეხვეოდი და ვტიროდი. მელანდებოდა შშობლების ნაციები სახე, მათი ნაღვლიანი თვალები. ჰკვიანი ცხოველი რქებს მოატრიალებდა ჩემსკენ და თავისი დიდრონი, დარბაისლური თვალებით შემომცქეროდა. ისმოდა ფოთლების შრიალი, ზღვის გუგუნის და ცხოველების ფშინვა. ერთხელ კამეჩის კისერზე ჩამომძინებოდა. გამომაღვია ნაბადში ვახვეულმა, ვაზნებით მკერდ-დაფარულმა ტან-მაღალმა დემხამ და კარავში შემოიყვანა.

— რა გატირებს ბიჭიკო? — ისეთი თბილი ხმით მითხრა, რომ გული ამიჩუყდა და ისევ ამივარდა ტირილი.

წამოდგა რემა, შემომიბღვირა. — თუ ტირილს განაგრძობ — მეც მოვკვდებიო, — დამემუქრა.

— აწი არ ვიზამ, — წამოვილულულდე, ჩავეხუტე რემას და წვერ-გაუპარსავ ლოყაზე დაუწყე კოცნა. კეთილ მოხუცს ცრემლები მოადგა თვალებზე.

დემნა საჩიტე თოფს დამპირდა იმ პირობით, თუ აღარ ვიტირებდი. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ ხელთ მჭონდა პატარა, ფილთა თოფი. ნადირობას მივეყვი ხელი, ბიძია რემას საყვარელ შვილს შევეთვისე.

— ბიძი, რას აკეთებს დემნა, — შევეკითხე, როცა საღამოს ეამს ნაღულსა და ღომს შევექცეოდით.

— ღარიბების შეგობარია, მდიდრების მტერია, — მიპასუხა რემამ.

— წინათ, ბიძი, სად იყო დემნა, ჩვენთან ხშირად რატომ არ დადიოდა?

— გემებს ტვირთავდა შვილო, მუშა იყო. ყორღანის კაცი საჯაბი გალახა და ახლა ტყეში იფარავს თავს.

— რატომ გალახა, ბიძი?

— კარგად არც მე ვიცი, ღირსი იქნებოდა, ისე ტყუილად არ გაარტყამდა ხელს დემნა, დემნა ჰკვიანი ბიჭია.

„აღბად თოფებს ართმევს მდიდრებს და ჩემისთანა ბიჭებს აძლევს მეთქი“, — გავიფიქრე, და უფრო შემოიყვარდა დემნა.

## V

ხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, როცა სოფელ ხორგაში თვალი მოვკარი ღამაზ გოგოს.

— თოლიგე ზარანდია მოგეწონა? — გამეხუმრა რემა და სახრე გადაუჭირა ხარს. შემრცხვა ბიძია რემასი, ავბტი ურემზე, ჩავეწევი და თვალები დავხუჭე. მზე ჩადიოდა. რემა ნაღვლიანად მღეროდა მეგრულ ურმულს. ზე-

ნაქარი ჰერში ატრიალებდა ხეებიდან ჩამოცვენილ ფოთლებს და ზედ გვაყრიდა.

— რა არის ცხოვრება? ღმერთო დაილოცოს შენი სახელო! შეხედე ამ ქადრის ფოთოლს ქარმა რომ ჩამოაგდო ურემში. ქიანჭველა ზის ზედ და არაფერი გაუვია, — თავისთვის ჩაილაპარაკა რემამ.

წამოვიწიე.

გოგონა მიჰყუდებოდა ღობეს და ჩვენსკენ იმზირებოდა. ხუჭუჭი თმები სახეზე გადმოჰფენოდა. თეთრი პეპელა გადმოფრინდა მახლობელ ეზოდან და მის თავთან იწყობ ტრიალი. მე ისევ დავხუჭე თვალები და მივწექი.

იმ ღამით ვეფერებოდი ხარს, კამეჩს, ცხენს და ვგრძნობდი, რომ უფრო შემეყვარდნენ ისინი.

გათენებისას მიმეძინა და სიზმრად ვნახე გოგონა. მიცინოდა. სადაც ის წავიდოდა თეთრი პეპელა თან მიჰყვებოდა და მის შავად მზინავ ხუჭუჭ კულულებს დაჰფარფატებდა.

თოლიგე იმ დღიდან არ მოშორებია ჩემს გონებას. ყოველ დღე დავდუროდი ხორგაში რომ გული დამეტკობო მისი ნახვით. შარაზე მიმავალს თუ დავინახავდი, მივსდევდი, ვეაღერებოდი.

— რა გინდა ჩემგან? ამიხსენი, — ექვსი თვის ღუმლის შემდეგ მი-თხრა მან ისეთი ხმით, რომელშიაც ცნობისმოყვარეობაც იყო და იდუმალი აღელვებაც.

— მიყვარხარ თოლიგე, დღე და ღამე ვფიქრობ შენზე.

— გამაცილე თუ გინდა, — გაუბედავად მითხრა და მისი ფერმკრთალი ღაწვების გამჭვირვალე კანს მარჯანის ფერი შეერია.

უსიტყვოდ მივდიოდით შარაზე. საღამოვდებოდა.

ვგრძნობდი, რომ დელავდა თოლიგე. „მოგეხვევი, ვაკოცებ“, — ვფიქრობდი და ხელი ვერ გამეშალა, ფეხი ვერ გადამდგა. ვბრაზობდი. ბოლოს მოვიკრიბე ძალა და მხარზე დავადე ხელი.

— დედა... რას შობი? ხომ არ ვაგოფდი...

გათამამებულმა წელზე ღონივრად მოვხვეი ხელი და შიგ ტუჩებში ვაკოცე.

— გამიშვი... — წამოიყვირა გონს მოსულმა, გამისხლტა და გაიქცა.

## VI

რამდენიმე დღით დემნა იკარგებოდა სადღაც. ხან ცარიელი ბრუნდებოდა, ხან ფული მოჰქონდა და რემას აძლევდა. მზის ჩასვლისას რემა სოფლად მიდიოდა და ღარიბ გლეხკაცობას აძლევდა ფულს.

შემოდგომის ღამე იყო. კარავთან აბურბულებულ ცეცხლის ჰირას მჯდარმა დემნამ მხარზე ჩამოქარა ხელი და მითხრა: უკვე ვაყკაცი ხარ. უნდა წამოყვე და აბა შენ იცი, არ შემარცხვინო. მე მილიციის კომისრის ტანისამოსში გამოვეწყობი, შენ კი გვარდიელისას ჩაგაცმევ. ხომ კარგი იქნება რაულ? ქვიანად კი უნდა იყო. ის ლოთბაზარა გერმანე საჯაია ივანესას გდია ყოველთვის და ქეიფობს.

— ვილაც საჯაია არის, ძალიან კი ემტერები შეილო. სიზმარში სულ იმის ხსენებაში ხარ. გემუშავნა შეილო ნავსადგურში, რას ერჩოდი იმ ოხერს,

რატომ გაარტყი სილა, რატომ გაიმწარე სიციცხლე? ახლა სულ ტყეში უნდა გაატარო შენი ყმაწვილკაცობა.

დემნა ჩაფიქრდა. მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო მშენებელი მუშაობა. როგორ რას ვერჩოდი, ბაბა. დამე იყო, გემს „მარია“-ს ვტვირთავდით. გემთან მილიციის კომისარი საჯაია ესაუბრებოდა პრინც ოლდენბურგს, შენ ხარ ჩემი ბატონი და ჩესტს უკეთებდა, დეზებიან ფეხებს აჩხარუნებდა. იმ დროს ჩვენ მუშას დაუსხლტა ფეხი სხოდზე და ტომარიანად ჩამოვარდა. ქვებზე ეგდო საწყალი, თავზე გადაფარებოდა ექვსფუთიანი, შაქრით გატენილი ტომარა. მივცევიდით ყველამ და ტომარა ავწიეთ. სისხლში გასვრილი უმოძრაოდ იწვა საწყალი მაკარი გურნშტეინი. მოცურავე კაცივით გაეშალა მკლავები, თავი გვერდზე მოქცეოდა, ცალი თვალი მტერით ჰქონდა გაესილი. საჯაია მივიდა მაკართან, ფეხი ჰკრა, დედა შეაგინა ჩუმათ, და დაუტატანა: აეთრიე შე მხეცო, ამ შუალამით რას ღრიალებ, ვერ ხედავ უდიდებულესობას, რომ წესიერებას არღვევო. — „მკვდარი უნდა იყოს ბატონო, ექიმს დავუძახოთ“ — სთქვა ვილაკამ. საჯაია დაიხარა, დააცქერდა, სახე დაეპრანჭა, შემდეგ გასწორდა წელში და მუშებს უბრძანა: თუ კვდება წაიყვანეთ, მოაშორეთ აქედან. რომ დაინახოს ბატონმა ოლდენბურგმა, ცუდ გუნებაზე დადგება. რას დამდგარხართ ვირებივით, გაანძრეთ ხელებიო. — „ჰუ... შე ძაღლისშვილო“, — დაეჭყვივლე საჯაიას, ო და იმისთანა სილა გავაწანი, რომ ბრავგანი გაადინა მიწაზე. რომ გამოვიქციე რევოლვერი მესროლა და ხელში დამკოდა. გაუწყრა ღმერთი, ვერ წავაწყდი ვერსად. ლოლუასთან თუ ვნახეთ, უნდა მოვკლათ ის ძაღლი, რაუდ! უნდა მოვკლათ! რომ იცოდე, რა კარგი ბიჭი იყო მაკარი!

— საწყალი მაკარი, — ამოიოხრა რემამ. — ძაღლი ყოფილა გერმანე; იქვე უნდა მოგვეკლათ ის მამაძაღლი, ის. აბა რა შეილია ივანე ტყუილად აქეიფოს საჯაია რამე გამორჩენა ექნება ალბათ იმისაგან. ჩიჩია კაცია ივანე, ეშინია იმას კაცური-კაცის, ეშინია ქონება არ წაართვას ვინმემ და მცველად ეყოლება საჯაია.

— კი, ასეა ბაბა, — დემოწმა დემნა, ქარქაშიდან ამოაძრო ხანჯალი და მომცა (ჩემს მოვალეობას შეადგენდა: თოფის, რევოლვერის და ხანჯლის წმენდა), ჩოხის კალთა გაისწორა, გაიზმორა, თითები დაიმტვრია, გარეთ გავიდა და შუბლზე ნაზათ აკოცა შევარდენს — ჩერქეზულ ჭიშის მერანს.

## VII

ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით მე და თოლიგე.

შებინდებისას, მისი სახლის მახლობლად მოშრიალე ჰადრების ქვეშ ვისხედით. ფოთლებს შორის დაფრინავდნენ კოლოები. გვიანლოვდებოდნენ ზუილით, ყურებში ჩაგვწიოდნენ.

მთვარე პრიალებდა უღრუბლო ცაზე. მისი სხივი გადიოდა ჰადრის ფოთლებში და ზეების ჩრდილით შემოსილ თოლიგეს ეცემოდა ტუჩებზე და ნიკაპზე. მთვარის ცივი ნათელი ჩვენს გულში იღვრებოდა სიყვარულია მხურვალე სიმღერად.

გკოცნიდი მის კულულებს, რგვალ პირისახეს და ვეჩურჩულებოდი, რომ მიყვარს ის უსახლეროთ, რომ ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს, რომ მე, რაუდ დარჯანის ამ ღამით თუ შეემთხვა რაიმე, მნახოს და მიტიროს თოლიგემ.

შავი, ხავერდითი რბილი თვალები შემომინთო თოლიგემ, შაშვის ფრთებით დაახამხამა წამწამები.

— რატომ მეუბნები ამას... ავად ხომ არა ხარ? რამეს უნდა გეპირებენ ტყეში? შენს თოლიგეს ვის უტოვებ?

ჩაიკიარ გულში, დავუკოცნე თვალები და ეზოს კარებთან დავტოვე აქვითინებული.

კარავში დამხვდა მილიციის კომისრის სამოსში გამოწყობილი დემნა. გამეცინა და გადაცმას შევუდექი.

განა როდისმე დამაიწყდება ის ღამე!

## VIII

გავიარეთ ტყე.

ბნელი ქუჩებით მივდიოდით. წინ დემნა მიმიძლოდა. ფიქრი ფიქრს ანთებდა, წარმოდგენა წარმოდგენას სცვლიდა: „აი, სახელგანთქმული ყაჩაღი ვარ. უმშვენიერესი ქალები ოცნებობენ ჩემთან შეხვედრაზე. რაუდის დასაქურად ჭულელი გზავნის გვარდიელებს. მაგრამ ამოთ. რაუდს ვერავინ დაიჭერს. ჩემი ხანჯალი ჰკვეთს მდიდართა თავებს. დემნამ რომ არ დამანებოს, მაინც გავიტან ჩემსას და ივანეს მოვსჭირი თავს.“

ამაყად ვიქნები თუ დამაპატიმრეს; დილეგში პატიმრები იტყვიან: „ფრთხილად მაგასთან, კაცის მკვლელია“. მე უფრო გავზვიადდები და მათთან დალაპარაკებასაც არ ვხკადრებ“.

ასეთი ფიქრების შემდეგ ანაზღეულათ შემეცვალა განწყობილება; კარავში ყოფნა მომინდა. ვინანე, რომ დემნას წამოვყევი. „თუ შემიპყრეს, ვეღარ ვნახავ თოლიგეს, ვეღარ ვინადირებ. რისთვის ვილუპავ თავს? ვგდებულისყავი ჩემთვის, განა არა სჯობდა? მაგრამ... ჰე, ეს რა მომდის? ნუ თუ არა მრცხენია, რომ ასეთ ლაჩრულ ფიქრებს შევეუპყრივარ! რაუდ! შეგეშინდა? არა, მე არავისი მეშინია, მე ვაყკაცი ვარ, მე დავამტკიცებ ამას“, — ასე ვამხნევებდი თავს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გულის ნახევარი არ მემორჩილებოდა და კარავისაკენ მიიწეოდა. გული გაიყო ორად და ერთმანეთს ებრძოდა.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა დემნამ კარაბინი მოიმარჯვა. ჩაკუპრულ ბალის ღობესთან რამდენიმე კაცი მიწოლილიყო.

გარს შემოგვერტყნენ, მოკრძალებით მოგვესალმენ და დემნას შესჩივლეს: ბატონო კომისარო, ჩვენ ტყის მჭრელები ვართ და ექვს თვეს ვმუშაობდით ლოლუას ტყეში. ივანე ლოლუამ დავგებირდა ას-ასი მანეთი თითოს. ჩვენ შევასრულეთ პირობა, მაგრამ ფულს არ გვაძლევს: „ასი მანეთის მეტი არ გერგებათ ყველას ერთადო“. ყველგან ვიჩივლეთ, მაგრამ სამართალი არც წინათ და არც ეხლა არ ყოფილა ამ ქვეყნად. უკაცრავად ბატონო, ასე არ გვიწოდოდა გვეთქვა, შეგვეშალა. სამართალი როგორ არაა, მაგრამ ჩვენ გაგვამტყუნეს; — ლოლუა მართალი კაციაო. რა ვქნათ ბატონო, როგორ მოვიქცეთ? ჩვენ გაჭირებული გლეხები ვართ და ნუ წაგვართმევთ ბატონო ჩვენს ლუკმას.

— გვეყოფა ამდენი მოთმინება, ჩვენც ადამიანები ვართ. არ შევარჩინთ მაგას, — ჩაბიუზღუნა ყაბალახით თავშეკრულმა გლეხმა.

დემნა დაპირდა: ხვალ მოხვალთ ჰალადიდში და თქვენ, ფულს უკლებლივ მიიღებთო.



— ავაშენოს ღმერთმა, შენ ყოფილხარ ჩვენი მხსნელი, — დაველ/ცეს, ბარგი-ბარხანა მოიკიდეს და წავიდნენ.

ერეკლესი  
ნიკოლოზისა

## IX

ივანეს ავურის სახლის ფანჯრებიდან მისივე ეზოში იღვრებოდა ლამფის მკრთალი შუქი და ქარში მოქანავე მაგნოლის ყვავილებზე და ფოთლებზე დაარბოდა.

დემნამ ღობეზე მიიბა ცხენები.

„ბერლინ-გერმანიას“ ტარს მაგრად ვუჭერდი თითებს, გული აჩქარებით სცემდა.

დემნამ ჩამორეკა ზარი.

გაფიცხებული ნავაზი დაეძგერა ღობეს და გაბოროტებით აყეფდა.

შუშბანდიან აივანზე გამოჩნდა უზარმაზარი ლანდი. ლანდი ამოძრავდა და მე ვხედავდი: ლანდის გრძელმა და ხმელმა ხელმა თუ როგორ გააღო სახლის კარები.

ივანემ თავაზიანათ შეგვიპატიყა. დაჭერებული ნაბიჯით დემნა ავიდა კიბეზე. ავეყვი მეც. ივანეს უცინოდა თვალები, ილიმებოდა, მზისაგან დამწვარი ლოყები ეკეცებოდა. უცებ უკან დაიხია ივანემ, ტუჩების ცმაცუნს მოჰყვა; შიში და იქვი აირია მის ვიწრო თვალებში, მან რაღაც დააპირა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— მიცანი?... ხმა არ ამოიღო, თორემ... გაგათავე.

რევოლვერის ლულის ცივი თვალი მრისხანეთ უყურებდა ივანეს.

— აქ არის საჯაია?

დაფეთებულმა ხელი უღონოდ გაიშვირა მეორე ოთახისაკენ: — დაღეულია, სძინავსო.

— ფული...

ივანე მივიდა საწერ მაგიდასთან, გამოაღო უჯრა, ამოიღო ათთუშნიანიები და მაგიდაზე დააწყო.

— ამოიღე კიდეც.

გამოაღო მეორე უჯრა. როცა დემნა უბეში ილაგებდა ფულს, ივანეს შეაყრყოლა. გაკაპასებული ტახის თვალებით შეხედა რევოლვერს და შავი პიდეაკიდან დილი ჩამოიწყვიტა.

— გამოაღე მესამე.

იმდენად მტკიცე, აულღევებელი იყო დემნას ლაპარაკი, იმდენად ცივი იყო მისი ვაყვაცური სახის გამომეტყველება, რომ შემეშინდა მისი. ის უკვე აღარ იყო ჩემი მეგობარი, ჩემი დემნა. იმ წუთში ჩემს წინაშე იდგა კაცი, რომლის ყოველი სიტყვა ბრძანებას წარმოადგენდა.

— ხანჭლით საჯაიასთან, — მომმართა დემნამ ძლივს გასაგონი ხმით.

ფრთხილი ნაბიჯით შევიპარე მეორე ოთახში. კრაქის მბეჭეტავ შუქში შევნიშნე ახალგაზრდა, ჯმუხა სახის კაცი. ტახტზე ხვრინავდა. ფეხი ფეხზე გადაედო, ცალი ხელი საკინძგაღელილ თეთრ პერანგში შეეყო, მარჯვენა კი იატაკზე ჩამოეგდო.

გულთან აელევებული ხანჯალი ავწიე ზევით, რომ მძლავრად დამეცა. ხელი მაგრად მოვეჭირე ხანჯლის ტარს, კბილები მჭიდროდ დავადგი ერთმანეთს, სხეული დამეძაბა, მაგრამ ხანჯალი ვერ დავძარი ადგილიდან. თითქოს ვეთხოვებოდი სიცოცხლეს; თითქოს დავარტყამდი ხანჯალს და მომამორებ-

დნენ თოლიგეს, საყვარელ ტყეს, მინდვრებს და შორს... ძლიერ შორს/ გადა-  
მტყორცნიდნენ.

ხანჯალი ჩავაგე ქარქაშში და უკანვე გაებრუნდი.

— მოჰკალი? — შემეკითხა დემნა, როცა მივუახლოვდი მას.

— კი, გაეაკეთე.

სწრაფად ჩამოვირბინეთ ბეტონის კიბე.

ცხენებს მოვაფრინდი. თეთრი ლანდი ბარბაცით გამოვიდა ივანეს სა-  
ხლიდან და ხრინწიანი ხმით იყვირა: ყაჩაღები...

გავეკარით ცხენებს და ზენაქარივით გავქანდით. თეთრმა ლანდმა სამ-  
ჯერ გვესროლა თოფი. ერთმა ტყვიამ გაიწივლა ჩემს გვერდით. „ოხმე“, —  
აღმობხდა ჩემგან ოცი ნაბიჯით წინ მყოფ დემნას. ის გაიმართა წელში და  
შემდეგ ისევ გაეკრა ცხენს.

ცივი ჰაერის უღვეველ კედელს მივარღვევდით. შევარდენის ნალები  
ჰაერში ჰფანტავდა ციციანთელებს.

სიამაყით ამევსო გული. ჯარი, რომ დაგვხედროდა, არ დავიხევედი, არა-  
ვისი მეშინოდა. ვაქაცად წარმოვიდგინე თავი და სწორედ იმ დროს გვე-  
ლივით მიკბინა ფიქრმა: „ლაჩარო! შენ ხანჯალი ვერ დაარტყვი მძინარე  
კაცს! ჰმ... მძინარე კაცი ვერ მოჰკალი, ეს ვერ გაჰბედე, ვინ ხარ შენ“.

დავპატარავდი, ტუჩებს ვიკბენდი, ვისისხლიანებდი და ვილაც მდაღე-  
და: ლაჩარო... ჰაუ... შე ლაჩარო...

მინდოდა შემობრუნება, საჯაიას აკაფვა, და რატომღაც სადავეებს კი  
არ ვკიდებდი ხელს, ცხენს მივყვებოდი.

შუალამე გადადიოდა. ცხენები კი გარბოდნენ და გარბოდნენ.

## X

მთვარის ნახევარი ელვარებდა აქარის მთების მწვერვალზე, როცა ტყეს  
შევაფარეთ თავი. ტყესთან კოლოები იმდენი დაგვესია, რომ მთვარის შუქში  
ჩემივე ცხენის თავს ველარ ვხედავდი. ხელებს და სახეს გვიკაწრავდა ეკა-  
ლი. ცხენები მუხლებამდე იძირებოდნენ ტალახში და ფრთხილად მიაბიჯე-  
ბდნენ. გულის ტკივილით ვუყურებდი დემნას ზურგს და მისი სუნთქვის  
დაჰერას ვცდილობდი. ჩემი ცხენი ურჩობდა, თრთოდა, წამდაფუწმ ჩერ-  
დებოდა. ჩვენს მახლობლად დაძუნძულდებდნენ მგლები და ყმოდნენ. ხეებს  
შორის ჩნდებოდა თხილის ოდენა ორი ნათელი და ისევ ქრებოდა.

დავშორდით მგლებს. ქარის ღრიალი და ტოტების ლაწალუწი ისმო-  
და. უკვე ახლო ვიყავით კარაეთან, როცა დემნა ქვეშ ჩაეშვა ცხენით. ვიფიქ-  
რე: „შევარდენმა წამოაჩოქა-მეთქი“ ჩემი ცხენი შევიჩერე. შევარდენი ფრუ-  
ტუნებდა. ჩემს ცხენს შემოვკარ მათრახი. ცხენმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა,  
წინაფეხებით ჩავარდა ორმოში და ჰაობში გადამისროლა. დასველებული  
წამოვკვარდი.

შევარდენი კისრამდე ჩაძირულიყო ჰაობში. დემნას უღონოდ ჩამოეგდო  
თავი და შევარდენის ლამაზ კისერს შემოხვეოდა. — „ცუდად არის საქ-  
მე!“ — შემომკვილა ფიქრმა. ხელი ჩავავლე მაჯაში. დემნა არ განძრეულა,  
ერთიც კი არ შემოუხედავს ჩემთვის. — დემნა, შენი ჰირიმე, დემნა რო-  
გორ ხარ, ნუ გეშინია, გაიმაგრე გული, — უაზროდ ვბურღლულვებდი ამ  
სიტყვებს. წამოვიკიდე დემნა, ამოვედი ჰაობიდან და კარაისაკენ გავეშურე.

მახსოვს: ვიღაც თმაგაწეწილი და გაფითრებული დარბოდა გულში და ჭრუნატელის მგერელ სიტყვებს ჩამძახოდა: „დემნა მოკვდებოდა ჯიჯიხარე შენ, საძაგელო მკვლელო. მკვლელი ხარ, მკვლელი“, — გამკვირდა მისი კელში მებჭინებოდა და მალჩხოზდა.

— ვინ მოგყავს? — შემომეგება შეშფოთებული რემა და ხმა აუქანკალდა.

ცეცხლის პირას ნაბადზე წამოვაწვინეთ, შუბლი ცივი წყლით დაეუსველეთ. დემნამ ნახევრად გაახილა თვალები. — ბაბა ხარ ხომ? — ხრინწიანი, დაბალი ხმით შეესიტყვა მოხუცს და თვალები ისევ მილულა. მოხუცი უაზროდ შემომყურებდა, რალაცას მეკითხებოდა. მერე, წამოიჩოქა, გვერდით დაიდგა წყლით სავსე კოკა და ახალხი გაუხსნა. სისხლით შეღებილი პერანგი ვახია რემამ და ნაღვლიანი თვალებით შეაშტერდა ჭრილობას. მე ვერ გავუძელე იქ დგომას და კარავიდან გაველი. სადაც კი გავიხედე, ყველგან სისხლიანი პერანგი ამეჩრდილა. თმები ყალყზე დამიდგა. სასწრაფოდ შევეტრიალდი და კარავის კარებთან კენესა შემომესმა: — რაუდ... შევარდენი...

მომაკვდავის კენესამ თავზარი დამცა. ვეძებდი შევარდენს. ჩემი ცხენი იდგა თხემლის წკნელისაგან დაწულ ბოსელთან, სახურავიდან გლეჯდა ისლს და ღეჭავდა. ანთებული კვარი წავიდე, ჩქარი ნაბიჯით შევიპერ ტყეში, მაგრამ ცხენი აღარ დამხვდა იქ; მისი ძვლები და უნაგირი ვიპოვე მხოლოდ. ერთი მგელი ლოკავდა მის ჰკვიან თავს და კვარი რომ მივანათე — არ შეეშინდა წყუელს. თავი ასწია და ყურება დამიწყო. ვესროლე ხანჯალი. ავარდა ის ურჯულო, გადააბტა მაყვალის ბუჩქებს და დაიკარგა.

დემნას ვუთხარი: შევარდენი შენს მოღონიერებას და მორჩენას ელის-თქო.

— ბაბა! უბეში მაქვს ფული. ხვალ ჰალადიღში მოვლენ ლოლუას მუშები და მიეცი სულ, — ამოიგმინა დემნამ.

ცრემლი მებჭინებოდა. კარავი დაეტოვე. კარგა ხანს ვიჭექე ურმის უღელზე. როცა შევბრუნდი კარავში, დემნა სამარადქამოთ გამომშვიდებოდა სიციცხლეს. თვალტრემლიანი რემა ფიცრებს სჭრიდა, კუბოს ამზადებდა. — შეიძლება მდევრებმა მოგვაგნონ და მიცვალებული შეურაცკყონო, — გულდაწყვეტით მეუბნებოდა.

იმ ღამესვე ამოვთხარეთ მიწა და ჰადართან დავმარხეთ დემნა.

მომე იყო ის ღამე. ყრუდ ჰვეითინებდა კარავის მიწურ იატაკზე დამხობილი რემა.

„ნუთუ დემნა აღარ დამიწყებს ლაპარაკს? ნუთუ აღარ არის დემნა? რომ მომეკლა ის ძაღლი, ხომ ცოცხალი იქნებოდა დემნა? რატომ არ მოვკალი, რატომ არ მოვკალი?“ — სინანულით ვეკითხებოდი თავს, და ირგვლივ კი... იცოხნებოდნენ ძროხები, ისმოდა კამეჩების ფშინვა. ჩხაოდნენ ტურები და გულშემზარავად ჰყეფდნენ ძაღლები. ნათლად წარმომიდგა ჩემი ბავშვობა, დაბურულ ტყის ჰაობიან მიწაში ჩასვენებული დემნას ჯერ კიდევ თბილი გვამი და მე აეტირდი.

დემნას მკვლელი როგორ დავრჩენილიყავი რემასთან?

გადაწყვეტიტე: წავალ ანაკლიაში, გემზე მოვეწყობი ნაოსნათ და შურს ვიძიებ-მეთქი.

ზენაქარი ნეობდა იმ დამით.

დანაკვერჩხლებული კობიტი ღვივოდა. ხან ანათებდა წინაშე მისი კი  
ლულავდა ნაცრისფერ თვალებს და დანადვლებულ ადამიანების სისველებდა.

## XI

ალიონისას აცივდა. რემას ჩაეძინა, პირიდან გადმოუვარდა მეგრული ჩი-  
ბუხი და ანთებული თუთუნი ოქროს წინწყლებათ დაიპნა მიწის იატაკზე.  
ჩავიცივ ფარაჯა, უბემში ჩავიდე „ბერლინ-გერმანია“, ამოვიოხრე და ანა-  
კლიისაკენ გავწვიე.

ქრიალებდა ზღვაური, ირწეოდა ტყე. „მშვიდობით ტყეებო! მშვიდობით  
რემა!“, — ვამბობდი გულში, დაკარგული მქონდა უკან დაბრუნების იმედი,  
თვალს ვერ ვაშორებდი იმ ადგილს, სადაც მეგულეობდა ჩვენი კარავი და  
მწყდეობდა გული.

მზე იძირებოდა ზღვაში, როცა მშვიერმა ანაკლიას მივადწვიე. ნაპირთან  
მიბმული, პატარა, იალქნიანი ხომალდი ქანაობდა ზვირთებზე. კენჭებზე წა-  
მოვწვიქი. ვუცდიდი ნაოსნის გამოჩენას. ლოდინში შემომალამდა. ავედი ხო-  
მალდზე და ჩავეხდე. ორი ნაოსანი მისხდომოდა რგვალ მაგიდას და ღვინოს  
სვამდნენ. მაგიდაზე ეყარა ხაზვის კონა, პურის ნაგლეჯი და მარილი.

— ეს ვერანა, ძილშიაც გვარდიელებთან მუშტი-კრივი მესიზმრებთაო, —  
ხუტუტუთიანს, თეთრი სახის ნაოსანს სიცილით ეუბნებოდა შავგვრემანი,  
ძვალმსხვილი მეზღვაური.

ტიქები გამოსცალეს, მაგიდის ქვეშ შეაწყვეს ბოთლები, პურის ნამცე-  
ცები ჩამობერტყეს ხალათებიდან და ზევით ამოვიდნენ. რომ დამინახეს —  
ეუცხოვათ. გამომკითხეს ვინაობა.

მითხრეს: გეტყობა — კარგი ვაეკაცი ხარ. ეხლა ჩადი, დაიძინე და ხვალ  
კი კაპიტანს წარვუდგენთ შენს ბრწყინვალე გოგრასო.

ისე გამახარა ნაოსნების სიტყვებმა, რომ მინდოდა მოვხვეოდი და სა-  
თითაოდ ვადამეკონა. ჩავეყვი კიბეს. მაგიდაზე გაპნეულ პურის ნამცეცებს  
ფრთხილად მოვუყარე თავი (ვცდილობდი მაგიდის ფიცრებს შორის არ  
ჩავარდნილიყო არც ერთი), ჩავეყარე მუჭაში და გადავყლაპე.

## XII

სამ თვეში ვისწავლე ქართა სახელწოდება და ხომალდის მართვა.

ხუტუტუთიანი ვანო თოიძე, ახოვანი ჯილაური და მე განუყრელი მეგობ-  
რები შევიქენით. ჭალარა კაპიტანი რემასავით შემოიყვარდა. ვადამავიწყდა  
თოლიგე, რემას ნახვა კი მენატრებოდა ხშირათ.

ფოთის ნავსადგურისაკენ მივაქროლებდით ხომალდს. საქესთან ვიდექი.  
სავსე მთვარე ხან მუცლით ებჯინებოდა ანძის თავზე ჩამომჯდარ თოლიას,  
ხან კი ზევით იწვიდა.

გაშმაგებული ზღვაური ებრძოდა იალქანს. ცხვირით გადაეშვებოდა  
ხომალდი, შემდეგ მისი უკანა ნაწილი ჩავარდებოდა, გადაწვებოდა ხომალდი  
ტალღებზე, თითქოს ეს არის უნდა გადატრიალდესო, და მისრიალებდა. პირ-  
ქაფიანი ზვირთი ასველებდა იალქანს და სახეზე მაყრიდა მარილიან წინ-  
წყლებს.

ლურჯის ცის, ღრუბელთა ნაფლეთების და ლიბრი ტალღების მეტს  
ვერას ხედავდა თვალი.



გამოჩნდა ფოთის შუქურა. აკაფდა სახლებში შუქი. მივუახლოვდით ნავსადგურს. გავაღვიძე კაპიტანი. ნამქექარევი დაგაღვი-ბით კაპიტანმა შეხედა მთვარეს, ჯიბიდან ამოიღო ყალფი ფაქურა და დააბოლა.

ლუზა ჩავუშვი, ხომალდი მივაბით ნაპირზე.

ხელობრი დავიბანეთ. ჯილაურმა კაპიტანს სთხოვა: სამივე წაეღო და ვივახშმებო.

ჩვენგან ორმოციოდე ნაბიჯის მანძილზე დაშორებულ რესტორანში შუ-ქი ქახუხებდა და მისი ღია კარიდან სიმღერა იფანტებოდა:

— „Из-за пары растрепанных кос с оборванцем подрался матрос“, — ვილაღ მღეროდა ამ ლექსს სასიამო ხმით.

— წადით, ივახშმეთ, — გვითხრა კაპიტანმა, — ოღონდ აყალმაყალი არ ასტეხოთ. ჯილაურო განსაკუთრებით შენ გეუბნები ამას.

— ჩხუბს როგორ აეტეხავთ შენი ჭირიმე, — დათვით ჩაიბურღლუნა ჯილაურმა, ულვაშებზე გადაისვა ხელი და ჩვენზე ადრე ის წავიდა.

რესტორანში არღანი უკრავდა. საკმელი და ღვინო მოვითხოვეთ.

გვარდიის ოფიცერს მუხლებზე ესვა მეძავი. კიქიდან ჯერ თვითონ მო-სვამდა ღვინოს და მერმე ქალს ალევინებდა.

ქალს ხარბათ ვუყურებდი.

— რა კარგი ყმაწვილია! — ჩემზე სთქვა ქერა, ხუჭუჭთმიანმა, ცისფერ-თვალეზიანმა მეძავმა და ოფიცერის მუხლებიდან ჩამოსვლა მოიწადინა.

— რაო? ისინი გინდა? — ამოიღირღილა ოფიცერმა, ქალს ღონივრად შემოსალტა ხელი, ჩვენსკენ მოატრიალა ჩასისხლიანებული თვალეზი, დედა შემოგვავინა და მუქარის ნიშნად თითი დაგვიქნია.

ჯილაურს წარბები ჩამოუვარდა თვალეზზე. პირთან მიტანილი ღვინის კიქა მაგდაზე დააგდო. ბროლის კიქა აქანავდა, გადატრიალდა და წითელი ღვინო გველივით გაწვა ტილოს სუფრაზე, თეთრი პურის ნატეხს მიადგა და გააწითლა.

ვანომ ბებუთისაკენ წაიღო ხელი.

მიძმეთ წამოგდა ჯილაური.

ოფიცერმა ჩამოსვა ქალი და სახელოები აიწია. ხარივით დაეტაკა ჯი-ლაური, ხალათში ჩაეღო ხელი, თავი გაატყა სახეში და თან მუშტი მიაცო-ლა. ოფიცერის უზარმაზარი სხეული იატაკზე გაიშხვართა... პირიდან და ცხვი-რიდან სისხლი წასკდა.

როცა ჯილაური სისხლიან ხელს ისუფთავეებდა ჯიბიდან ამოღებულ პა-ლით, რესტორანში საჯაია შემოვიდა. მას გვერდით მოჰყვებოდა რესტორა-ნის პატრონი, ჩასუქებული, შუახნის ვაჰან კაციევი, ჯილაურისაკენ იშვერდა მარჯვენა ხელს და ხმა მალდა შესჩიოდა: ეს მატროსი ისე არ შამოვა, რომ რამე არ დაამტერიოს.

საჯაიას რომ შევხედე — დემნა წარმომიდგა თვალწინ, შურისძიების გრძობამ იფეთქა და აზღავდა ჩემში, ჯიბისკენ წავიღე ხელი, „ბერლინ-გერმანია“ შუბლში დავემიხნე და ვესროლე. საჯაია ზურგით დაეცა იატაკ-ზე და გაიქიმა. მისი ქული გაგორდა და კაციევის ფეხებთან გაჩერდა. საჯა-იას მარჯვენა თვალიდან სისხლი ჩქიფინებდა. პირისისხლიანი ოფიცერი უხ-მოდ წამოჯდა, საჯაიასაკენ მიიბრუნა პირისახე და გაინაბა.

— რევოლვერი დამალე, გაიქეცი, — იყვირა ჯილღურმა, რევოლვერი ჩაივსო ჯიბეში, სირბილით გავყევი ლიანდარს და წავედი დისას რემასთან ვიყავი.

— დემნას მკვლელი სიცოცხლეს გამოვასალმე, — მისვლისთანავე ვახარე მოხუცს.

— აწი დამშვიდებით მოვკვდები, — ჩიფჩიფებდა რემა, მიხუტებდა, შუბლს მიკოცნიდა. — არ ინალელო შეილო რაუდ, თოლიგე ამ რამდენიმე თვის წინათ გაგიტხოვდაო.

— ვისაც უნდა იმას მისტხოვდეს. ბიძი, ჩემთვის სულერთია, — ვთქვი, და მევე გამიკვირდა, რომ გულის რომელიღაც მხარეში ყრუ, გაურკვეველი ტკივილი ვიგრძენი.

### XIII

იმ ზამთარს რემა ჩავარდა ლოგინად. ღამით, როცა კვდებოდა, მიტკლის ცხვირსახოცში გახვეული ნალები მომცა და შემეხვეწა: „ბაბა! ეს ნალები მიაჭედე იმ ჰადარზე, რომელთანაც დაემარხეთ დემნა. როცა გაზაფხული მოვა, ყვავილები მიიტანე იქ“.

ღილით ისე დახუჭა გულამიანმა თვალები, რომ მზის სხივების თბილ შეხებას ვერ მოესწრო.

მთელმა სოფელმა იგლოვა მისი სიკვდილი.

დიდხანს, დიდხანს არ გაგვარებდნენ ბიძია რემას საწოლს. ვერ ვურიგდებოდი იმ აზრს, რომ აღარ მოვიდოდა იგი და თავის ალავს არ დაიკავებდა. მაგრამ დრო გადიოდა და რემას ამოოდ უცდიდა თხემლის წყნელისაგან დაწნული საწოლი.

რემა აღარ დაბრუნდა“.

კალე ბოზოხიძე

## ნაკილი უკონგოლან

ზამთარია, ჩვენი ჯარი  
ფინელთ ლაშქარს შეება,  
თეთრ ბანდების სივერაგე  
იგრძნეს მოსახლეებმა,  
მშობლიურმა მიწა-წყალმა  
თოვლით მოსილ ხეებმა.

მსგავსად პანთა სივერაგის  
აქ დუშმანი უნდოა,  
რომ არ ელი მახვილს ჩაგცემს,  
ტვერიც ყრუ და მყუდროა,  
აქ ქაობი, იქეთ ტბანი  
ყველგან თეთრი ურდოა.

ჩვენს ჯარს შესცქერს სიყვარულით  
დაბადრული ტყე-ველი,  
არ დარჩება მტრის სიმაგრე  
ერთიც დაუძლეველი.

რკინა-ბეტონ ნაგებობის  
სიმაგრეთა მრავლობით,  
განთქმულია ეს ქვეანა  
ტბებით, მიუვალობით,  
ცივი ზამთრის სივერაგით,  
მიუწვდომელ მგზავრობით,  
დანალმული ტყე-ველებით,  
სისხლისმღვრელი მთავრობით.

ჩვენი ჯარი საზღვარს გასცდა,  
მტერს შეება გულადად;  
მანერჰაიმს და მის ლაშქარს  
თეთრი კვამლი ჰპუგავდა,  
მოლოტოვის მოწოდებას  
ვასრულებდით სრულადა..

ათასგვარი სივერაგე  
მცადეს, რა არ იღონეს;

მტრებმა, მაინც გამარჯვების  
გზები ველარ იპოვნეს,  
გემით ნაპირს ვერ გავიდნენ,  
წყალი ველარ იფონეს.

კაპიტალის ქვეყნებიდან  
„მოხალისეთ“ რაზმები,  
მილიოდნენ, ივსებოდა  
მტრის საბრძოლო ხაზები;  
მაინც ფეხზე ვერ დგებოდა  
მტერი განაბრაზები  
და თვალთა წინ ეშლებოდა  
ძალა თავზარდამცემი.

ევროპიდან მოდიოდათ  
ფინელთ ყუმბართმშენები,  
კრეისერნი, საჭურველნი —  
ქვეყნის შემაჭრები;  
ყოველგვარი საშვალეობა  
ჩვენი შესაჩერები,

ვერც სიმრავლემ სიმაგრეთა,  
ვერც დამხმარეთ მრავლობამ,  
ვერც ზამთარის სივერაგემ,  
ვერც ვერაგმა მთავრობამ,  
ვერც შეაკრთო ჩვენი ჯარის  
განუხრელი მძლავრობა.

ციხე-კოშკი სიმაგრენი:  
ქვის, რკინის და ბეტონის,  
დანალმული ტყე-ველები  
არა საიმედონი,  
ცეცხლს მივეციოთ გზა-ხიდეები  
მტერთა სამოქმედონი.

ხან, ცხენდაცხენ წინ ვიწვედით,  
ხან, ღრუბლებში დაჰქროდით,



ხან, დაქრილ ტყვეთ ვატირონობდით,  
სოფლად ხანძარს ეპრობდით,  
ხან ხმალდახმალ შებრძოლებით  
თეთრ გენერლებს ვაობდით!

აჯანყებულ ფინელ მუშებს  
საობდა მტერი ბოროტი,  
სოფლებს ცეცხლი წაუვიდა  
დადგა კვამლის ვოროთი...

ურჩ ქვეშევრდომთ თავებს სკრიდნენ,  
არ ინდობდნენ შვილებსაც  
და აკენებში დანაღმულებს  
ატოვებდნენ ჩვილებსა;  
გადაბუგულს გლეხთა სახლ-კარს,  
ცხოველთ თავდაჭრალებსა,  
წყალს მოწამლულს, პურს  
მოწამლულს,  
ხის ნაღმიან ძირებსა...

და მთავრობის სიველურეს  
ბევრი გლეხი გაექცა,  
ზოგი დარჩა ჩვენს მხარეზე,  
ზოგიც ველზე დაეცა,  
არ შეეძლო მანერპაიმს,  
რომ ქვეყანა დაეცვა,  
განადგურდა მოსისხარი,  
თავზე ზეცა დაეცა...

თუმცა მსხვერპლი იყო ბევრი  
სისხლის გუბე დგებოდა,  
ზოგი მძიმე ჭრილობისგან,  
ზოგიც ყინვით კვდებოდა,  
ვერ უძლებდა სამხრეთელი,  
ფეხზე ველარ დგებოდა  
და სიცოცხლე ჩრდილოეთის  
ყინულებში ჰქრებოდა, —

მაინც ვძლხეთ იერიშით,  
სიმაგრეთა კრებულო,  
საბოლოოდ დავამარცხეთ  
მტერი გამაგრებულო  
და გამოჩნდა შორს ვიბური  
ცეცხლით განათებული...

მაშინ, — როცა მივადექით  
უკანასკნელს კარი-ბჭეს,

ტყვიამფრქვევთან შე დავუქმე,  
ამხანაგი დამიჭრეს,  
ქვეყნული  
პიზლიყოსიქა  
თეთრფინელთა ოფიცრები  
თავს დაგვესხნენ ზურგიდან,  
მოვებრუნე ტყვიამფრქვევი  
მტერს სისწრაფე უქვირდა...

ტყვიით ყველა მოვეცელე და  
ერთი დამრჩა ცოცხლად,  
ტყვე არ მოვკვალ, შევიბრაღე,  
ისიც თითქოს მლოცავდა —  
იღგა, როგორც პატარძალი  
თავდახრილი მორცხვად!

დავინდევი, მან კი დანით  
დამჭრა, დამაიარა,  
დავინახე ტყვე გარბოდა,  
სანგარს გადაიარა,  
ვესროლე და მანაც მოკლულთ  
ბედი გაიზიარა...

სისხლისაგან ვიცლებოდი,  
ყველგან იყო ბურანი;  
თვალწინ მდგა ყალყზე მდგარი  
ბუდიონის ქურანი...

და ვხედავდი ტიმოშენკოს  
გასაოცარ გმირობას,  
მიტაცებდა წითელ მებრძოლს  
ქვეყნის უნაპირობა!

მოლოტოვის სურათს ვცნობდი  
მზირალს მაღალ კოშკიდან,  
ხალხს დასცქერდა სიყვარულით  
სტალინური დროშითა.

შევხაროდი წითელ დროშებს  
რომ ეხატა სტალინი,  
და ვხედავდი ციხე-კოშკებს  
გოლიათის ტანივით.

ჩანდა დამხდურ ხალხის შვება,  
იქ მაედურიც ერია,  
და, ვით დილის გათენება  
თვალწინ მდგა ბერია...

მ. ლეონიძე

ლ ე მ ი ნ ი

1.

მწუხარე დემონ, დევნილი სული,  
 ცოდვილ ქვეყანას თავს დაპფრინავდა;  
 და მის ხსოვნაში ნათლად ბრწყინავდა  
 უკეთეს დღეთა შვენება სრული, —  
 დღეთა, როცა მას შუქთა მხარეში  
 მადლი ემოსა ქერუბინისა,  
 როცა კომეტა სწრაფის თარეშით  
 ჩაუქროლებდა წინ სიწყინარეში  
 და მიაფრქვევდა პირზე ღიმილსა;  
 როცა, შეცნობას მოწყურებული,  
 მუღმივ ბურუსში უჭკრეტდა იგი,  
 თუ ვით მიჰქროდა მნათობთა რიგი  
 ქარავანებად გამწყრივებული;  
 როცა უყვარდა, გააჩნდა რწმენა  
 ქვეყნის ბედნიერ პირშო ქმნილებას,  
 ვიდრე იქვის და სიავის ჩენა  
 გამოიწვევდა მასში ცვლილებას;  
 როცა არ სჯიდა იმის გონებას  
 ეამთა ტრიალის უღრანი ტევრი...  
 და სხვა მრავალი, და კიდევ ბევრი, —  
 ვერ ასდიოდა ის მოგონებას.

2.

ყრუ სამყაროში უარყოფილი,  
 დიდხანს დაძრწოდა ის ნაწამები,  
 და მიილტვოდნენ წინ, ვით წამები,  
 საუკუნენი დასტად წყობილი  
 ერთფეროვანის მდინარეებითა.  
 უსიხარულო და უგრძნობელი  
 იგი, უმწეო მიწის მფლობელი,  
 მიწას ავსებდა ბოროტებითა.  
 მაგრამ არ სჩანდა მისი მგომბელი,  
 არსად უწევდა მოქიშვე ბრძოლას,  
 და ბოროტება მოჰბეზრდა ბოლოს.

3.

ის, მოწყვეტილი სამოთხეს მარად,  
 კავკასიონის მთით მიღლავდა,  
 მის ქვეშ მყინვარი, აღმასის დარად,  
 მარადიულის თოვლით ელავდა.  
 როგორც გრეხილი შავ სიბნელისა,  
 ვითა ნაპრალი, ბუდე გველისა,  
 დაკლავნილიყო ძირს დარიალი;  
 მასშიგან თერგი, ისე ვით ლომი,  
 დაფარაყრილი, ლოდებზე მხლტომი,  
 თავაწყვეტილი რბოდა ღრიალით.  
 და მთის ნადირსა, ფრინველსაც  
 ზევით,  
 ცად მოფარფატეს ლაქვარდის  
 რღვევით,  
 მისი ხმაური ყურთა სწვდებოდა.  
 ხოლო ოქროვან ღრუბელთ კრებული,  
 შორი სამხრეთით მოცურებული,  
 ჩრდილოეთისკენ თან მიჰყვებოდა.  
 შემქიდროებით შეყრილი კლდენი,  
 მღუმარენი და გარინდულელები,  
 მას დაჰყურებდნენ თავ-ჩარგულები,  
 გულგართობილი. ტალღების დენით..  
 ნისლში მოსჩანდნენ ხან-მონათევი  
 ციხე-კოშკები მტკიცენი, მყარნი —  
 მოყარაულე გოლიათები  
 კავკასიონის კარებთან მდგარნი!  
 იყო საკვირველ, იყო დიადი  
 ქვეყანა ღვთისა; მაგრამ ზვიადი  
 სული, მქროლავი, როგორც გრივალი,  
 ავლებდა ირგვლივ დამცინავ თვალსა,  
 და არ აჩენდა ზრახვათა კვალსა  
 მისი მაღალი შუბლის ფიქალი.

## 4.

ფერთა წარმტაცის გაცხოველებით  
გადაიშალა სხვა ბრწყინვალეობა:  
წინ საქართველოს ტურფა ველები  
დაფენილიყვენ ფერად ხალხბად.  
აჰ, ქვეყანა სავეს შევებითა!  
ყოველ მადლობზე ციხე რღვეული;  
დაქანებული, ჭაფმოჩეული,  
ფსკერ-მოოქვეილი ქრელის ქვეებითა,  
წკრიალა, წმინდა ნაკადულები;  
ვარდის ბუჩქები და ბულბულები  
ამღერებულნი მათშიგან ამოთ  
თავის უენო მიჯნურთა გამო;  
სუროიანი ჭადრების ჩრდილი;  
მღვიმენი, სადაც მხურვალე დღითა  
იმალეებიან ირმები ფრთხილი;  
ფოთოლთ შრიალი, ნიავე გრილი,  
მიმომახილი ათასგვარ ხმითა,  
თრთოლვა, კისკისი, გუგუნე, გმინვა,  
ათიათასი მცენარის ფშვინვა,  
შუადღე ცხელი და ვენებიანი,  
სურნელოვანი ღამე ცვრიანი,  
და ვარსკვლავები, მსგავსი თვალისა  
დამატყვევებელ ქართველ ქალისა.  
მაგრამ, გარეშე ცივი შურისა,  
დემონს, შეჩვეულს წყევას და გმობას,  
არ აღუძრავდა რაიმე გრძნობას  
მშვენიერება დანახულისა, —  
მას ყველაფერი, რაც თვალს  
ხვდებოდა,  
სძულდა ან კიდევ ეზიზღებოდა.

## 5.

ფართო ეზოში სახლი მაღალი  
ზე აღმართავს ჭადარა გულდარს...  
მის აგებაზე მონა მრავალი  
ოფლში ცურავდა, მორჩილი მუდამ.  
მახლობელ მთების ფერდობებს  
ღილით  
მიეფინება იმისი ჩრდილი.

საფეხურები, შეკრილი კლდეში,  
კუთხის კოშკიდან ეშვება ხევში;  
და ამ საშიშარ კიბეს ჩვეული  
ნორჩი თამარი, თავადის ქალი,  
ჩაივლის ხოლმე ჩადრმოხვეული  
და არაგვიდან ამოაქვს წყალი.

სახლი პირქუში, ყოველთვის წყნარი,  
ველს დაჰყურებდა მადლობზე  
ქვეყნის მწვერი;

მაგრამ დღეს იგი ხმაურობს ღვინით,  
გაჰკივის ზურნა, თერებიან ღვინით:  
გულდამა თვისი დანიშნა ქალი,  
ბუერია ხალხი სტუმრად მოსული.  
ბანს აფერადებს მრავალი ხალი  
და, დობილებით ვარემოცული,  
ზედ პატარძალი ზის მშვენიერი.  
იქვე სიმღერა ისმის ხმიერი  
შენელებული ტაშის ცემითა.  
ახლოა უკვე საზღვარი დღისა, —  
უკვე ნახევრად ბორბალი მზისა  
დაფარულია შორის მთებითა...  
ზეზე წამოდგა თამარი მაშინ,  
და გაძლიერდა გარშემო ტაში,  
ცეკვა დაიწყო კენარმა რხევით, —  
შეათამაშა დაირი ზევით,  
დაჰკრა ხელი და მოივლო თავსა...  
ხან გაქანდება ფრინველის მსგავსად,  
ხანაც შესდგება და, თითქოს ხარბი,  
დასველებია თვალი ნამითა,  
შემოჩრდილული შავ წამწამითა,  
ხან აეწევა უეცრად წარბი,  
ხან მთელის ტანით იხრება ძალზე,  
და მისრიალებს, მისცურავს ხალზე  
მაშინ იმისი ფეხი ნარნარი.  
უთრთის ღიმილი პირზე დამღნარი  
გულავსებულსა ბავშვურის ღვინით.  
მაგრამ სხივიც კი სავეს მთვარისა,  
როცა ათრთოლებს მას მდინარისა  
ქველი ანკარა მსუბუქის დენით,  
ტოლად არ ითქმის იმ ღიმილისა —  
თვით სიცოცხლეზე უფრო ტყბილისა.

## 7.

ვფიცავ ვარსკვლავსა შუალამისას,  
შექს დილისა და მწუხრის ეამისას,  
რომ არასოდეს, აღსავსეს ძალით, —  
არცა ოქროვან სპარსეთის შაჰსა,  
არც რომელიმე ხელმწიფეს სხვასა,  
არ დაეკოცნოს ამგვარი თვალი.  
არც შადრევანი ჰარამხანისა  
არასდროს თავის აღმასის თქემით  
არა ყოფილა მხურვალე მზეში

მაგრილებელი მსგავსი ტანისა.  
ჯერ მიწიერი არცერთი ხელი,  
საყვარელ შუბლზე ნაწნავის მშლელი,  
არ შეპხებია ამნაირ თმებსა,  
რა რომ დაიხშო სამოთხის კარი,  
ეფიცავ, მას შემდეგ, ამისი დარი,  
არ ახსოვს ქალი სამხრეთის მზესა.

## 8.

უკანასკნელად ცეკვავდა ისა...  
ვაგლახ აქედან ხვალ დილით წასულს,  
იმას, გუდალის შემეკვიდრე ასულს,  
თავისუფლების უზრუნველ შეილსა,  
ბედი მონისა ელოდა მწარე:  
იქ დაუხედება მას უცხო მხარე  
და ჯერ უცნობი ოჯახი ქმრისა.  
და ხშირად მასში ეპვი ფარული  
აღიძვრებოდა, და მხიარული  
სახე უეცრად იჩინედა ჩრდილსა.  
მაგრამ ყოველი მიმოხრა მისი  
აყო აღსავსე იმ სათნოებით,  
იმგვარ მომზიბლავ უბრალოებით,  
რომ თუ კი მაშინ დემონი მქისი,  
სრულად სამყაროს რომ იწუნებდა,  
ნახავდა იმას, — დახრიდა ფრთებსა  
მოიგონებდა წინანდელს ძმებსა,  
და მისგან ოხვრით პირს იბრუნებდა...

## 9.

და ნახა კიდევ... წამიერ მზერით  
სრულად შეიკრა სუნთქვა კრულისა.  
ცხოველმყოფელით აღივსო ბგერით  
უდაბნო მისი მუნჯი სულისა...  
კვალად შეიცნო სიწმინდე ტრფობის,  
სიკეთისა და მშვენიერების...  
და ბრწყინვალემა წარმტაც ფერების,  
გამომწვეველი ღმწიკვლო გრძნობის,  
თვალთვალა ხანგრძლივად იმან.  
კვლავ განიცადა ძველნი გზნებანი,  
და სულს უვსებდა მას ოცნებანი,  
როგორც მოწყვეტილ ვარსკვლავთა  
წვიშა.

იდგა. ახალი სახმილის ჩენით  
შებოაკილიყო იმისი ცნობა,  
და მეტყველებდა მის გულში გრძნობა  
მისთვის ოდესღაც მშობლიურ ენით.  
ნიშანი თუა განახლებისა?

ვერ მოიგონა სიტყვა წყვეტისა,  
ან შესაცდენი, ან ჯაჭვთაწარმო  
დაივიწყოს თუ? დემონისა  
არ მისცა იმას დავიწყებისა,  
თუმცა ის ამას არც ინდომებდა...

## 10.

დაღლილ ბედაურს მიაქროლებდა  
და მზეს ჩამავალს თვალს აყოლებდა  
სასიძო ფიცხი, მოუთმენელი.  
იგი ამდამ ქორწილს აპირებს.  
უკვე არაგვის მწვანე ნაპირებს  
უახლოვდება ის უენებელი.  
დაკლავნილ გზაზე მალეით და ჩენით  
მას აქლემები გამწკრივებული  
ძლივს მიჰყვებიან, მდიდრულის  
ძღვენით  
დატვირთული და დამძიმებული.  
ზართა წკრიალი მოისმის ნელი...  
ის ბატონია სინოდლისა,  
და ქარავანიც მისია გრძელი.  
თასმით გაუქრავს წერწეტი წელი.  
მზეზე უელავს, მკრელი თვალისა,  
მოკვდილობა ხმალ-ხანჯალისა;  
მხარზე ჰკიდია ზარნიშინი  
თოფი სიათა. ირგვლივ სრულიად  
ქულაჯა მისი მოსირბულია.  
მიაფრიალებს ქარი ფრთიანი  
ყურთმაჯებს მისას. ფერადის ძაფით  
ტურფად ნაკერი სჩანს უნაგირი  
და შემკობილი ფოჩვით აღვირი.  
ცხენს გაფიცებულს გასვლია ქაფი;  
ყარაბალული იორლა სწრაფი,  
იგი, უებრო, ოქროსფერია.  
ფრუტუნებს, აკრთობს უფსკრული  
შავი;  
ყურებდაცქვეტილს, ლამაზი თავი  
მას აღმაკერად გადუღერია  
და მჩქეფარ ტალღებს დაკყურებს,  
ფრთხალი.  
საშიშარია ბილიკი წვრილი:  
მარჯვნივ მიბორგავს მდინარე მალი.  
ლამდება კიდევ. თოვლიან მთისა  
შორს ვარდისფერი ჩაჰქრა თავანი,  
ნისლმაც დაიწყო მიმოშლა ფრთისა...  
და მიიჩქარის წინ ქარავანი.

## 11.

აგერ გამოჩნდა გზის პირას, მალა,  
სალოცავი და დასმული ჯვარი.  
აქ განისვენებს მტრის ხელით

მკვდარი,

ვიდაც თავადი, წმინდანი ახლა.  
მუდამ, წასული ომში თუ ლხინში,  
აქ გამოვლილი მგზავრი ყოველი  
პირჯვარს იწერდა ფარულის შიშით  
ხიფათისაგან ხსნის შემთხვევლი;  
და ასცდებოდა ამ ლოცვის ძალით  
მას მუსლიმანის მახვილი მჭრელი.  
მაგრამ არ შესდგა მხედარი მალი,  
არ შეასრულა ადათი ძველი.

მას ვერაგული ოცნების გზნებით  
გულს უშფოთებდა სული ცბიერი:  
თითქოს წყვილიადში ჰკოცნიდა ვენებით  
საცოლეს ბაგეს ის, ბედნიერი..

უცებ ლანდებმა გასერეს ბინდი,  
თოფის ქუხილმა შესძრა მთა-ველი.  
გულმხნე თავადმა არ დასძრა კრინტი,  
წინ გადიწია ქუდი-კრაველი,

უზანგოვებზე აზიდა ტანი,  
ხელი ჩასჭიდა ოსმალურ ლულას,

გადაუჭირა მათრახი ულაცს  
და წინ გაქანდა, არწივის მგვანი.

ისევ გაისმა თოფის გრიალი.

კვილი, კვენესა და ყრუ ხრიალი  
ხეობის ბნელმა სიღრმემ დამალა.

ბრძოლა გაგრძელდა მცირედი ხანი,  
შემოეცალა ბატონს ამაღა —

დაფრთხენ ლაჩრულად ქართველნი  
ყმანი.

## 12.

ორგვლივ ხმაური მიწყდა  
სრულებით...

შეშინებულნი, შეჯგუფებულნი  
მკვდრებს აქლემები თავს დაჰყურებენ  
და თანაც ეუვნებს აელარუნებენ

ყრუ სიჩუმეში. გაძარცვულია  
მათი მდიდრული ტვირთი სრულიად,  
და უპატრონო მკვდარ ქრისტიანებს  
ღამის ფრინველი თავს დასტრიალებს!  
ველარ ელირსონ აწ ეს გვამები  
დასაფლავებას მონასტრის კარად —

მიწაში, სადაც მათი მამები  
განისვენებენ მშვიდგულად.  
ვერ მოვლენ მათთან ტყვენი,  
შავ მანდილებით დაფარულები  
და ცრემლით დაწვებ-დაღარულები,  
შორის ქვეყნიდან, შორეულ მთებით!  
სამაგიეროდ მზრუნველის ხელით  
გზასთან აქ ჯვარი აღიმართება,  
და წამოსული სურო ბარდებად  
მას გაზაფხულზე გადებლართება  
ზურმუხტოვანი ყლორტების ქსელით.  
და იმის ჩრდილში, აქ გამოვლილი,  
დაჯდება ხოლმე მგზავრი მოღლილი.

## 13.

მიფრინავს ცხენი, ფეხმალი  
შველზე,  
ფთხენავს და ფიცხოვს ვით ბრძოლის  
ველზე,

ის ხან ერთბაშად შესწყვიტავს  
რბენას,

ნიავის ქროლვას მიაპყრობს სმენას,  
გააფართოებს ნესტოებს, თვალებს,  
ხან მიწას დაჰკრავს წკრიალა ნალებს,

კისერზე ფაფარ-გადაბურული,  
და მერე ისევ, როგორც შურდული,  
მიაფრენს მხედარს დადუმებულსა.

კაცს უნაგირზე უტოკავს ტანი  
და ცხენის ქედზე თავწადებულსა,  
შურევეია ფაფარში თმანი.

ხელში აღვირი აღარ უპყრია  
და უზანგებში ღრმად შეუყრია  
ფეხები. ნათლად მოსჩანს ყოველი:  
არის ახალი სისხლით სოველი...

მუხლადო ცხენო, ფიცხელის ძალით  
შენ გაფრენიხლარ ისარზე მალი,  
ბრძოლის ფარგალი გაგირღვევია,

გაგიტაცნია შენი მფლობელი,  
მაგრამ წყვილიადში წამოსწევია  
მას ოსის ტყვია დაუნდობელი!

## 14.

გაისმის კვენესა, მოთქმა ხმიანი:  
გუდალთან ხალხის შეყრილა ჯარი.  
ვისი მოვარდა ცხენი მტკრიანი  
და ჭიშკარის წინ დაეცა მკვდარი?  
ზედ უსიცოცხლო ვინ არის მკდარი?

შუბლი იმისი ნაოჭიანი  
აღბეჭდავს ბრძოლის შფოთიან  
კვალსა...

სამოსელსა და აბჯარის რკალსა,  
რომ ჩარეცხილან სისხლის ქაველებით,  
დაუჩნევიათ ლაქები ბნელი.  
მას უკანასკნელ გიჟურ ჩაველებით  
გაპქვავებია ფაფარზე ხელი.  
ო, არ მომხდარა შეშლას ვადისა,  
არ დაჰღალვია საცოლეს თვალი!  
სიტყვა წარმოსთქვა მან თავადისა  
და მოიხადა კიდევაც ვალო:  
მოვიდა... მაგრამ, ვაი რომ ფრენით  
ველარ წაიყვანს იორღა ცხენი!

## 15.

იყო ოჯახი დღემდე შვებული,  
დღეს თავს დაატყდა სასჯელი შავი.  
თამარი მწარედ ატირებული  
სარეცელს თვისას დაემხო თავით.  
სდიან ცრემლები სახის მთუთქავეი,  
მკერდი ერხევა მძიმედ მსუნთქავეი...  
უცებ ის შეკრთა მარტოდ შთენილი,—  
ნაკადულივით გადმოდენილი  
ხმა იღუმალი მოესმა წყნარად:  
„ნუ სტირი, ბავშვო, ნუ სტირი, კმარა!  
ქცეულა იგი უსულო გვაჰად,—  
მას მაიცოცხლებელ, საამურ ნამად  
შენი ცრემლები არ დაეცემა.  
თავად გემჩნევა იმათი კვალი:  
ქალწულებრივი ლაწვი გეწევა  
და გებინდება ნათელი თვალი.  
გული ამაოდ სევდით გეცემა,—  
ის ვერ გაიგებს, შორს არის ისა:  
ახლა მის თვალებს ეალერსება  
ცხოველმყოფელი სინათლე ცისა.  
ესმის გალობა იმას ციური...  
ცრემლები, კვნესა ამქვეყნიური,  
ატირებული საბრალო ქალი,—  
რალაც სიზმარი მცირე და მკრთალი,  
რად უნდა იმას, მშვილდსა და  
მღუმარს,  
ტურფა სამოთხის მბრწყინვალე  
სტუმარს?  
ო, დამერწმუნე, მიწის დიდებაგ,  
რომ სასიკვდილო არსების ხვედრი

მთლიანად იმად არ ედირობი,  
წამით რომ იგრძნო ნაღველი  
მის ცხოველებსა  
მის ცხოველებსა

მისცურავენ მნათობები  
ეთეროვან სუფთა ზღვაში  
არც აფრა და არც ხოფები  
არ სჭირდებათ ნათელ სვლაში.

თვალუწვდენელ მინდორ-ველად  
მიდი-მოდის ცაში წყნარად,  
უმიზნოდ და უზრუნველად,  
თმებ-ხუჭუჭა ღრუბელთ ფარა.

შეხვედრის თუ გაყრის წამი  
არა სტოვებს მათზე კვალსა;  
მათთვის წარსულს არ აქვს შხამი  
და შარბათი მომავალსა.

თუ დღე დადგეს შენთვის კრული,  
გახსენება მათი კმარა;  
გაიგრილე მათებრ გული  
და დაწყნარდი მათვე დარად.

როგორც კი ღამე კაცკასის მთაზე  
ჩამოიშლება პირქუშ ფარდებად,  
და დედამიწა თილისმურ ხმაზე  
მიითვლიმება და მიწყნარდება;  
რა წამსაც კლდეზე ფრთამალის  
ქარით

მიმოირხევა ბალახი მკცნარი,  
და შიგ ჩამჯდარი ჩიტი ფარულად  
შეაფრთხილებს ფრთებს მხიარულად;  
და, დაჩრდილული ვაზის ყლორტითა,  
ხარბად მსრუტავი ციურის ნამის,  
გაიფურჩქნება ყვავილი ღამის;  
რა წამსაც მთვარე მაღალ კორდიდან  
გადმოიხედავს, გადმოვა კრძალვით  
და შემოგხედავს შორიდან მალვით,—  
ყოველთვის შენთან ჩამოვფრინდები  
და არ დაგტოვებ, ვიდრე ბინდებით  
ცა შედებილი იქნება ბნელად,  
ვიდრე არ გავა დრო სიჩუმისა,  
რომ წამწამები აბრეშუმისა  
ოქროს სიზმრებით ვითართოლო  
ნელა“...

## 16.

შეწყდენ სიტყვები, შორს ჩაკვდენ  
ხმები

ერთი მეორეს დადევნებული.  
ათრთოლებული, თვალანთებული  
გაოცებით და უცნაურ გზნებით,  
ზე წამოიჭრა ერთბაშად ქალი  
და მიმოაელო გარშემო თვალი.  
არც შეშინება, არცა ნაღველი,  
არც აღტაცების მზურვალე ალი  
არ იყო ცალკე გამომსახველი  
მისის განცდისა. საოცარ ძალით,  
ყველა გრძობების აღძვრით ღელავდა  
სული ზღუდებზე-შემონარღვევი,  
და, ვით ავსილი ცეცხლით, ძარღვები  
უცახტანებდა და უღელავდა.  
თითქოს მას, უცხო და მშვენიერი,  
კვლავაც ესმოდა სიტყვა ხმიერი.  
თვალნი დაღლილნი მარტოდენ

დილით

მას მიენაბენ სასურველ ძილით...  
ნიშანდობლივი სიზმარის ნახვამ  
ქალს აღუშფოთა ძილშიაც ზრახვა:  
არამიწიერ მშვენებით სავსე,  
მოვიდა იგი, ვით ნისლოვანი, —  
უსიტყვო, ტურფა და ახოვანი,  
ოდნავ დახრილი დაადგა თავზე,  
და დააცქერდა იმგვარის ტრფობით,  
ისეთ მწუხარე, სევდიან გრძნობით,  
თითქოს მის გულში იყო მალული  
ქალწულისადმი ღრმა სიბრალული.  
იგი არ ჰგვანდა ანგელოზს ცისას,  
ღვთისგან მიჩენილს მფარველსა მისას:  
ნათლით არ ჰქონდა მოსილი თავი,  
არც ჯოჯოხეთის არსება შავი,  
ბილწი ცოდვილი, არ იყო ისა.  
არც ღღის და არცა ღამისა დარი,  
არცა სინათლე, არცა წყვილიადი, —  
ჩამომდგარიყო იგი, დიადი,  
ვით გამსჭვირვალე საღამო წყნარი.

## ნაწილი მეორე

## 1.

„ო, მამავ! მამავ! მორჩი მუქარებს,  
ნუ გაიმეტე თამარი შენი.

აჰა, მე ვატრქვევ ცრემლებს  
ვარკვე მღვდლურეს,  
და მერე უკვე რამდენად აღუწერია  
სულ ამოა, რომ გამალებით  
საქმრონი აქეთ მოიჩქარიან...  
საქართველოში ბევრნი არიან  
გასათხოვარი ტურფა ქალები;  
არავის ცოლი მე არ ვიქნები...  
ნუ მირისხდები, ძვირფასო მამა!  
ხედავ, თანდათან როგორ გიღნები!  
გულს რაღაც კრულვა მოედო შხამად;  
შემომჩენია სული ცბიერი,  
ცოდვილ ოცნებით ვარ შეპყრობილი,  
ვწვალთ — დაინდე შენგან შობილი,  
იყავ მოწყალე და ლობობიერი!  
ვთხოვ, შეაფარო მონასტერს წყნარსა  
შენი ასული შეუბოვარი;  
იქ დამიფარავს მე მაცხოვარი,  
დავათხვე მის წინ ცრემლების

ღვარსა.

ქვეყნად არ მეღის აწ სიხარული...  
ღე, აღნიშნული წმინდის ჯვართა,  
მე ბნელ სენაკით ვიქმენ ფარული,  
როგორც კუბოთი წინასწართა“.

## 2.

და წაიყვანეს თვისის ხელითა  
ერთ მონასტერში მშობლებმა შეილი,  
იქ სამონაზნო სამოსელითა  
მას დაუფარეს გულ-მკერდი ჩვილი.  
მაგრამ ჩაცმულიც ამგვარად ქალი,  
ვით ფარჩულში გამოწყობილი,  
იყო ბიწიერ ოცნების ალით  
გულდამწვარი და ძილგაკრთობილი.  
საკურთხეველის წინ დამხობილი,  
როცა აფრქვევდა ცრემლების ნამსა,  
თვით საზეიმო ვალობის ეამსა,  
ხშირად ესმოდა მას ხმა ცნობილი.  
ზოჯგერ დაბინდულ ტაძარში, ზევით,  
კარგად ნაცნობი სახე ჩნდებოდა  
და, საკმეველის ბურუსის რხევით,  
სივრცეში უხმოდ გაცურდებოდა.  
ბრწყინავდა იგი ვარსკვლავის დარად  
და ქალს შორიდან უმზერდა წყნარად.



## 3.

ორს მთასა შუა აშენებული  
მოსჩანდა წმინდა სამყოფი იგი.  
ქჳონდა მას მწყობრად გარს  
მოვლებული

აღვის ხეთა და ქადართა რივი.  
როს ხეობაში ღამე წვებოდა,  
ზოგჯერ მათ შორის გამოკრთებოდა  
ნორჩ მონაზონის ფანჯრიდან სხივი.  
ნუშის ხეები ხშირად სრულიად, —  
იქ, სადაც ჯვრებით აღნიშნულია  
საფლავთა ქვების ფიქალი ცივი,  
ჩიტის გუნდებით იყო ფარული,  
და გაისმოდა გარს მზიარული  
გალობა მათი მრავალხმიანი.  
წყარონი გრილნი, ბროლის ცვრიანი  
თავექვე ჩარბოდენ ქვებზე ჩხრიალით,  
და ძმურ შეკრებით იჩენდნენ ძალას,  
როცა ისინი აღწევდნენ ქალას  
გადმოღუნულის კლდით

დაჩრდილულსა  
და ყვაილებით გადათრთვილულსა.

## 4.

აღმართულიყვენენ მათათა გროვანი  
ჩრდილოეთისკენ. დილაზე ხევით  
როს აიშლება ბურუსი რხევით,  
გამსჭვირვალე და ლაქვარდოვანი;  
როცა ლოცვისთვის ხმით

აღვხნებულით,

აღმოსავლეთით მიბრუნებულნი,  
მოუწოდებენ გულმოდგინებით  
მართლმორწმუნეებს მუაძინები;  
ჩოდესაც ერთხმად აგრგვინდებიან  
ზეიმით ზარნი და ფხიზლდებიან  
ღვთისა მოსავთა მშვიდი ბინები.  
ჩოდესაც მოგროხ ხელჩაფით ხელში  
ნორჩი, წერწეტი ქართველი ქალი  
დაგვერდულ მთიდან დაკლაკნილ  
კვალით

ჩამოეშვება წყაროზე ხევში, —  
მაშინ თეთრ კედლად ზეაღმართული  
გადათოვლილი მთების თავები,  
ფერთა ოღნავის ჩალილაკებით,  
ჩნდებოდენ ცაზე, ვით დახატული;

ხოლო ჩოდესაც მზე ჩადიოდა,  
ვარდის ელფერი მტეხვე ცეცხლოდა.  
და იქ ყველაზე უფრულად  
მორთული ჩაღმით და ფარჩეულით,  
იდგა მყინვარი თავაწეული —  
კავკასიონის მეფე ზვიადი.

## 5.

მაგრამ ჩაადგო ცოდვილმა ზრახვამ  
თამარის გული იმნაირ აღში,  
რომ არ ანიჭებს შვენების ნახვა  
წმინდა სიხარულს. აწ იმის თვალში  
დაფარულია მიწა მთლიანად  
უღიმღამო და უსახღვრო ჩრდილით...  
მას ყველაფერი ხდის ნაღვლიანად —  
ღამით სიბნელე, სინათლე დილით.  
როგორც კი ზოღმე გარს წყველიადისა  
გრილი ზეწარი იშლება წყნარად,  
იგი წინაშე წმინდა ხატისა  
დაეცემა და ცრემლს აფრქვევს  
ღვარად;

ყრუ სიჩუმეში ისმის გოდება,  
და შეაფერხებს მგზავრს შეშფოთება —  
სმენას მიაპყრობს და ფიქრობს ისა:  
„უთუოდ მავნე სულბა მთისა,  
კლდეზე მიბმული ქვითინებს  
ხერულში!“ —  
და ცხენს დაქანცულს მიაფრენს  
ბნელში.

## 6.

ხშირად მწუხარე, ფიქრში  
გართული,  
თამარი თავის ფანჯრის წინ მარტო  
ზის და უწყვეტლევ თვალგამართული  
შორს იმზირება... სივრცეა ფართო.  
ღღე მოლოდინში გაივლის მთელი...  
„მოვა!“ მოესმის ხმა იმას ნელი...  
ის ხომ სიზმრებით ხშირად

სტკბებოდა,  
მას ხომ ყოველთვის ევლინებოდა  
იგი საოცარ ნაღვლიან მზერით  
და მშვენიერი სიტყვების ძგერით?  
თითქოს ქალს მკერდქვეშ აწუხებს  
წყლული,  
ღვრის დიდხანი ცრემლების წვიმას;  
უნდა წმინდანებს ევედროს გულით, —

გული ვედრებით მიმართავს იმას.  
პროლოით დაქანცულს ვერ უძინია:  
დაწება, მაგრამ ვერ დაწყნარდება,—  
სდაგავს ბალიში, თრთის, ეშინია,  
და ისევ ზეზე წამოვარდება!  
ასდის აღმური მკერდს გამწვავებით,  
ბინდს გადიფარებს თვალების გზენება,  
ხვეენას ეძებენ ხარბად მკლავები,  
და ცხელი კოცნა ტუჩებზე დნება.

## 7.

დაეცა, ციდან ჩამოწეული,  
საქართველოს მთებს წყვდიადის  
ფარდა.

უტკბესი ჩვევის მონად ქცეული,  
განდა ღემონი მონასტრის კართან:  
მაგრამ მას დიდხანს უძნელდებოდა  
შებლაღვა წმინდა სამყოფელისა.  
ზოგჯერ ისეთი წამიც ღებოდა,  
როცა აღება სურდა ხელისა  
ავ განზრახებაზე. ფიქრში გართული  
მალალ გალავანს უფლიდა ისა,  
და ირხეოდა ფოთოლი ხისა  
მისი სელის გამო. ზეაღმართული  
ღემონმა სარკმელს მიაპყრო თვალი  
და შეამჩნია სინათლე მკრთალი.  
ვის ელოდება ბედშავეი ქალი?..  
უცებ დაირღვა გარს მყუდროება:  
გაისმა ჩანგის ხმატკბილი ქლერა  
და შეწყობილი სიმებთან მღერა.  
ათრთოლებული ხმა ხმას მოება  
და, ვადმოხეთქილ ცრემლებს გვარად,  
ერთი-მეორეს მისდევდნენ წყნარად;  
იმდენი იყო სინაზე ხმაში,  
თითქოს მიწისთვის შეეთხზათ ცაში  
სიმღერა იგი. ეგებ აქ ლამით  
ცის ანგელოზი მოფრინდა წამით,  
რათა ენაზა, ტანჯვით ვნებული,  
მას მეგობარი დავიწყებული  
და ამ სიმღერით, წარსულზე  
თქმულით,

დაეტკბო მისი მტკივანი გული?..  
იგრძნო ღემონმა, მსგავსად წყლულისა,  
პირველი სევდა სიყვარულისა...  
ლაშობს შემკრთალი ვაფრენას ისა,  
მაგრამ ვერ შესძლო შერხევა ფრთისა!

მაშინ მან დაბლა დახარა თავი,  
და, სასწაული! — ფიქრდღული... დავალსა  
ცრემლი ჩამოსწყდო მტკივი... ფიქრწვევი...  
ახლაც ხედავენ იქ იმის კვალსა:  
სენაკთან არის ქვა გახვრეტილი —  
მას დასცემია საკვირველ ძალით  
ცრემლი მხურვალე, ისე ვით ალი,  
არამიწიერ თვალს მოწყვეტილი.

## 8.

და შედის იგი, სიყვარულისა  
და სიკეთისთვის გულგაღებული;  
ფიქრობს, რომ დაღვა, ნაცვლად  
კრულისა,  
ცხოვრება მისთვის განახლებული.  
იგრძნო მან შიში გამოურკვევი,  
და აუთრთოლდა სული ურყევი,  
როგორც უცნობი მომავლის წინა.  
ეს იყო მისთვის ნიშანი ავი...  
შევიდა იგი სენაკსა შინა;  
შარავანდელით მოსილი თავი  
თვალწინ დაუდგა ქერუბინისა,  
მუნ სამოთხიდან მოგზავნილისა  
ულამაზესი ცოდვილის მცველად.  
დახედა ქალწულს მან ღიმილითა  
და წამოხრილი ფრთების ჩრდილითა  
იგი მტრისაგან დააფარა ნელა...  
ალი ზეციურ სხივთა გზნებისა  
ლახვრად ეკვეთა თვალს ბიწიერსა,  
და ნაცვლად ტკბილის მისალმებისა,  
ხმა ღალადებდა კიცხვას ძლიერსა:

## 9.

„დაუდგრომელო, მზაკვარო სულო,  
აქ რისთვის მოხველ, რა გეგულემა?  
შენდამი ტრფობა და ერთგულემა  
აქ არ აჩნია არავის წყლულად;  
აქ ბოროტებას დახშვია თვალი,  
აქ ცის მადლია მფარველ კედელად!  
ჩემი სიწმინდის წარსაწყმედელად  
რად გაიკაფე, მაცდურო, კვალი?  
ვინ მოგიწოდა?

ცივი და მწყრალი,  
ისმენდა ნათქვამს ღემონი მჭისი,  
მერე გაისმა სიცილი მისი,  
იქვით აღეგზნო თვალები წამით,  
და ძველი შუღლის ნაცნობი შხამით

არსება მისი აღივსო კვალად.

„ჩემია იგი! — წარმოსთქვა

მწყრალად: —

იგი ჩემია! აიღე ხელი!

დაგვიანებით მოსულხარ მცველი,  
და ჩვენი განსჯაც არა გდევს ვალად.

გულს შეგონებულს შეეხო ალად  
ჩემი ბეჭედი ცეცხლის მგზნებელი;  
აქ შენს უფლებას მოელო ბოლო,  
და აწ, იცოდე, აქ მე ვარ მხოლოდ  
მოსიყვარულე და მბრძანებელი!“

და ანგელოსმა ბედშავ მსხვერპლს  
მაშინ

დახედა სევდით სავსე თვალებით,  
და ფრთების ნელი ამრიალებით  
შთაინთქა იგი ეთერის ზღვაში.

#### თამარი

პოი, ვინა ხარ? შენს მიერ თქმული  
სიტყვები მაკრთობს! ვინ მეჩვენება —  
ჯოჯოხეთის თუ სამოთხის სული?  
რა გასურს?

#### დემონი

შენა ხარ ქვეყნის შვენება!

#### თამარი

მაგრამ მაუწყე — ვინა ხარ შენა?

#### დემონი

მე ვარ ის, ვინაც ეგ შენი სმენა  
დაიპყრო ღამის იღუმალ ჩრდილში,  
ვისაც გაუგე ზრახვების ენა,  
ღრმა კაეშანი და გულის ტკენა,  
და ვისი საბეც იხილე ძილში,  
მე ვარ ის, ვინაც იმედსა ჰღუპავს,  
როცა იმედი ხდება ცხოველი,  
ვარ იგი, ვინაც არავის უყვარს,  
ვისაცა სწყველის არსი ყოველი.

მე დრო და სივრცე ვერ მართმევს

ლონეს,

მე ვაწიოვებ ჩემს მოკვდავ მონებს;  
ვარ მეფე ცოდნის, თავისუფლების,  
მტერი ცისა და სიბუდე მიწის,

მაგრამ ეს გული შენს გამო იწვის,  
შენ წინ მიხდება მოყრა მუხლების!  
ვარ სიყვარულის შემომწირველი —

აჰა, მიიღე ლოცვები წრფელი,  
ამქვეყნიური ტანჯვა პირველი,  
ჩემი პირველი ცემილმეორე ცემილი.  
ო, მომისმინე, დამინდე კრული!  
სულ ერთი სიტყვა შენს მიერ თქმული  
კვლავ აღმავსებდა ღვთიურის  
მადლით.

ვით ანგელოზი ახლად შობილი,  
ზე აღვიდოდი მე, შექობილი  
შენის ტრფიალის უმწიკლო ნათლით,  
და ჩემს წინაშე ჩემთვის ცნობილი  
გაიღებოდა ცათა კარები.

ო, მომისმინე, გემუდარები, —  
მე შენ მიყვარხარ, მონა ვარ შენი!  
უკვე გავიდნენ მრავალნი დღენი  
მას შემდეგ რაც მე პირველად ვნახე  
კდემამოსილი ეს შენი სახე;  
მყის უკვდავება შემძაგდა ჩემი,  
და გახდა ჩემთვის ნუგეშის მცემი  
ნატვრა მიწიერ სიხარულისა,  
წამიერის და არა სრულისა,  
ყოფნა მწყუროდა მას შემდეგ მარად  
შენს ახლოსა და შენსავე გვარად.  
ასე, გაყინულ, უსისხლო გულში  
უეცრად სხივი აენთო მწველი,  
და განახლებულ ძველთაძველ

წყულულში

სევდა გაინძრა ისე, ვით გველი.  
რაა უშენოდ ეამთა გრძელობა,  
ჩემი უფლების უსაზღვროება,  
ჩემი სამეფო ჰაეროვანი? —  
სიტყვები ფუჭი, თუმცა ხმოვანი,  
ტადარი დიდი და დიდებული,  
მაგრამ ღვთაებრივ ძალს მოკლებული!

#### თამარი

პოი, დამეხსენ, სულო ცბიერო!  
ნულარ მეტყველობ, არ მჯერა მტრისა...  
უფალო ჩემო... ღმერთო ძლიერო...  
ძალა წამერთო ლოცვების თქმისა...  
მოწამლულია ჩემი გონება.

მე შენგან მხოლოდ დაღუპვას ველი.  
შენი სიტყვები ცეცხლია მწველი  
და გულსა ლახვრად განეწონება.  
რატომ გიყვარვარ?

## დემონი

რატომ, ლამაზო?

ვაგლახ, არ ვიცის ძველი წაიდა,  
რაღაც ახალმა თრთოლვამ ამაგსო,  
და გადავიცალე ცოდვილ თავიდან  
ეკლის გვირგვინი ჩემივე ხელით.  
ფეხით გავთელე წარსული მთელი  
ძალგამს მაჩვენო ერთის მოხედვით  
შენ მე სამოთხე, გინდ ჯოჯოხეთი.  
მე შენ მიყვარხარ უშურეტის ალით  
არამიწიერ, სულ სხვა ვნებისა, —  
სრულ სასოებით, მთლიანის ძალით  
უკვდავი აზრის და ოცნებისა,  
ოდეს შეიქმნა სამყარო, მაშინ  
სულში ჩამედგა შენი ხატება,  
მზიბლავდა მისი გამონათება  
მარადიული ეთერის ზღვაში.  
ფიქრს მიშფოთებდა, მიტებობდა  
სმენას

დიდიხანია ნაზი სახელი.  
ის მიჩრდილავდა სამოთხის ლხენას,  
რომ იქ არ ვიყავ შენი მნახველი.  
ო! რა მძიმეა, ნეტავ იცოდე,  
მთელი სიცოცხლე — ურიცხვნი დღენი  
იყო უწყვეტლივ აღსავსე ლხენით  
და სატანჯველის ცეცხლშიც იწოდე;  
იყო მწერგავი ბოროტებისა,  
მაგრამ ვერ გახდე ღირსი ქებისა,  
სთესო სიკეთე, არ იცბიერო —  
და არ მოგიზღონ სამაგიერო;  
სცხოვრობდე შენთვის, მოგბეზრდეს  
თავი,

მოგბეზრდეს ბრძოლა, მუღმვივი,  
მწვაევი,

როცა არა სჩანს ძლევა თუ ზავი  
მარად ნანობდე და არ ნატრობდე  
იყო ყოველთვის ყოველის  
მგრძნობელი,  
ყველაფრის მქვრეტი და შემცნობელი,  
ყოველ სინათლეს ბნელით აქრობდე,  
ცდილობდე გაჟლდეს ქვეყნად

ყოველი

და იყო ირგვლივ ზიზღის მთოველი!..  
იმ დღიდან, ოდეს მრისხანე ხელი  
წყევით აღმართა ღმერთმა, სრულიად

ჩემთვის ბუნების წიაღი ცხელი  
სამარადისოდ გაყინულა...  
მოსჩანდა სივრცე-ღრუბრი და სივრცელი;  
ვით საქორწინო ტურფა კრებულო,  
მიპქროდა ჩემს წინ გაბრწყინებულო,  
ბევრი მნათობი — ნაცნობი ძველი,  
ოქროს გვირგვინით თავშემკობილი;  
მაგრამ, ყოფილი მათი ძმობილი,  
მე აღარ ვიყავ მათგან ცნობილი.  
მაშინ ჩემსავეთ განდევნილები  
მოვიხმე სულნი გამწარებულმა...  
ვაგლახ! მაჩვენა მათმა კრებულმა  
მე სახეები დაღრენილები  
შეშინებულმა გავშალე ფრთები  
და გავეშურე — საითკენ? სადა?  
თვით არ ვიცოდის... ყოფილი ძმები,  
ვხედავდი, უკვე არ მთვლიდნენ  
ძმად.

შემდეგ ამისა ქვეყანა სრულად,  
როგორც ედემი, მიჩანდა მკვდრულად-  
ამგვარად აფრებ-შემოხეულნი,  
ნაქარიშხლუვი ნავი ეული  
სცურავს ტალღების მონად შთენილი,  
დანიშნულებას გადაცდენილი;  
ამნიარადვე აღრიან დილით  
ნაქუხარ ღრუბლის ნაფლეთი შავი  
ვერ ჰხედავს რამეს მიყვარდნოს  
თავით,  
და ცის ლავეარდში, პირქუში  
ჩრდილი,

უგზოდ, უმიზნოდ მიილტვის წინა,  
სითგან? საითკენ? სად ელის ბინა?  
აღამის მოდგმას, ჩემგან პყრობილსა,  
მალე ვაჩვევდი ჩემს ცბიერებას, —  
ერყვნილი ყველაფერს

კეთილშობილსა,

ვგმობდი ყოველგვარ მშვენიერებას;  
მალე... ადვილად წავშალე კვალი  
მათში ზეციურ სხივთა კრთომისა...  
იყო კი ღირსი ჩემი შრომისა  
ბრბო უსაირცხვილო, პირმოთნე,  
მხდალი?

გადავიმაღე მე შემდეგ მთაში  
და მხოლოდ ღამის დაღრემილ  
ზღვაში

მეტეორივით ვეხეტებოდი...

ხშირად ახლობელ ცეცხლად  
ვხვდებოდი

მარტოდ მიმავალ მგზავრსა, და მაშინ  
ჩქარობდა იგი მონატყუარი...

უცებ ყვირილით და სისხლის დენით  
ის ვარდებოდა უფსკრულში ცხენით,  
მაგრამ სულ მალე ვთქვი მე უარი  
ასე უმიზნოდ შხამის თხევაზე  
და საბოროტო თავშექცევაზე.

მძლე ქარიშხალთან შებრძოლებული,  
მე შემოსილი ნისლით და ელვით,  
ხშირად, მშფოთვარე და აღზნებული,  
მრუმე ღრუბელში მიეჭროდი

ლეღვით,

რათა მქუხარე სტიქიონთ წრეში

ღრტივინვა მუღმივი გულს

დაკლებოდა,

წარმშლოდა შავი ფიჭრების თქეში,  
დაუვიწყარი დამეფიყებოდა!

რა არის ტანჯვა და ბედშობა

იმისი, კაცად ვინცა შობილა?

თუნდაც ავიღოთ ყველა თაობა,

რაც ახლა არის, რაც დამხობილა

და დაბადებას რაც ეშურება,—

მთლიანად ყველას უბედურება,

მწუხარება და ნადველი მწარი

როგორ იქნება იმ ტანჯვის დარი,

რომელიც ხოლმე მარტოდენ ერთ წამს

გაუმხელელად, უთქმელად მე მწევას?

რანი არიან ადამის ძენი?

რა არის მათი ცხოვრება, შრომა?

სწრაფად ვადიან იმათნი დღენი,—

უნდა წარხოცოს ისინი დრომა.

მაგრამ აქვსთ იმათ იმედი ერთი:

იქ სწორ მსაჯულად დახვდებათ

ღმერთი;

მას შეუძლიან შენდობა სრული,

თუმცა სასჯელი ექნება მზადა!

ნადველს ჩემსას კი არა აქვს ვადა,

მისთვის უცხოა სამარის რული.

ჩემებრ უკვდავი, ის ხან საესავით

გარს მომეხვევა, ისე ვით გველი,

ხანაც ალივით გიზგიზებს, მწველი,

ხან ფიჭის აწევა მძიმე ქვასავით—

6 „მნათობი“, № 1.

მაგზოლეუმი განვიღო შეებისა,  
მკდარ იმედების და ვნებებისა!..

თამარე ლიონოვიჩა

რად მინდა, შენი ნადველი, წყენა  
თუნდაც ვიცოდე! ნუ სჩივი... კმარა.  
შენ ხომ შესცოდე...

დემონი

შენს მიმართ არა.

თამარი

არ მოკრან ყური!..

დემონი

მარტო ვართ ჩვენა.

თამარი

ღმერთი?

დემონი

მიწისთვის ვერ იცლის ისა,—  
აქვს იმას მრავლად საქმენი ცისა.

თამარი

ტანჯვა, ქვესკნელის ცეცხლნი  
მწვავენი?

დემონი

ერთად ვიქნებით იქ ორივენი!

თამარი

თუმც ვინაობა არ ვიცი შენი,  
ასე უზომოდ წამებულისა,

უნებლიეთად ფარულის ლხენით,

გისმენ, მსახვრელო ჩემის გულისა.

მაგრამ თუ შენი ცბიერობს ენა,

თუ სიცრუეა შენს მიერ თქმული...

ო, შემობრალებ, იწამე ზენა! —

რად გინდა ჩემი ბედკრული სული?

შენვე გენუკვი ხსნასა და შევლას...

ნუთუ მარჩია მე ზეცამ ყველას,

ჯერ შენ ვისთანაც არ გიშვრია?

ვაგლახ, ისინიც მშვენიერია!

ვით აქ, უმანკო მათ საწოლს, ვიცი,

ჯერ კაცის ხელი არ შეჰხებია...

არა! მომეცი სარწმუნო ფიცი...

წარმოსთქვი, — ხედავ: წამკიდებია

საოცარ სევდის დამწველი ალი;

ხედავ, თუ როგორ ოცნებობს ქალი!

შიშს ეფერები უნებლივ სულში...

მაგრამ შენ მიხვდი... ზრახვა მალული  
 ცხადია შენთვის, და სიბრალული  
 აღმოგაჩნდება უთუოდ გულში!  
 მომეცი ფიცი, აღმოთქვი ესლავ —  
 ბოროტ ლტოლვათა გახდე მძლეველი!  
 ნუთუ არც ფიცი, არც აღთქმა  
 ქვეყნად  
 აღარ არსებობს დაურღვეველი?

### დემონი

ვფიცავ მე შექმნის პირველსა

დღესა,

ვფიცავ მის დღესა უკანასკნელსა,  
 ვფიცავ შეებნელსა დანაშაულსა,  
 ნათელ სიშართლეს მარადეამულსა,  
 ვფიცავ დაცემის უმწარეს შხამსა,  
 ძლევის ხანმოკლე აღტაცებასა;  
 ვფიცავ მე შენთან შეხვედრის წამსა,  
 შენგან შესაძლო განშორებასა;  
 ვფიცავ ჩემს მომე სულთა

კრებულსა,

ჩემად სამონოდ განკუთვნიებულსა,  
 ვნება-დაშრეტილ ანგელოსთ

ხმლებსა, —

ჩემს დაუძინარს, მოსისხლე მტრებსა;  
 ვფიცავ მე ზეცას და შავს

ქვესკნელსა,

მიწის დიდებსა — შენსავე თავსა,  
 შენს შემოხედვას უკანასკნელსა,  
 შენი პირველი ცრემლების ღვარსა,  
 შენთა უმწიკვლო ბაგეთა ფშვინვას,  
 აბრეშუმის გვარ ნაწნავთა ბრწყინვას,  
 ვფიცავ განცხრომას, ტანჯვას

ფარულსა,

ვფიცავ შენდაში ჩემს სიყვარულსა —  
 შურისძიება უარვეყვ ძველი,

დავგმე ზვიადი ზრახვები ბნელი,  
 ამიერიდან ცბიერის ლიქნით

აღარ აღშფოთდეს არავის ფიქრი.

მსურს შევირიგო მე ზეცა წმინდა,

კვალად სიკეთე ვირწმუნო მინდა,

ვნატრულობ ლოცვას და სიყვარულსა;

სინანულის ცრემლს არ მოვსწყვეტ

თვალსა,

ვიდრე შუბლზე არ წარვიშლი კვალსა  
 ციურის ცეცხლით ამოდაღულსა.

დაე უჩემოდ, მოცული რუქით  
 ჰყვოდეს წყნარად სამყარო სრული!  
 ო, დამერწმუნე: ეს უნდა იქნება  
 მხოლოდ ჩემს მიერ ხარ მიჩნეული;  
 დაგსახე ჩემად წმინდათა-წმიდად,  
 რომ გეთაყვანო მონად ქცეული.  
 მე შენს სიყვარულს ჯილდოდ მოველი  
 მარადისობა შექთა მთოველი  
 წილად გერგება წამის შეებაში.  
 სიყვარულში, ვით ბოროტებაში  
 ვარ მე, იცოდე, დაუცხრომელი.  
 ვარსკვლავთა მიღმა აღვავლენ

ფრენით

თავისუფალი ეთერის შვილი;

ქვეყნის დედოფლად იქცევი შენ იქ,  
 ვიქნებით ერთად უკვდავი წყვილი.  
 დაუნანებლად, გულგრილად,

მშრალად

მოავლებ მიწას მადლიდან თვალსა,

სადაც სიხარულს არა აქვს ძალა

და სილამაზე არ სტოვებს კვალსა;

სადაც სიკეთე დამკვიდრებულა,

მეფობს წვრილმანი ვნება ფარული,

სად არ აძგერებს გულს გაბედულად

არც სიძულვილი, არც სიყვარული.

რაც არის, ნუთუ არ იცი თავად

შენ, წუთიერი კაცთა ტრფიალი:

სისხლს მღვლეარება ეღება მწვაედ,

მაგრამ ანელებს ეამთა ტრიალი.

ვინ აღუდგება წინ განშორებას,

ახალ სიტურფის ჯადოსნობასა,

დაღლას, მოწყენას, ნაღვლის მორევას

და ოცნებათა თვითნებობასა?

არა! შეგობარს ჩემსას რჩეულსა

არ გიწერია ის ბედკრულობა,

რომ ხმაგაკმენდილ მხევლად

ქცეულსა,

გაქცნობდეს ტლანქი იქვეულობა,

რომ სულმოკლეთა, გულცივთა წრეში,

მტრებსა და თვალთმაქც მეგობართ

შორის

ცრუ იმედებით შიშით და ხენვეით

ზიდო უღელი უმიზნო შრომის!

არც ზღუდე შთაგნთქავს აქ

მოვლებული,

არცა დაგიშრეტს გულში ვნებასა  
ლოცვა ერთგვარად დაშორებული  
აღამიანებს და ღვთაებასა.

ო, არა! უცხო მშვენიერებაჲ,  
ღირსი ხარ ყოფნის უფრო სრულისა:  
შენ სხვა წამება შეგეფერება  
და სიღრმე სულ სხვა სიხარულისა!  
გულს ნუ იწყალებ ძველ ოცნებითა  
დასთმე მთლიანად ცხოვრება მწირი,  
ნაცვლად ქედმაღალ შემეცნებითა  
მსურს მე გაჩვენო ცოდნათა ძირი!  
ფეხქვეშ დაგიფენ, რა წამს ისურვებ,  
საქვე შევრდომო სულთა კრებულსა,  
მხვევლებს ნარნარებს და თითლის  
მურებს

წინ დაგიყენებ გამწყრივებულსა.

ოქროვან გვირგვინს მოვსტაცებ

ღამით

აღმოსავლეთის ვარსკვლავს

დიდებულს,

და მას, შემკობილს ყვავილთა წამით,

თაგზე დაგადგამ შუქ-მოკიდებულს;

მოვსწყვეტ შენს წილზე

შემოსავლებლად

სხივს მე დაისის ვარდისფერ მხარეს,

აგიშრიალბ ირგვლივ ჰავლებად

ნელ-სურნელების უნაზეს ქარებს.

სმენას დაქანცულს და დამძიმებულს

კვლავ დაგიაიმბ უტკბეს ხმებითა;

მოგცემ სასახლეს აციმციმებულს

ფირუზისა და ქარვის ჭვებითა.

მე ჩავეშვები ფსკერამდე ზღვაში,

მე ავიჭრები უძირო ცაში,

მე შენ სრულშეგებას გარგუნებ წილად,

მხოლოდ გიყვარდე!

## 11.

და იმან ფრთხილად

შეახო ქალის ბავეს მწყურვალეს

გაცეცხლებული ბაგე ვნებითა;

შეხვდა ის იმის ხვეწნას მხურვალეს

ცდუნებით სავსე მეტყველებითა.

ქალს დასცქეროდა აღზნებულ

თვალთ,

სწავდა მას იგი უძლეველ ძალით,

ღამის წყვდიადში, მისკენ დახრილი,

ვავლახ, ახლა კი ხარობდა გულით

ის ელვარებდა, როგორც ქსეველი.

ძლევამოსილი ბორუტელ: ყუფუნქქა

შევიდა მკერდში ამბორის შხამი,

ვით სასიკვდილო რამე ტკივილი...

ბედკრული ქალის მკვეთრი კივილი

გულშემზარავად გაისმა ღამით.

ამ ხმაში იყო: ტრფობა, ყვედრება,

უკანასკნელად ხრწნისთვის ვედრება,

უიმედობა, ღრმა სასოება

და თვით სიცოცხლის გამოგლოება.

## 12.

ამღროს დარაჯი ღამეთეული

მაღალი ზღუდის გარშემო, ბნელში,

ჩუმად ვიდოდა გზას შეჩვეული,

თუჯის პატარა ფიცარით ხელში.

ქალწულის ბინის წინ კი სრულებით

მიწყნარდა მისი ნაბიჯი ნელი...

მან შეოცებით და შეძრწუნებით

თუჯის ფიცარზე შემართა ხელი.

ყრუ სიჩუმეში ყურდავლებული

თითქოს იჭერდა უცნაურ ხმებსა;

მოესმა კოცნა შეთანხმებული,

შეივლება და უღონო კვნესა.

და უწმინდური ეკვების შხამით

აღივსო მყისვე მოხუცის გული...

მაგრამ კვლავ ერთი გავიდა წამი,

და გარს დუმილი დამყარდა სრული...

მხოლოდ ხის ფოთოლს აშრიალბდა

ნელი შეხება ნიავის ფრთისა

და ყრუ ბუზღუნით ბორიალებდა

ბნელ ხეობაში მდინარე მთისა.

შეკრთა... არ იცის, თუ რა იღონოს,

ღმერთს ევედრება გულაძგერებით,

რომ ის ეშმაკის მანკიერებით

ცოდვილმა ფიქრმა არ დაიმონოს.

ისახავს პირჯვარს, ვერ იღებს ხმასა

და გაჩქარებით განაგრძობს გზასა.

## 13.

როგორც ფერია მშვიდად მძინარი,

ის ნაზი იყო კუბოში მწოლი,

შუბლი, გაცრეცილ შუქთა მფინარ-

სჩანდა, ვითარცა სპეტაკი ბროლი.

წამწამნი მისნი წყვდიადის ფერად

სამარადისოდ ძირს დახრილია,



თუმცა იტყოდა მნახველი: მზერა მათ ქვეშ მარტოდენ მიბნედილია, და, რომ გაბრწყინდეს მისი შვენება, კმარის ან კოცნა, ან გათენება. მაგრამ ამოდ ოქროვან ღიმილ ღვივოდენ მათზე სხივები დღისით და ამოდვე ჰკოცნიდენ იმით გულდათუთქული მშობლები მისი. არა, სიკვდილის მარადი კვალი არ წარიშლება არაფრის ძალით!

## 14.

არა ყოფილა დღესასწაული, არცა ნადიმი ისეთი, ოდეს შესამოსელი და სამკაული თამარს ესოდენ ძვირფასი სცმოდეს. ქრელნი ყვავილნი მშობელ ველისა (ამას მოითხოვს ადათი ძველი) დამაფრქვეველნი ნელ-სურნელისა უჭირავს იმას უსისხლო ხელით, და თითქოს მიწას ეთხოვებიან, მოკლუმშულები ძირს იხრებიან. მისსა სახესა სრულიად მშვიდსა, არ დასჩენოდა რაიმე კვალი, რომ სიკვდილის ეამს უამეს ალით ვნებათა დელვას მოეცვა დიდსა. და იყო მისი ნაკვთი ყოველი რაღაც მხიბლავი ეშხის მთოველი, ვით მარმარილო, არვის მცნობელი, უტყვი, უგონო და უგრძობელი, თვით იღუმალი, როგორც სიკვდილი. ბაგე შეკრული და ფერმიხდილი ღიმილს უცნაურს კიდევ სახავდა. მასში ბევრს რასმე დაინახავდა დასალონებელს ფხიზელი თვალი: შიგ იყო სულის ნაღველი მკრთალი, ნაფერი ზიზლით და გულდიდობით, უკანასკნელი ოცნების კვალი და მიწის მიმართ უხმო:

მ შ ვ ი დ ო ბ ი თ.

გამოსხივება, ყინულის დარი, სიკოცხლის უკვე გარდასულისა, ის იყო თითქოს უმეტეს მკვდარი, უფრო აღმვსები ნაღვლით სულისა და უიშედო, ვიდრე თვალები სამარადისოდ შუქ-ჩამქრალეში.

ასე დაისის ეამსა დღედებულს, ოდეს, მსრბოლავი ოქროვან ზღვაში, გაღებურუნდება ბოჭბოჭ ნეკნში დღის ეტლს გაღებულს.

გადაკიდებულს,—

კავკასიონის თეთრი თოვლები, თავზე ვარდისფერ შუქის მოვლებით, ელავენ ერთხანს ბინდმოხვეული. მაგრამ ძალღონე გამოლეული, იგი, ნახევრად ცოცხალი შუქი, ვერ გაუნათებს ვერავის კვალსა, და მის ანარეკლს, არცა თუ მკრთალსა, არ მიიკარებს უღაბნო მუქში..

## 15.

მეზობლები და ნათესავები დაადგნენ უკვე ნაღვლიან გზასა. ტანშემოსილი მძიმე შავებით უხმოდ იწიწკნის ქალარა თმასა და გულში იცემს მჯიღებს გულადი. უკანასკნელად თეთრ ცხენზე ჯდება იგი, და შემდეგ მწუხარე კრება— ბევრი მტირალი ჭირისუფალი— ამოძრავდება ნაბიჯით ნელით. სამ დღეს ექნებათ სავალი ძნელი: სადაც პაპანი დაუფლავთ წინათ, იქ განუშზადეს იმასაც ბინა. გუდალის ერთერთ წინაპარს ძველსა, სოფლების მძარცველს, მგზავრების მკვლელსა, როცა შეჰყარა სიბერემ სენი და სინანულის დაუდგნენ დღენი, — რათა ცოდვები შეენდო მისთვის, ტაძრის აგება აღუთქვამს ღვთისთვის იქ, სადაც ღრუბლებს არღვევენ

კლდენი,

სადაც მარტოდენ დაჰქროდა ქარი და დაფრინავდა არწივი ჩქარი. მალე თვალუწვდენ ტაძრის შევენებამ შეუშგო მყინვარს ნათოვი კალთა, და წილად ერგო იქ მოსვენება მოუსვენარი თავადის ძვალთა. საფლავად იქცა ზეთავი კლდისა, სადაც ნისლები წვებიან ღობილი, თითქოს ცის ახლოს უფროა თბილი

უკანასკნელი საენე მკვდრისა;  
თითქოს კაცთაგან თავდაფარულსა  
ძილი მარადი ექნება წყნარი...  
არა! სიზმარში ვერ ნახავს მკვდარი  
გარდასულ სევდას და სიბზარულსა.

16.

ცის ანგელოზი ოქროს ფრთიანი  
სულს, ქვეყანაზე ცოდვით ძლეულსა,  
მალდა, ეთერის ლურჯ ოკეანით,  
შიაქროლებდა მკლავმოხვეულსა,  
ის უტკბილესად მეტყველის ენით  
უშრეტდა იმას ექვების აღსა  
და ჩამოჰბანდა ცრემლების დენით  
დანაშაულის უწმინდურ კვალსა.  
უკვე შორიდან სამოთხის ხმები  
მსუბუქ ჩქერებად მოიფრქვეოდა, —  
ამდროს უეცრად მათ წინ ქვემოდან  
ამოარხია დემონმა ფრთები.  
ძლიერი, როგორც გრიგალის წვიმა,  
ის გიზგიზებდა ელვის ფერებით.  
„ჩემია იგი!“ წარმოსთქვა იმან  
ცნობა-მიხდილის კადნიერებით.

თრთოლვით მიეკრა მფარველის  
მკერდსა

შეშინებული სული ქალისა;  
შველა შესთხოვა თამარმა ღმერთსა, —  
სწყდებოდა ბედი მომავალისა.  
ისევ ის იყო წინაშე მდგომი,  
მაგრამ, ო, ცაო! — შეცნობა მისი  
ვისდა შეეძლო? სასტიკი მქისი  
თვალანთებული რისხვით და

წყრომით,

ის აღესილიყო მთლიანად მკვახე,  
განუსაზღვრელის მტრობით შავითა,  
და გულს ყინულით გამოთოშავითა  
ჰზარავდა მისი უძრავი სახე.

„შორს, იჰვენელო სულია ღამისა!“  
რქვა ანგელოზმა სხივების ფენით:  
„დასრულდა უკვე ზეიმი შენი.  
გასამართლება, განსჯა ამისა  
ხდება ამჟამად, და ღმერთს კეთილი  
აქვს განაჩენი გადაწყვეტილი!  
წარვიდნენ ღღენი გამოცდისანი.“

როცა სამოსნი მიწის მტკობიანი  
შემოეძარცვნენ გარშემო მკვნი  
მოეხსნა ტანჯულს კრუდედოცნებები.  
მას ჩვენ, უმწიკვლო სულთა გუნდები,  
დიდხანია ველოდით ცაში!  
სულია მისი იმათთაგანი,  
ვისი სიცოცხლევ ერთი წამია,  
და იმ სიცოცხლის უხმო საგანი  
უსაზღვრო ტანჯვა და სიამეა.  
არსთა შეშქნელმა იმათ სიმებად  
ქსოვა ფაქიზად ეთერი მნათი;  
მიწაზე ყოფნა მათ ემძიმებათ,  
არც მიწა არის მოსურნე მათი!  
გამოისყიდა უმძიმეს ფასით  
ამან თავისი ექვები მწარი.  
უყვარდა ღრმად და განელო მას იქ  
სიყვარულისთვის სამოთხის კარი!“

და ანგელოსმა გულაღელვებით  
შეხედა მაცდურს უმკაცრეს თვალთ,  
გაშალა ფრთები და გაელვებით  
ცაზე ბრწყინვალე გაავლო კვალი.  
მაშინ დემონმა, მტრისგან ძლეულმა,  
მაგრამ ზვიადად თავაწეულმა,  
დასწყველა ნატვრა თვისის გულისა,  
და სამყაროში განმარტოებით  
იგი, ვით წინათ, მკვდარ სასოებით  
ღარჩა გარეშე სიყვარულისა.



კლდოვან მალღობზე, რომლის წინ  
შემდეგ

კაიშაურის გაშლილა ველი,  
აღმართულია ისევე ღღემდე  
ქონგურიანი ნანგრევი ძველი.  
ბავშვებს აშინებს ამბავი მისი...  
ვით მოჩვენება ჩუმი და მქისი,  
მოწამე იმა თილისმურ ღღეთა,  
იგი მაღალ და ჩრდილოვან ზეთა  
დახრილ რტოებში გამოჩენილა.  
ქვემოთ სოფელი მიმოფენილა.  
ჰყვავიან ირგვლივ მინდვრები, მთები,  
შორს იკარგება სხვადასხვა ხმები,  
უწესრიგო და ერთად რეული.  
მიქლარუნობენ ქარავანები,

და ნისლოთა შორის ჩქარ ჩაქანებით  
ბრწყინავს მდინარე ქაფმორეული.  
სიცოცხლით, მუდმივ სიყმაწვილითა,  
მზით, გაზაფხულით და სიგრილითა  
თავს იხალისებს, ხარობს ბუნება,  
ვით ბავშვი ლალი და თავგუნება.

მაგრამ ნაღვლობს იქ ხავსმოდებულ  
ციხე-დარბაზი, ბრწყინვალე ძველად,  
როგორც საბრალო მოხუცებული,  
ახლობლები რომ დამარხა ყველა.  
მხოლოდ მთვარის შუქს ელოდებიან  
მისი ფარული ბინადარები:  
აბა მაშინ კი გამოჩნდებიან  
აფუსფუსებით და აჩქარებით!  
მწირი ახალი,—კუთხეებს ვრცელსა  
აქსოვს ჰალარა ობობა ქსელსა.  
გალაღებული თამაშობს ბანზე  
მწვანე ხელიკების ოჯახი მთელი,  
და ნაპრალიდან აივნის ქვაზე  
ფრთხილი სრიალით გამოდის გველი:  
ის ხან ეხვევა სამთვალა რგოლად,  
ხან გაგრძელდება, გაწვება ზოლად,  
და ელავს, როგორც მახვილი ძველი,  
ნათმარ ველზე რომ ჰგდია ძირსა,  
და აღარ უნდა დაცემულ გმირსა..

ყოველ კუთხეში იქ ისახება  
გაველურება, გაპარტახება.  
საუკუნეთა უჩინარ ხელით  
გადარეცხილა ცხოვრება ძველი,  
კვალი, ოდესღაც შუქით ნაფერი,  
წაშლია უკვე სრულიად წარსულს...  
გუდალს და იმის მშვენიერს ასულს

აღარ გვაგონებს აქ არადღეობა!  
მაგრამ ტაძარი, მზიერალი, მადლით,  
სადაც იმათ ძვლებს უმჯობესად  
სძინავს,  
დღესაც ისევე ღრუბლებში ბრწყინავს  
გადარჩენილი ღვთაებრივ მადლით.  
და იქ, წინაშე მისის კარისა,  
დარაჯად სდგანან შავი კლდეები,  
შემონაბღულნი თოვლის შრეებით.  
ნაცვლად ფოლადის ჯავშან-ფარისა  
საუკუნოვან სქელ ყინულებით  
აელვებულან მათი გულები.  
ძილმორეული ზვავები დიდი  
ქარაფებიდან ვით ჩანჩქერები,  
ერთბაშად ყინვით შენაჩერები,  
გადმოწოლილან ყოველის კილით.  
იქ საზვერავად მიმოდის ქარი,  
დამტვრეულ კედლებს ვადუსვამს  
ფრთასა,  
ხან გაბმით მღერის ისე, ვით ზარი,  
ხანაც დარაჯებს შიაწვდის ხმასა.  
რომ გაიგებენ, რა ტაძარი  
ამ გასაოცარ მადლობზე მდგარი,  
შორიდან მხოლოდ ღრუბლები წყნარი  
სავედრებელად მოიჩქარიან.  
დიდიხანია საფლავის ლოდებს  
არავინ უზის... არვინღა ჰგოდებს.  
კუშტი მყინვარის კლდეთა კედელი  
ხარბად სდარაჯობს ნადავლს  
დიდებულს,  
და კაცთა ღრტვინვა განუწყვეტელი  
მათ ვერ შეუწყვეტს ძილს  
დამშვიდებულს.

თარგმანი კონსტანტინე მიხეილაძისა.



## ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წლის 27 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 2 დეკემბრის დადგენილებაში არის აღნიშნული, მთლიანად და სავსებით ახასიათებენ საქართველოს საბჭოთა პრესის, მწერალთა ორგანიზაციებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობასაც.

საქართველოს ჟურნალებსა და გაზეთებში სრულიად არაღამაკმაყოფილებლად შექმდება ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის საკითხები. დაუშვებლად სუსტად შექმდება ბიბლიოგრაფიის, განსაკუთრებით კი სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის საკითხები. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ხელმძღვანელი რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკას“ არასაკმაო მუშაობა ამ დარგში. სუსტად არის დაყენებული ბიბლიოგრაფიულ საცნობარო მასალების გამოცემა. არ არსებობს წიგნების სარეკომენდაციო სია მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის მიხედვით.

კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობა არაღამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სამეცნიერო დაწესებულებებსა და საზოგადოებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სახალხო კომისარიატებში და ა. შ.

კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას არ აწარმოებენ და ცოდნის ცალკეულ დარგების მიხედვით გამოცემულ წიგნების განხილვას არ აწყობენ ისეთი ორგანიზაციები, როგორც მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კიროვის სახელობის ინდუსტრიალური ინსტიტუტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებით აღნიშნა მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა კრიტიკის არაღამაკმაყოფილებელი იდეურ-პოლიტიკური დონე.

მწერალთა კავშირში კრიტიკოსები კარჩაკეტილი არიან განკერძოებულ სექციაში. კრიტიკოსების უმრავლესობა არ მუშაობს საბჭოთა ლიტერატურის საკითხებზე და გავლენას არ ახდენს მის ფორმირებაზე. ადგილი ჰქონდა ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სერიოზული ნაკლოვანებებისადმი კრიტიკოსების მხრივ ლიბერალური დამოკიდებულების ფაქტებს, არაობიექტურ

მიდგომას მათი შეფასებისადმი, რაც ხელს უშლის მწერლების შემდგომ იდეურ-მხატვრულ ზრდას და აღზრდას.

#### ეკონომული

ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის გადაჭრით გაუმჯობესების მიზნით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე დაადგინა ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან არსებული კრიტიკოსთა სექცია. კრიტიკოსები მწერლებთან ერთად იმუშავენ საბჭოთა მწერლების კავშირის სათანადო შემოქმედებით სექციებში.

ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციებს დაევალოთ შექმნან კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის მუდმივი განყოფილებები. ვაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას წინადადება მიეცა აამაღლოს მოთავსებული კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული მასალების ხარისხი, სისტემატურად გამოაქვეყნოს კრიტიკული სტატიები თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა შესახებ.

ვაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოვეტაკან ვრასტანის“, „სოვეტ ვიურჯისტანის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდინი სტალინეცის“ „აპსნი კაფშის“, „საბჭოთა აფხაზეთის“, „სოვეტსკაია აფხაზიას“, „საბჭოთა აჭარას“, „ბატუმსკი რაბოჩის“, „კომუნისტის“ (სამხრეთ-ოსეთი) რედაქციებს, აგრეთვე სამეცნიერო და საწარმო-დარგობრივ ჟურნალებს დაევალოთ თავიანთ ფურცლებზე მოაწიონ კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ვაზეთების „კომუნისტის“ და „ზარია ვოსტოკას“, აგრეთვე ჟურნალების „ბოლშევიკის“, „პარტიული მშენებლობის“, „მნათობის“ და „ჩვენი თაობის“ კრიტიკა-ბიბლიოგრაფიის განყოფილებებს დაავალა რეცენზიებთან და ცალკე შენიშვნებთან ერთად სისტემატურად მოათავსონ ლიტერატურის მიმოხილვა მეცნიერებისა და ცოდნის სხვადასხვა დარგების მიხედვით.

თეორიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული რესპუბლიკური ჟურნალების „ბოლშევიკის“, „ახალგაზრდა ბოლშევიკის“, „საქართველოს სოცმეურნეობის“, „მნათობის“, „საბჭოთა ხელოვნების“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციებს დაევალოთ ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებთან და რეცენზიებთან ერთად აგრეთვე სისტემატურად აქვეყნონ წიგნების ბიბლიოგრაფიული სარეკომენდაციო სიები, ამასთანავე ლიტერატურის მიმოხილვები.

დარგობრივი ვაზეთების „საბჭოთა სუბტროპიკების“, „საბჭოთა მასწავლებლის“, ჟურნალების „ტექნიკის“, „კომუნისტური აღზრდისათვის“, „მეზრძოლი ათეისტის“, „საბჭოთა მედიცინის“, „საბჭოთა ხელოვნების“, „რემედისის“ რედაქციებს წინადადება მიეცათ მოათავსონ მიმოხილვები ყველა სპეციალურ ლიტერატურაზე, რომლებიც საქართველოში გამოდის ყველა დარგში, აგრეთვე წიგნების სარეკომენდაციო სიები.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალს წინადადება მიეცა მოაწიოს იმ სოციალ-პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოგრაფირება, რომელიც საქართველოში გამოდის, ხოლო სსრ კავშირის სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალს სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ბიბლიოგრაფირება.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს წინადადება შეეცა მოაწყოს მხატვრული ლიტერატურისა და სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთათვის გამოსული წიგნების ბიბლიოგრაფირება, ამასთან ერთად მას დაევალა უზრუნველყოს სარეკომენდაციო სიების სისტემატური შემუშავება ქალაქისა და სოფლის ბიბლიოთეკებისათვის.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალა მოაწყოს მთელი იმ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ბიბლიოგრაფირება, რომელიც საქართველოში გამოდის.

ყველა სახალხო კომისარიატებს დაევალათ მოაწყონ რესპუბლიკაში გამოშავალი საწარმოო დარგობრივი ლიტერატურის ბიბლიოგრაფირება თავიანთი დარგების მიხედვით.

საქართველოს წიგნის პალატას დაევალა ჩაატაროს საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში გამოცემული მთელი ლიტერატურის სრული აღრიცხვა.

---

ფილიპე მახარაძე

## საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობას

საქართველოს გასაბჭოების ოცი წლისთავთან დაკავშირებით გამოიცემა ცალკე კრებული „საქართველოს ახალგაზრდობა საბჭოთა ხელისუფლების ოცი წლის განმავლობაში“. ამ კრებულში, როგორც ჩანს, დაიბეჭდება საქართველოს პოეტების და მწერლების მხატვრული ნაწარმოებები ახალგაზრდობის შესახებ და აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკების წერილებიც.

მივესალმები რა ამ სასარგებლო საქმეს, მინდა რამდენიმე აზრი გამოვთქვა ახალგაზრდების შესახებ.

დაახლოებით ამ ოცი წლის წინად (1920 წლის 2 ოქტომბერს) საბჭოთა რუსეთის ლენინურ-სტალინურ კომკავშირის მესამე ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა წარმოსთქვა თავისი ერთერთი უშესანიშნავესი სიტყვა ლენინურ-სტალინურ კომკავშირის აღზრდაზე და მის ძირითად ამოცანებზე და დანიშნულებაზე. საჭიროა ვიცოდეთ, რა მომენტი იყო ეს საბჭოთა რესპუბლიკის ცნობრებაში? ეს ის დრო იყო, როცა გამოაშკარავდა, რომ შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის ყველა გეგმა საბჭოთა ხელისუფლების ჩახშობის მიზნით თითქმის სავსებით ჩაშლილი იყო, როცა უსასტიკესი სამოქალაქო ომიც თითქმის დამთავრებულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. ამრიგად აშკარა შეიქმნა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მტრები განადგურებული იყვნენ, და ამრიგად საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში სამოქალაქო ომიდან გამოვიდა გამარჯვებული. უდიდესი განსაცდელი, რომელიც კი ოდესმე დატყდომოდა მშრომელებს, თავიდან აშორებული იყო. თუმც ეს უდიდესი გამარჯვება იყო, — გამარჯვება, მოპოვებული პოლიტიკური ბრძოლის ვ. ი. უმძაფრესი კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო სრული გამარჯვება. უგამჭირაბესი და ყველაზე მეტად შორსმჭვრეტელი, პროლეტარიატის უდიდესი ბელადი ლენინი კარგად ხედავდა, რომ სამოქალაქო ომში გამარჯვებული რუსეთის მუშების და გლეხების წინაშე ამიერიდან იდგა არანაკლებად მნიშვნელოვანი, არამედ ისეთივე მნიშვნელოვანი და ვაცილებით უფრო რთული ამოცანა, — ეს გამარჯვების მოპოვება ეკონომიურ ფრონტზე, ურომლისოდ გამარჯვებას პოლიტიკურ ფრონტზე უდიდესი საფრთხე მოელოდა. 6-7 წლის განმავლობაში შეუწყვეტელი ომების, ჯერ იმპერიალისტურის, შემდეგ სამოქალაქოსი, შედეგად ქვეყანა ეკონომიურად თითქმის სრულიად განადგურებულ-



ლი იყო, წარმოება ძალზე შემცირებული, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დანგრეული. შექმნილი მდგომარეობა ბოლშევიკურ მთავრობის საბჭოთა ხელისუფლებას დაეინებით უკარნახებდა პირველ რიგში წარმოების აღდგენას, გაჩერებული ფაბრიკების და ქარხნების ამუშაებას, სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებას. ამიტომ ასეთ მძიმე მომენტში მოსალოდნელი იყო, რომ ლენინი კომკავშირის ყრილობაზე, საბჭოთა რუსეთის ახალგაზრდების წინაშე დააყენებდა მორიგ საბრძოლო ამოცანებს წარმოების, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დაჩქარებით აღდგენის საკითხებს. მაგრამ ლენინმა, როგორც ვიცით კომკავშირის ყრილობაზე საკითხი კომკავშირის ამოცანებზე სხვანაირად დააყენა. მას კარგად ესმოდა, რომ მაშინდელ მომენტში ეკონომიურ ფრონტზე გამარჯვებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეძლეოდა ისეთივე მნიშვნელობა, როგორც სამოქალაქო ომის დროს სამხედრო ფრონტზე გამარჯვებას. მაშინ ჯერ კიდევ ყოველგან და ყველაფერში სამხედრო კომუნისმის განწყობილება არსებობდა. აუცილებლად საჭირო იყო ამ განწყობილებაში ძირითადი გარდატეხის მოხდენა.

ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, ლენინმა მთელი თავისი მოხსენება კომკავშირის ყრილობაზე მთლიანად მიუძღვნა ახალგაზრდობის სწავლის, განათლების და მეცნიერების დაუფლების საკითხებს. თავის სიტყვის დასაწყისშივე ლენინმა აღნიშნა, რომ „ერთგვარი მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ახალგაზრდობის წინაშე დგას ნამდვილი ამოცანა კომუნისტური საზოგადოების შექმნისა“, და გამოძინარე აქედან, იგი ამბობდა, რომ „ახალგაზრდობის და საერთოდ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირების ამოცანები შეიძლება გამოითქვას ერთი სიტყვით: „ამოცანა მდგომარეობს სწავლაში“, რომ ახალგაზრდობის კავშირმა და საერთოდ მთელმა ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს კომუნისმში გადასვლა, უნდა ისწავლოს კომუნისმი“. ამ აზრის სწორად გაგებისათვის ლენინი იქვე განმარტავდა: „თქვენ ჩაიდენდით დიდ შეცდომას, თუ აქედან შეეცდებოდით გამოგეყვანათ ის დასკვნა, რომ შეიძლება გახდეთ კომუნისტად იმ ცოდნის შეუთვისებლად, რაც დაგროვილია კაცობრიობის მიერ“.. „იმ ცოდნათა შეუთვისებლად, რომელთა შედეგია თვით კომუნისმიო“. არკვევდა რა ამ საკითხს უფრო კონკრეტულად ლენინი უპასუხებდა იმ კითხვაზე, თუ როგორ მოხდა რომ მარქსის სწავლამ დაიპყრო რევოლუციური კლასის მილიონების და ათეულ მილიონების გული, — „ეს მოხდა იმიტომ — თქვა მან, რომ მარქსი ემყარებოდა კაცობრიობის ცოდნათა მკვიდრ საფუძველზე, რომლებიც შექმნილი იყო კაპიტალიზმის დროს“.

ვინაიდან ლენინის ზევით მოყვანილ დებულებას ქონდა და აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ამიტომ მეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქ ლენინის მიერ სხვა ადგილას ნაოქვამი სიტყვები ამავე დებულების სასარგებლოდ. ასე, მაგ. სტატიის „საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიმძლევები“, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1919 წელს, ლენინი, სხვათა შორის, სწერდა: „უნდა დავეუფლოთ მთელ კულტურას, რომელიც კაპიტალიზმმა დატოვა, და იმისაგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა დავეუფლოთ მთელ მეცნიერებას, ტექნიკას, მთელ ცოდნას, ხელოვნებას. უამისოდ კომუნისტუ-

რი საზოგადოების ცხოვრების აგებას ჩვენ ვერ შევძლებთ...<sup>1)</sup> გარდა ამისა 1920 წლის ოქტომბერში ლენინი რეზოლუციაში „პროლეტარულ კულტურის“ შესახებ. (პუნქტი მეოთხე) ამბობდა: „მარქსიზმმა შექმნილი ისტორიული მნიშვნელობა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, მით, რომ მან, მარქსიზმმა, არამცთუ უკუაგლო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი შენაძენები, არამედ, პირიქით, აითვისა და გადაამუშავა ყოველივე, რაც კი ძვირფასი იყო კაცობრიობის აზროვნებისა და კულტურის ორი ათასი წელზე მეტის განვითარებაში“,<sup>2)</sup>

ყველა ამიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ღრმად და მარქსისტულად უღვებოდა ლენინი კომუნისტურ ცოდნას, კომუნისტურ შეცნობებს, ერთი მხრით და თუ როგორი სწავლა და განათლება და საერთოდ თუ როგორი თეორიული მომზადება უნდა მიეღო თავიდანვე კომუნისტურს და საერთოდ საბჭოთა მთელ ახალგაზრდობას, რომლის წინაშე იდგა ამოცანა კომუნისტური საზოგადოების აგებისა. ყოველივე ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა იმ დროს, როცა კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან ბრძოლა კიდევ გრძელდებოდა და ამიტომ ადვილი გასაგები იყო ახალგაზრდობის უარყოფითი განწყობილება, ყოველივე იმის მიმართ, რასაც ბურჟუაზიასთან ქონდა კავშირი ან რაც ბურჟუაზიისაგან მომდინარეობდა. თუ ასეთ განწყობილებას ერთბაშად, მაშინვე არ გასწოდა გადამწყვეტი წინააღმდეგობა, საბჭოთა მთელი ახალგაზრდობის ნამდვილი მარქსისტული აღზრდა და განათლება, და აგრეთვე საბჭოთა შეცნობების ლიტერატურის და ხელოვნების შექმნის და განვითარების საქმე საფრთხეში ჩავარდებოდა. ლენინმა და შემდეგ სტალინმა ეს საფრთხე იმ თავითვე ააშორეს საბჭოთა ქვეყნებს და მით უზრუნველყვეს როგორც საბჭოთა შეცნობების, ისე ლიტერატურის და ხელოვნების ჩქარი ზრდა-განვითარება და იმათი არნახული აყვავება.

მაშინდელ კომკავშირულ ახალგაზრდობაში ლენინი ხედავდა „კომუნისტურ საზოგადოების პირველ მშენებლებს მილიონ მშენებლებს შორის“... „მუშურ და გლეხურ ახალგაზრდობის მთელი მასის ჩაუბმელად კომუნიზმის მშენებლობაში, კომუნისტურ საზოგადოებას თქვენ ვერ ააშენებთ“ — ეუბნებოდა ლენინი კომკავშირის ყრილობას.

„ახალგაზრდობის ამოცანაა დააყენოს თავისი პრაქტიკული მოქმედება ისე, რომ სწავლისას, ორგანიზირებისას, განმტკიცებისას, ბრძოლისას, ეს ახალგაზრდობა წვრთნიდეს თავის თავს და ყველა იმათ, ვინც მასში ხედავს წინამძღოლს... საქირაა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების და სწავლის მთელი საქმე ემსახურებოდეს მასში კომუნისტური მორალის (ზნეობის) აღზრდას“. და ლენინმა იქვე განუმარტა ყრილობას, თუ რა არის, ან რაში მდგომარეობს ეს კომუნისტური მორალი (ზნეობა). „ჩვენი ზნეობა — ამბობდა იგი — გამომდინარეობს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან“, „ჩვენთვის ზნეობა ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს“. როგორც კომუნისტური ზნეობა, ისე პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესები გულისხმობენ საერთო შრომას, ანუ დაქუცმაცებული, დანაწილებული ცალცალკე ინდივიდუალურ მეურნეობებში შრომის შეერ-

<sup>1)</sup> ლენინი. თხზულებანი, ტ. XXIV, გვ. 65.

<sup>2)</sup> ლენინი. თხზულებანი, ტ. XXV, გვ. 410.

თებას. „იმის კვალობაზე, თუ როგორ განხორციელდებოდა თითოეულ სოფელში, იმის კვალობაზე, თუ როგორ განვითარდებოდა ქვეყნის ტერიტორიული შეჯიბრება, იმის კვალობაზე, თუ ახალგაზრდობა როგორ დამსჯილად მოქმედებდა, იმის კვალობაზე, თუ როგორ განხორციელდებოდა მისი მშენებლობის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება“, — ასეთი დასკვნა გამოყავდა ლენინს თავისი ნათქვამიდან. „ჩვენ გვინდა — ამბობდა ლენინი — რუსეთი მათხოვრული და ლატაკი ქვეყნიდან გადავაქციოთ მდიდარ ქვეყნად... და საჭიროა რათა კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირმა თავისი განათლება, თავისი სწავლა და თავისი აღზრდა გააერთიანოს მუშების და გლეხების შრომასთან, რათა იგი (კომკავშირი) არ ჩაიკეტოს თავის სკოლებში და არ შეზღუდოს თავისი თავი მხოლოდ კომუნისტური წიგნების და ბროშურების კითხვით. მხოლოდ შრომაში მუშებთან და გლეხებთან შეიძლება გახდეთ ნამდვილ კომუნისტებად“, — ასე ასწავლიდა დაუფიქარი ლენინი ახალგაზრდობას, — ეს უდიდესი ბელადი და მასწავლებელი ყველა ქვეყნის მშრომელებისა.

როგორც ზევით ვთქვით, ლენინმა შექმნა ძირითადი გარდატეხა მაშინდელი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობაში, მის სწავლის და აღზრდის საქმეში. მან ჩაუყარა მკვიდრი მარქსისტული საფუძველი საბჭოთა მთელი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას და გამოზრდამდას. საბჭოთა ახალგაზრდობამ ბრწყინვალედ გაამართლა თავისი სათაყვანებელი მასწავლებლის ლენინის — დიადი ანდერძი.

ლენინის დიადი საქმის ღირსეული და გენიალური განმგრობის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა ახალგაზრდობამ თავისი უერთგულესი და თავდადებული სამსახურით გვიჩვენა მართლაც სასწაულებრივი საქმენი. ამ ახალგაზრდობამ, შეიარაღებულმა მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ძლევაშისილი სწავლით სოციალიზმის და კომუნისმის აგების შესახებ ნამდვილი მეცნიერების და უმაღლესი ტექნიკის დაუფლების საფუძველზე და აგრეთვე შრომის სოციალისტური მეთოდების გამოყენების (სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, სტახანოვერი მოძრაობა) მიღწევა ჩერ არანახულ უდიდეს წარმატებებს, რომლებმაც გააკვირვეს მთელი ქვეყნიერება.

ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას და საერთოდ მთელ საბჭოთა ხალხს შეუძლიათ იამაყონ თავისი სახელოვანი შეილებით, რომლებიც, როცა ლენინი მიმართავდა მათ, იყვნენ დაახლოვებით 15-20 წლის, და რომლებიც მას შემდეგ შეიქმნენ საბჭოთა კავშირის გამოჩენამდე. საამაყო იმათი ღვაწლი, იმათი მამაცობა და გამბედაობა არქტიკის და ჩრდილოეთის პოლუსის შესწავლაში, ჩრდილოეთ ამერიკაში ძირდაუშვებელ გადაფრენის საქმეში, და აგრეთვე სხვადასხვა მეცნიერულ და ტექნიკურ გამოგონებაში; და ამასთან ერთად სოციალისტური შრომის ნაყოფიერების მაღლა აწევასა და გაზრდაში. საბჭოთა ახალგაზრდები იყვნენ და არიან მოთავენი და დამწყებნი სოციალისტური შრომის ახალი მეთოდების გამოყენების საქმეში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ აქ წითელი არმიის საერთოდ და მისი ცალკეულ წარმომადგენლების უშიშარი გამირული ბრძოლები ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების დასაცავად, ხასანის ტბასთან, ხალხინგოლთან, თეთრ-ფინელებთან ომის დროს, რითაც წითელ არმიას კიდევ ერთხელ მოუბოვეს უძლეველი არმიის სახელი. ახალგაზრდების საუკეთესო

წარმომადგენლებმა, როგორც მუშებიდან, და კოლმეურნეებიდან ისე ინტელიგენციიდან, ითამაშეს უდიდესი როლი პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების ვადაზე აღრე შესრულებაში და დღესაც ასევე ემსახურება კეთილშობენ მესამე სტალინური ხუთწლედის შესრულებაშიც. ყოველივე ამას, როგორც ვიცით, მოყვა, შედეგად ის, რომ საბჭოთა კავშირი ყველაზე უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა მთელ მსოფლიოში, რომ მისი კულტურული განვითარება, მისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერება უმაღლეს საფეხურზე იქნა აყვანილი. მაგრამ ეს ოდნავად არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეული წარმატებებით და, როგორც ამბობს ამხანაგი სტალინი, წამოვწყვეთ უდარდელად მხარეთმცხე. ლენინი და სტალინი მუდამეამს გვაგონებდნენ, რომ არ ვარგა მიღწეული წარმატებებით დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, ამ ბრძნულ რჩევას ჩვენ ხანდისხან ვივიწყებთ, რასაც საგრძნობი ვნება მოაქვს. ამკარაა, რომ ასეთ არაგონიერ გატაცებას და უაზრო გაამპარტავნებას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა: რაც უმთავრესად ყურადღების ღირსია აქ, ეს ის, რომ დიდი უმრავლესობა ამ სახელოვან ახალგაზრდებისა, როგორც სამეურნეო, ისე სამხედრო და სამეცნიერო ფრონტზე გამოსულთა თვით ხალხის წიაღიდან, მუშებიდან და გლეხებიდან, მუშათა და გლეხთა ახალგაზრდებისაგან, ე. ი. წრეებისაგან, რომლებიც პირველად ისტორიაში მხოლოდ დიადმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიყვანა ისტორიულ სარბიელზე და დააყენა შემოქმედების გზაზე.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზევით ნათქვამი საბჭოთა ახალგაზრდობაზე საერთოდ მიეკუთვნება საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობასაც. ექვს გარეშეა ის, რომ საქართველოს ახალგაზრდობამ თავისი მოწინავე ადამიანების: დამკვრელების და სტახანოველების სახით შეიტანა თავისი წვლილი საერთო საღაროში, ე. ი. სოციალისტური სახალხო მეურნეობის, საბჭოთა მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ყველა დარგში. ერთი სიტყვით უდავოა ჩვენი ახალგაზრდების დიდი მიღწევები და წარმატებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 20 წლის მანძილზე არსებობის დროს. უდავოა აგრეთვე ისიც, რომ ეს მიღწევები და წარმატებები მიეკუთვნებიან უფრო უკანასკნელ წლებს ვინემ, წინა წლებს. ეს თავისთავად გასაგებია. რასაკვირველია ამ გარემოებამ ფრთები უნდა შეუხსას ჩვენ ახალგაზრდობას ახალ გამარჯვების და წარმატების მოსაპოვებლად და ოდნავაც არ უნდა გამოიწვიოს მათში კმაყოფილება, გაამპარტავნება და უდარდელად მხარეთმცხე მოსვენება, ჩვენ წინაშე დგანან უამრავი ამოცანები, რომელთა განხორციელება აუცილებლად საჭიროა უმოკლეს ვადაში. ამიტომ საჭიროა ჩვენი მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესება ყოველგან, ყველა დაწესებულებაში და ყველა ორგანიზაციაში, ერთი მხრით, და ყველა არსებულ ნაკლებობებთან ძირ-ფესვიანად აღმოფხვრა, მეორე მხრით.

თავის მოხსენებაში მეჩუადმეტე პარტყრილობაზე ამხ. სტალინმა თქვა: „ჩვენი პარტიის მეჩუადმეტე კონფერენციამ თქვა, რომ მეორე ხუთწლედის განხორციელებისას ერთერთი ძირითადი პოლიტიკური ამოცანა მდგომარეობს კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევაში ეკონომიკაში და ადამიანთა შეგნებაში. მაგრამ განა შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ უკვე დავძლიეთ კაპიტალიზმის ნაშთები ეკონომიკაში? არა, არ შეიძლება ამის თქმა. მით უნეტეს არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ დავძლიეთ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში. არ შეიძლება ამის

თქმა არა მარტო იმიტომ, რომ ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება იმათ ეკონომიური მდგომარეობისაგან, არამედ იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც განაპირობებს სოციალისტურ და მხარი დაუჭიროს კაპიტალიზმის ნაშთებს და ადამიანთა შეგნებაში საბჭოთა კავშირში და რომლის წინააღმდეგ ჩვენ, ბოლშევიკებს გვმართებს, ყოველთვის მშრალად ვინახავდეთ თოფის წამალს.“<sup>1)</sup>

ამრიგად, კაპიტალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ მოიპოვებიან, როგორც ეკონომიკაში, ისე კიდევ უფრო ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში. ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში ეკონომიური განვითარება წინ უსწრებს ადამიანთა შეგნების განვითარებას. იმიტომ ხდება ის, რომ ადამიანთა შეგნება ჩვენ სოციალისტურ ქვეყანაში არა იშვიათად უკან სწევს და ბორკავს მათ, და ადგილებს ისეთ ნაბიჯებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ ეკონომიკას, მაგ., სოციალისტური საკუთრების მითვისება და განაევება, შრომის დისციპლინის დარღვევა, სოციალისტური შრომის მთლიანად გამოყენების შეფერხება, მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის ისეთი ურთიერთობანი, რომლებიც წინანდელ მონურ ურთიერთობათა ნაშთებს მოასწავებენ, ყოველივე ეს დისგარმონიას ქმნის ჩვენ სოციალისტურ საზოგადოებაში და რამდენიმედ მაინც აფერხებს სოციალიზმის დაუბრკოლებლივ განვითარებას და მის გადაზრდას კომუნისმში.

ლენინი ჯერ კიდევ 1920 წლის აპრილის თვეში წერილში „ძველი წყობილების დაანგრევიდან ახლის შექმნისაკენ“ („От разрушения векового уклада к творчеству нового“) ეხებოდა რა კომუნისტური შრომის პირველ ცდებს (შაბათობები, შრომის არმიები, შრომის ბეგარა) და აღნიშნავდა რა ნაკლოვანებებს და შეცდომებს ამ საქმეში, რაც მისი აზრით იმ დროს აუცილებელი იყო, შემდეგ ამბობდა: „შრომის ახალი დისციპლინის შენება, შენება ადამიანთა შორის საზოგადოებრივი კავშირის ახალი ფორმებისა, ადამიანთა შრომისადმი მიზიდვის ახალი ფორმების და წესების შენება — ეს — მრავალ წლების და ათეულწლების მუშაობაა...“ „და ჩვენ — ამბობდა ლენინი — მოკვადებთ ხელს ამ მუშაობას მთელი ენერჯით“ და პროლეტარიატი, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციამდე ამოდენი უბედურება გამოიარა, გაიმარჯვებოს“<sup>2)</sup>. ამ აღმაფრთოვანებული სიტყვების დაწერის შემდეგ გავიდა ოც წელზე მეტი. ჩვენ დღეს დიდი მანძილით დაეშორებულვართ იმ დროიდან, როდესაც ეს სიტყვები იყო დაწერილი. ლენინის ოცნებამ სისხლი და ზორცი შეისხეს. მაგრამ თუ ცოტათი ჩავუყვარდებით სინამდვილეს, ამ მხრითაც ჯერ კიდევ ბევრი ნაქალი გვაქვს, ამ დარგშიაც ჯერ კიდევ არსებობენ კაპიტალიზმის ნაშთები. განსაკუთრებით მამაკაცების და დედაკაცების ურთიერთობაში (თავდაუპყრობა, მოუფიქრებელი შეუღლება, შემდეგ გაყრა, სასამართლოები, ბავშვების მიტოვება, აღიშენებები და სხვა). ყოველივე ეს არ უდგება კომუნისტურ აღზრდას და კომუნისტურ ზნეობას. ამ მდგომარეობას უნდა დაფიქრება. ბევრი ფიქრობს, რომ ეს კერძო ოჯახური ცხოვრების საკითხებია, და საზოგადოებას იმაში არ შეუქლია ჩაერიოსო. ეს დიდი და მიუტევებელი შეცდომაა. აშკა-

<sup>1)</sup> ი. სტალინი. ლენინის საკითხები. მეათე რუს. გამოც. გვ. 579 — 581.

<sup>2)</sup> ლენინი. თხზულებანი, ტ. XXV, გვ. 151 — 152.

რია, რომ ეს საკითხები კერძო ცხოვრების და ოჯახის ფარგლებს სცილდებიან.

ყველა ეს საკითხები უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობას ეხება. ჩვენი კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც ლენინის ეს ფილმება, ვალდებულია დაიცვას კომუნისტური ზნეობა საყოფაცხოვრებო საკითხებშიაც.

**ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი** — ერთერთი იმ ბოროტებათაგანია, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ებრძვიან. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამ საქმეში დიდი და საგრძნობი მიღწევები არ გვექონდეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბიუროკრატიზმს ჩვენში ფესვები დაჭრილი აქვს, ზოგ შემთხვევაში ჩვენ მაინც ვხედავთ ბიუროკრატიულ, უხეშ, უსულგულო მიდგომას ადამიანისადმი, ქედმაღლობას და მედიდურობას. არიან ახალგაზრდა ბიუროკრატებიც, სამწუხაროდ, პარტიული და კომკავშირული ბილეთებით ჯიბეში. ეს ადამიანები არ უფიქრდებიან იმას, თუ საიდან და რა პირობებში იშვა საბჭოთა ხელისუფლება, თუ როგორ, რა თავგანწირვით იბრძოდნენ ამისათვის წინა თაობები, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის დაიღუპნენ საუკეთესო ადამიანები, — ეს არა იმიტომ, რომ საბჭოთა აპარატებში უსულგულო და ქედმაღალი პიროვნებები მოკალათებულიყვნენ. ისინი არცხვედნენ ლენინის და სტალინის სახელოვან პარტიას და სახელს უტეხენ საბჭოთა ხელისუფლებას. ახალგაზრდობა, განურჩევლად პარტიული თუ უპარტიო, მოწოდებულია, არ გააქაქანოს არსად ბიუროკრატიზმის ჩვევა და უსულგულო და ქედმაღლური მიდგომა ადამიანისადმი. ეს მისი ვალია და მისი მოწოდებაა. ბიუროკრატიზმს და ქედმაღლობას ხელს უწყობს და ეხმარება კრიტიკის და თვითკრიტიკის ჩახშობა ზოგიერთ ხელმძღვანელების მხრით. კრიტიკის და თვითკრიტიკის შეზღუდვა და ჩახშობა ბიუროკრატიზმის მასაზრდოებელი ნიადაგია. ყველა ეს სიმახინჯენი დაუზოგველად მზილებული და გამომყვანებული უნდა იქნენ პრესის საშუალებით; სამწუხაროდ, ჩვენი პრესა ამ მხრით მაინცდამაინც ვერ დაიკვებნის. ამნაირად აქ ჩვენ ნებაუნებლიეთ **ლიტერატურასაც** უნდა შევეხოთ. უნდა გამოვტყდეთ, მეტად ნაკლებად ვარ გაცნობილი ქართულ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურასთან. ცნობილია ყველასათვის, რომ საბჭოთა მწერლები, პოეტები და დრამატურგები შემოქმედებითი მუშაობის მხრით ერთობ საუკეთესო პირობებში არიან ჩაყენებულნი. ვიტყვი გულახდილად: ეს გარემოება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენას უნდა ახდენდეს მწერლის შემოქმედებაზე. საქმე იმაშია, რომ მწერალი არა იშვიათად მოწყვეტილი რჩება საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ცხოვრების დუღილისაგან, შრომის არესაგან, სადაც იქედება ჩვენი დროის ნამდვილი ცხოვრება. იგი ძალაუნებურად მომწყვედებული ხდება ვიწრო ჩარჩოებში, უკეთეს შემთხვევაში იგი მომწყვედებული რჩება მწერალთა კავშირის ფარგლებში, სადაც იგი ისეთივე ადამიანებს ხედება, როგორიც თითონ არის. ეს მოსაბეზრებელიც არის. რა თქმა უნდა, ნამდვილი შემოქმედებისათვის მასალა აქაც ნაკლებია. ამას უთუოდ გრძნობენ თვით მწერლებიც, და ამიტომ ვხედავთ, რომ ისინი, ზოგიერთი იმათგანი მაინც, ხანდისხან ცდილობს მოაწყოს „შემოქმედებითი მივლინებები“ ქარხანა-ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში და სხვა., რათა ახლო გაიცნონ მუშები და კოლმეურნე-გლეხები. რა თქმა უნდა, ასეთ მივლინებათა მნიშვნელობის უარყოფა მწერლის შემოქმედებისათვის შეუძლებელია. მაგრამ ნამ-

დვილი შრომის სფერო ეს მაინც არ არის. ეს უფრო პარადოქსულია, ვარე-განი, ხელოვნურად მოწყობილი დაახლოება. არც მწერალი და არც მწიგნობარი ან კოლმეურნი აქ ბუნებრივ პირობებში არ ხედებიან ერთმანეთს. ვერც ერთი და ვერც მეორე ნამდვილ, თავიანთ ნამდვილ სულისკვეთებას ვერ გადასცემენ, ვერ გაუზიარებენ ერთმანეთს. სულ სხვაა, რომ ადამიანები თვით ცხოვრების მძაფრ პირობებში ან თვით შრომის პროცესში უახლოვდებიან ერთმანეთს. მხოლოდ ერთად მუშაობა და შრომა ქმნიან პირობებს ნამდვილი ცხოვრების შესასწავლად. უამისოდ ლიტერატურული ქმნილება, ნაწარმოები, ლექსი იქნება ის თუ მოთხრობა, რომანი თუ დრამა, გამოვა სქემატიური და განყენებული.

შეიძლება ამაზე მითხრან, რომ შენ მწერლებს ურჩევ ქარხნებში და კოლმეურნეობებში წავიდნენ მუშებად და კოლმეურნეებადო. არა, მე ამას მათ არ ვურჩევ, და კიდევაც, რომ ვურჩიო, ამას ისინი ხომ არ შეასრულებენ. მე მხოლოდ ვუზიარებ ახალგაზრდა მკითხველებს ჩემს ფიქრებს და აზრებს იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით მოეწყოს ის, რომ მწერალი ნამდვილ ცხოვრებას არ მოწყდეს. ამას მეტი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ახალგაზრდა ანუ როგორც ამბობენ დამწყებ მწერლებისათვის. მაგრამ არც ეს კმარა. მწერალი მუდამ უნდა ზრუნავდეს და მეცადინეობდეს თავის განვითარებაზე; მას უნდა ქონდეს ფართო ცოდნა, და შექმნილი ცოდნით არ უნდა კმაყოფილდებოდეს. მაგრამ მწერალს ესაჭიროება პირველ ყოვლისა მ ა რ ქ ს ი ზ მ - ლ ე ნ ი ნ ი ზ მ ი ს დაუფლება.

რამდენიმე სიტყვა ლიტერატურული კრიტიკის შესახებ, მით უფრო, რომ სწორედ ამ ცოტა ხნის წინედ როგორც იტყვიან, ვაიშალა მწერალთა და კრიტიკოსთა კრებებზე, სხდომებზე და პრესაშიაც ერთგვარი „კრიტიკა“, თუ ასე შეიძლება ითქვას სწარმოებდა, ასე ვთქვათ „კრიტიკის“ კრიტიკა. მერე რა გამომქლავნდა, რა გავიგეთ? მოკლედ რომ ვთქვათ, საკმარისად არა სასიამოვნო ამბავი: ლიტერატურული კრიტიკის გადაგვარება! სხვანაირად აბა რა შეიძლება უწოდოთ იმ ფაქტს, რომ „კრიტიკოსის“ როლი განისაზღვრება თურმე მწერლის ქებათა-ქებით, და თუ კრიტიკოსმა სცადა ოდნავ მაინც მიუთითოს მწერალს მისი ნაწარმოების ნაკლებოვანებაზე, ე. ი. შეეცადა ოდნავ მის გაკრიტიკებას, მაშინ ვაი იმის ბრალი: ირღვევა მშვიდობიანი ურთიერთობა, და „შეურაცხყოფილი“ მწერალი უცხადებს მის შეურაცხყოფელ კრიტიკოსს „ომს“. მართალია, ეს — „ომი“ თოფით და ზარბაზნით არ სწარმოებს, და სიცოცხლისათვის არც ისე საშიშია, მაგრამ მყუდრო და წყნარ ცხოვრებას არღვევს, და ამასაც ველარ უძლებენ, და ისევ „ქებათაქების“ ტაქტიკას ამჯობინებენ. ამ მდგომარეობას, როგორც სჩანს, ამ უკანასკნელ დრომდე მაინც, ურიგდებოდნენ, როგორც „კრიტიკოსთა“ უმრავლესობა, ისე მით უფრო მწერლებიც, რომლებსაც მხოლოდ ის უნდათ, რომ კრიტიკოსებმა ისინი აქონ და აქონ. ამ მდგომარეობას შეურიგდნენ ასე წარმოდგინეთ, ჩვენი რედაქციებიც, იმათაც არ უნდათ რაიმე უსიამოვნების ჩამოგდება მწერლებთან. ამნაირად დამკვიდრდა ერთგვარი „სოლიდარობა“ მწერლებსა და კრიტიკოსებს შორის, მაგრამ ეს ხომ საზიანოა როგორც ერთისთვის, ისე მეორესათვის; ამ პირობებში ვერც მწერალი წავა წინ და ვერც კრიტიკოსი. ამის შედეგი არის ის, რომ როცა ესა თუ ის „კრიტიკოსი“ იღებს ხელში რომელიმე მწერალის მხატვრულ ნაწარმოებს, თქვენ უკვე წინდაწინ შეგიძლიანთ ზუსტად განსაზღვროთ თუ რას იტყვის 7. „მწათობი“, № 1.



იგი: ტრაფარეტი და შაბლონი უკვე გამომუშავებულია. ყველა თანხმად იმა-  
ში, რომ ასეთი მდგომარეობა აუტანელია, ის უთუოდ უნდა შეიცვალოს,  
კრიტიკოსი მართლა კრიტიკოსი უნდა გახდეს ამ სიტყვის სრულყოფილ-  
ლობით: დადებითად შეაფასოს ის, რაც ამის ღირსია, და ამაგოს ის, რაც  
ძაგების ღირსია. მწერალს ზომ უფლება აქვს დაიცვას თავისი ნაწარმოები,  
თუ ის უსამართლოდ გააკრიტიკეს. უნდა ვიცოდეთ, რომ კრიტიკის სფერო-  
ში აუცილებელია სიმკვეთრე და სიცხარე, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სას-  
ტიკი პრინციპულობის საფუძველზე, და პიროვნების ოდნავად შე-  
ლაზვას ან მის დამცირებას და შეურაცხყოფას ადგილი არ უნდა დაუტჩეს.

ყოველივე ეს საანბანო, ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებაა, და თუ  
ამაზე მაინც ვლაპარაკობთ, ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენ მწერლო-  
ბაში ეს ანბანური ჭეშმარიტებანი რამდენიმედ დაუფიქწყნიათ. რა თქმა უნდა,  
ყველა მწერალზე ან კრიტიკოსზე ეს არ ითქმის, იმათ შორის არიან ისეთე-  
ბიც, რომლებიც თავის მოწოდების სიმაღლეზე ღვანან, მაგრამ ესენი უმცი-  
რესობას შეადგენენ და საერთო მდგომარეობას ვერ ცვლიან. დროის დად-  
გილის უქონლობის გამო, საშუალება არა მაქვს უფრო დაწვრილებით შე-  
ვებო ამ მეტად საინტერესო თემას.

როცა ლაპარაკობენ ლიტერატურულ კრიტიკის გაუმჯობესებაზე და  
ეძებენ ამის საშუალებებს, ჩემი შეხედულებით ერთ რასმეს — ყველაზე  
უფრო მთავარს — უშვებენ მხედველობიდან. ერთი ვიკითხოთ: ვინ მოგვცა  
და ვინ გვაძლევს ნამდვილ კრიტიკის ნიმუშებს? ვინ არიან ისინი, რომლე-  
ბიც მუდამ აწარმოებდნენ დაუზოგველ, ცხარე და მკვეთრ კრიტიკას ყოველ-  
გვარ შემცდარ შეხედულებების წინააღმდეგ, და ეს კრიტიკა არასოდეს და  
არა შემთხვევაში არ უხვევდა პრინციპულობიდან, რომელიც ერთხელაც არ  
უშვებდა საკითხის პრინციპულად დაყენების და მისი სრული ობიექტურო-  
ბით გაშუქებას? მე ვფიქრობ, რომ მკითხველები თითონვე მიხვდებიან, რომ  
ესენი იყვნენ მარქსი, ენგელსი და ლენინი და ახლა არის ამზა-  
ნავი სტალინი. მე ეჭვი მეპარება იმაში, რომ ჩვენი მწერლები და კრი-  
ტიკოსები ერთობ ნაკლებად უნდა იყვნენ გაცნობილნი მარქსის,  
ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებებს, საერთოდ,  
და ლიტერატურული კრიტიკის დარგში კერძოდ. აი ის წყაროები, საიდანაც  
იმათ უნდა ისწავლონ კრიტიკის იარაღის გამოყენება და ხმარება ლიტერა-  
ტურის დარგში.

### 3. მსახივნილი

## ლენინისა და სტალინის მახსიაკული წინასწარხედვის შესახებ

„რომ უხელმძღვანელო, საჭიროა წინასწარხედვა“  
სტალინი

ისტორიის, საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების მეცნიერულ გაგებას, მის მეცნიერულ ახსნას, საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების მსვლელობის უტყუარ გაგებას და ამ დარგში მეცნიერულ წინასწარმეტყველებას მარქსსა და ენგელსამდე, ლენინსა და სტალინამდე ვერ მიღწივა ვერც ერთი დროისა და ვერც ერთი ქვეყნის მეცნიერმა, ფილოსოფოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, რადგან სოციოლოგია ნამდვილ მეცნიერებად იქცა მხოლოდ და მხოლოდ მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ხელში.

მარქსამდე ბევრი გამოჩენილი მოაზროვნე ცდილობდა წინასწარ განეკვირბა მომავალი, საზოგადოებრივი მოვლენების შემდგომი განვითარება და დაესახა ნათელი პერსპექტივა, მაგრამ ყველა მათგანი უძლური აღმოჩნდა ამ საქმეში. თვით გენიალური მოაზროვნეების კომპანელას, ოუენის, ფურიეს, სენსიმონის, დიდი ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ძლიერი გონებაც ქედს იხრის მეცნიერული წინასწარხედვის წინაშე. ამ გამოჩენილმა მოაზროვნეებმა, რომელთაც მოგვეცეს არსებული უკუღმართი წყობილების სასტიკი კრიტიკა და დახატეს მომავლის მეტად წარმტაცი სურათები, ადამიანები, რომლებმაც მთელი ტომები დასწერეს კაპიტალისტური წყობილების, როგორც უგუნური წყობილების, უვარგისობის შესახებ და ხობტა შეასხეს უკეთეს მომავალს — სოციალისტურ წყობილებას, უძლური აღმოჩნდნენ მეცნიერული საფუძველი მიეცათ თავიანთი იდეალებისათვის, დაესაბუთებინათ სოციალიზმ-კომუნისმის ისტორიულად გარდაუვალი ხასიათი, მისი ისტორიული აუცილებლობა. სწორედ ამიტომ გადაკრით შეიძლება ითქვას, რომ მათი შეხედულებანი მომავლის შესახებ, მათი ისტორიული „წინასწარმეტყველებანი“ უფრო კეთილ სურვილებს, სათნო იდეალებს, ოცნებას ან, უკეთეს შემთხვევაში, ცალკეული გენიალური მიხედვის ნიმუშებს წარმოადგენენ, ვიდრე თანმიმდევრულ მეცნიერულ წინასწარხედვას. მათ შეხედულებებს არ გააჩნდათ მეცნიერული საფუძველები, ამიტომ ისინი საზოგადოების გარდაქმნის უტოპიურ გეგმებად დარჩნენ.

ისეთმა დიდმა მოაზროვნემა-კი, როგორც იყო რ. ოუენი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და საკუთარი მატერიალური ქონება-კი სოციალიზმის ქადაგებას მოახმარა, ადამიანმა, რომელიც სიკვდილამდე სოციალიზმის დამყარებაზე ოცნებობდა და იბრძოდა მისი მოახლოებისათვის, ვერ

შესძლო მეცნიერულად დაესაბუთებინა სოციალიზმის ისტორიული გარდაუვალობა. ოუენი თავის იმედებს, თავისი იდეალების განხორციელების იმედებს ისევ ბურჟუაზიული მთავრობის კეთილ-გონიერებაზე ამყარებდა, იგი ფიქრობდა, რომ ბოლოს სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგება „რაციონალური მთავრობა“, „ფილოსოფოსთა დამჭერი მთავრობა“, რომელიც დაიწყებს საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნას. ისევე, როგორც ყველა სხვა უტოპისტმა, ვერც ოუენმა ახსნა საზოგადოების განვითარების შინაგანი კანონები, ვერ გაიგო კლასთა ბრძოლის კანონები და ამიტომ ვერ მოსძებნა ის სოციალური ძალა, ის კლასი, რომელიც მოწოდებულია ისტორიულად, დაამხოს კაპიტალიზმი და ააშენოს სოციალიზმი.

უტოპისტებმა არ იცოდნენ განვითარების კანონი, სინამდვილისადმი დიალექტიკური მიდგომა, ამიტომ, როგორც ვლ. ლენინი ამბობს, მათ „არ შეეძლოთ აეხსნათ არც დაქირავებული მონობის არსი კაპიტალიზმის დროს, არც მისი განვითარების კანონების აღმოჩენა, არც იმ საზოგადოებრივი ძალის მოძებნა, რომელსაც შეუძლია იყოს ახალი საზოგადოების შემომქმედი“<sup>1)</sup>. სწორედ ამიტომ მათი შეხედულებანი მომავლის შესახებ, სოციალიზმის შესახებ არ წარმოადგენენ მეცნიერულ წინასწარხედვას.

დიდი რუსი ხალხის საუკეთესო შვილს ბესარიონ ბელინსკისაც-კი, რომლისთვისაც, როგორც იგი თვითონ ამბობს ბოტკინისადმი მიწაწერ ერთ-ერთ წერილში, სოციალიზმის იდეა „გახდა იდეათა იდეად, ყოფნის ყოფნად, საკითხთა საკითხად, რწმენისა და ცოდნის ალფად და ომეგად“, როცა იგი რუსეთის მომავალს ეხებოდა და თავის შეხედულებას გამოისთქვამდა, არ შეეძლო მეცნიერული დასაბუთება მიეცა თავის ამ შეხედულებისათვის. აი რას სწერდა ბელინსკი 100 წლის წინად, 1840 წელს:

„შურით შევეყურებთ ჩვენს შვილიშვილებსა და შვილთა შვილიშვილებს, რომელთაც წილად ხვდებათ იხილონ რუსეთი 1940 წელს, რუსეთი, რომელიც განათლებული კაცობრიობის სათავეში იდგება, რომელიც კანონებს დაუდგენს მეცნიერებასაც, ხელოვნებასაც, რომელიც პატივისცემის მოკრძალებულ ხარკს მიიღებს მთელი განათლებული კაცობრიობისაგან“.

ბ. ბელინსკის ეს სიტყვები, წარმოთქმული ასი წლის წინად, ბრწყინვალედ გამართლდა. ახლა ჩვენი ქვეყანა მართლაც წარმოადგენს მთელს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესიულ ქვეყანას, რომელიც მეცნიერების, ხელოვნების ყველა დარგში კანონებს უდგენს მთელს მსოფლიოს. იგი მართლაც იღებს პატივისცემის მოკრძალებულ ხარკს მთელი განათლებული მსოფლიოსაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამით აღსრულდა ბელინსკის მხოლოდ კეთილშობილური ოცნება. 1940 წლის რუსეთის შესახებ ბ. ბელინსკის აქ მოყვანილი სიტყვები არ წარმოადგენენ წინასწარხედვას, რომელსაც უნდა ჰქონდეს თანმიმდევრული, მტკიცე მეცნიერული საფუძველი. ეს „წინასწარმეტყველება“ სრულიადაც არ ემყარებოდა ისტორიის განვითარების მარქსისტულ, მეცნიერულ ანალიზს და ამ საფუძველზე მოცემულ დასკვნებს, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, იყო მისი მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილები და ოცნება ან, საუკეთესო შემთხვევაში, ძლიერი ინტუიციის, მიხვედრის ნიმუში.

<sup>1)</sup> ლენინი — რჩეული ნაწერები, ტ. VI, გვ. 5. ჭარბ. გამ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვერც ერთი პროგრესიულად მიაზროვნე, რევოლუციურად განწყობილი, სოციალიზმის მოტრფიალტ ~~ქმედებულ~~ ვერ ახერხებს თანმიმდევარ მეცნიერულ წინასწარხედვას. რაც შეეხება მურქუაზიულ თეორეტიკოსებს, მათზე გადაჭრით შეიძლება მეტი ითქვას.

ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება, ბურჟუაზიული სოციოლოგია ანტიმეცნიერულია: იგი ყალბი, აპოლოგეტური თეორიაა, ბურჟუაზიის ბატონობის საფუძველს წარმოადგენს კერძო საკუთრება, ექსპლოატაცია და, თუმცა მთელი განვითარება გარდაუვალად კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის გაუქმებისაკენ მიდის, ბურჟუაზიულ სოციოლოგებს, ისტორიკოსებს და პოლიტიკურ მოღვაწეებს არ შეუძლიათ დაინახონ გარდაუვალობის ეს რკინისებური კანონი. თავისი კლასობრივი მდგომარეობისა და კლასობრივი მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობის გამო, ბურჟუაზიული „მეცნიერება“ იკვლევს არა თვით სინამდვილეში, ობიექტურად არსებულ ფაქტებს, განვითარების ობიექტურ კანონებს, არამედ იგი იგონებს კანონებს, მას გარედან შეაქვს სინამდვილეში ისეთი კანონები, რომლებიც ეთანხმებიან ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს, მის კლასობრივ პოლიტიკას. ბურჟუაზიული მეცნიერება სრულიადაც არ ეძებს ჭეშმარიტებას, საზოგადოებრივი განვითარების ნამდვილად მომქმედ კანონების გაგებას, იმას, თუ საით მიჰყავს საზოგადოება მომავალში ადამიანისაგან, დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ბუნებრივ ისტორიულ კანონებს, ბურჟუაზიული სოციოლოგები ყველაფერს აკეთებენ მხოლოდ იმისათვის, რომ გაამართლონ კერძო საკუთრება, ექსპლოატაციის არსებობა და კაპიტალისტური წყობილება, დასახონ იგი, როგორც გარდუვალი, მარადიული საზოგადოებრივი წყობილება. ჯერ კიდევ 70 წლის წინად სწერდა კ. მარქსი, რომ „ამერიიდან ბურჟუაზიული ეკონომისტებისათვის საკითხი ის კი არ არის, თუ რამდენად სწორია ესა თუ ის თეორემა, არამედ სასარგებლოა იგი კაპიტალისათვის თუ საზარალო, ვარგია მისთვის თუ უვარგისი, შეეფერება პოლიტიკურ მოსაზრებებს თუ არა“<sup>1)</sup>.

ბურჟუაზიის არა აქვს მომავალი, არა აქვს ნათელი პერსპექტივა. ხვალინდელი დღისათვის იგი განწირულია. ამიტომაც, რომ ბურჟუაზიული სოციოლოგია უარჰყოფს ხვალინდელი დღის წინასწარგაგების შესაძლებლობას, მეცნიერული წინასწარხედვის შესაძლებლობას. ლენინი არა ერთ ადგილას მიგვითითებდა რომ დალუპვის გზაზე მდგარ კლასს არ შეუძლიან სინამდვილის ჭეშმარიტი შეცნობა, რომ „არ შეიძლება სწორად ივარაუდო, როცა დალუპვის გზაზე დგახარ“<sup>2)</sup>. მსოფლმხედველობის ასეთი კლასობრივი შეზღუდულობის გამო ბურჟუაზიის არ შეუძლიან საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების მეცნიერული, სწორი, ჭეშმარიტი ახსნა და აგრეთვე სწორი ობიექტური დასკვნების გაკეთება. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიამ დღემდე ვერ ახსნა კაპიტალისტური წყობილების დამახასიათებელი საშინელი მოვლენის — კრიზისების ნამდვილი მიზეზები. ამიტომაც, რომ იგი სრულიად ამაოდ ხმარობს ყოველგვარ ღონისძიებას — აიცილინოს თავიდან კრიზისები. ხელისუფალნი აარსებენ კონიუნქტურულ ინსტიტუტებს, „ეკონომიური ამინდის“ მაუწყებელ ე. წ. ბარომეტრებს (მაგ., პარვარტის და სხვა ბარომეტრე-

<sup>1)</sup> კ. მარქსი — „კაპიტალი“, I ტომის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობა.

<sup>2)</sup> ლენინი, ტ. XXVII, გვ. 122.

ბი). რომლებიც, მათის აზრით, დაუყოვნებლივ აუწყებენ, ეკონომიკურ შეფერხებებისა და კრიზისების დასაწყისს და მიიღებენ ზომებს მის აღსაკვეთად. მეცნიერები, სწავლულები ღამეებს თეთრად ათენებენ იმიტომ, რომ გამოიგონონ ისეთი „რამ მანქანები“, რომლებიც მოსპობენ კრიზისებს, და დღემდე ვერ გაუვიათ და არ უნდათ აღიარონ, რომ ყველაფერი ეს წყლის ნაყვია და მეტი არაფერი, რომ შეუძლებელია კრიზისების მოსპობა მისი საფუძვლის — კაპიტალისტური მეურნეობის მოუსპობლად, თვით ბურჟუაზიული კლასის მოუსპობლად.

დამახასიათებელია ერთი ასეთი ისტორიული ფაქტი.

1929 წელს, როცა გაიშალა ჭარბი წარმოების კრიზისი, ამერიკის შ. შტატებში, ვაშინგტონში, მაშინდელმა პრეზიდენტმა ჰუვერმა შეკრიბა მრეწველების, ვაჭრების, ფინანსისტების, მსხვილი მავნატების წარმომადგენლები და გადასწყვიტეს გასწიონ აგიტაცია იმ მიმართულებით, რომ როგორმე დაარწმუნონ ამერიკელები, რათა შეისყიდონ მათ რაც შეიძლება მეტრ საქონელი. ყველა პოლიტიკოსი დარწმუნდა ბოლოს იმაში, რომ საჭიროა ხალხის დაჯერება ვადიდოს მოხმარების ფარგლები, და აი ამ მიზნით ყველა ქუჩაზე, თვალსაჩინო ადგილებზე, გზაჯვარედინებზე გააკრეს პლაკატები შემდეგი ლოზუნგით: „იყიდეთ რაც შეიძლება მეტი საქონელი და ამით მიეცით ბიჭი სამეურნეო ცხოვრებას“-ო. ასეთი ლოზუნგებით სცდილობდნენ მოხმარების გადიდებას, დაგროვილი ჭარბი ნაწარმების გასაღებას და კრიზისის მოსპობას. ყოველი მარქსისტისათვის პირდაპირ სასაცილო და გასაგებია ის, რაც ამერიკელ „ბრძენ მეცნიერებს“ და პოლიტიკოსებს არ ესმოდათ, ის, რომ მასების მოხმარება ცარიელი სურვილი და მოთხოვნილება როდია, მასების მოხმარებას თავისი მატერიალური საფუძველი აქვს, რომელიც შეზღუდულია და უფრო და უფრო იზღუდება კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, რომ მასების მსყიდველობითი უნარიანობა არ შეიძლება, გადიდდეს ჰუვერების აგიტაციით. ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა: კაპიტალიზმის დამხობა, სოციალიზმის დამყარება, სადაც განუსაზღვრელად იზრდება მასების მოხმარების დონე და ფარგლები.

ასევე სასაცილოა კრიზისების ყველა დანარჩენი ბურჟუაზიული თეორია, რომელიც ისევ და ისევ თავის ანტიმეცნიერულ, ყალბ ხასიათზე ლაპარაკობს. ცნობილი თეორეტიკოსი ჯეონსი თავის იტალიელ მიმდევარ ბოეკარდოსთან ერთად ფიქრობდა, რომ პერიოდული კრიზისები დაკავშირებულია მზეზე ლაქების პერიოდულად გამოჩენასთან, რაც თითქოს ასევე პერიოდულად იწვევს სოფლის მეურნეობაში მოუსავლიანობას, რითაც ამცირებს მოხმარებას, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოშობს ჭარბ წარმოებას და კრიზისებს. ამრიგად კრიზისების მიზეზებს ეძებდნენ არა კაპიტალიზმის ბუნებაში, მის შინაგან, რეალურად არსებულ წინააღმდეგობებში, არამედ მის გარეშე, ბუნებაში, მზეზე ლაქების გამოჩენის ფაქტში. კრიზისების ასეთი ახსნა ისეა დაშორებული სინამდვილეს, როგორც ჯეონსის კრიზისების ამხსნელი მზე დედამიწას.

ბურჟუაზიულ თეორეტიკოსებს არათუ არ შეუძლიანთ მეცნიერულად ახსნან საზოგადოების განვითარების კანონები და ამ საფუძველზე მოახდინონ მეცნიერული წინასწარგანჭვრეტანი, არამედ ისინი პირდაპირ და აშკარად უარყოფენ ისტორიის, საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობას. ბურჟუაზიული სოციალოგია აცხადებს, რომ

მეცნიერულად შეიძლება მხოლოდ ბუნების შესწავლა, რადგან ბუნებაში მოვლენები მეორდებიან, ბუნების განვითარებას განაგებენ მტკიცე კანონები, ბუნებას აქვს გარკვეული კანონზომიერება, ხოლო რაც კმეფიქციურადღობას, იქ თითქოს არ შეიძლება რაიმე მეცნიერული კვლევა-ძიება და შესწავლა, რადგან, მათის აზრით, საზოგადოებრივ განვითარებაში, ისტორიაში მოვლენები არ მეორდებიან, საზოგადოების განვითარებას არ განაგებენ მტკიცე კანონები, ისტორიას არა აქვს თავისი კანონზომიერება, ამიტომ ისტორიული ფაქტების, საზოგადოებრივი მოვლენების მხოლოდ აღწერა და გადმოცემა შეიძლება. ისტორიის განვითარების კანონზომიერებას, ისტორიის მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობას აშკარად და პირდაპირ უარპყოფენ ისეთი ცნობილი თანამედროვე მეცნიერები, როგორცაა რიკერტი, ამერიკელი მეცნიერი ჩარლზ ბირდი, ფრანგი სოციოლოგი ანრი ბირრი და მასი. ყველა ისინი უარყოფენ ისტორიაში მიზეზობრიობას და კანონზომიერების არსებობას და აცხადებენ, რომ ისტორიას განაგებს არა კანონზომიერება, არამედ ბედი. თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების ფატალისტური ხასიათი აშკარად გამოსთქვა შპენგლერმა თავის შემდეგ სიტყვებში:

„ისტორიკოსი მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო არ ეკუთვნის იგი მეცნიერებას, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ისტორიის სურათზე ბატონობს არა მიზეზობრიობა, რომელიც მისთვის სავსებით უცხოა, არამედ ბედი“.

როგორცაა ამა თუ იმ ქვეყნის ბედი, ისეთივეა მისი განვითარების ხასიათი, მიმართულება. ასეთია ბურჟუაზიული სწავლულთა დასკვნა. ისტორიული პერსპექტივის, საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების მსვლელობის წინასწარ გათვალისწინების შესაძლებლობას უარპყოფს ბურჟუაზიული მეცნიერება. არ შეიძლება ვიცოდეთ დღეს, წინასწარ ის, თუ რა იქნებაო ხვალ,—აცხადებენ ისინი. თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსები, ებრძვიან რა მეცნიერული წინასწარხედვის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ადამიანს არ შეუძლიან წინასწარ იცოდეს, რა მოხდება ათი ან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, არ შეიძლება წინასწარ იცოდეს, საით წავა ამა თუ იმ ქვეყნის განვითარება, რა მიმართულება მიიღებენ მომავალში მოვლენების განვითარება, განვითარების ტენდენცია, თანამედროვე საზოგადოების მომავლის ბედის საკითხი არ შეიძლება გადაიჭრასო დღეს. ბურჟუაზიული მეცნიერები აშკარად უარპყოფენ მეცნიერული წინასწარხედვის შესაძლებლობას. დამახასიათებელია თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერის ზრისტიანე ეკერტის შეხედულება ამის შესახებ.

იგი სწერს:

„ჩვენ არ შეგვიძლიან რამდენადმე დარწმუნებით განვჭრიტოთ მომავალი არც სამი და არც ოცდაათი წლით წინ... ჩვენ კმაყოფილი უნდა ვიყოთ, თუ არსებობს რაიმე პასუხი კითხვაზე: „სად ვიმყოფებით და საით მივისწრაფვით“. ამ კითხვაზე პასუხი სამწუხაროდ დარჩება ბედის გადაუტრეკლ კითხვად. როგორც ინდივიდუალისათვის, ისე საზოგადოებისათვის, და არც ერთ ბრძენს არ შეუძლიან მოცემულ კითხვაზე საჭირო პასუხის გაცემა“.

ეკერტის ეს შეხედულება წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების სტიქიურ, უგეგმო, ანარქიული განვითარების ანარქელს კლასობრივი შეზღუდულობით დაჩლუნგებულ ბურჟუას თავში.

და მართლაც, ბურჟუაზიას არ შეუძლიან განსჯერითოს მომავალი რადგან მას მომავალი არ გააჩნია, მას არ შეუძლიან წინასწარ დაინახოს ხვალისდელი დღე, რადგან ხვალისდელი დღე მას არ ეკუთვნის. ამასთან შეუძლიან მეცნიერულად ახსნას კაპიტალიზმის შინაგანი მღრღნელი კანონები, რადგან ამ კანონების განვითარება უარპყოფს ბურჟუაზიის არსებობას. სწორედ ამიტომ, ე. ი. იმიტომ, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლიან უარი განაცხადოს თავის არსებობაზე, თავისი კლასობრივი მდგომარეობის, კლასობრივი შეზღუდულობის გამო, იგი პრინციპულად უარპყოფს მეცნიერული წინასწარხედვის შესაძლებლობას.

მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური პროგრესიული კლასის პროლეტარიატის მსოფლმხედველობას — მარქსიზმ-ლენინიზმს შეუძლიან მეცნიერულად ახსნას ისტორიის, საზოგადოებრივი განვითარების მომქმედი კანონები და წინასწარგანსჯერითოს მოვლენები, განვითარების მსვლელობა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია წარმოადგენს ერთადერთ ჭეშმარიტ მეცნიერებას საზოგადოების შესახებ, რომელიც იძლევა საშუალებას შეუცდომლად იქნას გაგებული საზოგადოებრივი მოვლენის წარმოშობა, მიმდინარეობა-განვითარების მიმართულება და მისი განვითარების ძირითადი ხასიათი მომავალში.

მარქსიზმ-ლენინიზმი შეიარაღებულია მეცნიერული კვლევის ისეთი უნივერსალური მეთოდით, როგორიცაა მარქსისტულ-მატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენებს იხილავს მათი ორგანიულ კავშირში, მათ მოძრაობასა, ცვალებადობასა და განვითარებაში, აღიარებს მოვლენების განვითარებას აღმავალი წინსვლითი ხაზით, მარტივიდან რთულისაკენ, დაბალიდან უმაღლეს ფორმებისაკენ, რაც ხორციელდება თვისებრივი ნახტომებით. ეს მეთოდი მოვლენებს იხილავს, როგორც დაპირისპირებულითა ერთიანობას, რომელიც წარმოადგენს განვითარების წყაროს.

მარქსისტულ-ლენინური თეორია მოვლენებს ხსნის მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმით, რომელიც სამყაროს განიხილავს, როგორც მატერიალურს, პირველადად, საფუძვლად მიიჩნევს მატერიას, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ რეალობას და არსებობას ჩვენი შემეცნების დამოუკიდებლად. მარქსისტული მატერიალიზმისათვის ობიექტური რეალობა სავსებით შეცნობადია.

მარქსიზმ-ლენინიზმის ამ შეხედულებათა გავრცელება საზოგადოებრივ მოვლენებზე — ესაა ისტორიული მატერიალიზმი. ისტორიის განვითარების ეს ამხსნელი და სამყაროს გარდამქმნელი თეორია მოგვცა პირველად მარქსმა და ენგელსმა, რომელიც ახალს პირობებში განაგრძეს და განავითარეს ლენინმა და სტალინმა.

მარქსმა პირველმა აღმოაჩინა საზოგადოების განვითარების შინაგანი კანონები და ამიერიდან ისტორიათმცოდნეობა ნამდვილ მეცნიერებად გადაიქცა. „როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანიული სამყაროს განვითარების კანონი, — ამბობს ფ. ენგელსი, — ასევე მარქსმა აღმოაჩინა ადამიანთა ისტორიის განვითარების კანონი“. მარქსმა და ენგელსმა, კრიტიკულად დასძლიეს და გადაამუშავეს რა კაცობრიობის მიერ დაგროვილი მთელი ცოდნა, დაჯამეს და განაზოგადეს რა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების მთელი გამოცდილება, შექმნეს ახალი, პროლეტარიატის



მსოფლმხედველობა, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ მეცნიერებას, საზოგადოების განვითარების შესახებ.

მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოების განვითარების საზოგადოების ეკონომიკაში. წინააღმდეგ ყველა სახის ბურჟუაზიული იდეალისტური თეორიებისა, მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოების ისტორიის განვითარების კანონებს ზედაეს არა ადამიანთა იდეალებში, შეხედულებაში, არა საზოგადოების გარდაქმნის იდეალურ გეგმებში, არამედ წარმოების წესში, ადამიანთა საზოგადოების მატერიალური წარმოების ხასიათში. „საზოგადოების ისტორიის კანონების შესწავლის გასაღები უნდა ვეძებოთ არა ადამიანთა თავებში, არა საზოგადოების შეხედულებებსა და იდეებში, არამედ წარმოების წესში, რომელსაც იყენებს საზოგადოება ყოველ მოცემულ ისტორიულ პერიოდში — უნდა ვეძებოთ საზოგადოების ეკონომიკაში“ („საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 182). წარმოების წესი, საზოგადოების ეკონომიკა არის საზოგადოების განმსაზღვრელი. როგორცაა წარმოების წესი, როგორცაა საზოგადოების ეკონომიკა, ისეთივეა საზოგადოების მთელი ფიზონომია, ისეთივეა მისი ზედნაშენები: პოლიტიკური წყობილება, საზოგადოებრივი წყობილება, საზოგადოებრივი იდეები და შეხედულებანი, და რადგანაც წარმოების ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მუდამ განუწყვეტელ ცვლილებებს და განვითარებას განიცდის, ამიტომ ამის შესაბამისად იცვლებიან საზოგადოებრივი წყობილებანი, საზოგადოებრივი იდეები, პოლიტიკური დაწესებულებანი და პოლიტიკური შეხედულებანი, — წარმოების წესის შეცვლა იწვევს მთელი საზოგადოებრივი წყობილების შეცვლას. ამასთან აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეცვლა ხდება არა ევოლუციონური, არამედ რევოლუციონური გზით. საწარმოო ძალთა განვითარება აღწევს ისეთ დონეს, როცა მას აღარ შეეფერება არსებული საწარმოო ურთიერთობა, ეს უკანასკნელი ბორკილებად ედება საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, იწყება კონფლიქტი საწარმოო ძალთა და წარმოებითს ურთიერთობას შორის, რომელიც არ შეიძლება გადაიჭრას სხვა გზით, თუ არა რევოლუციური ძალდატანებით, რომელიც ამსხვრევს არსებულ საწარმოო ურთიერთობას და ამყარებს ახალ, უფრო მაღალი ტიპის საწარმოო ურთიერთობას.

კაცობრიობის მთელი ისტორია წარმოადგენს განვითარების ამ კანონის ნათელ დადასტურებას. სწორედ საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ საფეხურებზე, როცა მათ აღარ შეეფერებოდნენ საწარმოო ურთიერთობანი, სცვლიდნენ ერთმანეთს საზოგადოებრივი ეკონომიური წყობილებანი. პირველყოფილი თემური წყობილება შესცვალა მონათმფლობელობამ, მონათმფლობელობა — ფეოდალიზმმა, ფეოდალიზმი — კაპიტალიზმმა, ხოლო ამ უკანასკნელს სცვლის სოციალიზმ-კომუნიზმი. აქ ჩამოთვლილი ყოველი საზოგადოებრივი წყობილება ბევრად უფრო მაღალი ტიპისაა, ვიდრე მისი წინა საზოგადოებრივი წყობილება. განვითარება აღმაჯალი, წინსვლითი ხაზით მიემართება, დაბალიდან მაღალი ფორმისაკენ, და ამიტომაც, რომ კომუნიზმმა, როგორც საზოგადოების უმაღლესმა ფორმამ, ისეთივე ისტორიული აუცილებლობით უნდა შესცვალოს კაპიტალიზმი, როგორც კაპიტალიზმმა შესცვალა თავის დროზე ფეოდალიზმი. ამაშია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების რევოლუციური სული. აქაა მოცემული წინასწარხედვის საფუძველიც.

მარქსმა და ენგელსმა დაამსხვრიეს ყალბი, იდეალისტური თეორიები და ჩამოაყალიბეს მეცნიერული ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც რბიექტურად ხსნის ისტორიის განვითარებას.

ამიტომ ამბობდა ვლადიმერ ლენინი, რომ:

„მარქსის ისტორიული მატერიალიზმი მეცნიერული აზროვნების უდიდესი მონაპოვარია. ქაოსი და თვითნებობა, რომელიც აქამდე შეფობდა შეხედულებებში ისტორიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა გასაოცრად მწყობრი და მთლიანი მეცნიერული თეორიით, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან, საწარმოო ძალთა ზრდის გამო, მეორე უფრო მაღალი წყობა.“

მარქსისა და ენგელსის მიერ ჩამოყალიბებული ისტორიული მატერიალიზმისათვის საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარების კანონების შესწავლა სავსებით ისეა შესაძლებელი, როგორც შესაძლებელია მეცნიერებისათვის ბუნებრივ მოვლენათა შესწავლა. და ამ შესწავლის შედეგები, ისტორიული მეცნიერების მონაცემები საზოგადოებრივი განვითარების შესახებ სარწმუნო მონაცემებია, რომელთაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს. მარქსიზმ-ლენინიზმი ამბობს, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოებრივი განვითარება აგრეთვე შეცნობადია, ხოლო მეცნიერების მონაცემები საზოგადოების განვითარების შესახებ სარწმუნო მონაცემებია, რომელთაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვთ“ („საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 170).

საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარების კანონზომიერების ასეთი მეცნიერული, მარქსისტული გაგება, ისტორიის წარსულისა და აწმყოს ღრმა შესწავლა და გაგება იძლევა საშუალებას შევიხედოთ მომავალში, გავიგოთ მომავალიც. განვითარების მარქსისტული მეცნიერული ახსნა იძლევა საშუალებას წინასწარ გავითვალისწინოთ მოსალოდნელი მოვლენები, გავითვალისწინოთ განვითარების პერსპექტივა, განვითარების მიმართულება. საზოგადოებრივი მოვლენების მარქსისტულ-ლენინური გაგება მუშათა კლასს, ბოლშევიკურ პარტიას აძლევს იმ მძლავრ იარაღს, „რომლის შემწყობითაც იგი შეიძნობს აწმყოს და განჭვრეტს მომავალს“ (იქვე გვ. 44). ისტორიის მტკიცე მეცნიერული ახსნა იძლევა საფუძველს მეცნიერული წინასწარხედვისათვის, მოვლენათა წინასწარგანჭვრეტისათვის.

მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში, მოძრაობის სწორად წარმართვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მეცნიერულ წინასწარხედვას.

განვითარების ასეთი სწორი მეცნიერული გაგების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სწორი სტრატეგიული ამოცანების დაყენება რევოლუციის განვითარების ცალკე ეტაპებზე, შეუძლებელი იქნებოდა ყოველი ცალკე მოცემული მომენტისათვის ზუსტი, მართებული ტაქტიკის არსებობა, უტყუარი, შეუცდომელი, მასების მოთხოვნილებასთან სავსებით შეფარდებული ლოზუნგების წამოყენება; შეუძლებელი იქნებოდა გვექონოდა ნათელი პერსპექტივა და მებრძოლი ოპტიმიზმის თვალთ გვეცქირა არც თუ ისე მახლობელ მომავლისათვის.

\*) ლენინი. — „მარქსი-ენგელსი-მარქსიზმი“ გვ. 166.

ახალი ტიპის პარტია, ბოლშევიკების პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს მრავალმილიონიან მშრომელთა ბრძოლას კომუნიზმისკენ, პარტიას, რომელსაც უხდებოდა სვლა ისტორიულად სრულიად გეგმავლური გზით, განსაკუთრებით საჭიროებს წინასწარხედვას, ნათელ, ქეშმარიტ პერსპექტივის დანახვას. და არა მარტო პერსპექტივის დანახვას, არამედ იმ ძირითადი გზების გაგებას, რომლებიც დასახულ მიზანთან მიგვიყვანდნენ.

„მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემოცველ მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში („მოკლე კურსი“ გვ. 431) როცა ვლადიმერ ილიჩმა წინასწარხედვაზე, ქეშმარიტ მეცნიერულ წინასწარმეტყველებაზე, საჭიროა შევნიშნოთ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისტორიაში ყველა დეტალის წინასწარ განსწავლვა არ შეიძლება, არ შეიძლება იმის წინასწარგაგება, თუ როგორ ფორმებს მიიღებს ესა თუ ის მოვლენა მომავალში. მეცნიერული წინასწარ განსწავლვა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი, ისტორიული განვითარების მაგისტრალური ხაზისა, განვითარების ძირითადი ტენდენციისა, საერთო მიზნისა, პერსპექტივისა. ისტორიაში ადგილი აქვს მრავალ შემთხვევითობას, სტიქიურ, გაუთვალისწინებელ მოვლენებს. ისტორია ვითარდება მრავალი ზიგზაგით — მიხვეულ-მოხვეული გზებით. ვისაც შეუძლიან განაყენოს ეს მოვლენები და დაინახოს განვითარების მაგისტრალური ხაზი, დაინახოს განვითარების „წითელი ზოლი“ (ლენინი), განვითარების კანონზომიერება, მას შეუძლიან წინასწარხედვა. ვლ. ლენინი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ პერსპექტივის დანახვისათვის, განვითარების შედეგების წინასწარხედვისათვის მთავარი ძირითადი ხაზის, განვითარების „წითელი ზოლის“ გამოჩენაა. როგორი ზიგზაგებიც, მიხვეულ-მოხვეული გზებიც არ უნდა შეგვხვდეს, დროებით უკან დახვევა და დამარცხება განვიცადოთ, აუცილებელია შევინარჩუნოთ პერსპექტივა, „ძირითადი პროგრამა“, გვასწავლის ლენინი.

განვითარების ძირითადი ხაზის, პერსპექტივის ნათლად გარკვევას, მის დანახვას, მასში მასების დარწმუნებას, მოძრაობის მიზნის გარკვევას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამხანაგი სტალინი. ბოლშევიკური პარტიის ისტორია ლენინისა და სტალინის ბრძოლის ისტორია აღსავსეა ფაქტებით, რომლებიც ნათლად ადასტურებენ, რომ მათთვის გადამწყვეტი, უმთავრესი, სასიცოცხლო ინტერესი, მოქმედების გამოსავალი ყოველთვის იყო საბოლოო მიზანი, მთავარი პერსპექტივა. ხშირად პარტია, ლენინი და სტალინი უკან იხევდნენ, მიდიოდნენ დათმობაზე, მაგრამ ეს იყო ყოველთვის დროებითი, ეს ხდებოდა ტაქტიკური მოსაზრებით, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს უწყობდა ძირითადი მიზნის განხორციელებას. არასოდეს ყველაზე მწვავე მომენტებში, ყველაზე საშინელ რეაქციულ პერიოდებშიც-კი, როცა პარტია, ლენინი და სტალინი ხელს იღებდნენ წინადასრულებულ ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებზე, ერთი წუთითაც არ სცილდებოდნენ საერთო პერსპექტივას — ძირითად მიზანს. საზოგადოებრივ მოვლენათა მეცნიერული წინასწარხედვა საშუალებას აძლევდა ლენინსა და სტალინს ყოველ მოცემულ მომენტისათვის შესაფერისად ემოქმედნათ, ემზადებინათ მუშათა კლასის მოვლენებთან წარმატებით შესახვედრად, შესწევდათ რა ძალა წინასწარ და-

ენახათ მოვლენათა შემდგომი განვითარების ხასიათი, შექმნილი აქვს მოქმედების სწორი გეზი და გამარჯვებული გამოსულიყვენ ახლად შექმნილ ვითარებიდან. ბოლშევიკური პარტია იმიტომაც ძლიერდება და უფრო მეტი, რომ მას შეუძლიან ხელმძღვანელობა გაუწიოს მოძრაობებს ურთულეს პირობებში. ბოლშევიკური პარტიისათვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მომავლის წინასწარ განჭვრეტას, განვითარების წინასწარ-განჭვრეტას. ამას აქვს ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტი პრაქტიკული მნიშვნელობა კომუნისმის მშენებლობის საქმეში.

„ჩვენ არ შეგვიძლია წინ წაიწვიოთ, თუ არ ვიცით საითკენ უნდა წავიდეთ, თუ არ ვიცით წინსვლის მიზანი. ჩვენ არ შეგვიძლია შენება უპერსპექტივოდ, იმ რწმენის გარეშე, რომ დაიწყეთ რა სოციალისტური მეურნეობის შენება, ჩვენ შეგვიძლია მისი აშენება. ნათელი პერსპექტივებისა და აშკარა მიზნების გარეშე პარტიას არ შეუძლია უხელმძღვანელოს აღმშენებლობას. ჩვენ არ შეგვიძლია ბერნშტეინის რეცეპტით ცხოვრება: „მოძრაობა — ყველაფერია, მიზანი — არაფერი.“ ჩვენ პირიქით, როგორც რევოლუციონერებმა ჩვენი წინსვლა, ჩვენი პრაქტიკული მუშაობა უნდა დაუწყვემდებაროთ პროლეტარული აღმშენებლობის ძირითად კლასიურ მიზნებს.“<sup>1)</sup>

ამხანაგი სტალინი მრავალგზის მიუთითებს წინასწარხედვის დიდი თეორიულ მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობა ძნელი და მეტად რთული საქმეა. კომუნისმის მშენებლობის ხელმძღვანელობის საქმე მოითხოვს შეუცდომელ მეცნიერულ წინასწარხედვას. ხელმძღვანელობა დიდი ხელოვნებაა, რომელიც შეუძლებელია წინასწარხედვის გარეშე.

„იჯდ სპექსთან და იხედებოდე ისე, რომ არაფერი დაინახო მანამ, სანამ გარემოებანი ცხვირით არ დაგაჯახებენ რაიმე უბედურებას ეს კიდევ არ ნიშნავს ხელმძღვანელობას. ბოლშევიზმს ასე არ ესმის ხელმძღვანელობა. რომ უხელმძღვანელო, საჭიროა წინასწარგანჭვრეტა“<sup>2)</sup>.

ასეთია ამხანაგ სტალინის კატეგორიული მითითება, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპია ყველა დიდი თუ პატარა ხელმძღვანელი მუშაკისათვის ჩვენს ქვეყანაში.

მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა და სტალინმა მოგვცეს მეცნიერული წინასწარმეტყველების კლასიკური ნიმუშები.

ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობას, უაღრესად აღფრთოვანებული იყო მათი წინასწარმეტყველებით. ლენინი სწერდა: „სასწაულებრივი წინასწარმეტყველება ზღაპარია, მაგრამ მეცნიერული წინასწარმეტყველება ფაქტია“, და მარქსსა და ენგელსს უწოდებდა გენიალურ წინასწარმეტყველებას. ხოლო როცა ამხანაგი სტალინი ეხება ლენინის მოღვაწეობას, იგი ასევე უსაზღვროდ აღფრთოვანებულია ლენინის ტალანტით მეცნიერული წინასწარგანჭვრეტის დარგში. ამხანაგი სტალინი ლენინს ახასიათებს, როგორც „გენიალურ შორსმჭკვრეტელს“.

როცა ამხანაგ სტალინის უახლოესი მოწაფეები და თანამებრძოლები ეხებიან სტალინის ამ თვისებას, უკლებლივ ყველანი ერთხმად აღიარებენ იმ

<sup>1)</sup> ი. სტალინის მოხსენება სავ. კ. პ. (3) V კონფერენციაზე: „კომუნისტთა და შინაპარტიული მდგომარეობა საკავშირო კომპარტიაში (3)“. ვაზ. „კომუნისტი“ 1926 წლის 8 ნოემბერი.

<sup>2)</sup> ი. სტალინი, — ც. კ.-ისა და ც. ს. კ.-ის აპრილის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ გვ. 12. მოსკოვ-ლენინგრადი, 1928 წ., (რუს. ვამ.).

დიდ ტალანტს, იმ განსაკუთრებულ უნარს, რომელიც მას გააჩნია ისტორიის განვითარების წინასწარგანჭვრეტის დარგში.

განვიხილოთ მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის მეცნიერული წინასწარხედვის რამდენიმე მაგალითი:

მარქსი და ენგელსი პირველნი იყვნენ, რომლებიც დიალექტიკით ხელში შეიჭრნენ კაპიტალიზმის ლაბირინტში, აღმოაჩინეს მისი ყველა შინაგანი ძირითადი წინააღმდეგობა, შეისწავლეს კაცობრიობის მთელი წარსული და თანამედროვე ისტორია და განვითარების რკინისებური კანონების ღრმა მეცნიერული ცოდნის საფუძველზე იწინასწარმეტყველეს, რომ კაპიტალიზმი ისტორიულად განწირულია, მას დაამხოვს პროლეტარიატი და ააშენებს სოციალიზმ-კომუნიზმს. არავის მარქსსა და ენგელსსამდე არ უწინასწარმეტყველნიათ მეცნიერულად სოციალიზმის აუცილებელი გამარჯვება.

მარქსი და ენგელსი არჩვეულებრივი გენიალობით ხსნიდნენ საზოგადოების განვითარების კანონებს, ისინი ზედმიწევნით სიზუსტით წინასწარხედავდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას, პირდაპირ წინასწარმეტყველებდნენ, თუ როგორ ხასიათს მიიღებდნენ საზოგადოებრივი განვითარების მოვლენები მომავალში. მარქსი და ენგელსი ათეული წლებით წინასწარსკვრეტდნენ ამა თუ იმ ქვეყნის მომავალ განვითარებას და ყველა ამ წინასწარმეტყველებას ისტორიის შემდგომი მსვლელობა ადასტურებდა და ადასტურებს. მარქსი და ენგელსი დიდის ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთში მიმდინარე მოვლენებს, მათ სპეციალურად შეისწავლეს რუსული ენა, რათა უფრო ახლოს და დეტალურად გასცნობოდნენ რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებას.

საერთაშორისო ურთიერთობისა და რუსეთის შინაგანი ცხოვრების ყველა ფაქტისა და მოვლენის ღრმა ცოდნისა და მრავალმხრივი გამოანგარიშების საფუძველზე მარქსი და ენგელსი 80-ან წლებში უკვე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რევოლუციური მოძრაობის ცენტრი თანდათან გადადის დასავლეთიდან აღმოსავლეთში — რუსეთში.

მარქსი და ენგელსი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი რუსეთის რევოლუციის მოსალოდნელობასა და მის საერთაშორისო მნიშვნელობაში. ეს აზრი მათ განსაკუთრებით განუმტკიცა პარიზის კომუნის დამარცხებისა და ინგლისში რეფორმისმის გამარჯვების ფაქტმა. ახლა ისინი რევოლუციას პირველად სწორედ რუსეთში მოელოდნენ. „მარქსი და ენგელსი, — სწერს ლენინი, — აღსავსენი იყვნენ მტკიცე რწმენით რუსეთის რევოლუციისა და მისი ძლიერი მსოფლიო მნიშვნელობისადმი. თითქმის ოცი წლის მანძილზე ვხედავთ ჩვენ მათ მიწერ-მოწერაში რუსეთის რევოლუციის ამ მხურვალე მოლოდინს“<sup>1)</sup>.

მარქსი არა ერთხელ გამოსთქვამდა თავის წინასწარგანჭვრეტას, რომ პირველად რუსეთში მოხდებოდა რევოლუცია. იგი სწერდა: „დანამდვილებით მჯერა, რომ ამჯერად ლავა წამოვა აღმოსავლეთიდან და არა დასავლეთიდან“.

ენგელსი, მსგავსად მარქსისა, წინასწარსკვრეტდა, რომ რუსეთი პირველი გამოვიდოდა რევოლუციის პრაქტიკულად განხორციელების გზაზე. 1875

<sup>1)</sup> ლენინი — „მარქსი-ენგელსი-მარქსიზმი“, გვ. 107—108.

წლის 15 ოქტომბერს ბებელისადმი წერილში ენგელსი სწერდა: „დაწინააღმდეგობით მგონია, რომ ამჯერად რუსეთში უკვე დაიწყებს ცეკვას“). ისტორიის შემდგომმა განვითარებამ ასევე დაადასტურა მარქსისა და ენგელსის მეცნიერული წინასწარმეტყველება. მართლაც, რუსეთის პროლეტარიატმა პირველმა მიიტანა იერიში კაპიტალიზმზე და დაამსხვრია იგი. მართლაც, რუსეთი გახდა სოციალისტური რევოლუციის პირველი ქვეყანა.

უაღრესად საინტერესოა ენგელსის მიერ პირველი იმპერიალისტური ომის წინასწარმეტყველება.

ენგელსმა, ეკონომიური ცხოვრებისა და კლასთა ბრძოლის არაჩვეულებრივად ზუსტი ანალიზის საფუძველზე, მთელი სამი ათეული წლით ადრე იწინასწარმეტყველა პირველი (1814-1918 წ.წ.). იმპერიალისტური ომის აუცილებლობა. ამასთან ენგელსმა დახატა ამ ომის მთელი საშინელი, კომარული სურათი და, რაც მთავარია, წინასწარგანსჭვრიტა მისი შედეგები.

აი რას სწერს ენგელსი 1887 წელს:

„პრუსიისა ანუ გერმანიისათვის ახლა უკვე შეუძლებელია სხვა რომელიმე ომი გარდა მსოფლიო ომისა. ამავე დროს ეს მსოფლიო ომი იქნება წინათ უნახავი მოცულობის და გაუგონარი სიძლიერისა. რვიდან ათ მილიონამდე ჯარისკაცი შეუდგება ერთმანეთის ზოცვას და მთელი ევროპის იმ ზომამდე სუფთად განადგურებას, როგორც არასოდეს ურიცხვ კალიას არ განადგურებია ველები. ოცდაათწლიანი ომით მოტანილ აიხრებას ახლა უკვე 3-4 წლის ბრძოლა მოიტანს და ის მთელ კონტინენტზე გავრცელდება; შიმშილი, ეპიდემია, მწვავე ვაჭირვებით გამოწვეული როგორც ჯარების, ისე ხალხთა მასების გაველეურება, ჩვენი ზელოვნური მექანიზმის უიმედო არეულდარეულობა ვაჭრობასა, მრეწველობასა და საკრედიტო საქმეში, ყოველივე ამის შედეგად კი საყოველთაო გაკოტრება, ძველი სახელმწიფოებისა და მათი რუტინული სახელმწიფოებრივი სიბრძნის კრაზი, — ისეთი, რომ გვირგვინები ათობით ეყრება ქვაფენილებზე და არავინ იქნება მათი ამლები, აბსოლუტურად შეუძლებელია იმის გათვალისწინება, თუ რით გათავდება ყოველივე ეს ან ვინ გამოვა ბრძოლაში გამარჯვებული; მაგრამ ერთი შედეგია აბსოლუტურად აუცილებელი: საყოველთაო დასუსტება და შექმნა პირობებისა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ასეთია, პერსპექტივა, თუ რომ უკიდურესობამდე მისული სამხედრო შეიარაღების ურთიერთ კონკურენციის სისტემა, ბოლოს, თავის უუცილებელ ნაყოფს გამოიღებს. აი სანამდე მიიყვანა, ბატონო მეფეებო და სახელმწიფოს მესვეურნო, თქვენმა სიბრძნემ ძველი ევროპა. და თუ თქვენ მეტი აღარაფერია დაგრჩენიათ გარდა იმისა, რომ დაიწყეთ უკანასკნელი დიდი სამხედრო ცეკვა, ჩვენ ცრემლებს არ დავღვრით, დაე ომმა თუნდაც უკანასკნელ პლანზე გადაგვისროლოს დროებით, დაე დავკარგოთ ზოგიერთი უკვე მოპოვებული პოზიცია. მაგრამ თუ თქვენ აუშვებთ ძალებს, რომელთაც შემდეგში უკვე მელარ შეიმავრებთ, მაშინ, რაწაიარადაც არ უნდა დატრიალდეს საქმეები, ტრაგედიის დასასრულ თქვენ შეიქმნებით ნანგრევებად, ხოლო პროლეტარიატი სგამარ-

\*) მარქსი და ენგელსი — ობზ., ტ. XXVI, გვ. 403.

ვება ან უკვე მოპოვებული იქნება, ან ყოველ/მიზეზ გარეშე აუცილებელი“<sup>1)</sup>.

ფრ. ენგელსის ეს მეცნიერული წინასწარმეტყველება ვერცხლად დასტურდა 1914 წელს მართლაც ასტყდა მსოფლიო იმპერიალისტური ომი. მთელი იმ კომპარული საშინელებებით, რომელთაც ენგელსი ითვალისწინებდა. ამ ომმა მართლაც მოგვცა სავსებით ისეთი შედეგი, როგორსაც ენგელსი წინასწარხედდა. იმპერიალისტური ომის ტრაგედია დასრულდა რუსეთის თვითმპყრობელობის დანგრევით, პროლეტარიატის გამარჯვებით.

ვ. ი. ლენინი უსაზღვროდ აღფრთოვანებული იყო, როცა რუსეთში მოხდა რევოლუცია და ამრიგად სავსებით დადასტურდა ენგელსის გენიალური წინასწარმეტყველება.

ლენინმა ენგელსის ზემოდმოყვანილ წინასწარმეტყველებას უძღვნა სპეციალური სტატია: „წინასწარმეტყველური სიტყვები“, რომელიც 1918 წ. ივლისს დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“.

„რა გენიალური წინასწარმეტყველებაა, — სწერდა ლენინი. — ზოგი რამ იქიდან, რაც ენგელსმა იწინასწარმეტყველა, სხვანაირად გამოვიდა... მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ასე ბევრი რამ, ენგელსის მიერ წინასწართქმული, სრულდება თითქოს დაწერილის მიხედვით“.

ლენინი აქ მიუთითებს, რომ ამბები ვითარდება ისე, თითქოს ისტორია აკეთებს იმას, რაც მას ენგელსმა დაუწერა. აი რა მაღალ შეფასებას აძლევდა ლენინი ენგელსის აღნიშნულ წინასწარმეტყველებას.

აღსანიშნავია, რომ მარქსი და ენგელსი ხშირად ეხებიან თავიანთ და ერთმანეთის წინასწარმეტყველებას და აღნიშნავენ, რომ ისინი სინამდვილეშ დადასტურაო. ენგელსი, მაგალითად, 1892 წელს სწერდა თავის წიგნზე „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომ დადასტურდა „მრავალი წინასწარმეტყველება, რასაც იქ აქვს ადგილი“<sup>2)</sup>. მარქსი ენგელსის ამავე წიგნის შესახებ მისი გამოსვლიდან ოცი წლის შემდეგ სწერდა ენგელსს:

„საერთოდ, რაც შეეხება ძირითადს შენს წიგნში, ყოველივე ეს დაწერილებით ყველა დებულებაში დადასტურდა 1844 წლის შემდგომი განვითარებით. მე შევადარე წიგნი ბოლო დროის ჩემს შენიშვნებთან... რა საღი გატაცებული მიდგომაა აქ საკითხისადმი გაბედული წინასწარხედვით“

ვლადიმერ ლენინი მთელი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდში იძუროდა წინასწარხედვის ნიმუშებს. ლენინს შეეძლო ათეული წლობით ადრე განეჭვრიტა მომავალი, დაენახა და გაეთვალისწინებია ერთი მეორეზე მიმყოლი მოსალოდნელი მოვლენები. ლენინმა იცოდა ურთულეს თავბრუდამხვევ, ჯადოსნურ მოვლენებში უსწრაფესად გარკვევა, ურთიერთგადახლართულ, სოციალურ მოვლენებში, მრავალ ზიზგაგებში, ისტორიულ ტეხილებსა და მოსახვევებში სწრაფი აღმოჩენა და უაღრესად შესაფერი და ზუსტი გადასადგმელი ნაბიჯის წამოწყება. მაგრამ უფრო განსაკუთრებულ წინასწარხედვას იჩენდა ლენინი რევოლუციურ აფეთქებათა პერიოდებში: „რევოლუციონურ მობრუნებათა დღეებში, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ის პირდაპირ ჰყვარდა, გულთმისანი ხდებოდა, წინასწარ ხედებოდა კლასების

<sup>1)</sup> ციტირებულია ლენინის მიხედვით, თხზ., ტ. XXIII, გვ. 105, 106, რუს. გამ. ხაზი ჯველგან ჩენია. — ვ. ე.

<sup>2)</sup> ენგელსი „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ გვ. 6.



მოძრაობას და რევოლუციის მოსალოდნელ ზიგზაგებს, როგორც ხელის/გულზე, ისე ხედავდა მათ“ (სტალინი — „ლენინის შესახებ“, გვ. 44). ის, რაც სხვებისათვის მოულოდნელი იყო, ლენინი მასში კანონზომიერებას ხედავდა, იქ, სადაც სხვები შეუძლებლობაზე გაჰკიდებოდნენ, ლენინი შესაძლებელს დაუცილებელს ხედავდა. ლენინმა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, — იცოდა „ნახტომი შეუცნობელში“ და ეს ყველაფერი ლენინს შეეძლო მდგომარეობის, ვითარების მკაცრი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, მოვლენათა და დიალექტიკური ანალიზის საფუძველზე.

ოქტომბრის წინა დღეებში, როცა ომით და შიმშილით განაწამები მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ზავს მოითხოვდნენ, როცა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა ყველა ღონეს მიმართავდა ომის ბოლომდე მისაყვანად, ე. წ. „სოციალისტური პარტიები“ გაშმაგებით ებრძოდნენ ბოლშევიკებს, შტრეიკბრეხერები ზინოვიევი, კამენევი და მათი კამპანია გაჰკიდდა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შეუძლებლობაზე, როცა კერენსკის მთავრობა ბოლშევიკებს იატაკქვეშ ერეკებოდა, როცა ევროპის „სოციალისტები“ მხარს უჭერდნენ საკუთარ მთავრობებს იმპერიალისტური ზოცვა-ვლენის გაგრძელებაში და როცა გერმანია-ავსტრიის ძლიერი ჯარი რუსეთის არმიის პირისპირ იდგა, — აი ამ საშინელ, წარმოუდგენელად ურთულეს პირობებში ლენინი აეთებს „ნახტომს შეუცნობელში“, აყენებს ახალ გადასადგმელ ნაბიჯს: იგი აცხადებს დაუყოვნებლივ დაიწყოს შეიარაღებული აჯანყება. „ეს იყო უდიდესი რისკი, მაგრამ ლენინს არ ეშინოდა რისკის, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ვინაიდან მან იცოდა, ის ხედავდა თავის ნათელ მკვრეტელი ხედვით“. ლენინმა ერთბაშად განჭვრიტა მთელი მომავალი შესაძლებელი დაუცილებელი განვითარება, ლენინმა თავის ნათელი გონებით ასწია მოვლენების, ურთიერთმომდევნო და ურთიერთგამომწვევი მოვლენები, რომლებიც უნდა მოჰყოლოდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

ლენინი ამ ურთულეს მომენტში ნათლად ხედავდა, რომ „აჯანყება აუცილებელია, აჯანყება გაიმარჯვებს, რომ აჯანყება რუსეთში მოამზადებს იმპერიალისტური ომის დაბოლოებას, რომ აჯანყება რუსეთში შეარჩევს დასავლეთის დატანჯულ მასებს, რომ აჯანყება რუსეთში გადააქცევს იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად, რომ აჯანყება მოგვეცემს საბჭოების რესპუბლიკას, რომ საბჭოების რესპუბლიკა შეიქნება რევოლუციონური მოძრაობის საყრდენი მთელს მსოფლიოში“ (სტალინი „ლენინის შესახებ“, გვ.). ამ წინასწარხედვის საფუძველზე მიიღო ლენინმა მტკიცე გადაწყვეტილება და მისწერა კატეგორიული წერილი ც. კ-ის წევრებს:

„ამ სტრიქონებს ვწერ 24-ს საღამოს. მდგომარეობა უალრესად კრიტიკულია... რადაც უნდა დაგვიტყდეს, დღეს საღამოს, ამაღამვე დავაპატიმროთ მთავრობა, განვთავსოთ (დავამარცხოთ, თუ წინააღმდეგობა გაგვიწიეს) იუნკრები და ა. შ. არ შეიძლება ლოდინი! შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ!“

„ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომელთაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და დანამდვილებით გაიმარჯვებენ დღეს!)“.

ლენინის ეს გენიალური წინასწარხედვა, ლენინის ეს მათემატიკურ სიზუსტით მოცემული ანალიზი, „მეტად მოულოდნელი დასკვნა იყო იმ დროინდელი მეცნიერების მრავალ ადამიანისათვის. პლენანოვი<sup>1)</sup> მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანი სიძულვილით ლაპარაკობდა მანამ ლენინზე, ამტკიცებდა, რომ ლენინი „ბოდაესო“. სხვები, მეცნიერების არა ნაკლებად ცნობილი ადამიანები, ამტკიცებდნენ, რომ „ლენინი შეიშალა“, რომ საჭიროა მისი საღმე შორს გადაკარგვა. ლენინის წინააღმდეგ ლმუოდნენ მანამ მეცნიერების ყველა და ყოველგვარი ადამიანები, როგორც ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ანგრევს მეცნიერებას“<sup>2)</sup>.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ლენინი არ შედრკა არაფრისა და არავის წინაშე, რადგან იგი მთელი თავისი არსებით დარწმუნებული იყო თავისი ანალიზის უაღრეს სიზუსტეში, თავის წინასწარხედვის მკაცრ მეცნიერულობასა და რეალობაში. და მართლაც, „ლენინის ეს რევოლუციონური წინასწარხედვა შემდეგში ჯერ არ ნახული ზედმიწევნით გამართლდა“ (სტალინი). აჯანყებამ გაიმარჯვა, მსოფლიო ომი გადაიქცა სამოქალაქო ომად, დამყარდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მძლავრ დასაყრდენს. ამრიგად მოხდა საესებით ისე, როგორც ვლ. ლენინი წინასწარჰქვრეტდა.

1915 წელს, იმპერიალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვავების დროს, მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში, რომელიც ამ წინააღმდეგობათა უკიდურესად გამწვავების გამოვლინება იყო, როცა მუშათა რევოლუციური მოძრაობა გაძლიერდა, — ლენინმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონი, ეს იყო ყველაზე უდიდესი აღმოჩენა მთელს მსოფლიოში მარქსის მიერ ზედმიტტი ღირებულების თეორიის აღმოჩენის შემდეგ. ლენინმა ამ გენიალური აღმოჩენის — კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონის — საფუძველზე იწინასწარმეტყველა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის — სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა.

ლენინი, როგორც გენიოსი, შემოქმედებითი მარქსიზმის განმგრძობი და განმავითარებელი არ შესდვა მარქსიზმის ასოს წინაშე, ძველი თეორიების წინაშე. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ყველას, პირველყოვლინა იუდა ტროცკის, რომელიც უარყოფდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. ლენინმა გაბედულად წამოაყენა ახალი თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ლენინმა ამით პარტიას, მუშათა კლასს გაუნათა რევოლუციური ბრძოლის გზა, ნათლად დაანახვა მას მიზანი, პერსპექტივა. ამას პარტიისათვის, მუშათა კლასისათვის გადამწყვეტი, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, და მართლაც, რა მოხდებოდა, რომ ლენინს არ მოეცა ეს ახალი თეორია, რომ მას არ მოეცა მეცნიერული წინასწარგანჰქვრეტის ეს იშვიათი შედეგი? პასუხი ერთია: „პარტია დაიბნეოდა წყვიდიდში, პროლეტარული რევოლუცია ზელმძღვანელობას დაპყარვადა, მარქსისტული თეორია დაუძღურებას დაიწყებდა. წააგებდა პროლეტარიატი, მოიგებდნენ პროლეტარიატის ბტრები“ („საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 435).

<sup>1)</sup> სტალინი. 1938 წ. 17 მაისს უმაღლესი სკოლის მუშაკთა კრებულში მიღებაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

8. „შათობი“, № 1.

ლენინის გენიალური წინასწარხედვა ბრწყინვალედ დაადასტურა ისტორიის განვითარებამ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მაგალითით. იმპერიალისტური ომის დასაწყისში, როცა ლენინი უკვე სტალინი იმუშავებდნენ ომისადმი ბოლშევიკების პოზიციას, ლენინმა შეცნობიერებულად იწინასწარმეტყველა მსოფლიო იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. ლენინის ეს წინასწარხედვაც მთელი სიზუსტით გამართლდა რუსეთის მაგალითზე. ამის შესახებ თვითონ ლენინი სწერდა:

„ის, რასაც ჩვენ ვწინასწარმეტყველებდით (ხაზი ჩვენია. — ვ. ე.) რევოლუციის დასაწყისში და ომის დასაწყისშიც-კი და რასაც მაშინ სოციალისტური წრეების საგრძნობი ნაწილი უნდობლად ან დაცინვითაც-კი ხედებოდა, სახელდობრ: იმპერიალისტური ომის გადაქცევას სამოქალაქო ომად, 1917 წლის 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს) ფაქტი გახდა ომში მონაწილე ერთ-ერთი უდიდესი, ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნისთვის“ (ლენინი — თხზ., ტ. XXII, ქართ. გამოცემა. გვ. 358).

ლენინს შეეძლო მოვლენები, ფაქტები, მომავალი პირობები დაენახა მის ჩანასახში, ლენინს შეეძლო ჩასახელი ახალი შეეძინა მაშინ, როცა ამას სხვები ვერ ხედავდნენ და დაენახა მასში ახალი მომავალი — სრულად გაშლილი მოვლენა.

პირველ „კომუნისტურ შაბათობაში“, რომელიც 1919 წლის 17 მაისს მოეწყო მოსკოვ-ყაზანის რეინისგზაზე და რომელშიაც მხოლოდ ასამდე კაცი იღებდა მონაწილეობას, ლენინმა დაინახა მთელი ახალი ეპოქის დასაწყისი, რომელიც გაიშლება და განვითარდება მეურნეობის, ცხოვრების ახალ პირობებად. ამ პირველ ასე პატარა მასშტაბის „კომუნისტურ შაბათობაში“ ლენინმა დაინახა შრომისადმი ახალი სოციალისტური დამოკიდებულება, შრომის ნაყოფიერების განვითარების ძალა, ახალი, სოციალისტური შრომის დისციპლინის განვითარება, და მართლაც, რამდენად მართალი იყო ლენინი, როცა ასე ფიქრობდა. დღეს ჩვენში დამკვიდრებულია შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება, შრომის სოციალისტური დისციპლინა. დღეს საბჭოთა ადამიანები შრომის ნაყოფიერების დასწავლებს ახდენენ. დღეს ახალი ფორმით მოგვევლინა „კომუნისტური შაბათობა“, რომელიც გიგანტურ მასშტაბებს მოიცავს და კაცობრიობის ისტორიაში არნახულ ამბებს ქმნის. 270 კილომეტრის სიგრძის დიდი ფერგანის არხის 45 დღეში გაყვანა, რომელზედაც 200 ათასი კაცი მუშაობდა, ძლევა მოსილი სტახანოვური მოძრაობა, რომელიც გაშლილია მთელ ჩვენს უზარმაზარს ქვეყანაში, ლენინის დიადი წინასწარხედვის ბრწყინვალე დადასტურებაა.

ამხანაგმა სტალინმა, რომელმაც განავითარა და ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა შემოქმედებითი მარქსიზმი, მოგვცა მთელი რიგი ახალი ბრწყინვალე მეცნიერული აღმოჩენები. ამხანაგმა სტალინმა განავითარა მეცნიერული წინასწარხედვის მარქსისტულ-ლენინური თეორია და გაამდიდრა იგი წინასწარხედვის ახალი განსაკვიფრებელი ნიმუშებით.

ჩვენს დროში, როცა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები უადრესად გართულდნენ, როცა უადრესად დახლართულია საერთაშორისო ურთიერთობა, როცა ჩვენს ქვეყანაში იჭრებოდა და იჭრება კაცობრიობის ისტორიაში უნახავი, ურთულესი საკითხები — კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ერთ ქვეყანაში კომუნისმის მშენებლობის უდიდესი საკითხები, მხოლოდ სტალინის გენიას შეუძლიან ზედმიწევნით ზუსტად გამოიანგარიშოს ყველა

მოვლენა, ბელადის სიფრთხილით ასწონ-დაწონოს ფაქტები და წინასწარ გვიჩვენოს სოციალისტური მშენებლობის გზები, საშუალებები და სასურველი შედეგები ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპისაკენ გადასვლისათვის. ამხანაგი სტალინი ყველაფერს ეხმაურება, ცხოვრების ყველა მოვლენას, ისეთსაც-კი რომელსაც გვერდს უვლიან თვით ყველაზე ჩაფიქრებული ადამიანები. მრავალმხრივ დამტკიცებულია, რომ მხოლოდ მას ერთს ახასიათებს ყველაზე მეტად უნარი ისტორიული წინასწარმეტყველებისა.

„ამხანაგ სტალინის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს, — ამბობს ლ. კავანოვიჩი, — მისი ნიჭი — გარეგნულის თვალისათვის არც თუ ისე შესამჩნევის იქით დაინახოს მოვლენების არსი, მათი ფესვები და ამ საფუძველზე გაიხედოს ათეული წლებით წინ“<sup>1)</sup>.

ამხანაგ სტალინს შეუძლიან იწინასწარმეტყველოს მოვლენათა განვითარება მთელი ათეული წლობით წინასწარ მათემატიკური სიზუსტით და მის წინასწარხედვას საესებით და მთლიანად ამართლებს პრაქტიკა, ცხოვრება. ამხანაგი სტალინი არა მარტო წინასწარ ხედავს და სახავს მომავლის პერსპექტივას, არამედ ამასთან იგი რაზმავს მასებს, ამზადებს პირობებს და თვითონ უდგია სათავეში მშრომელთა შრომასა და ბრძოლას ამ დასახული მიზნის განხორციელებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა სასტიკი ბრძოლა აწარმოვა ორ ფრონტზე, როგორც იმათ წინააღმდეგ, რომლებიც პარტიას უკან ეწეოდნენ, რომელთაც პერსპექტივა არარეალურად და ნაადრევად მიაჩნდათ, ისე იმათ წინააღმდეგ, რომლებიც „წინ უსწრებდნენ“ პარტიას და მისი პერსპექტივა მცირედაც-კი მიაჩნდათ. ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა ხალხის ყველა ჭურის მტრები, დასაბა და ურყევად განახორციელა პარტიის გენერალური ხაზი. სოციალისტური მშენებლობის მთელმა პრაქტიკამ დაადასტურა ამხანაგ სტალინის გენიალურ წინასწარხედვათა უაღრესი სიზუსტე და რეალურობა.

ამხანაგი სტალინი უაღრესად წინდახედულია, იგი აუჩქარებელი და ფრთხილია და ამიტომ ყოველთვის შეუმცდარი, ყველა თავის საქმიანობაში „სტალინი ფრთხილი და ანგარიშიანია, — ამბობს ამხ. მიქოიანი, — როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება. სტალინი გაბედული, მამაცი და უღმობელია, როდესაც საკითხი გადაჭრილია და საჭიროა მოქმედება.“<sup>2)</sup> თუ არ არსებობენ წინასწარხედვისათვის საჭირო მონაცემები, თუ არ არსებობს რეალური მასალა თვით ცხოვრებაში, რომელთა საფუძველზე შეუძლიან საერთოდ მარქსიზმ-ლენინიზმს წინასწარხედვა, ისე ამხანაგი სტალინი არ გააკეთებს პროგნოზს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის საუბარი რთი ჰოვარდთან 1936 წ. 1 მარტს. რთი ჰოვარდი შეეკითხა სტალინს:

„როგორი იქნება, თქვენის აზრით, ამ ცოტახნის წინად იაპონიაში მომხდარი ამბების შედეგები შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობისათვის?“

ამხანაგმა სტალინმა უპასუხა:

„ჭერ ჭერობით ძნელია თქმა. საამისოდ ძალიან ცოტა მასალა მოიპოვება, სურათი საქმოდ ნათელი არ არის“.

<sup>1)</sup> კრებული: „60 წელი სტალინის დაბადებიდან“. გვ. 58.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 71.

სტალინის პროგნოზები, მისი წინასწარხედვა ყოველთვის რეალური, იგი მეცნიერულია და ურყევი. ამიტომაც, რომ ეს წინასწარხედვა ასე კანონზომიერად სრულდება ცხოვრებაში.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში 1-ლი რევოლუციის წლებში, ამხანაგი სტალინი გვაძლევს წინასწარხედვის იშვიათ ნიმუშებს. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ შავნელი რეაქციის დამდეგს, როცა მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად გაუსწორდა რევოლუციას, როცა პარტია იატაკქვეშ გადადიოდა, როცა ლიკვიდატორები რევოლუციის საბოლოოდ წაგებულად სთვლიდნენ, როცა პლუხანოვი შეცდომად სთვლიდა რევოლუციას და უსაყვედურებდა პარტიას — „იარაღისათვის ხელი არ უნდა მოგვეკიდაო“, ამხანაგ სტალინმა ამ კრიტიკულ მომენტში, „რევოლუციის წახლავების“ მომენტში რუსეთის რევოლუციურ ძალთა, კლასობრივ ძალთათანაშეფარდების, ფაქტების მკაცრი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იწინასწარმეტყველა ახალი აღმავლობა.

„შორს აღარაა ის დრო, — ამბობდა ამხანაგი სტალინი 1906 წელს, — როცა ხალხის რევოლუციური მღელვარება მრისხანე ნიაღვრად გადმოხეთქავს.

ღიახ, ფაქტები გვეუბნება, რომ ცხოვრებაში მზადდება ახალი გალაშქრება, უფრო მწვავე და ღონიერი ვიდრე დეკემბრის გალაშქრება — ჩვენ აჯანყების წინაღუებში ვიმყოფებით“<sup>1)</sup>.

გავიდა ექვსი წელი და 1912 წლის აპრილსა და მაისში, ლენინს მუშების დახურეტასთან დაკავშირებით, იფეთქა აჯანყებამ, რომელიც ელვისსისწრაფით მოედო მთელს ქვეყანას. დაიწყო რევოლუციური მოძრაობის ახალი მძლავრი აღმავლობა.

ამხანაგ სტალინის წინასწარგანჭკვრეტა ბრწყინვალედ გამართლდა.

ოქტომბრის რევოლუციის წინაღუებში, როცა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიები დიდი ხნიდან ავრცელებდნენ ყალბ შეხედულებას, რომ რევოლუციამ შეიძლება გაიმარჯვოს იქ, სადაც კაპიტალიზმი ყველაზე უფრო განვითარებულია და ამის მიხედვით რევოლუციას მოელოდნენ გერმანიაში, ან საფრანგეთში, ამხანაგი სტალინი აკეთებს გენიალურ პროგნოზს. პარტიის VI ყრილობაზე, რომელმაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩაიარა, ამხანაგმა სტალინმა წინასწარმეტყველურად განაცხადა:

„გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სახელდობრ რუსეთი იწინება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა. საჭიროა უწყუაფლოთ ძველი დრომოკმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვიითოს გზა“<sup>2)</sup>.

ლენინისა და სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა ღარიბ გლეხობასთან ერთად დაამხო დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და დამყარებულ იქნა პროლეტარიატის დიქტატურა. ამრიგად, მართლაც პირველად რუსეთში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, რუსეთი გახდა პირველი, სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა. ბრწყინვალედ გამართლდა სტალინის წინასწარგანჭკვრეტა.

<sup>1)</sup> ციტირებულია ლ. ბერისა წიგნის „ამიერ-კავკასიის ბოლშ. ორგ. ისტ. ზოგ. საქ. შესახებ“ მიხედვით, გვ. 100.

<sup>2)</sup> „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 297.

წინასწარხედვის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის მოძღვრება კოლექტივიზაციის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა დაიკვირა და განავითარა კოლექტივიზაციის მარქსისტულ-ლენინური თეორია და ამხანაგმა სტალინმა დასახა ყველა კონკრეტული გზა დაქუცმაცებულ, მრავალმილიონიან გლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად გადაკეთებისათვის. ისე, როგორც ლენინმა ოქტომბრის წინააღმდეგ განსაზღვრა ზუსტად შეიარაღებული აჯანყების დრო, ამხანაგმა სტალინმა მათემატიკური სიზუსტით წინასწარგანჭვრიტა მთლიანი კოლექტივიზაციის და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის დაწყება.

ამხანაგმა სტალინმა სასოფლო-სამეურნეო არტელი დაასაბუთა, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი ფორმა მოცემულ ეტაპზე. ამხანაგი სტალინი წინასწარხედავდა, რომ მთელი წლების მანძილზე ძირითად ფორმად უნდა ყოფილიყო სას.-სამ. არტელი და მართლაც, როგორც ცნობილია, დღესაც კი სას.-სამ. არტელი საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითად ფორმას წარმოადგენს. ამრიგად, როგორც ჰხედავთ, აქაც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ სავსებით დაამტკიცა ამხანაგი სტალინის წინასწარხედვის მთელი სისწორე.

ამხანაგ სტალინის ასეთ გენიალურ წინასწარხედვას, მის გამუდმებულ ზრუნვასა და ხელმძღვანელობას უნდა ვუმაღლოდეთ იმ გრანდიოზული მიღწევებისათვის, რომელიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობის დარგში. ამხანაგ სტალინის გენიალური წინასწარხედვისა და ხელმძღვანელობის საშუალებით გადასწყდა დადებითად ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ყველაზე უძნელესი ამოცანა — სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა, რაც წარმოადგენდა თავისებურ რევოლუციას, „რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარ რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 459).

სავსებით სამართლიანად სწერდა ლ. მ. კავანოვიჩი ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავზე საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში სტალინის ხელმძღვანელ როლზე.

„ჩვენ ამხანაგ სტალინის მახლობელ მოწაფეებს, — ამბობს კავანოვიჩი, — გაუზვიადებლად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სოციალისტური მშენებლობის არც ერთ დარგში ამხანაგ სტალინს არ დაუხარჯავს იმდენი ენერჯია, შრომა და მზრუნველობა, რამდენიც საკოლმეურნეო მშენებლობაში“<sup>1)</sup>.

წინასწარხედვის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის განვითარების სტალინური ხუთწლიანი გეგმები. სტალინური გეგმა წარმოადგენს მთელი წლების მანძილზე სახალხო მეურნეობის განვითარების მოცულობისა და ტემპების წინასწარ გათვალისწინებას. ერთად-ერთი ქვეყანა, სადაც ყველაფერი წინასწარ დასახული გეგმით კეთდება, სადაც მთელი ჩვენი ცხოვრების განვითარება ათეული წლების მანძილზე შეგნებულად გათვალისწინებული და დაგეგმილია, ეს არის საბჭოთა კავშირი, ეს არის სოციალიზმის ქვეყანა. სახალხო მეურნეობის სტალინური ხუთწლიანი გეგმა, მთელი ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს მარქსისა და ენგელსის მეცნიერული წინასწარხედვის განხორციელებას. სამოცზე მეტი წლის წინად ფ.

<sup>1)</sup> კრებული: „60 წელი დიდი სტალინის დაბადებიდან“, გვ. 53.

ენგელსი თავის საყოველთაოდ ცნობილ წიგნში „ანტი-დიურინგში“ სწერდა: „როცა საზოგადოება საწარმოო ძალებს დაეპატრონება, მოიხსნება სექტორლის წარმოება და ამავე დროს პროდუქტების ბატონობა მწარმოებლებზე“ (საზოგადოებრივი წარმოების ბატონობას მწარმოებელზე, საზოგადოებრივი წარმოების ანარქიას გეგმაშეწონილი შეგნებული ორგანიზაცია შესცვლის“<sup>1)</sup>).

და ამის შედეგად „ამიერიდან მოჰყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზეზებს უმთავრესად და თანდათან გაძლიერებული მასშტაბით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები“<sup>2)</sup>).

წინასწარ განჭვრეტის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული სტახანოვეური მოძრაობის განვითარების განსაზღვრა. ახსნა რა სტახანოვეური მოძრაობის წარმოშობის ფესვები, ამხანაგმა სტალინმა ნათელყო ამ მოძრაობის დიდი ისტორიული მნიშვნელობა და წინასწარგანჭვრიტა მისი უაღრესად სწრაფად გავრცელება და განვითარება. როცა ამხანაგი სტალინი გამოვიდა სტახანოველთა პირველ შეკრებაზე, სტახანოველები ჭერ კიდევ ცოტანი იყვნენ, ეს მოძრაობა ჭერ გავრცელებული არ იყო მთელს ქვეყანაში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მაგრამ ამხანაგმა სტალინმა განსჭვრიტა, რომ სტახანოვეური მოძრაობა აუცილებლად გავრცელდებოდა და სტახანოველები სწრაფად გამრავლდებოდნენ. „ხვალ ისინი ერთი ათად მეტნი იქნებიან“, განაცხადა სტალინმა. სტახანოვეური მოძრაობა „შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის თესლს“, ამბობდა ამხანაგი სტალინი.

ამხანაგ სტალინის წინასწარგანჭვრეტა აქაც გამართლდა. სტახანოველები გამრავლდნენ — სტახანოვეური მოძრაობა განვითარდა, მან მიიღო ახალი მაღალი ფორმები, განვითარდა მრავალდაზგოსანთა მოძრაობა. იგი ვალაიქცა მძლავრ საფუძველად მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, იგი ამზადებს ნიადაგს სოციალიზმიდან თანდათანობით კომუნისტურ გადასვლისათვის.

ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალებს დაეპატრონა საზოგადოება, დაეპატრონენ მშრომელები, თვით უშუალო მწარმოებლები, რის შედეგადაც ვაჰქრა „პროდუქტების ბატონობა მწარმოებლებზე“. წარმოების ანარქია ლიკვიდირებულია, იგი შეცვლილია გეგმაშეწონილი ორგანიზაციით. მშრომელები თვითონ განაგებენ თავიანთ ბედს, მთელს ცხოვრებას წარმართავენ გეგმიანად, სასურველი მიმართულებით, სასურველად მიჩნეული შედეგების მოსაპოვებლად, და მართლაც, მიზანდასახულობა ყოველთვის ხორციელდება. დიდი სტალინი უდგია სათავეში მილიონობით მშრომელთა ბრძოლას კომუნისტურ მისათვის — ხალხთა სასურველი საბოლოო მიზნისათვის. ამხანაგ სტალინის ნათელმა გონებამ წინასწარ განჭვრიტა კომუნისტურის აშენების ყველა შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, და დასახა ნათელი გზა ამ მიზნის მისაღწევად.

„10-15 წლის განმავლობაში დავეწოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ევროპის და ამერიკის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“, ამბობდა ამხანაგი სტალინი პარტიის მე-18 ყრილობის ტრიბუნლიდან. ამხანაგმა სტალინმა წინასწარგანსჭვრიტა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ჩვენი ქვეყანა 10-15

<sup>1)</sup> ფ. ენგელსი — „ანტი-დიურინგი“, ქართ. გამოც., გვ. 239.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 240.



წლის შემდეგ მან წინასწარ განჭვრიტა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა მხარე და დაინახა ყველა შესაძლებლობა 10-15 წელში ეკონომიურად დავეწიოთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამხანაგ სტალინის ეს წინასწარხედვა სავსებით რეალურია და იგი სავსებით განხორციელდება, — საბჭოთა კავშირი ეკონომიურად დაეწევა და გაუსწრებს კაპიტალისტურ ქვეყნებს. ხოლო ეს ნიშნავს იმას, რომ შეიქნება პროდუქტთა სიუხვე, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვხორციელოთ კომუნიზმის პრინციპი — „ყველას თავისი მოთხოვნილების მიხედვით“.

„მხოლოდ იმ შემთხვევაში, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით, ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე, და შესაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველი ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 717).

სტალინის ამ დებულებაში მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების ისტორიული ვადები. მიზნის ასეთ ნათელ და კონკრეტულ გარკვევას, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხებისათვის, მათს ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ამხანაგი სტალინი იძლევა საერთაშორისო მოვლენების, საერთაშორისო მდგომარეობის მტკიცე მეცნიერული ანალიზისა და ამ სფეროში მოვლენების განვითარების წინასწარ დანახვის კლასიკურ მაგალითებს. ამხანაგი სტალინის ყველა ისტორიული პროგნოზი საერთაშორისო ამბების შესახებ უკლებლივ გაამართლა ისტორიამ. მოვიყვიროთ ერთი მაგალითი:

ბოლშევიკური პარტიის მე-18 ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მოგვცა საერთაშორისო მდგომარეობის გენიალური ანალიზი და ამ საფუძველზე მოვლენების განვითარების შესანიშნავი წინასწარგანჭვრეტა.

მაშინ, როდესაც ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შ. შტატების პრესამ ხმაური ასტეხა, თითქოს გერმანიას განზრახვა აქვს დაიპყროს უკრაინა და ამ პროვოკაციული მანერებით სურდათ ერთმანეთისათვის დაეჯახებინათ გერმანია და საბჭოთა კავშირი, ამხანაგმა სტალინმა ფაქტიური ვითარების მკაცრი ანალიზის საფუძველზე გააკეთა სულ სხვა დასკვნა და წინასწარ განსჭვრიტა გერმანიასთან მოსალოდნელი და შესაძლებელი სულ სხვა ურთიერთობა. ამხანაგმა სტალინმა განაცხადა, რომ ომის გამჩაღებლებს სურდათ „მოეწამლათ ატმოსფერო და პროვოკაციულად გამოეწვიათ კონფლიქტი გერმანიასთან საამისოდ აშკარა საფუძვლის უქონლად“ და რომ, პირიქით, შესაძლებელია არა მტრული, არამედ კეთილმეზობლური ურთიერთობა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. სტალინის ეს ურყევი პროგნოზი სულ მალე გამართლდა სავსებით და მთლიანად. გავიდა რამდენიმე თვე და გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დაიღო ურთიერთ-თავდაუსხმელობის, ხოლო შემდეგ ურთიერთ-მეგობრობისა და სავაჭრო ურთიერთობის ხელშეკრულებანი. ამრიგად „საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება იმას მოწმობს, რომ ამხანაგ სტალინის ისტორიული წინასწარგანჭვრეტა ბრწყინვალედ გამართლდა“ (მოლოტოვი, უმაღლეს საბჭოს მე-4 საგანგებო სესიაზე წარმოთქმულ სიტყვიდან).

ბოლშევიკური პარტიის მე-18 ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა თავისი ისტორიული გენიალური მოხსენებით განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი, სტალინმა გააკეთა ახალი მეცნიერული აღმოჩენა: თეორიულ-პრაქტიკულად დაამტკიცა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში კომუნისტიკური კომუნისტიკური აშენების შესაძლებლობა. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში კომუნისტიკური დროს სახელმწიფოს, არმიისა და დამსჯელი ორგანოების აუცილებლობა, მათი კიდევ უფრო განმტკიცების აუცილებლობა.

ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული ეს ახალი მეცნიერული თეორია წარმოადგენს სტალინური წინასწარხედვის კლასიკურ ნიმუშს. ამ თეორიით ამხანაგმა სტალინმა ნათელი პერსპექტივა მოგვცა, მან მძლავრი პროექტორით გააშუქა მთელი გზა, რომლითაც წარმატებით მიდის საბჭოთა კავშირის 193 მილიონი მშრომელი კომუნისტიკური მწვერვალებისაკენ. ამხანაგ სტალინის ეს თეორია გამარჯვების რწმენას აძლევს მასებს. მას უდიდესი მამობილიზებული, დამარზმავი და გარდამქმნელი ძალა აქვს. აი რაშია სტალინური წინასწარხედვის ძალა და უძლეველობა, აი რაშია სტალინის წინასწარხედვის სასიცოცხლო მნიშვნელობა.

სტალინური წინასწარხედვის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს ს. ა. კ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ<sup>1</sup>. პარტიამ, დიდმა სტალინმა დროულად შეამჩნია ის საფრთხე, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებასათვის, კოლმეურნეობაში პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისობის სფეროში, კოლმეურნის პირადი მეურნეობის გაბერვის და ამის ხარჯზე კოლმეურნეობის საზოგადო მეურნეობის და საზოგადო ინტერესების შელახვას. პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა აღნიშნული ისტორიული დადგენილებით დროზე აღკვეთა დამახინჯება სოფლად მიწათ-სარგებლობის სახელმწიფო კანონების დარღვევა, და ააღდინა კოლმეურნეობებს მოსალოდნელი საფრთხე. აღნიშნული, ცნობილი დადგენილება წარმოადგენს კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების უმძლავრეს საშუალებას. აი რაშია მარქსისტულ-ლენინური წინასწარხედვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში.

ისე, როგორც ლენინის, ამხანაგ სტალინის შესანიშნავ თვისებას შეადგენს მოვლენების დანახვა მათ ჩანასახში, როცა ისინი ჯერ კიდევ არ გაშლილან, როცა ჯერ კიდევ არ განვითარებულან, როცა ისინი უჩინარი არიან „ჩვეულებრივი თვალისთვის“. მშვენიერად დაახასიათა ამხანაგ სტალინის ეს თვისება ლ. კავანოვიჩმა, როცა სთქვა: „ამხანაგი სტალინი პოულობს დიდს მცირეში და ერთი შეხედვით მცირე საკითხიდან ძირითადი ზოგადი საკითხების ამოხსნას“<sup>2</sup>).

აი ერთი მაგალითი: როგორც ცნობილია, 1927 წელს უკრაინაში ტ. შვეჩენკოს სახელობის საბჭოთა მეურნეობასთან პირველად შეიქმნა ე. წ. სატრაქტორო კოლონა, რომელმაც დაიწყო მომსახურების გაწევა ხელშეკრულებათა დადების გზით მეზობელ კოლმეურნეობებთან. სატრაქტ. კოლონა უხნავდა მათ მიწებს, სამაგიეროდ იღებდა მათგან სათანადო საფასურს. ამ „არც ისე დიდ“

<sup>1</sup>) კრებული: „60 წელი დიდი სტალინის დაბადებიდან“, გვ. 58.

მოვლენაში ამხანაგმა სტალინმა დაინახა მთელი ახალი მოვლენა, რომელიც უნდა გაშლილიყო მთელ ქვეყანაში. ამხანაგმა სტალინმა ჩაესწიდა ხელე სატრაქტორო კოლონის ამ ფორმას და ამის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც შემდეგ გამოყენებულ და გავრცელებულ იქნა მთელ ჩვენს ქვეყანაში, ხოლო დღეს ყველამ იცის, თუ რა უდიდეს ძალას წარმოადგენენ, აღნიშნული სადგურები სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის, კოლმეურნეობათა სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების საქმეში. აი მოვლენების მის ჩანასახში დანახვის მეცნიერული წინასწარხედვის ნიმუში, რომელიც აგრეთვე სავსებით გაამართლა ცხოვრებამ.

ამხანაგი სტალინი წინასწარ ხედავს, იგი ანვითარებს ქვეყნის გარდამქმნელ თეორიას — მარქსიზმ-ლენინიზმს და არა მარტო ანვითარებს ამ თეორიას, არამედ იგი თვითონ უდგია სათავეში ქვეყნის იმ რადიკალურ გარდამქმნას, რომელიც ასე ძლევამოსილად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში. ყოველ ნაბიჯზე ხორციელდება დიდი სტალინის სიტყვები: „მარქსისტებს არ შეუძლიათ იმაზე შეჩერება, რომ ახსნან ქვეყნიერება, არამედ ისინი უფრო შორს უნდა წავიდნენ იმისათვის, რომ შესცვალონ იგი“ (სტალინი — „ლენინის შესახებ“, გვ. 10).

მეცნიერული წინასწარხედვის შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის ღრმა ცოდნა, ისტორიის მამოძრავებელი კანონების მეცნიერული გაგება, რომელიც მოგვეცეს მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა და სტალინმა. მეცნიერული წინასწარხედვის თეორიას უაღრესად დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. რევოლუციური წინასწარხედვის თეორია, რომელიც შეუდგომლად ხსნის განვითარების მიმდინარეობას, სახავს ნათელ პერსპექტივას: ხელს უწყობს განვითარების მსვლელობას, აჩქარებს წინსვლას, აახლოებს მომავალს. მეცნიერულად წინასწარდასახული რეალური ნათელი მიზანი და პერსპექტივა აძლევს მასებს საქმის რწმენას, გამარჯვების რწმენას, მებრძოლი ოპტიმიზმის გრძნობით მსუვალავს მშრომელებს, რომლებიც თავგამოდებით, წარმატებით იბრძვიან დასახული მიზნის განხორციელებისათვის.

მეცნიერული წინასწარხედვის თეორია ამტკიცებს მთელ ქვეყანაში კაპიტალიზმის გარდაუვალად დამხობას, პროლეტარიატის ასევე გარდაუვალად გამარჯვებას, სოციალიზმ-კომუნისმის ისტორიულ აუცილებლობას. მეცნიერული წინასწარხედვის თეორია ძლიერი და უძლეველია, რადგანაც იგი ქეშმარიტი თეორიაა. „იგი მატერიალურ ძალად იქცევა, როცა მასებს ეუფლებათ“ (მარქსი).

შალვა რაღინი

## ლეო ქიაჩელის შემოქმედება

რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში ლეო ქიაჩელი შემოვიდა როგორც ნოველების ავტორი. მისი „სტეფანე“, „ცოდვის შვილები“, „პატარა ისტორია“, „წუთისოფელი“, „ჯადოსანი“, „ქალი“, „გიგური ენება“, „მარადისობის ბაღში“ „იმედები“ ხასიათდებოდნენ თემატიური ორიგინალობით და მხატვრული სიახლით. ამ ნოველებისათვის ნიშნული იყო კომპოზიციის სიმკვრივე, თხრობის სწრაფი განვითარება, მოქმედების დრამატიულობა, პრობლემის მოულოდნელი გადაწყვეტა, პოეტურ საშუალებათა მომჭირნობა, ცალკეული ნაწილების მთლიანობა და კანონზომიერება.

მაგრამ ამავე დროს ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში გამოქვეყნებული იყო იდეურ-შემოქმედებითი ხასიათის წინააღმდეგობანი. ნოველების უმეტესობა ატარებდა იმპრესიონისტული სტილის დამახასიათებელ თვისებებს და დეკადენტური მისტიციზმის ელემენტებს. მწერალს თავისი ნოველების პერსონაჟებად ხშირ შემთხვევაში გამოყვანილი ჰყავდა უცნაური, უკეთ რომ ესთქვათ, არანორმალური და ავადმყოფი ადამიანები: „ზნით“ შეპყრობილი და „სულით“ დაავადებული, განთქმული მწყევარი, ჰეჟუზე შესილი, მუნჯი და სხვ. ესენი იყვნენ დეკადენტური პროზის ტიპური სახეები. ცნობილია, რომ დეკადენტებისათვის ანორმალობა იყო იდეალიზმის თავისებური გამოხატულება. ავადმყოფი გმირი მათთვის იყო დადებითი გმირი. დეკადენტების წარმოდგენით ფსიხოპატი შთაგონებულია „ღვთიური ძალით“, მისი ფსიქიკა უკეთ სპერეტს „უმაღლეს ქვეყანას“. დეკადენტების გაგებით, პათოლოგიური გმირის მოქმედება ცვლის ყოველგვარ რაციონალურ კანონზომიერებას, უბრუნებს ქვეყანას მოულოდნელს და საუცხოვო სილამაზეს. სწორედ ასეთი პერსონაჟები ჰქმნიდნენ თავისებურ თემატიკურ რკალს ლეო ქიაჩელის ადრინდელ შემოქმედებაში.

ლეო ქიაჩელის ამ პერიოდის მხატვრული აზროვნებისა და შეხედულებების გასაგებად საყურადღებოა ნოველა „ცოდვის შვილები“. ამ ნაწარმოებში მწერალს დრამატიული სიმძაფრით აქვს ვადმოცემული „ზნით“ შეპყრობილისა და „სულით“ ავადმყოფი ჯებებსა და განთქმული მწყევარის, ახლა მეწისქვილის — ბეკოს მეგობრობის ისტორია, შემდეგი „კონფლიქტი“ მათ შორის და ორთავეს დაღუპვა მდინარის ტალღებში. „ცოდვის შვილებში“ თავიდან ბოლომდე ფატალიზმის სრული ბატონობაა წარმოსახული. ანორმალურ სახეებს მწერლის წარმოდგენით ერთგვარად ტიპური ხასიათი აქვს მიღებული ცხოვრებაში.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში მსგავს განწყობილებებთან იყო დკავ-შირებული აგრეთვე უფრო მოგვიანებით დაწერილი ნოველები „Escalabe“, „შეურაცყოფილი“ და სხვები. ამ ნოველებში მწერალი ქვეყნიერების ადამიანების, ცხოვრების გააზრებას ცდილობდა ფილოსოფიური ასპექტით, მაგრამ ეს ფილოსოფია იყო მეტაფიზიკური და იდეალისტური, აქ იყო მტკიცება იმისა, რომ „ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე“, რომ მოჩვენებითია, მხოლოდ ნიღაბია კაცობრიობის ბრძოლა იდეალებისათვის, რომ თვით ადამიანიც ისეთივე მოჩვენებაა, როგორც „ნიღაბი ხეზე“. ამ „მტკიცებაში“ მატერიალისტური აზროვნების არსებითი დებულების თავისებურ უარყოფასთან გვექონდა საქმე.

მთავარი პრობლემა, რომელსაც ეხება ლეო ქიაჩელი ნოველა „შეურაცყოფილიში“ ეს არის: არსებობს ქვეყნიერება თავისთავად, ან როგორც გერმანელები იტყვიან, an sich, თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია. მეტად ორიგინალური მხატვრული ხერხით ცდილობს მწერალი პასუხი ვასცეს ამ კითხვას. ნოველის მთავარი და არსებითად ერთად-ერთი პერსონაჟი — ილიკო, ამბავს ასე იწყებს: მოსკოვში ყოფნის დროს, როცა ახალგაზრდა სტუდენტი ვიყავი, ბინა ქალაქის განაპირას მქონდა, ერთი პატარა ხის სახლში. სახლის პატრონს ჩემი ოთახის გვერდით, მეორე ოთახიც მქონდა. „იმისა და ჩემს ოთახს შუა თხელი კედელი იყო და ზედ დაბალი კარი ეკიდა, რომელიც ჩემი ოთახიდან იყო გადარაზული“. ამ მეორე ოთახში ვიღაც ქალი დაბინავდა. პირველ საღამოსვე გაეცნენ ისინი ერთმანეთს: ქალმა ასანთი სთხოვა. მეზობელი ქალის ოთახიდან ყოველი ჩამიჩუმბი ისმოდა. „გავლა-გამოვლა და სხვა ასეთებიც თითქოს ჩემს გვერდით ხდებოდა. ეს გარემოება ისეთი აღმოჩნდა, რომ ჩემი ნების გარეშე ჩემი ყურადღება თავიდანვე მიიპყრო... ზედმიწევნით შესმოდა თუ როგორ დალია ქალმა ჩაი, შემდეგ სუფრა როგორ მიილაგ-მოილაგა, ადგა, კარი გააღო და მაშინვე ისევ მიხურა“. ამის შემდეგ იწყება ნოველაში ილუზიონისტური, მოჩვენებითი წარმოდგენების გადმოცემა, რომლებიც უპირისპირდება ზემო მოთხრობილს. კარის გაღებისა და მიხურვის, ე. ი. ქალის ოთახიდან გასვლის შემდეგ, ილიკოს გუნებაში მანაც გრძელდება წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ქალი ისევ ოთახშია, ისევ მოძრაობს, საქმიანობს. „ქალი ისევ მაგიდასთან გაჩნდა და დაჯდა. წიგნი გადაშალა. გადაფურცლა ერთხელ, ორჯერ — ზედიზედ. მერე ცოტა შეანელა და ისევ გადაფურცლა... ბოლოს ჩამოქნარების ხმა მოესმა. ალბათ, დაიღალა მეთქი. წამსაც არ გაუვლია, რომ გაჩხარუნებას მოეკარი ყური. რა უნდა იყოს მეთქი? უთუოდ ერთად შეკრული გასაღებებია, ვსთქვი გუნებაში. მალე ჩაწყარუნებაც გაისმა, თითქოს პაწაწინა ზარმა დარეკაო. სწორია, უთუოდ „ჩემოდანი“ გააღო-მეთქი. მართალი გამოდგა: თეთრეულის შრიალი მოისმა. ზეწარი უნდა ყოფილიყო, რომ გადაშალა და ფრთხილად გადაფურცხა. ლოგინთან მივიდა. შეასწორა... აი, ზეწარი ლეიბს გადააფარა, ხელის გული თავიდან ბოლომდის შრიალით გადაუსვა. ეჭვი არ იყო ლოგინს იწყობდა... ასეთისე ჩემმა გამახვილებულმა სმენამ მალე გამოარკვია, რომ ქალი თმას ივარცხნიდა. სავარცხლის ყოველ დასმაზე თმას ისეთი წკრიალი გაჰქონდა ვერც კი წარმოემდგინა, თუ ისეთი ხმაურობის გამოცემა შეეძლო... მიუხედავად ჩვენს შორის კედლის არსებობისა, სრულიად გარკვეულად დავინახე ჩემი მეზობელი ქალი... ჩემს გარშემო ერთხანს კიდევ ისმოდა რაღაც შრიალი, ტანის რხევა, ქმნისებური სუნთქვა... ერთხელ კიდევ დავექიმე სმენა. მეცნაურა, რომ ქალს ეძინა... გარკვე-

ულად ისმოდა ძილის დროს დამახასიათებელი სუნთქვა, რომელიც ცოტა არ იყოს უცნაური ფარფატის ხმას გამოსცემდა...“ დაუსრულებულმა ფარფატს-ტიურმა სურათებმა ილიკოში დაბადა განუსაზღვრელი სურვილი ქალისკოთახში შესვლისა. „თითქოს არც კი მოველოდი, ისე გაეჩნდი ქალის ოთახში, ფანჯრით შემომავალმა ლამის მკრთალმა სინათლემ გამიაღვილა თვალის ერთი მოვლებით გამომერკვია ყველაფერი, რისი გამორკვევაც მჭიროდა. პირველად ლოგინს დაეხედე. აუშლელი მეჩვენა. შეეცდი. არ დავიჯერე და ხელი გადუსვი ფრთხილად, ყოველ შემთხვევისათვის რომ მძინარე არ შემეშინებინა. — დავრწმუნდი: — მართალი იყო, რაც პირველად თვალმა მანიშნა. — არც ლოგინზედ და არც ლოგინში ქალის ნატამალიც კი არსად იყო. მივიხედ-მოვიხედე. შევეტრიალდ-შემოვეტრიალდი ხელის გულის ოდენა ოთახში. არსად არაინ. ფანჯარასთან რალაკამ ჩაიფშვინა, ფარფატით ჩაიშრიალა და ოდნავ ჩაიწკარუნა. მივედი. ფანჯრის ერთი ნახევარი ცოტაზე გამოღებული აღმოჩნდა და ოთახში სიო შემოდიოდა, მეორე მიხურული ნახევრის ფარდას აღმაცერად ხედებოდა და შრიალ-ფრიალით არხევდა. მივხვდი, რა უბედურებაც მჭირდა. ჩემმა მეხსიერებამ გაელცემაზე უსწრაფესად აღადგინა მნიშვნელობა და შინაარსი, რაც ამის წინად, აქ შემოსვლამდე ამ უაზრო ხმაურობას ჩემთვის ჰქონდა და... აი, მოვლენა თავისთავად და აი, იგივე მოვლენა, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი...“ ეს პერსონაჟი (და მასთან ერთად ავტორი), თუმცა არაკატეგორიული ფორმით, მაგრამ ამ პატარა შემთხვევის საფუძველზე მინც ასკვნის: ვაი ჩვენ, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენც თავად მოჩვენება ვართ... ამ დასკვნას თან ერთვის ნოველის დასაწყისშივე აღნიშნული მოსაზრება: „არა, მართლა, იქნება, ის, რაც ჩვენ ასე გვიზიდავს ცხოვრებაში, რაც ამდენ ალტკინებას იწვევს ჩვენში და ხშირად თავსაც კი გვაუზუნებინებს, თავისთავად არაფრად ღირდეს და ისეთი სრულიად უმნიშვნელო რამ იყოს, ვსთქვათ როგორც ჩხირის გატეხვა ან ღია ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდის შრიალი ნიავის გაქროლებზე!“ აქ უკვე საკმაოდ მძაფრადაა გამოთქმული ფილოსოფიური სკეპტიციზმი. ხოლო როგორც ცნობილია, სკეპტიციზმი ფილოსოფიაში ნიშნავს ისეთ მოძღვრებას, რომელიც უარყოფს მეცნიერების დასკვნებისა და მონაცემების ჭეშმარიტებას, ჩვენი ცოდნის სარწმუნოებას ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე და მის კანონებზე, აზღვანებს პრინციპიალურ უნდობლობას საერთოდ ჭეშმარიტების შეცნობის შესაძლებლობისადმი. სკეპტიციზმი, როგორც მსოფლმხედველობა ნიშნავს გულაცრუებულ, პესიმისტურ დამოკიდებულებას წინსვლისადმი, პროგრესისადმი, კაცობრიობის ცოდნისა და მეცნიერების ძალებისადმი. პრაქტიკა, სინამდვილე ამხსნერეც ყველა თეორეტიკული შემეცნებითი სახეობას სკეპტიციზმისა. მატერია, ბუნება, ყოფიერება წარმოადგენს ობიექტურ რეალობას. აღამიანები არიან არა მოჩვენებები, არამედ სამყაროს მრავალფეროვან მოვლენებთან ერთად განასახიერებენ მოძრავი მატერიის უმაღლეს სახეობას. „ნიეთიერი სამყარო, რომელსაც გრძნობებით აღმოვთქვამთ და რიმელსაც თვითონ ჩვენ ვეკუთვნით, არის ერთადერთი ნამდვილი სამყარო...“ (ფრ. ენგელსი). კაცობრიობის მოღვაწეობის ყოველი სფერო ნათელყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენი ცოდნა წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი მოვლენები, რომლებიც იყვნენ პრინციპიალურად შეუცნობადი. რამდენად რთული არ იყოს

ესა თუ ის მოვლენა, რამდენად საძნელო არ იყოს შესასწავლად, — მტკნოდ ავად ამისა, მაინც არსებობს შესაძლებლობა იმის, რომ შევიცნოთ ის, მივიღოთ მის შესახებ ობიექტურ-ქეშმარიტი წარმოდგენა. არ არსებობს ისეთი საზღვარი, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ადამიანის გონების სიძლიერე. სამყარო და მისი კანონები მთლიანად შეცნობადია. გრანდიოზული გზა, რომელიც გაიარა კაცობრიობამ პირველყოფილი ადამიანის უსუსური მდგომარეობიდან საწარმოო ძალების, მეცნიერების, ტექნიკის თანამედროვე დონემდე, წარმოადგენს საუკეთესო დამამტკიცებელს იმისა, რომ კაცობრიობა სდგას სწორ გზაზე, რომ იგი ფლობს ობიექტური და აბსოლუტური ქეშმარიტების გასაღებს, რომ იგი შეიცნობს ამ ქეშმარიტებას. გრძნობადი ათვისება არის მხოლოდ პირველადი საფეხური შემეცნების არსის გახსნისათვის. ჩაწვდომისათვის, მისი მოძრაობის კანონების ვაგებისათვის აუცილებელია ავმალდეთ უშუალო გრძნობითი ათვისებიდან თეორეტიულ აზროვნებამდე. მეცნიერული ცნებების ჩამოყალიბებამდე, რომლებიც ასახავენ საგნის არსს, მის კანონზომიერებას.

ლეო ქიჩელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის შემოქმედებაში თავიდანვე იგრძნობოდა დეკადენტური განწყობილების უცხოობა, რომ ის მისთვის არ იყო ორგანიული, არამედ დროებითი, გარდამავალი, გარედან ნაძალადევად მოხვეული რამ. ამიტომ ამ ხანებშივე მის ნოველებში მოსჩანდა რეალისტური მსოფლათვისების ელემენტები. მწერალი შეუპოვრად იბრძოდა რეალისტური პროზის სიმადლებების დასაუფლებლად. სწორედ ამ რეალისტური ხაზის განვითარებისა და გაღრმავების შედეგად შექმნა მან თავისი საუკეთესო რომანი „ტარიელ გოლუა“. ეს ნაწარმოები შეეხება 1905 წლის პერიოდში ქართველი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას მემამულეებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „ტარიელ გოლუაში“ მრავლად არის დამახასიათებელი დეტალები, რომლებიც შექმნილია ყოფა-ცხოვრების, ადამიანების, საზოგადოებრივი პროცესების სერიოზული ცოდნის საფუძველზე. ამ რომანში ლეო ქიჩელი უკვე ყალიბდება, როგორც მწერალი-რეალისტი.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის ქართველი მწერლები, ხატავდნენ რა დანაგრულ მშრომელ მასებს, უმთავრესად გვიჩვენებდნენ მათ უუფლებობასა და ტანჯვას. „ტარიელ გოლუაში“ ნაჩვენებია ხალხის არა მარტო მძიმე ცხოვრება, არამედ მისი გამოღვიძება, მისი სოციალური შეგნების ზრდა, მისი აქტიური პროტესტები, მისი ბრძოლა განთავისუფლებისათვის. რევოლუციურ ბრძოლების განვითარების შედეგად, მუშათა კლასთან დაახლოების შედეგად, დიდი გარდატეხა მოხდა გლეხობის ფსიქოლოგიაში 1905-1907 წლის რევოლუციის მომზადებისა და აღმავლობის წლებში. გლეხობა თანდათან იგნებს თავის მძიმე მდგომარეობას, თავის უფლებასა და ძალას. ამ წლებში განსაკუთრებული სიმძაფრით გვიჩვენა გლეხობამ თუ რამდენად ძლიერია მასში სიძულვილი მემამულურ-ბურჟუაზიულ, თვითმპყრობელურ წყობილებისადმი. „ქალაქის კვალდაკვალ ფეხზე დგებოდა სოფელიც... დიიწყო გლეხთა მღელვარება. გლეხები დიდ-დიდ მასებად ილაშქრებდნენ მემამულეების წინააღმდეგ... მთელ რიგ ადგილებში გლეხები ხელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწას... დაშინებული მემამულეები იძულებული გახდნენ ქალაქებში გაქცეულიყვნენ. მეფის მთავრობა ჯარისკაცებსა და ყაზახებს ჰგზავნიდა გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად. ჯარები ხვრეტდნენ გლეხებს. აპატიმრებდნენ „მოთავეებს“, სცემდნენ და აწამებდნენ მათ, მაგრამ გლეხები ბრძოლას არ



სწყვეტდნენ“... („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 71-72) / „ტარიელ გოლუა“ეს არის ხალხური ბრძოლის ეპოპეა თვითმპყრობელურ-ბოლიციური და მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. ეს არის ფართო სურათი სოფლად ახალი, მებრძოლი ადამიანების ყალიბობისა.

„ტარიელ გოლუაში“ ნაჩვენებია პოლიტიკურად ახლად გამოღვიძებული სოფელი, ერთობა და ერთობის ხალხი. „ტარიელ გოლუაში“ ბევრი საინტერესო მომენტია, რომანის სიუჟეტი, ინტრიგა კარგად არის განვითარებული. ლეო ქიაჩელი რეალისტური სიმართლით, პევეთრი მხატვრული გამოსახულებით გვიშლის სურათს იმისას, თუ როგორ შედიოდა სოფლად რევოლუციური მოძრაობა, როგორ ითვისებდა მას გლეხის შემეცნება და შემდეგ რა როლს ასრულებდა ეს უკანასკნელი ამ მოძრაობაში. რომანში მოცემულია გლეხთა გამოსვლების, რევოლუციური კრებების სურათები, ეპიზოდები, რომლებიც გვიჩვენებენ მეფის ხელისუფლების ცდას ჩაახშოს მასიური გლეხური მოძრაობა, შემდეგ ჩვენ ვხედავთ იმასაც თუ დაქსაქსული გლეხური მღელვარება როგორ გადაიზარდა დიდ აჯანყებაში.

„ტარიელ გოლუაში“ მკითხველის წინაშე წარმოსდგებიან კოლორიტული სახეები გამოფხიზლებული, მებრძოლი გლეხებისა. აქ არის მოხუცი გლეხი ტარიელ გოლუა, მისი შვილი ლევან გოლუა, ბეჟანი, ტაგუ და სხვები. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, თვალში გვეცმათ დინჯი, დარბაისელი ხასიათით აღჭურვილი, სხვისი ნების დამმორჩილებელი ბუნების მქონე ტარიელ გოლუა, რომელიც თავისი მშვიდი გამომეტყველებით, კეთილი სულით და შრომის მოყვარეობით დასაწყისიდანვე იტყვევს ყურადღებას. ამიტომ არ შევეცდებით თუ ვიტყვი, რომ ლეო ქიაჩელის რომანის ცენტრში არსებობდა სდგას ტარიელ გოლუას განვითარების ისტორია.

ტარიელ გოლუა სოფლის მოწინავე გლეხია. მასში სულიერი და ფიზიკური თვისებები მარმონიულად იყო შეზავებული. ამიტომ ყველა პატივისცემითა და მოკრძალებით იყო მისდამი გამსჭვალული, მას ესმის შორეული ხმები ერთობის შესახებ. „ჰე, შენი ღმერთი მოიძველებს თოლიგე, — ეუბნება ტარიელი თავის ცოლს, — ახლა ახალ ღმერთზეა ლაპარაკი. ამბობენ რომ იგი უფრო თავაზიანი და მოწყალე არისო“. ეს ახალი „ღმერთი“ კი ტარიელისათვის ერთობაა, რომელიც თავისუფლებას და თანასწორობას მოუტანს ხალხს; „— ა?.. რა ამბავია გიო? რა ისმის? — ეუბნება ტარიელი თავის გაზრდილს, — შორს არისო კიდევ ერთობა? არ გაგიგონია ეაქაცო, რაიმე, მაშ, გლეხის შვილი არ ყოფილხარ?“ — ასე ნერგავდა ტარიელი ამ გრძნობას პატარა გიოშიც.

ტარიელ გოლუა რევოლუციური სიტყვის და საქმის წარმომადგენელია სოფლად 1905 წლის მოძრაობის ფონზე. მკითხველი ყოველთვის გრძნობს, რომ იგი არასოდეს არ დაიხვევს უკან ბრძოლის ველზე. იმ ამბით კმაყოფილი რომ ლევანი სოფელს ერთობის დამწყებად დაუსახავს, ტარიელი ეკითხება, შვილს:

- „ერთობის დამწყებად გასახვევენ მეზობლები... მართალია?
- „სირცხვილი იყო კიდევ სიჩუმე... ჩვენდა ვდუმდით.
- „სწორეა!.. ყველგან ახალი სიტყვა ისმის... ახალი საქმე კეთდება — და ტარიელი მომღიშარი სახით წინ დაუდგა ლევანს, — მე რატომ არაფერი მითხარი თუ ასეთი აზრი გქონდა? ჩემი აზრი ხომ იცი... მაგრამ გულში სხვა რამ გედო!“ ეს სხვა რაიმე ტარიელისათვის სიყვარულის გრძნობა იყო,

რომლისათვისაც გამოდება უმართებულო იყო მაშინ, როცა ხაზოგადობრივი საქმე საჭიროებდა ლევანისთანა გმირებს! — „ესეც არ იყოს — განაგრძობს ტარიელი შვილთან საუბარს, — საზოგადო საქმე უანგაროა და უნდა კეთდებოდეს. კერძო ინტერესი — სიყვარულიც რომ იყოს — უნდა გარიდოს.. საჭიროა, ლევან, პირადი ბედნიერება საზოგადო ბედნიერებაზე იყოს დამყარებული, თორემ ბედნიერება ბედნიერი არ იქნება“. ტარიელ გოლუა სწორად აყენებს საკითხს. მას კარგად ესმის რომ რევოლუციური ბრძოლების პერიოდში, როცა ხალხი საჭიროებდა თავდადებულ მებრძოლებს, პირადი გრძნობების წინ წამოწევა და მისთვის ენერჯის ისეთი რაოდენობით დახარჯვა, როგორც ეს ლევანმა მოინდომა არ იყო გამართლებული. ამიტომ არის, რომ ლევანის ამხანაგებმა, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ უბრძოლველად ქალის (თინას) უკან დაბრუნების გამო, ტარიელისაგან ასეთ პასუხს ღებულობენ: — „ჰე, ყმაწვილებო!.. ტარიელის ჰკუას დაუჭერეთ, მაგი თოფი და ტყვია სხვა დროისათვის შეინახეთ“.

ერთობის იდეა თანდათან ძლიერდება. ტარიელ გოლუას აგიტაცია უფრო მეტად ამჟიბროვებდა სოფელს რევოლუციის საქმის გარშემო, ტარიელს გლეხები რჩევას ჰკითხავდნენ, მასთან მსჯელობდნენ და ბრძოლის გზებს სახავედნენ.

— „აი ლევან, რა უცებად მომწიფდა ყანა. მომკელი თუ ვარგა, დრო არ უნდა გაუშვა“. ამ სიტყვებით ქარაგმულად გამოთქვა ტარიელმა აზრი რევოლუციური ბრძოლების მომწიფების შესახებ ხალხში, აგრძნობინა შვილს, რომ გამოსვლებისათვის ნიადაგი მომზადებულია, რომ ბრძოლის უფრო აქტიურ მეთოდებზე გადასვლა საჭირო...

საიღუმლო კრება, დანიშნული ბროლიას ხეივანში, ერთობის იდეით გატაცებულ გლეხობას თავისკენ მოუწოდებდა. აქ გაისმოდა სიტყვა „ამხანაგი“, რომელიც დამატყვევებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა გამოუცდელეებზე. ტარიელის საკმაოდ რეპუტაცია ამ კრებაზედაც გამოჩნდება. მისი ყოველი ნაბიჯი და სიტყვა ჯაღონსური ძალით მოქმედებდა გლეხობაზე — ახალი თაობა კარგად გრძნობდა ამას და კრების ხელმძღვანელობასაც მას ავალებენ. რევოლუციური ბრძოლები აღმავლობის გზით მიემართება.

თვითონ ხალხი განაგებს სოფელს. ტარიელიც განუსაზღვრელად კმაყოფილია სოფლის ასეთი მყუდრო ცხოვრებით. თითქოს მოხუცებულობასაც აღარ გრძნობდა. მის წარმოდგენაში ეხლა ყველაფერი ღამაში და კარგი იყო. ბუნებამ მხოლოდ ცხოვრება იცის და სიკვდილი კი მოჩვენებაა, რომელიც აღამიანს იქ ელანდება, სადაც თვალი ვეღარ უჭრის და გრძნობა-გონება ვერ მიუწვდება.

ტარიელი დინჯი და აუჩქარებელია, წინასწარ განზომილი აქვს სიტყვა და საქმე. იგი რევოლუციური სიფრთხილის გრძნობასაც არ არის მოკლებული, მას აწუხებდა გაიოზ ვადალენდიას ვადმოსვლა გლეხობის მხარეზე; „ვისაც როგორ უნდა ისე იფიქროს, მე მაინც არ მომწონს ის კაცი და სულაც არ მიხარია, რომ ასე ვაგვიახლოვდა“. სოფელმა შეიცოდა და მიიღო ვადალენდია, ტარიელი კი გრძნობდა საშიშროებას ამით, თუმცა საჭაროდ მას ეს არსად გამოუთქვამს.

ტარიელ გოლუა უშიშარი და მტკიცე ნებისყოფის მქონეა. ეკუთვნივით დაშინებულ გლეხობას მან ასე მიმართა: „ნუ ავჩქარდებით!.. ეს პირველი კი არ არის და — არც უკანასკნელი“... ტარიელი შეურყეველი, გაუღუნავი

პიროვნებაა. იგი ვერ გასტეხა კარმიდამოს დანგრევამ და დევნილმა ცხოვრებაშიც კი. მის შეგნებაში მხოლოდ ხალხისათვის თავდადებული სამსახური იყო გამტკიცებული. არ შედრკა მაშინაც, როცა ერთადერთი შვილი ლევანი თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

ლეო ქიაჩელი რომანში გზადაგზა იძლევა რევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი რეაქციული ძალების სახესაც. რეაქციამ ყოველ მოლოდინს გადააპარბა. ცეცხლითა და მახვილით მოედვა მეფის ჯარი რევოლუციურად განწყობილ სოფლებს, აუწერელი სიმკაცრით დაარბია ყველაფერი, განადგურდა სოფლები. ცეცხლს მისცეს იმ გლეხების კარ-მიდამო, რომლებიც გამანათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდნენ. აქ ისტორიული სინამდვილე სწორედ არის ვადმოცემული. კარგად აქვს ავტორს აღწერილი მეფის მთავრობის თარეში სოფლად და ხალხის აუტანელ პირობებში ჩაყენება. თვითმპყრობელობის ველური მოქმედების მსხვერპლი გახდა ტარიელ გოლუა და მისი ოჯახი.

ხალხის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა და რევოლუცია კვლავ საჭიროებდა ტარიელ გოლუასთანა გმირებს. მძიმე პირობებშიც ტარიელი ამჟღავნებს თავის შეუდრეკელობას. მან გამოიარა ციხე, წვალება, შვილის დაღუპვა, ოჯახის განადგურება, მაგრამ მაინც ღირსეულად და მტკიცედ ემსახურებოდა ბოლომდე „ერთობის“ საქმეს. გავიხსენოთ რომანის ფინალი, როდესაც ერთადერთი შვილის დაღუპვის გამო ღრმა მწუხარებაში მყოფი მოხუცი პირველი გამოეხმარება მოწოდებას და ღებდა რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. მისი მაგალითით გამხსნევებული ახალგაზრდობა ირახმება, რათა შეუერთდნენ მთავარ რევოლუციურ ძალებს, თვითმპყრობელობის ჯარებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ახალგაზრდობა თხოულობდა გამოცდილს და საქმის მტკიცე მეთაურს. ტარიელიც ხომ საზოგადო საქმისათვის იყო მოწოდებული. ამიტომაც მან პირველმა განაცხადა სურვილი მებრძოლ რაზმში ჩაწერაზე. მისი ხმა მოწოდების ზარივით გაისმა, ყველას გულს მოხვდა და ვალდებულება მოაგონდა. ეს იყო მოწოდება და მოწოდებამ ნაყოფი გამოიღო: — „მეც, — გაისმა ბეჟანის ხმა, მას მიყვა ტაგუ“... და ბოლოს: — „ყველანი შენთან ვართ! მოვდივართ, ტარიელი მამა ჩვენი და წინამძღოლი!“ ამ სიტყვებით ეხვეოდა გარს ახალგაზრდობა საყვარელ მოხუცს. ტარიელ იდგა ახალგაზრდებს შორის, „როგორც ქარიშხლის დროს ტოტებ შემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვებ-მაგარი და ტან-ძლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახლადავარდნილ მწვანე ნორჩს ტყეში“.

ტარიელ გოლუა ნაწარმოების მთელ სიგრძეზე რჩება გმირად. მისი შეუდრეკელობა, სიღინჯე, საზოგადო საქმისათვის თავდადება ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ტარიელ გოლუა დაუვიწყარი ტიპია ქართულ ლიტერატურაში. იგი პირველ რევოლუციაში მონაწილე მშრომელი გლეხობის დასრულებულ განსახებას წარმოადგენს.

„ტარიელ გოლუას“ დიდი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მასში მოქმედებენ არა განყენებული ფრაზებით მოლაპარაკე სქემები, არამედ დამახასიათებელი ადამიანური მეობის გამომსახველი სხვადასხვა ტიპები. კარგი და ავი, ბოროტი და კეთილი ერთფეროვანი, მუჭი საღებავებით კი არ არის ერთი-მეორისაგან გამოჩნული, არამედ ცალკეული ტიპები გამოკვეთილი არიან თავიანთი არსებითი ხასიათებით. ნაწარმოებში ორგანიურად არის შეტანილი და საინტერესოდ განვითარებული რომანიული ინტრი-

გის კვანძი. სიყვარულის ფონზე მოცემულია ის წინააღმდეგობა, რომელიც მაშინ არსებობდა გლეხობისა და აზნაურობის ოჯახებს შორის. უდიდესმა ადამიანურმა გრძნობამ—სიყვარულმაც კი ვერ დაძლია ეს წინააღმდეგობა. ნაწარმოებში ამ რომანიული ხაზის სახეებია ლევან გოლუა და აზნაურის ქალი თინა.

ლევან გოლუა, მიუხედავად დიდი კეთილშობილებისა და „ერთობის“ საქმისათვის უანგარო, თავგანწირული მოღვაწეობისა, უნებისყოფო, უწყინარი, სუსტი ხასიათისა და ჩვილი გულის ადამიანია, მართალია, იგი იმსახურებს ხალხის ნდობას, სიყვარულს, მაგრამ მას აკლია მამის სიმტკიცე და დამაჯერებლობა. ლევანის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის უფრო „მეოცნებე“ მებრძოლია. მის ცხოვრებაში დიდი ადგილი აქვთ დათმობილი პირად გრძნობებს. მას ზოგჯერ არც კი შეუძლია, რომ თავისი მოზღვაებული გრძნობები შეაკავოს, თუ არ მიიღო ვისმესგან „გაკვეთილი“. მასში ყოველთვის იბრძვის ორგ საწყისი. პირადი — სიყვარული და საზოგადო — რევოლუცია. უკანასკნელს თუმცა დიდის ბრძოლით, მაგრამ მაინც იგი პირველ ადგილს უთმობს.

„ტარიელ გოლუაში“ მკითხველისათვის საყვარელ სახედ რჩება მუნჯი ბაჩუა. იგი მართლაც რომ „მალალი ზნეობისა და სულის“ მატარებელია. ბაჩუა უენოა, იგი საშინელმა ცხოვრებამ დაამუნჯა, მაგრამ ზოგჯერ სხვებზე მეტ შორისმჭვრეტელობას იჩენს. მან ყველაზე ადრე იწინასწარმეტყველა გადალენდიას ღალატი, თუმცა ეს აზრი ვერ გაუზიარა სხვას. ბაჩუა აუცილებლად საინტერესო ტიპია მთელ რომანში და მწერალსაც კარგად ჰყავს დახასიათებული.

გლეხის ნაკლებ ფრთხილი და ნაკლებ მტკიცე ბუნება მოცემულია ტაგუში. მისთვის საკმაო იყო, რომ გაიოზ გადალენდიას ცრემლები დაენახა, რომ გულითა და სულით მინდობოდა მას.

ამ ნაწარმოებში ტარიელ გოლუას შემდეგ ყველაზე უკეთ გაიოზ გადალენდიას ტიპია დახასიათებული. მისი სახით მწერალმა დავიხატა ხალხის, რევოლუციის მოწინააღმდეგე, რომელიც პირადული გრძნობით და სულისკვეთებით იმდენად არის გამსჭვალული, რომ მისი ყოველი ნაბიჯი უბედურებისა და ბოროტების მომასწავებელია.

„ტარიელ გოლუას“ პერსონაჟების გალერეას აგვირგვინებს თინა — აზნაურ დავითის ასული და ლევან გოლუას სატრფო. მას არ ახასიათებს ქალური სისუსტე. იგი ძლიერი ნებისყოფით და ვიკაცური ხასიათით არის აღჭურვილი.

„ტარიელ გოლუაში“ ლეო ქიაჩელმა მხატვრული სახეების სისტემაში შესძლო მოეცა კონკრეტული წარმოდგენა არა მარტო გლეხური მოძრაობის სიძლიერეზე, არამედ მის სისუსტეზედაც, რაც რეაქციის დროებით გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზთაგანად ვახდა. აჯანყებული გლეხები მოქმედებდნენ არაორგანიზებულად, ვერ იჩენდნენ საკმაო რევოლუციურ სიფხიზლეს, არ არსებობდა მჭიდრო კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის, გლეხობასა და მუშათა კლასს შორის. მოიბოვეს რა გამარჯვება რამდენიმე სოფელში, გლეხები შეჩერდნენ შუა გზაზე, ფიქრობდნენ რა, რომ ყველაფერს მიაღწიეს. გლეხებმა ვერ განამტკიცეს მოპოებული მიღწევები, არ განაგრძეს ბოლომდე ორგანიზებული ბრძოლა, რითაც საშუალება მისცეს კონტრრევოლუციის ძალებს წამოეყოთ თავი. ლეო ქიაჩელი გვიჩვენებს დამსჯელი ექსპედიციების გამოჩენას სოფლად, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულ ხალხს.

მაგრამ საერთოდ რომანი სრულდება ახალი რევოლუციური ადამკვლეობის ოპტიმისტური აღწერით. მწერალი მოვლენებს გვიჩვენებს უკანვლელარებაში, პერსპექტივაში. ნაწარმოები მკითხველში კქმნის მომავლის მტკიცე რწმენას.

ნაზი სტილისტი და კომპოზიციის ოსტატი, ლეო ქიაჩელი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ყოველთვის მიისწრაფის ლაკონიურობისაკენ, გარკვეულობისა და სისადავისაკენ, ყოველთვის ცდილობს იყოს გასაგები მკითხველისათვის. მის „ტარიელ გოლუას“ მნიშვნელოვანი შემეცნებითი ღირებულება აქვს. ამ ნაწარმოებში მოსჩანს სერიოზული ცოდნა ცხოვრების თავისებურა პირობებისა, ყოფისა, ხასიათისა, მოსჩანს სასიცოცხლო გამოცდილება, შეუწყვლელი წყურვილი ცხოვრების მრავალფეროვანების შეცნობისა. მიუხედავად დეკადენტობის შორეული გამოხმაურებისა, რაც მოსჩანდა ლეო ქიაჩელის ადრინდელ ნოველებში, „ტარიელ გოლუაში“ იგი ამკლავებს თავისთავს როგორც ჭანსალი რეალისტი-მწერალი, რომელიც მიისწრაფის ცხოვრების განახლებისაკენ.

რევოლუციის შემდეგ დაწერილი რომანი „სისხლი“ შეეხება ცხრაას ხუთის მომდევნო პერიოდს. ამ ნაწარმოებებში მწერალმა მიზნად დაისახა მოეცა საზოგადოებრივი მოვლენები რეაქციის წლებში, რომელიც მოჰყვა პირველი რევოლუციის დამარცხებას. ასე, რომ ქრონოლოგიურად ეს ნაწარმოები წარმოადგენს „ტარიელ გოლუას“ გაგრძელებას. მაგრამ „ტარიელ გოლუა“ და „სისხლი“ ლოკლობის მხრით არსებითად განირჩევიან ერთმანეთისაგან: პირველ ნაწარმოებში მოქმედება სწარმოებს სოფლად, ხოლო მეორეში — უმთავრესად ქალაქის ფონია აღებული, სოფელი მხოლოდ ოდნავ გამოჩნდება მასში.

„სისხლში“ ავტორს გამოყვანილი ჰყავს მთელი გაღერეია თავისებური ადამიანებისა. აქ არის არჩილ დადაშიანი, ნიკო, ანდრო ქარივაძე, ვარდო ვარაძე, შალვა რამაძე და სხვა. რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „რომანტიულ“ თავგადასავლებს. ეს არის ერთის მხრით არჩილ დადაშიანის და ცაცა რამაძის სიყვარული, მეორე მხრით — სიყვარული სოფლელ რევოლუციონერის ანდრო ქარივაძისა და ვარდო ვარაძისა. „სისხლი“ იწყება მკვეთრი ყოფითი დრამატიული ინტრიგით: ეს არის ის ეპიზოდი, როდესაც ქარივაძის სატრფოს — ვარდოს ძალით გაათხოვებენ მეფის მოხელე აბლანდიანზე.

„სისხლის“ მთავარი პერსონაჟი არჩილ დადაშიანი ბუნებით არ არის რევოლუციონერი. მებრძოლი იდეები, განწყობილებები მის სისხლსა და ხორცში ორგანიულად არ არის შესული. ავტორის გამოთქმა, რომ ვიხმაროთ, იგი „სრულიად მისდა უნებურად“ „გარეველუციონერებული“ პიროვნებაა. არჩილისებური მიტმასნებული პიროვნებები მრავლად ახსოვს რევოლუციური მოძრაობის ისტორიას. ასეთები მხოლოდ მცირე ხნით, გარეგნულად, ფრაზეზებით იყვნენ „მისული“ რევოლუციისთან, შემდეგ კი მალე დალატობდნენ მას, თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის სამსახურში შედიოდნენ, სამართლიანად შენიშნავს ავტორი არჩილის შესახებ: „როგორც ამ ნაეს (ე. ო. რევოლუციის ნაეს. შ. რ.) მიჰყვება არჩილი, ისე გაყვება იგი ცხოვრებასაც და იმ ნაპირს მიადგება, რომელიც ბედზე უწერია, თუ კი არსებობს სადმე ნაპირა ამ ცხოვრებაში და მასზე დადგომა შესაძლებელია“. არჩილი წერილბურჟუაზული, მომენშევიკო ახალგაზრდაა, რომელსაც თავისთავი ნამდვილ „რევოლუციონერად“ წარმოუდგენია. მის შეგნებაში ერთმანეთის საწინააღმდეგო განწყობილებებია დაბუდებული. ეს განწყობილებები განუწყვეტლივ უპირისპირდებიან და ებრძვიან ერთიმეორეს. რომანში თითქმის არსად არ მოსჩანს

არჩილის აქტიური და მებრძოლი ბუნება. თვით ავტორიც რომანის ფურცლებზე მრავალ ადგილას ცდილობს სწორედ ასეთად წარმოგვიდგინოს იგი: „ზღვისფერი თვალები აქვს არჩილს, მეოცნებე. ბობრ სახეზე სინათლე... მკერდის და მოსიყვარულე იერი უთამაშებს. ჯადოიანი მზერა აქვს. ნმა — გულითადი, დაუსწრებლად თავაზიანი. სულ არ ჰგავს მებრძოლებს“... „თუმცა ამ გარემოებაში ერთი კი არის მაინც საყურადღებო: არჩილს ამ მოვლენაზე დაფიქრების დროს ყოველთვის ენიშნება ხოლმე, რომ ის არ არის ისეთი, როგორც ნამდვილად უნდა იყოს, ან თვითონ მას რომ უნდა იყოს, და რომ მისდა უნებურად ზანდაზან თავის თავს ღალატობს“... „ასე გამოდის, რომ არჩილს საკუთარი ნებისყოფა არა აქვს და იგი შემთხვევასა და სხვის ნებაზე არის დამოკიდებული. მეტიც: ერთს აკეთებს, მეორეს კი ფიქრობს, ერთს გადასწყვეტს, სულ წინააღმდეგი კი გამოუდის“. მეგობარი შალვა რამაძეც შემდეგი სიტყვებით მიმართავს არჩილს: „პროპაგანდისტობა (ე. ი. რევოლუციონერობა შ. რ.) რა შენი საქმეა“...

ლეო ქიჩიელი თითქმის არ გვიჩვენებს არჩილ დადაშინანს რევოლუციურ მოქმედებაში. ჩვენ ისიც არ ვიცით რა გზით და როგორ მოვიდა „პოლიტიკურ მოღვაწეობამდე“, რით მოიპოვა მან რევოლუციონერთა წრეში „გავლენა“. მას ძლიერ უძნელდება შეათავსოს პირადი ბედნიერება და საზოგადო მოღვაწეობა, სიყვარული და პოლიტიკური მუშაობა. ეს „რევოლუციონერი“ მიხედება რა ციხეში, მთლიანად ეცემა, იწყებს სულიერ ძიებებს, კითხულობს სახარებას, ახდენს თავისებურ ექსკურსიებს საქართველოს წარსულში და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ მასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი პერსონაჟია რომანში შალვა რამაძე.

ბოლშევიკ ნიკოს შედარებით მცირე ადგილი აქვს დათმობილი რომანში. მაგრამ მისი სახე ნაწარმოებში სრულიად მიუღებლადაა მოცემული. იგი, როგორც ტიპი ნამდვილ ბოლშევიკისა არ არის დახასიათებული არსებითი, ბუნებრივი, ნამდვილი ნიშნებით. რომანის მიხედვით ნიკო ჯიუტი, ვიწროდ შემოფარგლული პიროვნებაა, რომელიც ყოველგვარი აზრიანობის გარეშე აწყობს თავდასხმას საფოსტო მატარებელზე სახელმწიფო ფულების ექსპროპრიაციის მიზნით. წინააღმდეგ არჩილ დადაშინანის სიტყვებისა, რომ ნიკო ბოლშევიკების ერთადერთი ნამდვილი და წესიერი ორგანიზატორია, ამ პიროვნებაში არსებითად არაფერი მოსჩანს ტიპიური მებრძოლი ბოლშევიკური თვისებებისა. იგი თავისებური, უცნაური ფანატიკოსია, რომელსაც არ აქვს კავშირი ზალხთან; მეორე ბოლშევიკი, ფოთელი მუშა მიხელა იმერელი რომანში ებიზოდურადაა ნაჩვენები და ამიტომ ბევრის თქმა მის შესახებაც შეუძლებელია. საერთოდ ბოლშევიკების როლი რომანში არ არის მოცემული იმ მოცულობით და იმ ხასიათით, როგორც ეს იყო ისტორიულ სინამდვილეში.

მთელ რომანში დასრულებული და მთლიანი სახით არის მოცემული ანდრო ქარივაძის ფიგურა, რომლის მოქმედებაც ბუნებრივად გამოამდინარეობს ხასიათისა და მდგომარეობიდან. ანდრო ქარივაძე აქტიური და ენერგიულ პიროვნებად არის გამოყვანილი. კონკრეტულ „მიზეზად“ მისი პროფესიონალურ რევოლუციონერად გახდომისათვის, ავტორს მოცემული აქვს სატრფოს ვარდო ვარაძის ძალით გათხოვება ციხის უფროს აბლანდიანზე. მაგრამ არსებითად შინაგანი, უშუალო მიზეზი ამ მოვლენის სულ სხვაა, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი. სხვა პირობებშიაც ანდრო ქარივიძე

პროფესიონალური რევოლუციონერი გახდებოდა. რომანში ანდრო ქარივაძე მთელი თავისი ადამიანური განცდებითა და განწყობილებებით არის წარმოდგენილი. მის პიროვნებაში ერთდამავე დროს ვგვხვდებით მწვედრეკელ მებრძოლს და „გულჩვილ“ ადამიანსაც. ანდროს რევოლუციონერობა აუცილებლად გულწრფელი და პირდაპირია. იგი შინაბუნებიდან სომდინარეობს. ამიტომ მისი რევოლუციონერობა უფრო გჯერათ, ვიდრე არჩილ დადაშიანისა.

„სისხლში“ ნათლად არიან ნაჩვენები ანდრო ქარივაძის სოფლელი ამხანაგები; თითქოს ეპიზოდურია ნაწარმოებში ფიგურა არჩილ დადაშიანის დედისა, მაგრამ მკაფიო და დასრულებულია.

საქმის ზუსტი ცოდნით და მხატვრულად გამართლებულ ხაზებში აქვს მოცემული რომანში ლეო ქიაჩელს ციხის ცხოვრება, ზოგიერთი იქაური პერსონაჟი. მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ტუსალების ერთმანეთში საუბარი, მშობლების მიერ ტუსალების ნახვის სცენები, ანდრო ქარივაძის და დედის შეხვედრა და განსაკუთრებით ყაზახების და რევოლუციონერების შეტაკება ტყეში და გვირაბის საშუალებით პოლიტიკური ტუსალების ციხიდან გაქცევის ამბავი; მკვეთრად არის გადმოცემული ვარდო ვარაძის დაღუპვის ამბავი. რომანის ზოგიერთი ეპიზოდი რეალურად მომხდარა ამბავია.

მიუხედავად ამ ღირსებებისა, საერთოდ ეპოქის საფუძვლიანი და მთლიანი სახით მოცემა ვერ შესძლო ლეო ქიაჩელმა „სისხლში“. რთული პოლიტიკური ვითარება ცხრაას ხუთის მომდევნო წლებისა, რეაქციის წლებისა მეტად გამარტივებული აქვს ავტორს. რომანში არ არის გარკვეულობა ცალკეული პარტიული ჯგუფების დახასიათებაშიაც, მათი ნამდვილი პოლიტიკურ სახის გამომჟღავნებისათვის. ყურადღების ცენტრში სდგას არა ხალხი, არა ნამდვილი რევოლუციონერები, არამედ უმთავრესად საექვო „რევოლუციონერები“, მოწუწუნე და მოლაყებ ინტელიგენტები (არჩილ დადაშიანი, შალვა რამაძე და სხვ.); რაც მთავარია ავტორმა ვერ შესძლო სწორად წარმოდგენის მოცემა საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული პერიოდის ვითარების არსებითი მხარეების შესახებ. ავტორი აგვიწერს რა რეაქციის თარეშს საქართველოში, წარმოადგენს რა ბოლშევიკებისა და მენშევიკების სახეებს, ვერ გვაძლევს თავისი დამახასიათებელი ნიშნებით რევოლუციური ბრძოლების მიმართულებას, ვერ გვიჩვენებს მენშევიკების პოლიტიკურ-პრაქტიკულ გაკოტრებას, მათ ღალატს მშრომელი ხალხის სასიციცხლო ინტერესებისათვის. ამავე დროს „სისხლში“ არ არის ნაჩვენები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლი მასების დარაზმების საქმეში თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მისი თანამიმდევრული და გამორული ბრძოლა რევოლუციის საქმისათვის.

„სისხლი“ რეალისტური სიმართლით ვერ ასახავს ეპოქის ნამდვილ მოვლენებს და ამიტომ იდეურად უფრო დაბალ დონეზე სდგას, ვიდრე „ტარიელ გოლუა“.

რევოლუციის წლები ლეო ქიაჩელისათვის წარმოადგენს დიდი შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდს. 1921-1933 წლებს შორის, გარდა რომან „სისხლისა“ მან დასწერა მთელი სერია ნოველებისა: „მე და ჩემი ორი მე“, „კრიმინალი“, „რაც იყო და არ იყო“, „ისკანდერი“, „თავადის ქალი მაია“, „აღმასგირ კიბულან“, „დახურული წარმოდგენა“, „ჭიუტი“, „პაი აცბა“.



და სხვ. ნაწილი ამ ნოველებისა გამოხატავს ძველი ყოფის სურათებს და ძველი ადამიანების განწყობილებებს, ზოგი შეეხება ფილოსოფიურ-კრიტიკულ-მებს, ხოლო რამდენიმე მათგანი ახალი ცხოვრების ცალკეულ მოვლეთა მხატვრულ განათებას წარმოადგენს.

მეტად მძაფრი და თავისებური ნოველებია: „თავადის ქალი მია“, „ალმასგირ კიბულან“. პირველ მათგანში აღწერილია ხანგადასული, გახუნებული თავადის ასულის ენებები და მისი უკანასკნელი სიყვარულის ისტორია, მეორეში — სენი ალმასგირ კიბულანის ვაჟიშვილის გივარგილას ხეების დაკურებაზე მუშაობის დროს ენგურში დაღუპვის ამბავი, ხოლო შემდეგ თვით ალმასგირის დაღუპვა შავ ზღვაში. ორივე ნოველის სიუჟეტი ორიგინალურად და ბუნებრივად არის განვითარებული. ორივე ნოველა, განსაკუთრებით „ალმასგირ კიბულან“ დრამატიულ კოლოზიებშია ჩამოყალიბებული; „ჰაკი აცბაში“ მთავარ ამბად მოცემულია ბოლშევიკური კრეისერის „შმიდტის“ შემოსვლა სოხუმის ნავსადგურში. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მოთხრობაში გადმოცემულია სამოქალაქო ომის წლების მთელი რიგი დამახასიათებელი მოვლენები. ბოლშევიკური გემი და მის გარშემო მომხდარი ფაქტები წარმართავენ ნაწარმოების სიუჟეტს. აფხაზეთის ფეოდალური არისტოკრატის ნაშვირები მოთხრობაში გამოხატული არიან სიმართლით და მძაფრად. რეალისტურად გვიჩვენა მწერალმა უსაქმური, პარაზიტი, მოქვიფე, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრის უჭუშ ემხას სახე, რომელიც გაბოროტებულია რევოლუციაზე. უჭუშ ემხა პირველი იმპერიალისტური ომის დროს იმყოფებოდა ავსტრიის ფრონტზე, შემდეგ სამოქალაქო ომის წლებში თეთრგვარდიელებთან ერთად ებრძოდა ბოლშევიკებს, საბჭოთა ხელისუფლებას. დაბოლოს, ბრუნდება აფხაზეთში ოფიცრის ჩინით. იგი ბოლშევიკების დაუძინებელი მტერია. ავტორი ამ თავადს აკვიწერს ზედმიწევნით, გვიჩვენებს მის დეგენერატობას და საეჭვო ვაჟაკობას. ემხა თავს ესხმის და ჰკლავს ქუჩაში კრეისერ „შმიდტის“ მეზღვაურს. ამ ნაწარმოების ცენტრში სდგას უჭუშ ემხას მძაღნაფიცი ძიძიშვილი გლეხი ჰაკი აცბა, რომელიც ბრმად და მონურად თავგანწირულია ბატონისათვის. ჰაკი აცბა იმყოფება ძველი წოდებრივი წარმოდგენების ტყვეობაში. როდესაც ემხას მოელის სიკვდილი მეზღვაურის მკვლელობისათვის, ჰაკი აცბა ყოველნაირად ცდილობს მის დაცვას და თავის განწირვას მისთვის. კრეისერის კომანდის ცდის მიუხედავად გამოეფხიზლებიათ ჰაკი აცბას კლასობრივი შეგნება, მაშინც ვერ დასძლია თავისი მონური ფსიქოლოგია. ამ გარემოებით ძლიერ აღშფოთებულია „შმიდტის“ კაპიტანი კუმზა კილვა. კუმზას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზ გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეჭიბვრების გრძნობამ მოიცვა. მაგრამ კუმზა კილვამ ჰაკი აცბას შეგნებაში ვერ აღმოაჩინა „მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად“. ჰაკი მონა იყო თავისი შეგნებით და ასეთადვე დარჩა ბოლომდე. მწერალს დიდი გულმოდგინებით აქვს გამოკვეთილი ჰაკი აცბას რომანტიული სახე. იგი თავისებურ თანაგრძნობასაც ამჟღავნებს მისდამი.

ლეო ქიაჩელს „ჰაკი აცბაში“ სატირული სიმკვეთრით აქვს გამოხატული ბურჟუაზიულ-მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელთა სახეები

(სამსონ დავანაძე და სხვ). ესენი არიან მენშევიკურ-„დემოკრატიული“ მთავრობის რეალური გამოხატულებანი: უპრინციპონი, თაღლითური მხარეები.

ლეო ქიჩელის მიერ უკანასკნელ დროს დაწერილია ძალიან მსატიფლო ნაწარმოები „გვალი ბიგვა“. ეს რომანი გამოირჩევა თემატიურ-სიუჟეტური ორიგინალობით, სიმართლით, მრავალფეროვანი ტიპებით და მხატვრული საშუალებების თავისებურებით, „გვალი ბიგვა“ ნამდვილი რეალისტური ნაწარმოებია. იგი შეხება საყურადღებო თემას — საკლემურენო წყობილების განმტკიცებისათვის ბრძოლის პროცესში ადამიანთა გარდაქმნას.

გვალი ბიგვა — რომანის მთავარი გმირი, ორიგინალური ფიგურაა. იგი მკვეთრად ჰყავს გამოსახული ავტორს. მისი სახით მწერალმა შექმნა სიცოცხლით სავსე ტიპი, რომელიც ხანგრძლივად ამახსოვდება მკითხველს. რომანის პირველ თავებში გვალი ბიგვა თითქოს ორ პლანში მოსჩანს, თითქოს ორგვარ ცხოვრებას ატარებს: ერთი მხრით იგი ზარმაცი და თაღლითია, რომელიც მოხერხებულად გაურბის კლემურენობაში მუშაობას, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ოხუნჯობით და ცუდ ჭანმრთელობაზე ლაპარაკით გაამართლოს თავისი უქნარობა, ამავე დროს გვალი დაჯდომიებულია კეთილშობილური გრძნობებით, დადებითი ადამიანური ღირსებით, რაც მიჩქმალულია მასში ძველი ცხოვრებისაგან მიღებული მავნე ჩვევებითა და მორალით. გვალი ბიგვა ნაზი და მოსიყვარულე მამაა, რომელიც ბავშვებს ზრდის იმის შეგნებით, რომ არაფერი ჩაიდინონ ცუდი, არაფერი ავნონ სხვებს. გაუნათლებელი, გაზარმაცებული, სუსტი ნებისყოფის გვალი ბუნებით არ არის ცუდი ადამიანი. იგი მორალურად დაამახინჯა მრავალწლოვანმა ძველმა, მონურმა ცხოვრებამ. მისი უარყოფითი მხარეები — ეს არის საშინელი მემკვიდრეობა წარსული ეპოქისა. გვალი ბიგვა ერთგვარად კონცენტრირებული სახეა ძველი ცხოვრებისაგან დაბეჩავებული და გაზარმაცებული ადამიანისა. იგი ჭერ კიდევ იმყოფება ძველი წარმოდგენების ტყვეობაში და არ ენდობა ადამიანებს. ერთხანს საბჭოთა პირობებშიც რჩება ღარიბად თავისი სიზარმაცის მეოხებით.

ის ცუდი, უარყოფითი, რაც გვალი ბიგვამ მემკვიდრეობით მიიღო ძველი ცხოვრებისაგან, შეუთავსებელია ახალ, სოციალისტურ მორალთან. ამ გარემოების შეგნება მასში თანდათანობით მკვიდრდება. მხოლოდ ზრუნვამ და ნდობამ კოლექტივის მხრით, რომელმაც მას დააკისრა საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე, მოახდინა საბოლოო გარდატეხა გვადის შეგნებაში. გვადის სოფელში — ორკეთში ჩამოდიან კლემურენობასთან შეჭიბრებაში ჩაბმული სანარიას კოლმეურნენი. შეჭიბრებულნი საერთო კრებაზე ირჩევენ შეჭიბრების შემოწმებელ კომისიას. კომისიის შემადგენლობაში გვალი ბიგვასაც ასახელებენ. ეს გარემოება გვადისთვის სრულიად მოულოდნელი იყო, ვინაიდან მას სოფელში არ გააჩნდა კარგი რეპუტაცია, როგორც უქნარასა და ცუდლულს. მაგრამ კლემურენეთაგან ეს იყო თავისებური აღმზრდელობითი ხერხი. „თვალეები დახუჭა გვადიმ. ვითომ ნამდვილად გვადის გამოუძახეს თუ ვისმეს სხვას? იქნება სხვა, მეორე გვადიც არსებობს ქვეყანაზე...“ ეს შემთხვევა ბიჭვის მიმცემი გახდა გვადისათვის, ამ დროიდან იწყება ნამდვილი გარდატეხა მის შინაბუნებაში. როგორც ამბობს ავტორი — მისი აზრები ისეთ ვეება ნახტომებს აკეთებდნენ, რომ მთელი დედამიწაც კი ეცოტაებოდა მათ დასატევად, მისი ცხოვრების სინამდვილე თითქოს ზელმეორედ შემოტრიალდა.

მართალია რომანში მოცემული არ გვაქვს, თუ როგორი კონკრეტული სახე მიიღო გვადი ბიგვას გარდაქმნამ, „მეორედ დაბადებამ“, მაგრამ მკითხველისათვის ამის გაგება აღარ არის საძნელო. ის, რაც მოქმედება ნაწარმოებში უკვე ჰქმნის თავისებურ პერსპექტივას. მრავალს თვს და დეცა შესაფერის ნიდაგზე და მისი აღმოცენება აუცილებელია.

გვადი ბიგვასთან ერთად ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი არჩილ ფორიაა. იგი ყოფილი ორკეთელი მემამულე და აზნაურია. თავისი მოხერხებისა და გაიძვერობის წყალობით ფორია განაგებდა იმავე სახერხ ქარხანას, რომელსაც წინათ ფლობდა მისი მამა. არჩილ ფორია, რომელსაც ეჯავრება საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ მოხერხებულად არის შენიღბული, ოცნებობს იმ დროზე, როდესაც კვლავ მას დაუბრუნდება სახერხი ქარხანა. ფორიას თავისი გველენის ქვეშ ჰყავს მოქცეული გვადი ბიგვა, უშლის ხელს მის შინაგან ზრდასა და გარდაქმნას, იყენებს მას თავის არამზადულ საქმეში. დროდადრო გვადის გულში იფეთქებს ხოლმე მშრომელი ადამიანის ბუნებრივი გრძნობა გაიძვერა ფორიას წინააღმდეგ. ეს გრძნობა, მით უფრო ძლიერდება, რამდენადაც მეტად ფიქრობს გვადი თავის საყვარელ ადამიანზე — ქვრივ მარიაზე — მოწინავე კოლმეურნე ქალზე. ნაწილობრივ მისი საშუალებით შეიგნებს გვადი, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს, ან სურს გააკეთოს არჩილ ფორიამ, მიმართულია კოლმეურნეობის წინააღმდეგ. გვადი ბიგვა საბოლოოდ მაინც პოულობს თავისთავში ძალას იმისათვის, რომ განათავისუფლდეს ამ გაიძვერას ბრწყალებისაგან. მისთვის ნათელი ხდება, რომ არჩილ ფორია არა მარტო გაიძვერაა, არამედ ხალხის შეგნებული მტერია. მანენლობის მიზნით ფორია განიზრახავს დასწევას სახერხი ქარხანა. ამ საქმეში სურს ჩაითრიოს გვადი ბიგვაც. მაგრამ უკვე გამოფხიზლებული გვადი დიდ წინააღმდეგობას უწევს ფორიას: „გვადისათვის ცხადი იყო, რომ ამლაშდელმა შეხვედრამ სამუდამოდ ჩასტეხა ხიდი არჩილ ფორიასა და მის შორის. გამარჯვებულად გრძნობდა თავს და გული სიამაყით უცემდა. შეკრულ შებლსა და მოკმუნხულ წარბებში თავისთავისადმი რწმენა და შინაგანი ძალის სიმტკიცე გამოესახა“. ბნელ ღამეში გვადი წაესწრება არჩილ ფორიას იმ დროს, როდესაც იგი ცდილობს ცეცხლი წაუცილოს კოლექტივის სახერხ ქარხანას, გვადი ბიგვა და არჩილ ფორია შეეტაკებინ ერთმანეთს. გვადი იძულებული ხდება მოკლას მშრომელი ხალხის მტერი.

გარდა გვადი ბიგვასი და არჩილ ფორიასი რომანში გამოყვანილია საკოლმეურნეო სოფლის სხვა ადამიანებიც: გოჩა სალანდია, ქვრივი მარიაშა, გვადის შვილი — ბარდლენია, კომკავშირელი ნაია, ჭკუიანი და დაკვირვებული ხელმძღვანელი ორკეთელი კოლმეურნეობისა — ბოლშევიკი ვერა და სხვები.

გოჩა სალანდია, საშუალო შეძლების გლეხი, ჭერ კიდევ ვერ იყო მთლიანად შეწყობილი საკოლმეურნეო ცხოვრებას, მასში ჭერ კიდევ ბორგავდა ძველი მესაკუთრული ინსტიტუტები და ხელს უშლიდა დაახლოებოდა ახალ გარემოცვას. იგი ითვლებოდა კოლმეურნეობის წვერად, მაგრამ კოლმეურნეობისათვის თავს არ იწუხებდა, დღესდღეზე აცდენდა. გოჩა ძველი ოჯახური ტრადიციების მკაცრი დამცველია. მასში კიდევ კოცხლობს მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობა თავადაზნაურული წოდებისადმი და საამაყოდ მიაჩნია, რომ ყოფილი აზნაურის შვილი — არჩილ ფორია ცდილობს გახდეს მისი ოჯახის სიძე. შრომის მოყვარედ და იშვიათ მეურნედ ითვლე-

ბოდა გოჩა თავის სოფელში. მისი პატარა ეზო ნამდვილ სანიმუშო ბაღს წარმოადგენდა. მაგრამ თავისნება, მკაცრი ხასიათის მქონე მკვრივი კერპი გლეხი იყო გოჩა. კოლმეურნეობის ხელშეწყობისთვის აფხაზეთის რაიონში, როგორც კარგ მეურნეს, დაკვირვებულად მუშაობენ მის გასათვითცნობიერებლად საკოლმეურნეო ცხოვრებასთან მისი ორგანიზულად დაკავშირებისათვის.

მარიამის სახით რომანში გამოყვანილია კოლმეურნე ქალის საინტერესო ტიპი, რომელიც აღჭურვილია ახალი ადამიანის დადებითი თვისებებით. მასში დიდი ადამიანური გრძნობებია მოცემული. იგი მეტად ენერგიული და გამოცდილი მუშაკია. კოლმეურნეობის მისდამი განსაკუთრებული პატივისცემით არიან გამსჭვალული. თავისებური ელფერი შეაქვს მარიამის სახის გაშუქებაში მისდამი გვაღი ბიგვას „რომანტიულ“ დამოკიდებულებას.

„გვაღი ბიგვაში“ ლეო ქიაჩელი მთავარ ყურადღებას აქცევს ხასიათების გამოკვეთას, ზუსტად და ზედმიწევნით ამუშავებს სიუჟეტს. იგი ადამიანებს და საგნებს ხედავს დიდის გარკვეულობით. ლეო ქიაჩელი დაჯილდოვებულია ნათელი და მკაფიო ხედვით, რომელსაც გააჩნია უნარი სახის უბრალო მოძრაობაშიც კი დაინახოს დამახასიათებელი დეტალები. მწერალი თითქოს მუშაობს ფლამანდრიელი მხატვრების მანერით, შეყვარებულია გარემოს, ყოფის ყოველ ელემენტში, „გვაღი ბიგვაც“, ისევე, როგორც ლეო ქიაჩელის თითქმის ყოველი ნაწარმოები, უმთავრესად აგებულია დიალოგებზე. დიალოგი წარმოადგენს მის ძირითად მამოძრავებელ ღერძს. დიალოგები ამოძრავებს რომანის ეპიურ ხაზს. დიალოგები იწვევენ ახალდაახალ სიუჟეტურ კვანძებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ დიალოგების სიჭარბე ნაწარმოებში არ არის ცუდი, ხშირ შემთხვევაში მაინც ღლის მკითხველს. ამ გარემოებას ზოგჯერ ვერ ითვალისწინებს ლეო ქიაჩელი. ფერადოვნება და მხატვრულ საშუალებათა მრავალნაირობა აუცილებელია ყოველი ნაწარმოებისათვის.

სტილის მხრით ლეო ქიაჩელი ქართულ ლიტერატურაში აგრძელებს რეალიზმის ხაზს. მის ლექსიკონში იშვიათად შეხვდებით იმ „ხელოვნურ“ სპეციფიურ „ინტელიგენტურ“ და „წიგნურ“ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელიც საკმაოდ ახასიათებს ზოგიერთ მწერალს. მისი ნაწარმოები მთლიანად გამართული და თანაბარია.

ლეო ქიაჩელის სტილის შესატყვისია ნაწარმოების არქიტექტონიკაც, რომელიც ხასიათდება სისადავით, გარკვეულობით და ლოლიკური თანმიმდევრობით. ლეო ქიაჩელის ნაწარმოებში მკითხველი ვერ შეხვდება მოქმედების და მოვლენის დაუბოლოვებლობას, მოტივების უქონლობას და სიუჟეტური სივრცეების აღრევას. ლეო ქიაჩელის თხრობითი კომპოზიცია აშენებულია ქრონოლოგიის პრინციპებზე. ნაწარმოების შინაარსი ვითარდება ევოლუციის გზით. აქ მისთვის მთავარი არის დინამიურობა, მოვლენათა სწრაფი მიმდინარეობა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მწერალი კომპოზიციურ პრინციპს ყველგან ერთგვარად ვერ იცავს, ხშირად მის ნაწარმოებში თხრობითი მიმდინარეობა ნელდება.

ლეო ქიაჩელის შემოქმედება მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. მისი სახით ქართველ მწერალთა რიგებს ჰყავს შესანიშნავი ოსტატი და თავისებური შემოქმედი.

ილო მოსაშვილი — ლექსები

თბილისი. სახელწამი, 1939 წ.

პოეტმა ილო მოსაშვილმა განვლო შემოქმედებითი ძიების გრძელი და რთული გზა. ამ გზის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ახლახან „სახელგამის“ მიერ გამოცემული მისი ლექსების წიგნი. მართალია ამ წიგნში თავმოყრილია პოეტის მიერ უკანასკნელი ხუთმეტრი წლის მანძილზე დაწერილი, უმთავრესად საბჭოთა პერიოდის ლექსები, მაგრამ მასში შეტანილ მოგონებათა მთელი ციკლი, უსიხარულო წარსულთან გამოთხოვების და მისი დაგმობის არაერთი ცდა, საშუალებას გვაძლევს შორიდანაც დავინახოთ მოსაშვილის შემოქმედების სათავეები და მასში მომხდარ გარდატეხათა მთელი პროცესი, რომელიც წითელი ზოლივით არის გავლებული სარეცენზიო წიგნის ფურცლებზე.

წიგნში შეტანილ ლექსების სიუხვე და მრავალფეროვანება საშუალებას გვაძლევს ზუსტად გამოვარკვიოთ მოსაშვილის პოეტური შემოქმედების დამახასიათებელი თავისებურებანი: თემისა და იდეების საყარო, მხატვრული აზროვნების დონე, სტილი და წერის მანერა. პირველი ამ თაჩისებურებათაგანი, ე. ი. იდეებისა და თემების საყარო პოეტისთვის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა იყო, აზროვნების დონე — მაღალი, ლექსი — მარტივი, სადა, ხალხურ მოტივებზე დაფუძნებული.

როგორც ცნობილია, ილო მოსაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში. რევოლუციის დროისათვის ახალგაზრდა პოეტმა ვერ მოასწრო შემოქმედებითი ჩამოყალიბება და იდილიური რომანტიზმის ტალღებს აყოლილი თავისი მსოფლმხედველობით შორს იდგა ამ რევოლუციისაგან. შემდეგში, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, მას დიდი ბრძოლა დასჭირდა, ვიდრე დასძლიედა საკუთარ შემოქმედებით წინააღმდეგობებს, ვიდრე ბურანს გაფანტავდა და მივიდოდა ახლოს ოქტომბერთან, ვიდრე ახალი იდეებით გაიმსჭვალებოდა. აი რას ეუბნებოდა ამ ბრძოლის შესახებ ილო მოსაშვილი „ოქტომბრის თაობას“ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის ოცი წლის თავისადმი მიძღვნილ ლექსში:

აჰა, ეს ჩემი ცხოვრების წიგნი  
და შემოსული ბღში ზაფხული,  
ჩაეხტავე სარკეს და თვალებს შიგნით  
ძველი სევედა გამოსახული.  
მევაშტრდები როგორც არწივი,  
მაგრამ უმაღლე შეუშინდები,  
დგას და შორიდან უცნობ კაცივით  
მიკტერს და შინჯავს დღე გუშინდელი.

როგორ წასულა, რამდენი უთქვამს,  
და ვთელი საათებს, წამებს, წაწილებს,  
რამდენი ოხერა ამოაქვს სუნთქვას,  
როცა ვიგონებ ჩემს სიყმაწვილს.

სად არ მივლია, რა ცეცხლი მწვავდა,  
მოხეტიალე ლამანელ რაინდს.  
მაგრამ კიდილში საკუთარ თავთან —  
ქარის წისკილებს ვეჯობე შინც.



ამოვიდალე მკერდიდან ზორცი  
და შევიხაზე წმინდა რაც არი.  
ორმოცი წლიდან — პირველი ოცი,  
ქარს წაუღია როგორც ნაკარი  
და შენს თაობას, როდესაც ვხედავ,  
ფარული სცედა გულს აღარ ჩრდილავს,  
გაცქერ და ეფიჭობ: შენსავიფ ნეტავ  
მეც ვშობილიყავ ოქტომბრის დილას“.

განზრახ მოგვეყავ ეს ლექსი ასე ვერცლად, რათა მკითხველს დავინახვოთ, რომ ეს არის არა მარტო შესანიშნავი ლექსი, არამედ ილო მოსაშვილის ავტობიოგრაფიაც, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს ავტორის ახალ შემოქმედებით პლატფორმას.

ილო მოსაშვილი თავისი პირველი ლექსებით ახლოს იდგა სიმბოლისტებთან („სევდა ყოფნაზე“, „სისხლი და ცრემლი“ და სხვ.). იმ პერიოდის ყოველ მის ლექსს უფელ სტრიქონს, ყოველ სიტყვას იდილიურ-რომანტიული ელფერი გადაჰკრავდა. მას იტაცებდა განყენებული ბუნება, სოფლის სადა ცხოვრება, ბავშვობიდანვე მისთვის ცნობილი სურათები: ლასტის ქოხები და ისლიანი სახლები, მაღალი მთები, სალი კლდეები და ლამაზი სერება, ტყეები, იალაღები და ამწვანებული ველ-მინდვრები, ბნელი ღამე, ნადირობა, ნახირი, მწვემსები, სალამური და ჩინგური, ყამირები, ევანგელები, ყანები და ყურჩნის რთველი, ცხოველები და მცენარეები, სოფლელი გოგო და ველად გაჭრილი ნადირი. და პოეტი წუხდა სევდიანი ხმით გადასულ დღეებზე:

„გული ნაღვლიან ბურანს შეება  
და სათითაოდ ითელის იარებს,  
ახალგაზრდობის ტკბილმა დღეებმა,  
როგორც შერცხლებმა გადაიარეს“.  
(„ცხოვრების გზაზე“)

და შემდეგ:

„მაგრამ დღეები ლხენანარევი  
გაქრა, —  
ცხუნარე მზე რომ უვლიდა  
და სიკაბუკე დილის ზარივით  
აღარა რეყავს ეხლა გულიდან“.  
(„უღიღტებელზე“).

გულგატეხილობისა და სევდა-ჰმუნვის განწყობილებებს ილო მოსაშვილი საბჭოთა პერიოდშიაც დიდხანს შერჩა. ამ პერიოდის დამახასიათებელ ლექსებს წარმოადგენენ: „გამოთხოვება სოფელთან“, „სოფელში“, „ზოგჯერ“, „ქორწილი ჩვენს სოფელში“ და მრავალი სხვა რომლებიც გამოყოფილია სარეცენზიო წიგნში სპეციალურ განყოფილებად — „ცხოვრების გზაზე“. აი ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები ამ ლექსებიდან:

„შშვიდობით ჩემო სოფლის ყანო,  
ნეტავი ერთხელ კიდევ შენახე,  
ნიავის ყელზე რწევით ქანაობ  
და ფარჩასავით უფლი ევენახებს“.  
(„გამოთხოვება სოფელთან“).

„რა ეჭა დედა რომ თავს შემაბრალებს,  
გული აუტანელ დარდით ღონდუნა,  
ოვალს გადაივლებ: კლდეებს, ნაპარლებს  
და ჩემი გზები მომაგონდება“.  
(„ზოგჯერ“).

„არ ვიცი აღბად მე შეჩვენება  
სოფელი ეხლა სულ სხვანაირი:  
აღარც მყარები, დოღი, ჰენება  
და აღარც სუფრის სიტყვა-შირი“.  
(„სოფელში“).

პატრიარქალური სოფლის ცხოვრებისა და ბუნების ასეთ აღწერის დროს, რა თქმა უნდა, პოეტი არ იფიქრებს ცხოვრების სოციალურ მომენტებსაც. მაგრამ არც კმა შემთხვევაში არის ის ცხოვრებისა და საკუთარ სულიერ განწყობილებათა პასიური გადმოხატვის გულუკივი ფოტოგრაფი. ილო მოსაშვილის ლექსებში აშკარად შესაშინვია პოეტის მებრძოლი სული, წინააღმდეგობათა რკალიდან გამოსვლის ცდები, რამაც ის საბოლოოდ მიიყვანა საბჭოთა პოეზიის მოწინავეთა რიგებში.

ილო მოსაშვილის შემოქმედებით-იდეურ გარდაქმნა მიმდინარეობდა თანამიმდევრულად, ჩვენი ქვეყნის სწრაფ აღმავლობასთან ერთად, ამ აღმავლობის გავლენით, 1930 წელს პოეტი ეწვია თავის საყვარელ ალაზანს და ნახა განახლებული შშობლიური მხარე:

„მე აღარ ვიყავ პატარა ბავშვი,  
მეფა პირველი ჯერჯილი წვერის  
და აღუბლებით დათოვლილ ბაღში,  
სატრფოსთან ლექსად ეჭარგავდი წერილს.  
მაგრამ, წერტილი წარსულმა ბინდმა,  
ლამის წაართვას სიტყვას ლაგამი.  
მე ამ პოემის მიჯნიდან მინდა  
გავხდე ეპოქის პოეტთაგანი“.

(„ალაზნის დილა“).

დაიწყო მოსაშვილის სწრაფი შემობრუნება თანადროულობისაკენ. მაგრამ პოეტის შთაგონების წყაროს ერთხანს ისევ ალაზანი, კავკასიონის მაღალი ქედები და კახეთის ლალი ბუნება შეადგენს. იმავე წელს მოსაშვილი მეორე ლექსს უძღვნის ალაზანს, რომელშიაც სამშობლოს წინსვლით აღტაცებული დასკვნის:

„დღეს კი ქვეყანა სხვა გზებით მიდის,  
განვლილი შარა ცეცხლმა შეღება  
და ორი გულის ბრძოლას და ჭიდილს,  
ჩემს გულშიც, მორჩა, ბოლო ეღება.  
პოეტს ეძახის მისი სახელი:  
დიდი ეპოქის ცეცხლში დაიწვას,  
ყოველი ქვის და რკინის ნახვევი,  
მკერდით, სისხლით და ლექსით დაიცვას“.

(„ლექსები ალაზანზე“).

მაგრამ გადის დრო და მოსაშვილი რწმუნდება, რომ მას ეძახის არა მარტო მისი სახელი, არამედ მას ეძახიან სოციალისტური ჭარბნები, ქალაქები, საკოლმუერნო მინდვრები ეძახიან პოეტს:

„მოვდივარ ძმებო,  
ძველი სევდა გულს არ მიღონებს.  
ეხლა დაბრუნდა მზის ამინდები  
და ყვავილების სისხლით დაეწერ  
ახალ სტრიქონებს“.

(„მინდვრები ეძახიან პოეტს“).

ეს იყო უკვე 1931 წელი. როგორც ვხედავთ, ილო მოსაშვილს დიდი ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ დაეძლია, უკუეგლო თავისი წერილობურეთაზიული იდეები და განწყობილებები, რომლებიც მას შთეული ათი წლის მანძილზე ხელს უშლიდნენ, საშუალებას არ აძლევდნენ ახლოს მისულიყო, გაეზიარებინა და ორგანიულად დაჰყავშირებოდა ახალ ცხოვრებას.

ილო მოსაშვილი თავის ლექსებში ხშირად ლაპარაკობს იმ გზების შესახებ, რომლებმაც ის ხანგრძლივად ატარეს, ტანჯეს, აწამეს, მაგრამ ბოლოს მაინც გულწრფელად მიიყვანეს საბჭოთა პოეზიის პოზიციებთან.

ეხლა უკვე მის ლექსებში ისმის არა გაწყვეტილი სიმის ელარუნი, არამედ საბჭოთა ქვეყნისადმი სიყვარულისა და მისი ოპტიმისტური ათვისების ხმები, არა გულგატეხილობის,



სეველიანობის მოტივებია ამ ლექსების მამოძრავებელი ძალა, არამედ სიციცხლისა და სიჭარბობა, სამშობლოს სიყვარული.

„ჩემო სამშობლო, როგორ მაღაღებ,  
ყველგან სიაშით სავსე გულია,  
შევხედავ შენს ცას, სოფლებს, ქალაქებს,  
მწიფე ყანებს და რძიან ბალახებს,—  
სიციცხლე მართლა სიხარულია“.

(„სიციცხლე მართლა სიხარულია“).

ნაღველი და სევედა მოსცილდა ილო მოსაშვილის ღირიკას უკანასკნელი წლების მანძილზე დაწერილი მკვეთრი შემოჭმედებითი ინდივიდუალობის დამახასიათებელი მთელი რიგი ლექსებით ილო მოსაშვილი ჩადგა სოციალისტური ღირიკისათვის მებრძოლ მოწინავე პოეტთა რიგებში და მისთვის მუდამ ჩვეული მაღალი პოეტური პათოსით ეხმარება ჩვენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენებს. მოსაშვილი უმღერის ქვეყნის დოვლათსა და ბარაქას, ქარხნებს, სოციალისტურ ქალაქებს, საკოლმეურნეო მიწდებებს, სამშობლოს გმირებს და მათ სპეციებს. თანამედროვე მოწინავე ქართველ პოეტებთან ერთად იგი მძლავრად გამოხატავს საბჭოთა პატრიოტიზმის იდეას. წარსულში მუდამ საქართველოს მწარე ბედზე შტირალი პოეტი, ეხლა განახლებული სამშობლოს ბედით აღფრთოვანებული ხარობს:

„და დღეს, ჩემო სამშობლო, აგისრულდა ოცნება,  
რაზეც დიდხანს იღარდეს შენმა დიდმა მგონებმა  
კაიხარე ქვეყანა, მწუხარებას ჩვეულმა:  
შენი მიწა-ალაგა,  
შენი დაბა-ქალაქი,  
შენი ზღვა და ხმელეთი სანეტაროდ ქცეულა“.

(„სამშობლოს“).

მაგრამ პოეტი „ადამიანის სულის ინტინერია“ და ილო მოსაშვილს, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმობს სოციალიზმის ქვეყნის გამარჯვებებს, ბედნიერსა და სამომავლო ცხოვრებას, მტკიცედ სწამს, რომ ყოველი სიახლე, ყოველი წინსვლა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უშუალოდ დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელით. ამიტომ, ის ეძებს ნათელ ფერებს, მკაფიო და რეალისტურ მხატვრულ სახეებს, მელოდორ პანკებს, რათა ზედმიწევნით გამოხატოს საბჭოთა ხალხის სიყვარული და ერთგულება ბელადისადმი. ლექსი, რომლითაც წინამდებარე წიგნი იხსნება, მიძღვნილია ამ თემისადმი. მასში პოეტი აგვიწერს, თუ როგორ, მუდამ ყველას ესვრს და ყველგან თან დაჰყვება ბელადის სახე:

„ზეცაში — მფრინავს, ბრძოლაში — მხედარს,  
ვაგაკს ზღვასავეთ გაშლილ ყანაში.  
და ბავშვი როცა შესცქერის დედას,  
უსმინს და თითქოს სიზმარში გხედავს,  
შენებრ მშობლიურ იაენანაში“.

(„ბელადს“).

საბჭოთა ხალხს სტალინის დიდება საბრძოლო დროშასაკით მუდამ მაღლა დ აქვს.

„ეუთხრათ მადლობა, დე იუს მისი  
ჩვენი გული და ჩვენი გონება  
და სერთო ხმა სამშობლო მიწის,  
როგორც საქვეყნო სიტყვა და ფიცი  
მას მიუტანონ მილიონებმა“.

მას მიუტანთ საყვარელ ბელადს,  
კალმის, რკინის და მიწის მგონებმა,  
რადგან საბჭოთა მხარეში ყველას  
ცხადად გვიტყია ტბილი ოცნება“.

(„სიციცხლე მართლა სიხარულია“).

ძლიერი პოეტური პათოსით არის დაწერილი ლექსი „ლავენტი ბერიის“. ილო/მოსა-  
შვილი ამ ლექსში ცდილობს დიდი სტალინის ერთგული მოწაფისა და ქართველი ხალხის  
საამაყო შეილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას როლის დახატვას საქართველოს მოქალაქეების  
საქმეში:

„ჩემო ქვეყანავ, აღარა სტირი,  
შენი წარსულის წიგნი დახურე,  
მოვიდა დრო და მოვიდა გმირი,  
შენი ნამდვილი მოპირანახულე“.

ილო მოსაშვილი თემბურთად გასცდა საქართველოს ფარგლებს და დასწერა ლექსები  
უკრაინასა და ბელორუსიაზე („მარია დემუნკო“, „საძმო საფლავი“, „არყის ტყეში“), რომ-  
ლებშიაც აგვიწერს საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ცხოვრებას.

ქართული ლექსის კარგი ოსტატი—ილო მოსაშვილი ძლიერი ემოციური განცდების  
პოეტია, პირველყოფილი ლირიკოსი. სარეცენზოი კრებულში წარმოდგენილი მისი ლექ-  
სების უმრავლესობა თითქმის ერთნაირად ძლიერია მალალშმატებული სახეებით, დახვეწილი,  
სურათოვანი ენით და მუსიკალობით. მისი შემოქმედება დღეს ვითარდება უმთავრესად პო-  
ლიტიკური ლირიკის ხაზით და მთავარი ადგილი მასში დათმობილი აქვს ჩვენი ცხოვრების  
წარმტაცი სურათების ჩვენებას.

როგორც დასაწყისშიც აღვნიშნეთ, ამ წიგნში წარმოდგენილი ლექსები მხოლოდ ნა-  
წილია ილო მოსაშვილის შემოქმედებისა, მაგრამ მათი განხილვაც საქმარისთა პოეტის შე-  
მოქმედების დამახასიათებელი ინდივიდუალური თვისებების გამოსამჟღავნებლად თუმცა,  
ვერც ამ გულმოდგინე შერჩევას დაუზღვევია წიგნი ნაკლისაგან.

ავტორის ნაკლი: სხეიდასხვა ლექსებში ხშირად გვხვდება ერთიდაიგივე ან მსგავსი გა-  
მოთქმები, მხატვრული სახეები და შინაარსით თითქმის მსგავსი ტაგებებიც კი. აი ორი ასეთი  
მაგალითი:

„და როცა დილა, მთების ფიწალზე,  
ღრუბლის ბულულებს ღურჯად შეღებავს,  
იგრანობს სულდგმული დედამიწაზე,  
შენი გულის და ხელის შეხებას“,

(„ბელადს“)

„აუშვეს ხარი და ხის ფიწალზე,  
ღურჯი ღრუბელი აუფრიალეს,  
ღრუბლის ნავლეჯი გდია მიწაზე  
და ფოთოლივით ტოტზე ტრიალებს“.

(„ტფილისის წიგმა“).

„კეამლი შავად დაესვა  
მთაგრებილის ფიწალს,  
წამოვა და დაეცემა,  
დააკვდება მიწას“.

(„მტრინაეის სიმღერა“).

ან კიდევ:

„ვიკარგებოდით ტყეში უგემოდ,  
მე და თოლია, მე და ხბორები.  
ზოგჯერ კი დედის გამთბარ უბეში,  
მჭონდა ლოყები ნაამბორები“.

(„უღელტეხილი“).

„ებლა ამ ქედებზე დამტობალი უგემოდ  
რამდენი ირემი და ნურკია,  
ჩვენს სოფელში გოგოა, უბეში  
ვაშლები და ბუდეშური უყრია“.

(„არსენას ლექსი“).

კიდევ შეგვიძლიან მსგავსი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საჭიროა. ეს ნაკლი დღემდე შეუმჩნეველი რჩებოდა, მაგრამ როცა 69 ლექსმა ერთად თავი მოიყარა, ზოგიერთი ლექსის ერთფეროვნება უკვე ამოტივტივდა ზედაპირზე. წიგნის უკანასკნელ ორ განყოფილებაში შეტანილია ზოგიერთი იდეურად და მხატვრულად გაუმართლებელი ლექსი. სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ლექსებისა და განყოფილებების დალაგება არ არის ტრანზილოგიური, რაც გაუძნელებს მკითხველს ნათელი წარმოდგენა მიიღოს პოეტის შემოქმედებით განვითარებაზე. ხშირად გვხვდება კორექტორული შეცდომებიც.

**ზრ. იარალოვი**

## დენა შეგვლია — „ცისკარი“.

დენა შეგვლიას უკანასკნელი რომანი — „ცისკარი“, რომელიც ამას წინათ „ფედრაციამ“ გამოსცა, ქართულ საბჭოთა პროზის მიღწევას წარმოადგენს. შეგვლიას თავისებური ოსტატობით აქვს აღწერილი ძველი თბილისი თავისი ხელოსნებით, ეპიკრებით, ყარაჩოღელებითა და მუშებით. გასული საუკუნის სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლების თბილისი თავისი ფერთა და ხორცი „ცისკარში“ საინტერესოდ და ნათლად არის აღწერილი.

დ. შეგვლიას რომანში მკაფიოდაა აღწერილი ხელოსანთა გაპროლეტარება, ხელოსნებმა ვერ გაუძლეს მექარხნეთა მეტოქეობას, დასტოვეს თავიანთი საყვარელი პროფესია და ფაბრიკა-ქარხნებს მიაშურეს. ზოგმა წერილმანით ეპრობა დაიწყო, ზოგამც ქუჩაში სამათხოვროდ გაიშვირა ხელი. ხელოსანთა ეს ტრაგედია „ცისკარში“ მძაფრად იგრძობა. რომანის თითქმის ყველა გმირი დასტირის თავის უბედობას, ყველა ცრემლით იმდღურება, და ვისაც რევოლუციური გული უძგერს იგი ფიზიკურად ავადმყოფია, ტლექიანი და უღონო. ასეთია რომანის საერთო განწყობილება, რაც არ მიგვაჩნია სწორად. „ცისკარში“ არ იგრძნობა ხალხური პეროიკა და ოპტიმიზმი. და ეს გმირული სული და ოპტიმიზმი თბილისელ ხელოსნებს, ადელხანოვის და სხვა მრეწველთა ქარხნების მუშებს რომ ასულდგმულებადთ, ამის უარყოფა ვის შეუძლია.

რომანის მთავარი გმირი უსტაბაში ბეჩარა თავისთავსა და თავის ამხანაგებს ფულს ადარებს. იგი გულდარდიანად მოსთქვამს იმაზე რომ ქვეყანა გადაბრუნდა, „კუშინ რემესლნი უბრავაში ამზობდენ ამ ბოლო წლებში თორმეტი ათასი ხელოსანი ნახევარზე დავიდა“.

ხოლო მის სიტყვაში, რომელიც მწერალს ოსტატურად აქვს გაკეთებული, გადმოშლილია შრავალ ტანჯულ ხელოსანთა ცხოვრების მთელი სულისკვეთება. აქ ნაჩვენებია თუ კიპიტალიზმმა როგორ გამოიტია და გაანდგურა შინამრეწველი ხელოსნები.

„ბეჩარა თან ჯამს აესებდა და თან ჭადაგად დაეარდნილივით ჭაქანებად:

— მერმე რა, რო არღანნიკი ხარ, — მაინც ჩენი ბილანი დოსტი ხარ, ჩენი ამქრის ამფსონი რაღა! უუჰ, შენი დედის ღმერთიც არ იყოს, შენი! — და უცქრად სიტყვას გეზი უცვალა: — იცი თ რაა! მოდიოთ, აი იმ საწყალი ხობხის სადღეგრძელო დაელოთ, ჰა? ეს ჩიტა ერთ დროს ჩიტი იყო. ღამაზიც იყო, ცოცხალიც იყო, ცოლიც ჰყავდა, შვილიც და ამ ვერანა ქვეყანაზე ფრანა იმასაც უხაროდა. აფრინდებოდა, — ცა იყო, დაფრინდებოდა, — მიწა. და ეს ქვეყანა თავისი ქეიფი ეკონა და, აი, ეგრე არბინად რო აცხოვრობდა, ამ დროს საიდამალე ერთი ღმერთბაღლი მონადირე გამოჩნდა. მიეპარა, მიეპარა და, ერთიც ენახოთ, ბუჰჰ, თოფი ესროლა და ყველაფერი ეგრე, აი ეგრე გათავდა!

და ამ სიტყვებით ხელის გულეში ერთი მეროტზე ღონიერად მოიფშენიდა.

— ეხლა, ხედავთ? ფრთაცა აქვს, თვალიცა, ფრინველია, რაღა! მაგრამ რა? ფრთა ასხია და ვერა ფრინავს, თვალი აქვს და ჩინი არა. აუღიათ, აი იქ, იმ კედელზე, ჩამოუყვინძიათ და ქვეყანას ატყუებს, ეთომა! მეც ერთი ჩიტი ვარო, რაღა! ტყეში იყო, — შართალი იყო, მოჰყვანა და ტყუილი გახდა! ეეჰ, ძმავ. სიკვდილი რა ბედენაა! მიწაში ჩავაგდებენ, მიწისზე მოგაყვრინ, მოჩნა და ვათავდა! სიკვდილი აი ეს არის, ეგრე ჩუჩელად რომ გავაკეთებენ და ქვეყნის მასხარად გაგზიან! ფრენა ეხლა მაგას არ შეუძლია და თვალშიც სინათლე არა

აქვს, — მაშ რა ჩემი ფეხების ხობობა? იი ის დნგრას მამალი უფრო ჩიტია, ვიდრე/ ეგა- ჩვენც ეგრე ვართ, — ხელები გვაქვს, უნარიცა გვაქვს, ჭულიცა გვხურავს, შენც რა? მუშ- ტარი არა გვყავს, — ვერც ემუშაობთ, ჰამაც ვერცა ეცხოვრობთ! ეშინი გვაქვს და... კეიფი არა, ხელი გვაქვს და სამუშაო არა! მაშ სადაური ოსტატები ვართ? აი, ის შენს პარტანტო ურთი რალაც ტრელი ყუთია, პოდა, მაინც მღერისა ეგეთნი ვართ, — იადონს ეაჩუბებთ, ყუ- თებს ვამღერებთ!" („ციკარი“, გვ. 92-93).

ამ სტილითა და ამ მოტივით მსჯელობს რომანის თითქმის ყველა გმირი. ბეჩა- რას ეს მონოლოგი წარმოადგენს რომანის ადამიანთა სულიერი სამყაროს ვასალებს. იი რო- გორ მსჯელობენ სხვა გმირებიც. შიო დარაშვილი კენესს: „— თუ ხელობა არ გავა, — მაშ სადაური ხელოსანი ვარ? — თუ ამქარი აღარ ამქრობს, მაშ რილასი ოსტატი ვარ?“ ასევე მოსთქვამს გიგოც: „— ესეც ეცხოვრობთ რალა! თქვენ ჩენი მუშებიც უნდა ნახოთ, რა ყო- ფაში არიან, დაა! ადელხანოვის ძალიც არ ცხოვრობს იგრე, როგორც მუშები“. ასე და დაახლოებით ამათ შგავსად მოსთქვამენ თავიანთ უბედობაზე რომანის სხვა გმირებიც.

ოთარ დარაშვილი ვადასახლებიდან დაბრუნდა უკვე როგორც რევოლუციონერი, მაგ- რამ მისი ამ პერიოდის მუშობა შვერალს არ აქვს სათანადოდ ნაჩვენები, მკრთალია და უც- ნადურია მისი, უკვე ჭლეჭიანის ხელშეორედ დაპატიმრების ამბავი. კაცმა რომ თქვას, გამო- გონილსაც კი ჰგავს. ასეთი თვალსაჩინო გმირი, როგორიც ზურიაა, რომელმაც, როცა გლეხი იყო, ამილახვარს შიორები გამოუტონა და საქვეყნოდ თავი მოსჭრა, ისე რომ ამის შემდეგ ბატონის შიშით მას გორსი არ დაედგომებოდა. ამიტომ მოაშურა თბილისს და ადელხანოვის ქარხანაში დაიწყო მუშობა, მაგრამ აქ იგი უფრო მკრთალი საღებავებით აქვს შვერალს დახატული და დაავადმყოფებულ-დაქლუქიანებულად წარმოვიდგინეს ხოლმე.

ადელხანოვის ქარხნის მუშების გაფიცვის დაწყება, ოთარ დარაშვილის დაპატიმრე- ბისა არ იყოს, შვერალს დამაჯერებლად არა აქვს გადმოცემული. ჩვენ ვიცით რომ „გასუ- ლი საუკუნის უკვე 70-იან და განსაკუთრებით 80-იან წლებში მუშათა კლასმა რუსეთში გამოღვიძება იწყო და დაიწყო ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ“. (საქ. კ. პ. (ბ) ის- ტორია, მოკლე კურსი, გ. 10). ჩვენ შეხედულობაში გვაქვს ის რომ შვერლის მიერ აღებულ პერიოდში მუშათა კლასმა უკვე დაიწყო გამოღვიძება და ბრძოლა კაპიტალისტების წინა- აღმდეგ. ამის შესახებ თვით რომანის მე-117 გვერდზე ვკითხულობთ, რომ გაიფიცენ თუ- თონის ქარხნის მუშები და ამავე დროს მათ შხარი დაუქირეს, „...ჯიმშეროვისა, პოზარჯიან- ცისა და კიდევ რამდენიმე ქარხნის მუშებმა“. ამ ქარხნების გაფიცულებმა კაცები გამოუ- გზავნეს ადელხანოვის ქარხნის მუშებს იმის შესახებ, რომ თქვენც მხარი დაგვიჭირეთ, თქვენც გაიფიცეთო. აქ გაფიცვა უცებ მოხდა, ზურიაშ, წინ რომ ჯაშუში უფვა ისე რე- ვოლუციური სიტყვა წარმოსთქვა, შემდეგ სხვებმაც წარმოსთქვეს სიტყვები და ერთობა ორატორს ჯაშუში ზაბა შიბანაშვილი ეუბნება: „— შენ აქ პატიოსან ხალხს ნუ აბუნტებ ზორემი!“ მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცის შიბანაშვილი ჯაშუშია, მას აქ ყურადღე- ბას არ ექცევენ და ისიც აშკარად ეძახის ქარხნის მეპატრონეს, პოლიციელებს, რომლებიც მუშებს სისხლში ახარობენ. ეს რა რეალიზმია? ასეთი გულუბრყვილო მუშების წარმოდგე- ნა ძნელია!

მიუხედავად ამ ნაკლისა „ციკარი“ მაინც მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. მასში უხვად სჩქედს ძველი თბილისის სურნელი. რომანის მთელი რიგი ადგილები დემნა შენგელიას მაღალ მხატვრული ოსტატობით აქვს დამუშავებული. განსაკუთრებით საინტერესოდ და მიმზიდველადაა გაყოფილი შიო დარაშვილის შეხედვრა გადასახლებიდან დაბრუნებულ შვილიან — ოთართან.

დ. შენგელიას მხატვრის მახვილი თვალთ აქვს დანახული და აღწერილი ყოფა- ცხოვრების მრავალი საინტერესო მომენტი. მათ შორის საუცხოოა შეგიკრდის ოსტატად კურთხევის სცენა. აქ ახალგაზრდა შეგიკრდის ნამუშევრის საერთო-სახალხო შეფასება და გადაბმული კეიფის სურათები, ოსტატის შიო დარაშვილის ლოცვაში იმ ეპოქის სულია შე- გარძნობილი.

ვანო რომანში უფრო სრულქმნილი და საინტერესო გმირია. იგი მუშის შვილია, რო- მელმაც შეისწავლა ხელობა და საუკეთესო ოსტატი დადგა, მაგრამ ხელოსნობას უკვე სა- ფუძველი გამოეცალა და ისიც შეგნებით დგება მუშათა კლასის რიგებში, ზეინკლად ეწყო- ბა რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. ვანო ბავშვად შებოძის რომანში, ეაკაცდება და მისი

მღელვარე ცხოვრების მთელი მანძილი ავტორს დიდს სიყვარულით გვებს ასახვლა. ენო უფრო რომანტიული გმირია, მეოცნებე, შეყვარებული და ეს სიყვარულის ძალა მას ამაღლებს, ეზმარება ნიჰისა და შემოქმედების გაშლათ.

მაგრამ რომანის ზოგიერთი ნაკლი მაინც უნდა აღვნიშნოთ. „ცისფერი“ როგორც რომანი არ არის სტეტიურ მთლიანობაზე აგებული ნაწარმოები. მოვლენები და ფაქტები ერთმანეთისგან როდეს გამომდინარეობენ, არამედ ისინი მოწყვეტილად, ერთმანეთისგან დრამატულ კავშირის გარეშე არიან წარმოდგენილი. გარდა ამისა მკითხველში გაკვირვებას იწვევს ის, რომ რომანის ერთერთ გმირს ზან გიგო ჰქვია და ზან ბესარიონი. (მაგალითად, 65 გ. და სხვ.)

ქლ. გოგიავა

## რეზენე გვებამე — „ლემსები, პომეზი“.

გამომცემლობა „ფედერაცია“ 1940 წ.

რადენ გვებამე რეოლუციამდელი მწერალია და იმ თავიდანვე „ცისფერ ყანწელეზის“ ჯგუფში ირიცხებოდა. ამ ჯგუფში ის ერთადერთი წევრი იყო მუშური სტაეი (ისოთამწუბი) რამაც თავისებურად იმოქმედა მისი შემოქმედების შემდგომ განვითარებაზე. სარეცენზიო ლექსებისა და პომეზების წიგნში მოცემულია გვებამის მთლიანი პოეტური სახე. მკითხველის თვალწინ იშლება ამ საინტერესო მწერლის თანდათანობითი განვითარება; წიგნის კითხვის დროს იგრძნობა პოეტის თანდათანობითი ზრდა, განსაკუთრებით საბჭოთა პერაოდში. ამ ზრდის პროცესში მან გაარღვია ცისფერ ყანწელეზის ვიწრო რკალი და პირველი გამოეთიშა მათ, თუმცა მათი გავლენა დიდხანს შერჩა და დიდხანსაც იყვებებოდა ძველი განწყობილებით.

პოეტს აქვს დღეს საგნებისა და მოვლენებისადმი თავისებური მიდგომისა და ათვისების უნარი, თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველ პერიოდში ეს მას არ გააჩნდა და არც შეეძლო რომ ჰქონოდა; ის ლიტერატურული სკოლა, რომელშიც პოეტი ირიცხებოდა ეპიგონური იყო და რუსეთისა და ევროპის დეკადენტური მწერლობის გავლენით იყვებებოდა. მე ვლამარაკობ იმ თავისებურ მიდგომისა და ათვისებაზე, რომელიც მას აღმოაჩნდა საბჭოთა სანამდევლისაკენ პირთი მოზრუნების შემდეგ.

სარეცენზიო ლექსების კრებული იხსნება ბელადისადმი მიძღვნილი ლექსებით. ლექსი „სტალინის სურათს“ ლირიული განწყობილებით გაკეთებული სიუეტური ლექსია, სადაც იგრძნობა პოეტური უშეალობა, გულწრფელობა და მოკრძალებული სიხარული: პატარა მანანამ იცის ლექსები დიდ სტალინზე და როდესაც მას კითხულობს, მისი სურათის წინ „თითონს ყვავილები მოციფა კოდან“. ბავშვი რითმებსაც უდის დიდ ძიაზე, უკვირს „რომ სტალინი არ დადის ცენში“, არც ორდენი აქვს გულზე დაკიდებული და მისი სახით აღფრთოვანებული ბელადის სურათს გვეჩვენებს მოწინებთი ლენინის სახეს.

აგრეთვე ლექსები „პირველი დეპუტატი“ და „ენც მზესავით ანათებს“ მალაი პათოსით და მხურვალე პოეტური გრძობით დაწერილი ლექსებია ჩვენს მშობლიურ ბელადზე, სადაც მისი სახელი დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის მონაპოვარის დაცვა-განმტკიცებასთან, ქვეყნის ბედსა და მის კეთილდღეობაზე ფიქრთან, გმირთა თაობის გამოზრდასთან და ხალხის უსაზღვრო სიყვარულთან ბელადისადმი. ხალხის სიყვარული ბელადისადმი გააზრებულია შრომითი ერთუზაზმის გაძლიერებით და ხალხურ კილოზე გაიძახის:

„ჩენი ხალხი წყალს დაღვეს თუ სვამს ლენის  
შენ გახსენებს, გადღეგრძელებს პირველად.  
შემდეგ მიწას თაფლი რომ აღფრეცინოს,  
მერდგახსნილი შრომობს გასაკვირველად“

ლექსი „თბილისი სტალინის მიოდან“ ძლიერი ლირიული ლექსია თბილისის დიად მშენებლობაზე. ეს მშენებლობა სამართლიანად არის დაკავშირებული დიდი ბელადის თანამებრძოლის და საუკეთესო მოწადის, ჩენი ქვეყნის საყვარელი შეილის სახელთან:



ვინ ჩამოკრიდა ეს ვარსკვლავები,  
ძირს ვინ გაშალა ცის დაფიონი,  
ვინ გაარკინა გმირთა მკლავები  
და მათი შუბლი შეამყო დაუნით.  
შხის ხანძარივით მუდამ მგზნებარია  
ახალ თბილისის მშენებელია,  
ახალ თბილისის ავტორი არი  
ქართველი ხალხის ბურჯი ბერია.

ლექსი „უკრაინავ, უკრაინავ“ ექსპრესიით და მგზნებარე პათოსით დაწერა ილია მოძმე უკრაინის განახლებული და აღორძინებული ცხოვრების ფონზე. ეს ლექსი მისალმებითი შინაარსისა და საზეიმო განწყობილებით გაკეთებული, რაც მას უფროდ შვეინის პოეტი ტარას შევჩენკოს სამშობლოს — მისი იუბილეს დღეებში მის სამშობლოშივე სტუმრად მყოფი, ასე მიმართავს:

უკრაინავ, უკრაინავ,  
ის ჭეყანა რუ და ველი  
სალამს გიძღვნის, სადაც იშვენ  
სტალინი და რუსთაველი.

ლექსები, „ია მოსულა“, „წერილი“, „წვიმიან დღეს“, ინტიმური შინაარსის ლირული ლექსებია, ზოგი სიხარულით და ზოგიც უღრმესი პიროვნული მწუხარებით იღვავს.

„სიმღერები ბელორუსიაზე“ სტილიზებული ლექსებია ახალი ბელორუსიის გმირულ ბრძოლებსა და ბედნიერ დღეებზე. ამ ლექსებში იგრძნობა ტუბილი ხმოვანობით აზრის დასრდილება და მისი მეროვ პლანზე დაყენება. საერთოდ ავტორი სტილიზაციით როგორც პოეზიაში, ისე პროზაში ზოგჯერ მეტად არის გატაცებული და უკიდურესობაშიც კი ვარდება.

„ცისფერყანწელობის“ პერიოდში პოეტი ერთხანს გატაცებული იყო „ვირების მცხით“ და მთელი ლექსების წიგნიც კი დასწერა ამ თემაზე. სარეცენზიო წიგნშიც მრავლად არის წარმოდგენილი ასეთი ლექსები: „ჩოჩორი“, „ვირის ნალი“, „ბრუციანი ვირი“, „ძველ თბილისში“, ეს სიუჟეტური ლექსები გაკეთებულია განწყობილებით და შესაფერისი პოეტური მასალით.

პოემებს შორის აღსანიშნავია „მერკვილადის დები“ და „ოქროს ვერძი“. „მერკვილადის დები“ რეალისტური ნაწარმოებია, მერკვილადის დების რევოლუციურ მუშაობის ამსახველი, რომანტიკული პოემა. „ოქროს ვერძში“ დიადი საბჭოთა მშენებლობის ფონზე რელიეფურად არის ნაჩვენები ოდესმე გაუფალი და დღეს კი განახლებული და ფერმშვეკლილი კოლხეთის ბუნება და ადამიანები.

ძველი პერიოდის ლექსები სარეცენზიო წიგნში მრავლად არის შეტანილი და ფიქტობს ეს საჭირო არ იყო. ყოველ შემთხვევაში განვლილი, უკან ჩამორჩენილი პერიოდი თითო-ორი ლექსით უნდა იყვის ნაჩვენები და არა ისე სრულად. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ განვლილი პერიოდის ყველა ლექსი დღევანდელ ეპოქასთვის და თუნდაც დღევანდელ მდგომარეობაში მყოფ პოეტისთვის მისაღები როდია, ფიქტობს გაცილებით უკეთესი იქნება, რომ ამ განვლილ პერიოდისადმი ცოტა მეტ კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოიჩინდეს როგორც ვაიმომცემლები ისე თვით მწერლები. ეს შეიძლება ამ სარეცენზიო წიგნსა და მის გამოცემაზედაც ითქვას. ლექსები: „სინანული“, „მდუმარე დაირა“ „ხაგერდის ქალი“, „იის კონა“, „ძველი რვეულიდან“ და სხვა მრავალი დღევანდელ მკითხველს არაფერს ეტუნება და არც არაფერს აძლევს.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია მოძმე ერების მწერლებიდან თარგმნილი რ. გვეტაძის მიერ „დავითის ყრობა — სასუნციდან“, „მუჯუნისა და ლილას პაემანი“ — ნეზამი განჯელიდან და „ჯანგარი“ — ნაწყვეტი „შოვშუტი“.

ბ. მახუჯი

## ალიო მაშაშვილი — თხზულებანი ერთ ტომად.

თბილისი, „ფედაკაცია“, 1940 წ.



საბჭოთა პოეზიის ნიჭიერი წარმომადგენელი, ორდენოსანი პოეტი ალიო მაშაშვილი, ორი ათეული წელია უკვე რაც სამწერლო ასპარეზზედ მუშაობს. მან თავისი პოეტური შემოქმედებით, თავიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, სრულიად სამართლიანად დაიმსახურა პოპულარობა და მოიპოვა ღირსეული ადგილი თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში.

ალიო მაშაშვილი, გაიზარდა და დაეკავადა საბჭოთა სინამდვილეში. მისი ძლიერი, მაღალმხატვრული პათოსით აღსავსე პოეტური ხმა მკვეთრად გაისმა ქართულ პოეზიაში და პოეტმა იმთავითვე ფართო მასების სიყვარული დაიმსახურა.

ალიო მაშაშვილის შემოქმედებითი განვითარება დასაწყისიდან დღევანდლამდე, აღმავლობის გზით მიიმართება, იგი მასების სურვილებს და მისწრაფებებს მისწვდა და დაიპყრო მათი გრძნობები.

პოეტ ალიო მაშაშვილის პოეზიის ასეთი პოპულარობა მასებში, აიხსნება იმ გარემოებით რომ, იგი მაღალი პოეტური ფორმით ეხება თავის შემოქმედებაში მეტად აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ასე იზიდავს და იტაცებს საბჭოთა საზოგადოებას. მან უდიდესი პოეტური გულწრფელობით დაგვიხატა და მოგვცა დიდი სიყვარული საბჭოთა ეპოქის ბედნიერი და საამური ცხოვრებით აღფრთოვანებული შრომელი ხალხის, საბჭოთა ინტელიგენციის საუეთესო მისწრაფებანი. მათი გრძნობა, თავდადება და შრომითი ენტუზიაზმი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში, სამშობლოსადმი, ხალხთა გენიალური ბელადების — ლენინისა და სტალინისადმი სიყვარული, სარეცენზიო წიგნში მოთავსებული ლექსების ციკლი: პიმნი სამშობლოს, მინიატურები, სატრფიალო და პოემები, გვაძლევს წარმოდგენას პოეტის მთლიან შემოქმედებაზე. ამ წიგნში მოცემული მხატვრული პროდუქციით გვეძლევა სრული წარმოდგენა პოეტის შემოქმედების მამოძრავებელ საკითხებზე, მის მხატვრულ აზროვნებაზე, სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებაზე და მის მაღალმხატვრულ პოეტურ ოსტატობაზე.

წიგნში დაბეჭდილი ლექსები და პოემები, პოეტის მიერ დაწერილია 1921 წლიდან უკანასკნელ დრომდე, უზრავლესობა სხვადასხვა დროს დაბეჭდილი და გამოქვეყნებულია, ისინი უკვე საკმაოდ ცნობილი არიან საბჭოთა ფართო საზოგადოებრივობისათვის.

წიგნი იხსნება ლექსების განყოფილებით: პიმნი სამშობლოს და იწყება 1939 წლის დეკემბერში დაწერილ ცნობილი ლექსით — „დაბადება“ პოეტი ალიო მაშაშვილი, ამ ლექსში დიდის ოსტატობით იძლევა, წარსულის დღესქირი ცხოვრების პირობებში, ველაშვილების ღარიბ ქაზში იმ ბავშვის დაბადების სურათს, რომელმაც მომავალში შეება მოეტანა ხალხს.

ამ ლექსის თვითველი სტროფი, პოეტმა უდიდესი გულწრფელი სიყვარულითა და ხალხს გრძნობით ჩამოაყალიბა და მოგვცა მთლიანი მხატვრული სურათი, წარსულში მშრომელი ხალხის ცხოვრებიდან, როდესაც „ყვავე-ყორნებში მომწვედელი ამირანი“ ემინავდა და „მთოდან, ბედის ვარსკვლავებად“ ბორკილები ელაგდა. აი, ამ დროს, ხალხი ელოდებოდა მოუთმენლად გარიერას, გმირის დაბადებას და პოეტიც, იმედის სხვივთ გაბრწყინებულ ხალხს ათქმევინებს:

მან იცოცხლოს, გაიზარდოს, გამოიხსნას გმირმა გმირი  
და ქვეყანას მოაშროს ამ ცხოვრების გასაქირი“.

ხალხი იმედის თვლით შეკეურებს მომავალს, იგიწყევს თავის დღესქირ ცხოვრებას და წინ იტყირება, ყველაფერი ხარობს, ბუნებაც, გაემოც:

„არის ლხინი მზიარული მტკერის, ლიხების ტაშის კვრაში,  
ქუტხს მრისხანე მომავალი ამომავალ ხალხის ხმაში:  
რომ ოჯახის მხარობლად შეეძინა დედის ვაჟი,  
რომ პატარა გორის ქერქვეშ დაიბადა გარიერაი!“

(„დაბადება“)



გამარჯვებული ქვეყნის თვალნათელი საბჭოთა პოეზიის ძლიერი აღმადრთოვნებელი პათოსით ამღვრებული პოეტი აღიო მამაშვილი, ლექსებში „სამოცრეულ ლექსი“ „პი მნი სამშობლო“, „სამშობლო ბელადისა“, „ჭრეულნი ქვეყნისა“, „ლენინურ კომკავშირს“, „ლენინი ჩვენს საქმეში“, „გმირი და პოეტი“ „ლენინი“, „ლაითურის კომკავშირელი“, „დამკვრელი ბრიგადები“ და სხვებში, უდიდესი მგზნებარებით უმღერს შრომელი კაცობრიობის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის უკვდავო საქმეებს, საბჭოთა ხალხის გმირობას, სიმამაცს და გმირობას სოციალისტურ აღმშენებლობაში, სამშობლოს, ლენინურ კომკავშირს, საიდანაც მოვიდა თვითონ პოეტი, ბედნიერ და სამურ ცხოვრებას, ხალხთა საუკეთესო სურვილებს და მისწრაფებებს.

ლექსში — „სამშობლო ბელადისა“, აღიო მამაშვილი უმღერის სოციალისტურ სამშობლოს — საქართველოს, სამშობლოს ბელადისას „სად უნაყოფოდ უბრალო ხეც-კი არ დარჩებულა“ და ქვეყანა აყვავებულა „დაუშრეტელი შრომის ბარაქით“, სადაც განვლილი დღეები ცხოვრების იარებისაგან განჯუნებული და გაღაღებული ხალხი ხარობს და მადლიერი, აღფრთოვანებული სიყვარულით, პოეტის პირით, მიმართავს ხალხთა მშენებს და განმანათილებლებს დიდ ბელადს:

„სტალინი! ისრულდა შენი ოცნება,  
ბავშვობიდანვე რასაც მღეროდი,  
დაბნელებულ ხალხს გულიდან  
შენ მშის ამოსვლას დიდხანს ელოდი.  
შენი ღიმილი დაჩნდა შარეს  
პირ-აყვავებულს მთებით, მდელოთი,  
დღეს საქართველო შენით ამყობს,  
ვხარობთ ახალი საქართველოთი!“

(„სამშობლო ბელადისა“)

პოეტი გახარებულია თავისი ქვეყნის ზრდით და ძლიერებით. იგი ლექსში — „ვაზაფხული“, გახარებულია მით რომ ქვეყანაში ყველაფერი ჰყვავის და ხარობს, არა მარტო ბუნება, არამედ ყველა, მთელი ხალხი, დიდი და პატარა.

„აყვავილებულ ბაღში, ვარდებში,  
სითხო, სიციცხლედ ვგას ვაზაფხულად,  
ეს ფირუზოვან სილავარდში  
ქვეყნის ღიმილი გამოსახულა“.

პოეტი მამაშვილი, ხალხთან ერთად აღფრთოვანებულია იმით რომ, ხალხს ბედნიერება და სიხარული დიდმა ბელადმა მოუტანა. ამიტომაც, იგი გულის სიღრმიდან ამოძახილ ხალხთა, კეთილშობილ გრძნობით დაიმღერებს:

„დიდება იმ მზეს, რომლის გამობარი  
სხივი სიციცხლედ გვაქვს ჩიხახული,  
რომელმაც ქვეყნად სძლია ზამთარი  
და გაუთენა ხალხს ვაზაფხული!“  
(„ვაზაფხული“)

უნდა აღვნიშნოთ რომ, წიგნის მეორე განყოფილებაში („მინიატიურები“) არის ზოგიერთი, ჩრდილოვანი ლექსი, მაგალითად: „ბუტიობა“, „მეექვსე სართულზე“ „ლედვის ბაღში“, „ამოცანა გულისა“, „სიმღერის უკვდავება“, „გულთან ჰიდილი“, „მარტოობა სულსა“, „საყდარი“ და სხვა.

წიგნის შესამე განყოფილებაში დაბეჭდილია ლექსები — სატრფიალონი — „სიყვარული“, „პირველი კოცნა“, „ერთხელ ქალი მიმავალი“... „ლოდინი“, „ქალ-ვითა“ „Talla“. „შენ“, „ისევ შენ“, „გული ვაგობარება“, „ლექსის ჯადოქარი“, „ალბომში ჩაწერილი“, „ჩვენი ბაღის გუშაგი“, „პატარა“ და სხ. ლექსების ეს ციკლი გამოირჩევა უშუალოდით, სიყვარულის მარადიულ თემისადმი ახლებური მიდგომით.

მეოთხე განყოფილებაში დაბეჭდილია, ალიო მაშაშვილის, საკამოდ ცნობილი პოემები: „მე და ბარათაშვილი“, „აი ადამიანი“, და „ენგური“, რომლებიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა ცალკადაც.

სარეცენზიო წიგნი მეტად ლამაზად არის გამოცემული. კარგი იყო წიგნის ჰერონოდა დაბრუნებული, ალიო მაშაშვილის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ხასიათის მოკლე მიმოხილვა.

შალვა გოზალიაშვილი

### 3. აპალიანი — „ლაკილ პირველი“.

ნოველები წიგნი, 1940 წ., საბლიტგამი.

სარეცენზიო წიგნი შეიცავს 8 ნოველს, რომელთა თემა თანამედროვეობაა. ამ კრებულის გამოცემა მისასალმებელია, რადგან მისი ავტორი ახალგაზრდა მწერალია, ხოლო განსაკუთრებით სასიამოვნო ის არის, რომ პართული საბჭოთა ნოველა, რომელსაც ისეთი დიდი წინამორბედნი ჰყავდნენ, როგორც ვაჟა ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ირ. ვედლოშვილი, კ. ლომთათიძე და სხვანი იყვნენ, ჩვენს დღევანდელ ლიტერატურის სხვა ეპოქებთან შედარებით მოდერნულად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ ოსტატებს ამ ეპოქისა, როგორც სერგო კლდიაშვილი და აკ. ბელიაშვილია.

ამ გარემოებას თავისი მიზეზები აქვს, მაშინდელი საქართველოს სოციალური ყოფა არ იძლეოდა ფართო ტილოების ხატვის საშუალებას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თვით ეს ფაქტიც თემს წარმოადგენდა რომანის განვითარებისათვის, მით უფრო, რომ საქართველო ძალზე მდიდარია რევოლუციური წარსულით. ჩვენი მწერლობა ავტოლებლად პასუხისმგებელი იქნება ამ გარემოებისა, რომ იგი ნოველის მცირე ეპოქის იმდენ უფრადღებებს არ აქცევს და მხოლოდ რომანის ვრცელ არეში ცქიბებს საშუალებას ასახოს ჩვენი მდიდარი დღევანდლობა. ნოველა არ თომენს არავითარ სიუჟეტურ მოწყობულობას, იგი ზუსტად ავტოლ სიუჟეტურ კონცეპციასა და კომპოზიციას მოითხოვს, რაც ძალზე ნაყოფიერ გავლენას ახდენს რომანის ეპოქაზე. ჩვენ რომ კარგად განვითარებული ახალი ნოველა ვეჭონდეს, ჩვენი რომანები უფრო მთლიანი და მკაფიონი, გმირებიც უფრო გამოკვეთილი და დამაჯერებელი იქნებოდნენ. ნოველა ერთი ურთულესი ეპოქისა ლიტერატურისა და ამიტომაც დაწყებული მწერალი უმთავრესად ამით უნდა იწყებდეს მუშაობას. ვლადიმერ ავალიანის ნოველებს ჩვენ ვერ განვიხილავთ, როგორც დასრულებული ოსტატის შემოქმედებას, მაგრამ ვერც ამ ნაყოფიანებებს დავებლივთ, რომლებიც მის მუშაობას ახლავს. ყველაზე სასიამოვნო მოვლენა ავალიანის შემოქმედებაში ის არის, რომ ის თანამედროვეობის ასახვას ცდილობს. ის ამ მხრივ პრინციპული შემოქმედება და საინტერესო მიღწევებიც აქვს მოთხრობა „მიწა“ საინტერესოდ არის მოფიქრებული. კარგია მოთხრობა „კლარა“, სადაც კომკავშირელი გოგონას გმირული თავგანწირულება და თითების გახარწილება შემოქმედებითი ფერებით არის დახატული. ვლ. ავალიანი უძველესად ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ მას უკარ კიდევ ბევრი რამ აკლია, რომ ოსტატი ეწოდოს. მთავარი ნაკლი ის არის რომ ის ეძებს არაჩვეულებრივ სიუჟეტებს, იმდენად არაჩვეულებრივს, რომ ამავეი აღარ გვეყრება. არა მხოლოდ სიუჟეტები, თვით გმირთა მდგომარეობანიც უჩვეულოა და არა დამაჯერებელია. მაგალითად: „შეშარავი ეპიზოდი“, „ჩემი ბედის ვარსკლავი“, „ჩაილის ქუდი“, „ლაკილ პირველი“. იმიტომ, რომ ვაჟა, ქალს სიყვარული აუხსნის, ის თავის გმირს ერთი სადღურით გააშორებს დანიშნულ ადგილს, ხოლო მეორე მოთხრობაში შინ დაბრუნებული გოგონა ლაკილ თავისი სიყვარულის საგანს საჩუქრულიდან საჩუქრულზე მისდევს ზაფხურ კოშკში და, როცა ეს საჩუქრული შემოეღია, სახურავზედაც აიღვანა და იქ უხსნიან ერთუთის სიყვარულს. ეს არ არის ის სიუჟეტური დაბრკოლება, რომლებიც ლიტერატურის ერთ მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს. ეს მდარე ხარისხის კინემატოგრაფიზმია. რომელსაც თვით კინო ეპოქის და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს მწერლობაში. მეორე ნაკლი ეპოქაშია. სეანეთი ეს არ წარმოადგენს ამ შემთხვევაში ეპოქიკას, არამედ მისი გადმოცემის ხერხი. ამ მოთხრობაში არ არის გახსნილი ახალი სეანეთის ყოფა. ხოლო იქ, სადაც ყოფა არ არის, იწყება ეპოქიკა, სქემატიზმი და მდარე ხასიათის „საკვირველებანი“, რომ-

დესაც არაფერი არ გიკვირს, პირიქით, გწყნის, რომ ასეთ, მეტი რომ არა მიამიტ ადამიანად გთვლიან.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებათა, ეს წიგნი თავდებია იმისა, რომ ვლ. დეკლუანის ხაზით სულ მალე დადგება ისეთი დასრულებული ოსტატი, რომელიც შესძლებს ჩვენი დღევანდელი ზორცმეხმულად ასახვას.

დამნა შინგელაია

## ალ. ჭავჭავაძე — „თხზულებანი“.

ი. ზრიშაშვილის რედაქციით, წინათმხმით, შინგელაიას დანართით და ლექსიკონით. „შედეგადი“, 1940 წ.

იდეალური რომანტიკოს პოეტთა სამეულში ალ. ჭავჭავაძე გამოირჩევა თავის ორიგინალურ პოეტური ინდივიდუალობით. მისი მდიდარი შემოქმედებით სრულდება ქართულ ლიტერატურაში აღმოსავლური ირანული პოეზიის გავლენა და იწყება ახალი, ევროპულ პოეზიის შესანიშნავი გზა. ალ. ჭავჭავაძე არის პირველი ქართველი რომანტიკოსი მწერალი, რომლის პოეტური შემოქმედება აღმოცენდა ორი კულტურის ნიადაგზე. ის ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ფუძემდებელია ქართულ ლიტერატურაში. ალ. ჭავჭავაძე იყო თავის ეპოქის შვილი, ამიტომ მისი პესიმიზმის საწყისები საქართველოს მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. მან ახალი მოტივები შეიტანა ჩვენს პოეზიაში, განაცადა რა დროისა და ვითარების ზეგავლენა. ცნობილი მკვლევარი და ბიოგრაფი ი. მეუნარგია, როდესაც ალ. ჭავჭავაძის პოეზიის გარშემო სწერდა: „უნდა გამოეტყდეთ, რომ ჩვენგან აღექვანდრე ჭავჭავაძის თავიანთი ცემა. ასე შორს არ მიდის... მისი თხზულების პირველ ნაწილში, რომელშიაც ოთხმოცდათერთმეტი ლექსია დაბეჭდილი, ჩვენ ვერც კი მიგვიგნია პოეტის დედაგრძნობისათვის“. (ი. მეუნარგია — „ალ. ჭავჭავაძე“, 1937 წ.) ასეთივე მკვლარ შეხედულებას ანვითარებდა პოეტის შემოქმედებაზე ზ. ჭიჭინაძე: „რაც შეეხება ჭავჭავაძის მელეტოების ნიჭს, ჩვენ მას არ უარყოფთ, მაგრამ, იმაზე — კი ვერ მოვითმინებ მას, რადგანაც იგი ბესიკის პერიოდს ვერ განშორდა და იგივე აზიურის მწერლობის გვლენის ჰვეშ მღერობდა, ანა თავისი თანამომენებზე ცხოვრებაში მხოლოდ არაყოფილი ლექსები გახდა სანატრულად და საჭებად, მან მხოლოდ ამაზე დაიწყო ჭადაგება და თითქმის ამაშივე ზედავდა ყოველნაირს უმაღლესს კაცობრიულ პატიოსნებას და ღირსებას“. (ზ. მთაწმინდელი, — „ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი“ 1886 წ.).

რატომღაც ასეთივე შეხედულებას ანვითარებდა ალ. ჭავჭავაძის პოეზიის გარშემო კრიტიკოსი კ. აბაშიძე: „თ-ლი ალ. ჭავჭავაძე არ იყო სავროენო მწერალი, სავროთო დარდისა და ვარამის გამომხატველი — სწერდა ის. — არ ეცო ვარკვევით ესმოდა თუ არა, და შეიგნო თუ არა პოეტმა, რა აკენებდა და რა აგოდებდა ერსა, ეს კი ნამდვილია, რომ ამ საგნებს გვერდს უვლიდა, არა სურდა, შეხებოდა მას, იწებ არ მიანდა „გონიერად“ ამის შესახებ ლაპარაკი“. (კ. აბაშიძე — „ეტიუდები“, I ტ.).

შეიძლება აქ ალ. ჭავჭავაძის მკვლევართ ძირითადში ცნობილი ლექსი „ვაჰ დრონი დრონი“ ჰქონდათ მხედველობაში, რომელშიაც პოეტი სწერდა:

„საჯდო: პურობილმან უწყისა ტრუბა?  
საცა ვინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,  
მე იგივე ვარ მარად და მარად!  
არ ესდევ ეამთა ცვლას,  
მე იგივე ვარ მარად და მარად!“

შეცდომაში შეიყვანა პოეტმა მკვლევარნი. ის კვალდაკვალ მიჰყვებოდა თავის ეპოქას. მისი საზრუნავი სამშობლო იყო. მისი აწმყო, მისი მომავალი, და სევედა თუ ჩაიბუღებდა პოეტის გულში ეს იმიტომ, რომ პოეტს თავისი ჰვეწნის ჭირ-ვარაში წუთითაც არ ავიწყდებოდა და ამ დროს იგი სწყველიდა მაცდურ დრო ემას:

„წყველ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაგვარგეთ კრულნი!  
გაძლიოვა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გავგო შტრნი“  
(„ისმინეთ მსმენნო“)

ქვემოთა  
ხელმოწერა

ხოლო სხვა ლექსებში იგი ემდურის ამ სოფელს; მუხთალს, ცრუსა და გაუტანელს, სადაც „კვლენ ერთმანეთს, ნაძარკეთ გამოპროპოზიონი“, სადაც სარგებლობის მიზნით არღვევენ სჯულსაც. ამიტომ ჩივის პოეტი:

„ვაჰ, სოფელსა ამასა და მისთა მდგმურთა,  
ბოროტებისა და სიკრუვის კურთია,  
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა  
უსაფუძვლოთა

შდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევეით!“

(„ვაჰ სოფელსა ამასა“.)

თემატურად ალ. ჭავჭავაძის პოეზია მრავალმხრივია: სიყვარულის გრძნობა, სამშობლო, ადამიანის არსი და ბუნება და სოციალური საკითხიც კი იქცევის პოეტის ყურადღებას ყველაზე კარგად ალ. ჭავჭავაძის პოეტური სამყარო შეიცნო ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილიამ და მშვენიერი ლექსი უძღვნა, რომელშიაც დამახასიათებლად შენიშნა იგი პოეტის შესახებ: „შეპყვენს შეებდეს ქვეყნისასა ქვეყნისათვის ანატრია“-ო.

მიზეზი იმისა, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეტურ მემკვიდრეობიდან ბევრი რამ იყო ჯერ კიდევ გამოურყვეველი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ არ იყო შესაფერისად შესწავლილი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება, არ იყო გამოცემული მისი თხზულებათა სრული კრებული. 1881 წელს გამოვიდა პირველად ალ. ჭავჭავაძის ლექსების პირველი წიგნი. აღნიშნულ გამოცემის შესახებ ზ. ჭიჭინაძე შენიშნავდა: „ჭავჭავაძის ლექსების ბეჭდვა პირველად 1830 წ. დაიწყო სოლომონ დოდაევიძა თავის ქართულ გაზეთ „თბილისის უწყებაში“. ამ ნომრებში ჩვენ მხოლოდ ერთი ლექსი ვნახეთ დაბეჭდილი რომლის შესახებ 1881 წ. „დროების“ ერთ ფელეტონში ალ. ჭავჭავაძის შესახებ მოვიხსენიეთ. შემდეგ წლებში აბეჭდებოდნენ „ციცკის“ ნომრებში, 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“, 1870 წ. „კრებულში“ და ბოლო დროს „ივერიაში“. ყველა ეს ლექსები პ. უმიჯაშვილმა შეკრიბა და 1881 წ. ცალკე წიგნად გამოსცა. ამ წიგნში მხოლოდ წერის ლექსები დაიბეჭდა, ტრაგედიები — კი მეორე წიგნისთვის დაუტოვებიათ. პირველი რეულის გამოცემის შემდეგ იმდენი წერალი ლექსები აღმოჩნდა კიდევ, რომელნიც ერთი იმდენი კიდევ გამოვი, რაც დაბეჭდილია“ (ზ. შთაწმინდელი „ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი“ 1886 წ.) ალ. ჭავჭავაძის ლექსების პირველი გამოცემა არ იძლეოდა პოეტის შემოქმედების მთლიან სახეს. აკლდა ნაწილი ლექსებისა. არ იყო აღმოჩენილი ჯერ კიდევ პოეტის ავტოგრაფი. ლექსების უმეტესობა დაბეჭდილი იყო დავით რეტორის ხელნაწერების მიხედვით. არ ჰქონდა დართული შესაფერისი განმარტებანი და ლექსიონი. აგრეთვე ზოგი ლექსი ეგეს იწვევდა. ეკუთვნოდა იგი პოეტს თუ არა. ამის შესახებ იგივე ზ. ჭიჭინაძე სწერდა: „სხვათა შორის იღვწანდრე ჭავჭავაძის ლექსებში დაბეჭდილია რვა ლექსი, რომელზედაც ცნობები გვაქვს, რომ ეს ლექსები სხვებს ეკუთვნით“. („დროება“ № 225, 1881 წ.) ამისთან ერთად წიგნში მრავლად იყო კორექტურული შეცდომები და ტექნიკურად გამოცემა ვერ იდგა შესაფერ დონეზე.

„ამჟამად ჩემ წინა დეეს ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებული და გაოცებული ვარ — წერდა ი. დანცხავა, — მიყვარს, რომ წიგნაკი გამოცემულია ამ ოცი წლის წინათ, მეტად უღამაზოთ, მეტათ უშნოთ. იგი აღსაესვა მრავლისაგან უმრავლესი კორექტურულისა და სხვა შეცდომებით“. (ი. ს. დანცხავა. — „თხზულებანი“ 1903 წ.)

პირველ გამოცემის შემდეგ თითქმის სამოცი წელი გავიდა, მაგრამ პოეტის ლექსების კრებულის გამოსვლა დღემდე არ განმეორებულა. მრავალი ცდა და დაპირებანი იყო, მაგრამ ამაოდ. პოეტის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის იდეა განუხორციელებელი დარჩა.

ამჟამად გამომცემლობა „ფედერაცია“ გამოსცა ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული პოეტ ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსაკონით.

ი. გრიშაშვილს დიდის სიყვარულით, გულმოდგინებითა და დაკვირვებით უმუშავენია აღნიშნულ გამოცემაზე. კრებულს წამმღვარებელი აქვს მისივე მონოგრაფიული ნაკრევი

აღუქმანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. აღნიშნული შრომა ერთობ საინტერესოა. ის მრავალ ახალ მასალას და დაკვირვებას შეიცავს. ეს არის ალ. ჭავჭავაძის გარშემო პირველი დიდი მონოგრაფია. დღემდე ასეთი რამ არ მოიპოვებოდა საქართველოში. მრავალჯერ გამოითქვა გულისტკივილი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე სპირიტუალისტი იყო ჭავჭავაძე სწერდა: „...დღემდე არ მოგვეგონებია ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფია. მის შესახებ არა ვეპეტს სხვა და სხვა მოგონებანი. ვიცით მხოლოდ მისი ცხოვრების ზოგი გარკვევანი ფაქტები და ვეპეტს ერთადერთი წიგნატი, რომელშიაც ალ. ჭავჭავაძის ვითომ-და ბიოგრაფიაა მოთხრობილი. ნამდვილად კი ეს წიგნატი ვაბნეული ლანძღეა იმ კაცისა, რომლის „აღს გულისას ცრემლი მისნი ვერა აკლებს ძალსა წეისასა“. სწორედ სამარცხენია ქართული მწერლობისათვის, რომ ალ. ჭავჭავაძის შესახებ მხოლოდ ასე ყოველად საძრახი, ასე მორიდებულად შეხანსლული წიგნაქია ბიოგრაფიათი წოდებული“. (ი. ს. თანცხავა, „თბუღლებანი“, 1903 წ.)

ი. გრიშაშვილის მიერ დაწერილი ბიოგრაფიული ნარკვევი უფროდ ავსებს დღევანდლამდე არსებულ ხარვეზს. მკვლევარი მისთვის დამახასიათებელი ემხით გადმოგვცემს თვითველ დეტალსაც კი პოეტის ცხოვრებიდან. საინტერესოდ მოგვითხრობს ალ. ჭავჭავაძის ოჯახის წევრთა ცხოვრების ეპიზოდებს. უველივე ამას უკავშირებს საქართველოს მანინდელ სოციალურ ვითარებას, საიდანდაც გარკვევით იხატება მწერლის სახე, მისი საზოგადო დეაქლი, დიდი შემოქმედით და ერთობ მალაღი კეთილშობილი თვისებით შემკული ადამიანი. ალ. ჭავჭავაძე საინტერესოა, მარტო ლიტერატურის ისტორიისთვის კი არა, არამედ საერთოდ ჩვენი ერის საერთო ისტორიაშიაც მას გარკვეული როლი მიენიჭება. ამიტომ კარგად შეინიშნება ი. მუნარაგია ერთგან: „ვიღაც ენამხვიღებმა ფრანკუზების მწერალმა თქვა: „როდესაც დანტონი ტანი გაიხდიდა რევილუცია შიშველი იყო“. აღუქმანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების აღწერა, მის დროს, თუ შიშველად არა, შინაურულად მიინც დაგვანახებენ“.

მკვლევარს ბიოგრაფიულ ეპიზოდებიდან განსაკუთრებით თავებად გამოუცალკეებია პოეტის ცხოვრებაში თვალსაჩინო და დამახასიათებელი თარიღები მისი სულიერი განწყობილების გასაშუქებლად. აღსანიშნავია 1804, 1812, 1832 წლებში პოეტის სახე. აღნიშნულ წლებში ალ. ჭავჭავაძის პიროვნება ერთობ ზუსტად არის დახატული. მხოლოდ შეიძლება შევნიშნოთ ბიოგრაფს, ზოგჯერ წერაიღმანს ის რამდენჯერმე უსვამს ხაზს. „კახეთის აჯანყების“ ჩაჭობის დროს ჩემლაქში მოქლეს ვახტანგ ორბელიანი და დაიჭრა აღუქმანდრე ჭავჭავაძე. პოეტის ფეხში დაჭრის ამხავი ი. გრიშაშვილს რამდენჯერმე, სხვადასხვა ადგილას (მე-15, 35, 28, 29 გვ.) აქვს გადმოცემული, მაგრამ ეს არც იმდენად ვნებს შრომას. კარგად დაუხატავს ბიოგრაფს პოეტის მამის გარსევე ჭავჭავაძის სახე. ამასთან ერთად მთელი რიგი ახალი მასალებითა და ფაქტებით ი. გრიშაშვილი ფანტავს იმ აზრს, რომელიც დღემდე იყო გაბატონებული ჩვენს ლიტერატურაში გარსევე ჭავჭავაძის „ლაღატის“ გარშემო. ეს აზრი როგორც სმანს რუსეთის ორიენტისათვის მოწინააღმდეგეებს ეკუთვნოდა. მაგალითად ი. დუბროვინის ცნობით „სოლომონ ლეონიძე ერთხელ ხმლითაც კი მიეჭრა გარსევე ჭავჭავაძეს საკუთარ ოჯახში“-ო, მკვლევარის აზრით პოეტის მამის მიმართ დღემდე არსებული ბრალდება უმართებულოა და შეთხულო. მონოგრაფიაში აეტორი ზუსტად არკვევს ჭავჭავაძისათვის გვიარის ვენეოლოგიას და აქაც მოჰყავს ჩვენთვის დღემდე უცნობი მასალები, რომელნიც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა აღნიშნულ ნარკვევს.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ალ. ჭავჭავაძის როლი 1832 წ. ევროდროდებულ „რომანტიულ შეთქმულებაში“ მკვლევარმა სწორად გააშუქა. როგორც თვით ერთერთი მონაწილე დასტურებს, „არც ერთ შეთქმულს არ უნდადა მონაწილეობის მიღება ღენერალ ჭავჭავაძის გარეშე“.

როგორც შეთქმულთ, ავრთვე თვით ჭავჭავაძესაც კარგად ესმოდა თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის მონაწილეობის დადასტურებას შეთქმულებაში. ამიტომ ყველა ცდილობდა ბრალდებებისგან გაენთავისუფლებინათ იგი. თვით ალ. ჭავჭავაძეც გარკვეულად იცავდა თავს. მიუხედავად ამისა იგი ცნობილი იქნა დამანაშველ და ჭ. ტამბოეში გადაასხლეს.

ი. გრიშაშვილს თავის ნარკვევში ერთიც ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გაშუქებული, რომელიც დღემდე ქართული ლიტერატურის მკვლევართ არ შეტნიშნავთ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში. სახელდობრ, ფოლკლორის გამოყენების საკითხი პოეტის შემოქმედებაში. ი. გრიშაშვილი წერს: „აღუქმანდრემ აღმოსავლური ლექსის მგანმობელობა დაუნათე“.

სავა ევროპულ მწერალთა აზროვნებას და ამ ორი ნაკადის შერწყმა რაც ახალი მრეკლენა იყო იმ დროს, შესანიშნავად დააგვირგვინა ქართული ფოლკლორის დამყნით და გამოყენებით. აღმოსავლურ და ევროპულ პოეზიის გაელენას თან ერთვისს ქართული ზემპარსტიკვიერების ზეგაელენა. მაგრამ ჩვენ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული პოეზიის ხალხური ძირი უფრო ჭალაქურ ფოლკლორიდან უნდა იღებდეს საწყისებს, ვინემ საერთოდ ხალხურ პოეზიიდან.

აღ. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი გამოცემა სხვა მხრივაც აღსანიშნავია. პირველი გამოცემა ნაკლოვანი იყო. თვით გამომცემელი შენიშნავდნენ: „სამწუხაროდ ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა ვერ ვიშოვეთ და იძულებული შევიქნეთ დაჯერებოდი დავით რექტორისა და სხვათა გადაწერილსა ანუ ნაბეჭდსა“. პოეტ ი. გრიშაშვილის აღმოუჩენია თვით ჭავჭავაძის ავტოგრაფი. მეორე გამოცემაში პირველთან შედარებით ახლად იბეჭდება პოეტის 34 სახელწოდების ახალი ნაწარმოები. ზოგი ლექსი ახალი რედაქციით არის წარმოდგენილი ავტოგრაფის მიხედვით.

აღნიშნულ გამოცემაში გასწორებულია ის მრავალი შეცდომა, რომელიც ძლიერ ამახინჯებდა პოეტის ნაწარმოებთა ტექსტს. ყველა ეს გასწორება მოცემულია ცალკეულ ლექსების შენიშვნებში. დიდი შრომა და გულმოდგინება სწანს რედაქტორის შენიშვნებში. ბჭ თითოეულ ლექსის, თარგმანის თუ ნარკვევის მთელი ისტორიაა გადმოცემული. მკვლევარი ზუსტად გადმოგვეცემს სად, როგორ დაიბეჭდა ესა თუ ის ნაწარმოები. ვინ დასწერა მასზედ მუსიკა. ან კიდევ სად, რომელმა ავტორმა მოიხსენია თავის ნაწარმოებში იგი. ან ვინ გადააგეთა რომელიმე ნაწარმოები თავისებურად და სხვა.

პირველ გამოცემიდან ერთი ლექსი „ვიდრემდის გქონან“ რედაქტორს გადაუტანია თარგმანებში. აღნიშნული ლექსი პეშეინიდან თარგმანს წარმოადგენს.

1881 წლის გამოცემის ნაკლი ამჟამად გასწორებულია, თუნდაც თარგმნილი ლიტერატურის წარმოდგენის მხრივაც. მეორე განყოფილება მთლიანად ეკუთვნის თარგმანებს. აქ წარმოდგენილია კორნელის „სინა“ რასინის „ესთერის მონოლოგი“, „ფედრას მონოლოგი“, ვოლტერის „აღსარება“, „ტაქტიკა“, ყურადღებას იპყრობს პეშეინის და ოდოევსკის ლექსთა თარგმანები.

აქვეა ჭეგობა და ლაფონტენის ნაწარმოებთა თარგმანებიც, აგრეთვე უცნობი ავტორები. პოეტ ზოგჯერ თავისუფლად თარგმნის ამა თუ იმ ნაწარმოებს და არა ზუსტად.

ამ გამოცემაში დაბეჭდილია აღ. ჭავჭავაძის მოხსენება, „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. აღნიშნული ნარკვევი მრავალ მხრივ საინტერესოა და გვაძინობს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

გამოცემის დართული აქვს ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი ლექსკონი, რომელშიაც მოყვანილია მავალითები სხვა და სხვა წყაროებიდან. აღნიშნული ლექსკონი ძალზე მნიშვნელოვანია და იგი კიდევ უფრო გააადვილებს პოეტის შემოქმედების შესწავლას. ამ მხრივაც ახალი გამოცემა საინტერესოა.

აღსანიშნავია თვით ნაწარმოებთა დასათურებაც, როგორც სწანს თვით პოეტი ამ უკანასკნელს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. დავით რექტორი აღ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა დასათურების დროს უმოთვრესად მხედველობაში იღებდა ნაწარმოებთა ეანრსა და მოტივს. ი. გრიშაშვილის მიერ დასათურება რამდენიმედ შეცვლილია. მკვლევარი აქ მიმართავს ნაწარმოების პირველ სტრიქონს და ამის მიხედვით დასათურებს მას. მავალითად: „ელების კარი გახაფხულისა“, „არაქის კვირთებს“, „მისის ვარდმან“, „უწყალო სენმან“, „ანაზადად ხილემან“ და სხვა. ჩვენის აზრით ეს უფრო შეეფერება ნაწარმოებთა შინაარსს.

ლექსები განლაგებულია პირველი გამოცემის მიხედვით. რედაქტორი სწერს: „ლექსები დალაგებულია ისე, როგორც 1881 წლის გამოცემაშია. ილია ჭავჭავაძის, პ. უმიკაშვილის, გ. თუმანიშვილის, — აღბათ, რიიმე მოსაზრება ჰქონდათ, როცა ამ უთაროდ ლექსებს ასე აწყობდნენ! დე, ეს ჭაშნიკი მათ დაუტოვოთ“. ჩვენის აზრით უმჯობესია იქნებოდა რედაქტორის ისინი თემატურად დაელაგებია ახალ გამოცემაში.

დაბოლოს ერთიც უნდა შევნიშნოთ, ამ გამოცემაში კარგი იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო აღ. ჭავჭავაძის თანამედროვეთა, ნათესავთა და მახლობელთა ფოტოები.

აღ. ჭავჭავაძის თხზულებათა ეს გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენია ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

## თეიმურაზ მეორე. — თხზულებათა სრული კრებული.

გიორგი ჯაპონიას წინასიტყვაობით, ჩაღაკციით, ლექსი (ჩვენთა და მხინთა-  
360გბით.

„მედიკაცია“, 1939 წ.

თეიმურაზ მეორე ქართველ სახელოვან მეფეთა პლეადას ეკუთვნის. ეს მოღვაწენი პოეზიას არ იგიწვებდნენ ომის, ზემის, დიდებისა და არც ტყვეობაში ყოფნის ან გარდახვეწის ვაჟს. სამშობლოდან რუსეთს გარდახვეწილი, ან და სპარსეთის შაჰთა ტყვეობაში მყოფნი იხსენებდნენ სამშობლოს, განელიც ცხოვრებას. სწუხდნენ „სოფლის ამაოების“ გამო და არ ჰკარგავდნენ საქართველოში დაბრუნების იმედს. ძნელი იყო უცხოთა კარზე ცხოვრება და „მოცალუბასა შინა მყოფნი და მკმუნვარენი“ დარდის გასაქარვებლად სწერდნენ მოზრდილსა თუ მცირე ზომის ლექსებსა და პოემებს ამ „გასაძლელად“ დაწერილ თხზულებებში, შეტად მნიშვნელოვანი დადატვირთი, პოლიტიკურ-ისტორიული, ეთნოგრაფიული, სატრფიალო და სხვა ხასიათის ნაწარმოებებია.

თეიმურაზ მეორემ ნაწილობრივ გაიზიარა თეიმურაზ I-ლის, არჩილისა, ვახტანგ VI შწარე ხედვრი: სპარსეთის ტირანებთან ტყვეობა და ბოლოს საცდელი უცხოთა შორის. მაგრამ თეიმურაზ II დასახელებულ პოეტ-მეფეებთან შედარებით უფრო ბედნიერი იყო. მან შესძლო ქართლ-კახეთის გაერთიანება. შემდეგში ტახტი თავის ვაჟს ერეკლეს დაუთმო, თვით კი პოლიტიკური მისიით რუსეთს გაემგზავრა, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

თეიმურაზ I, არჩილის და გურამიშვილის შემოქმედებასთან შედარებით თეიმურაზ II შემოქმედება ნაკლები ღირსებისაა. მას არ ჰქონდა არც თეიმურაზ I ლექსის დაწმენდილობა და სევდის გადმოცემის უნარი, არც არჩილის მოფიჭრებულობა. აღარ შეეადარებთ გურამიშვილს, რომელიც ე. წ. „ძველ მწერლობაში“ რუსთაველის შემდეგ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა. ამისდა მიტყედავად თეიმურაზ მეორე საყურადღებო და საინტერესო პოეტია. იგი წარმომადგენელია ეროვნული, ქართული სკოლისა, რომლის შემქნელად არჩილი ითვლება. თეიმურაზი ეკუთვნის მწერლების იმ ჯგუფს (არჩილი, გურამიშვილი, ტფილიე და სხვ.), რომლებმაც შემოქმედებას „ნამდვილი ამბები“ დაუდევს საფუძვლად და დაუპირისპირდნენ სპარსულ „ნაჰორ“ ამბებს. ამით ქართული ლიტერატურის უროვნულ საფუძვლების განმტკიცებას შეუწყვეს ხელი.

თეიმურაზის ყველაზე საყურადღებო ნაწარმოებია—სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“. ეს თხზულება არჩილის სიტყვით რომ ეთქვათ „საღმთოც“ არის და „საკაცოც“, ე. ი. სასულიეროც და საეროც. პირველი დიდი ნაწილი—428 სტროფი სასულიერო ხასიათისაა. ამ ნაწილში გაღვთილია ძველი და ახალი აღთქმის ადგილები, საეკლესიო მსოფლიო კრებათა ამბები და სხვ. პოეტურობის თვალსაზრისით ეს ნაწილი თითქმის არაეფთარი მნიშვნელობის მქონე არ არის. თეიმურაზი ბიბლიის გადმოღვემვის იძლევა, მაგრამ „ბიბლიაში“ გაცილებით და შეუდარებლად მეტი პოეზიაა ვიდრე თეიმურაზის პოემაში. 428 სტროფის შემდეგ თეიმურაზი ამბობს: „საღმთო გათავდა, აწ, ღამეც მოგიყვეს საერონ“-ო, ამის შემდეგვეა სწორედ „სარკე თქმულთა“ საყურადღებო და ორიგინალური. მასში გადმოცემულია ქართველი არისტოკრატის ყოფა-ცხოვრების დეტალები. ღზინის, განცხრომის, ყაბახის, მოშითობის, ნადირობის ამბები, განსაკუთრებით დაწერილებით არის აღწერილი ქალის დანიშვნა. საქმროსაგან საცოლოს იღვრება. „კონის გაბეგრება“, ქორწილისათვის სამზადისი, ქორწილი, მყარიონი, სმეულობა, ზმები სუფრაზე, დედოფლის საწოლს წასვლა. მეფისაგან დედოფლის ტანს გახდა და სხვა. არჩილიც იძლეოდა ამათეფეულებათა აღწერას. მაგრამ იგი მხოლოდ გაკერით ეხებოდა მას. („საქ. ზნეობანი“ „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“) „სარკე თქმულთაში“ მეტი დეტალიზაციაა შეტანილი. თხზულებას „ღღისა და ღამის გაბაასება“ ეწოდება, მაგრამ პოეტისათვის „გაბაასება“ მხოლოდ ხერხია ფართო ტილოების გაშლისათვის. დღისა და ღამის ბაასი მხოლოდ კომპოზიციური ჩარჩოა ნაწარმოებისათვის.

თხზულებაში „ქება სრისა“ მოცემულია ისტორიული ცნობები აგრეთვე როსტომ მეფის, ერეკლე I, ვახტანგ VI და თვით თეიმურაზ მეორის მიერ აგებულ სასახლეების ქება. ამ ნაწარმოებით თეიმურაზი თავის პაპის, თეიმურაზ I ლექსში „გრემის სასახლეზე“ მოცემულ თემას ეხმარება.



„ხილთა ქებაში“ („ხილთა ბაასი“) თეიმურაზი ქართული პოეზიის **პირველი** თემის ეტება.

საყურადღებო ნაწარმოებია „კიდურ-წერილობა“ და „ანბანთ-ქება“ (საქროს-ტიხები, ანბანთ-ქებანი პოეზიას ზღუდავს. საქართველოში ამ ეანრის **წიგნების** საბასობით იწერებოდა, მაგრამ იშვიათი გამოცემის ვარდა არადრის მოქმელი აღმოჩნდნენ პოეტების ეს მრავალრიცხოვანი ნაყოფილარი. თეიმურაზი შეზღუდული ანბანთ-ქების თავისებურებით იძულებულია ერთხელ ნათქვამი გაიმეოროს, რადგან ამას ასოთა რიგი მოიწოვს. ამით ნაწარმოები მტკიცე კომპოზიციას ჰქარავს, ჰიანურდება და ნაძიადევობა ეტყობა. მიუხედავად ამისა თეიმურაზი ახერხებს თავისი განცდების გამოცემას „კიდურ-წერილობაში“ და „ანბანთ-ქება I“-ში მოხუცი, 61 წლის გამოქვეყნებული მეფე აქებს რუნეთში გაეცნობილ ულამაზეს ახალგაზრდა ქალს. ეს ნაწარმოები საყურადღებოა იმით, რომ თეიმურაზადე ანბანთ-ქებანი თითქმის მთლიანად სასულიერო ხასიათის თემებზე იწერებოდა. თეიმურაზი ამ ეანრის ნაწარმოებით საერო ხასიათის თემტიკას პირველად შეეხო. „გაბაასება რუსთველიან“ იყავს სიმართლის თქმის თეირიას პოეზიაში და თეიმურაზის რუსთველისადმი დიდ პტივისცემას აქვადვენებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბიბინას სიყვდილზე“. ამ ლექსში, როგორც ჯაკობია სამართლიანად შენიშნავს, ქართული პოეზიის ობიექტად პირველად არის ცხოველი გამოყვანილი.

სარეცენზიო გამოცემაში მოთავსებულია აგრეთვე ანბანთ-ქება II, III, IV ზემები და „თიმსარიანის“ თარგმანი. თეიმურაზი II დიდი რანგისა არა, მაგრამ საყურადღებო პოეტიანის ლექსების მტიკა თითქმის მთლიანად რუსთველიანია. იდურად თეიმურაზი ყველაზე ახლოს არჩილთანაა. უხვად არის იგი დავალებული თეიმურაზი I-ის მიერ (განსაკუთრებით ჟანრობრივად). თეიმურაზი II ლექსის ცალკეული კომპონენტები ძლიერი არა, მაგრამ თეიმურაზი მთლიანი სურათის დახატვისა და აღწერის ოსტიტია. შესანიშნავად აქვს მოცემული ქორწილის, ლხინის და დროს ტარების სურათები.

სარეცენზიო გამოცემით ქართველი მკითხველი პირველად ეცნობა თეიმურაზის მხატვრულ შემოქმედების მთლიანად. თეიმურაზის პოეტური შემოქმედების რამოდენიმე ნიმუში ადრე დაბეჭდილი. ბარამიძემ **ე. ეკლამის „ანთლოგიაში“ (ტ. 2).** ცნობილია სხვა ცალკეული გამოცემები „სარეცემულას“ ნაწილის და „თიმსარიანის“.

ამ გამოცემის დართული აქვს წერილი — „თეიმურაზ მეორე“. აქ მოკლედ გაანალიზებულია თეიმურაზის შემოქმედება და ბიოგრაფია. განსაკუთრებით დასაფასებელია რედაქტორის მუშაობა, რომელიც მას ტექსტის დადგენისათვის გაუწევია. გ. ჯაკობიას გამოდგენია 39 ხელნაწერი, მათი მეცნიერულ შესწავლისა და შეჯერების საფუძველზე დაუდგინა ტექსტი, რაც, ცხადია დიდ შრომას მოითხოვდა. ტექსტის დადგენის გარდა რედაქტორი მრავალ საინტერესო საკითხს არკვევს. მგ. დადგენილი აქვს რომ სატრავალი ლექსებში მოხსენებული რუსის ქალი ბარბარე არის აღქმანდრე ბუტურლინის ასული. გახსნილია „ამიციანები“, რაც აუცილებელი იყო და რასაც თვით თეიმურაზი მოითხოვდა:

„ახაბე გაუჭმეს, ვინც იყოს უცნობი ამ სიტყვისას“.

გამოცემის დართული აქვს 1. შენიშვნები და ვარიანტები. ნაჩვენებია ის სგაობანი, რომელსაც სხვადასხვა ხელნაწერი იძლევა, 2. საემაოდ ვრცელი ლექსიკონი, სადაც მოცემულია აგრეთვე მუჯამების გახსნა, 3. საძიებლები. საძიებლები დაწერილებითაა შედგენილი. ცალკე მოცემული ობსოლებში მოხსენებული: ა) საკუთარი სახელები, ბ) ეროვნება, სადაურობა, გ) გეოგრაფიული სახელები და ცნებანი, დ) სოციალური მდგომარეობა, თანამდებობა, პროფესია, ე) სარწმუნოება, ცრუმორწმუნეობა, მითოლოგია და სხვ. ასეთი დანართები ხელს შეუწყობს მკვლევარებს მუშაობაში და აუცილებელია ყოველი მეცნიერული გამოცემისათვის.

გ. ჯაკობიას მოუხდენია თეიმურაზის ვრცელ სათურთან ნაწარმოებთა დასათურება. ზოგის სამართლიანად, მგ. „ბიბინას სიყვდილზე“. ამ ლექსისათვის ეს სათური შესაფერისია და ასეც დამყიდრდება.

ამ გამოცემის გამო საკუთოდ მიგვანია მხოლოდ რამოდენიმე შენიშვნა. შესავალ წერილში საკუთო იყო თეიმურაზის შემოქმედების უფრო ვრცელი ანალიზი. თითქმის სრულეებით არაფერია ნათქვამი „თიმსარიანთან“ დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესახებ. რედაქტორს რატომღაც არ შეუტანია გამოცემაში თეიმურაზის სასულიერო ხასიათის თხზულება „განზრახვანი და ედრებანი“. ამ ნაწარმოების გამოქვეყნება აუცილებელი იყო, მით უმეტეს, რომ დღემდე იგი ცნობილი არ იყო და მხოლოდ გ. ჯაკობიას

კობიას მეოხებით ვახდა ხელმისაწვდომი, რედაქტორი, მართალია იძულება ხელნაწერის აღწერილობას და რამდენიმე ციტირაც მოჰყავს ძეგლიდან, მაგრამ თუ არ ბეჭდავდნენ თხზულებას, საჭირო იყო ვრცელი ანალიზი მაინც მოეცა. მიუხედავად ამისა, ხელნაწერის აღწერილობა გამოკლებას მხოლოდ ერთი ნაწარმოები აქლია, მას არ უნდა დარქვას „საქმეობრივი სრული კრებული“, რადგან როგორც თვით რედაქტორიც შენიშნავს: „სრული კრებული ეს მაინც არ არის“.

სადაოა „სარკე თქმულის“ ეპილოგის საკითხი. საქმე ისაა, რომ „სარკე თქმულთა“ ზოგი ხელნაწერის მიხედვით მთავრდება სტროფით:

„აწ დავასრულეთ დღისა და ღამისა ბაასობანი“.

ზოგ ხელნაწერში ამის შემდეგ პოემას ერთეის 14 სტროფიანი ლექსი, რომელშიაც მოთხრობილია თეიმურაზის საპირეთს წასვლა, მისი თავგადასავალი. რედაქტორს ეპილოგი მოუტყეცია, ცალკე ნაწარმოებად გამოუყვია და მისთვის „თავგადასავალი“ უწოდებია. ჩვენის აზრით ეს ნაწილი „სარკე თქმულის“ ეპილოგად აქვს ავტორს დაწერილი და ამდენად ძირითადი ტექსტის ნაწილია. ამიტომ მისი ცალკე გამოყოფა არ შეიძლება. მართალია კომპოზიციის თვალსაზრისით ეპილოგი არაა ორგანული ნაწილი პოემისა, მაგრამ ამ თვალსაზრისით „სარკე თქმულთა“ ბევრი ადგილის ამოღება შეიძლებოდა, რადგან „სარკე თქმულთა“ სიუჟეტურად მთლიანი ნაწარმოები არ არის.

უძველეს ხელნაწერში H 1193 (და საერთოდ A ჯგუფის ხელნაწერებში) ეპილოგი პოემას დართული აქვს. ამიტომ უძველეს ხელნაწერს მერე ანგარიში უნდა გასწეოდა. პოემის ძირითადი ტექსტის დასასრულს თეიმურაზი ამბობს:

„მეც მომეწყინა ლაყაფი ბევრი, ამ სიგრძე თხრობანი“. ხოლო ეპილოგის ბოლოში ნათქვამია:

„ვიყავ ყანდაარს მკმუნვარე, არა გულთა ღბინობით,  
ვოქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათომინობით,  
იქ დავასრულე, ვინც ნახოთ ნუვენ იქნებით წყინობით  
მაშინ ჯდა ქორინიკონი, უნი, კანი და ვინობით“.

ამ სტროფის გამო გ. ჯაკობია შენიშნავს: „აშკარაა, რომ ავტორი ერთდამთავე ნაწარმოებს ვერ უწოდებდა „გრძელ თხრობას“ და „მცირე ლექსობას“. არსებითადაც ხომ ასეა: „სარკე თქმულთა“ დიდი ტინს ნაწარმოებია—მის დასასრულს ბუნებრივია თქმა — „მეც მომეწყინა ლაყაფი ბევრი, 'ამ სიგრძე თხრობანი'—ო, „ეპილოგი“ კი, მართლაც, „ლექსი მცირეა“—სულ 14-სტროფიანი!“ ჩვენი აზრით პირველ შემთხვევაში („ბევრი ამ სიგრძე თხრობანი“) ნაკულისმდევია ნაწარმოების სიდიდე. მაგრამ მეორე—„ესთქვი ლექსი მცირე“ შეეხება აგრეთვე ძირითად ტექსტს და პოეტის თავდაბლობასთან გვაქვს საქმე. „მცირე“ მცირე მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებს ნიშნავს. ეს უძველესად ასეა. „სარკე თქმულთა“ შესავალში თეიმურაზი ამბობს:

„მინდა აღმოსთქვა მცირე რამ არა სიბრძნისა სადარი“ (სტროფი 13). ეს სტროფი ხომ უძველესად „სარკე თქმულთა“ ძირითადი ტექსტიდანაა? აქ კი თეიმურაზი თავის თხზულებას უწოდებს „მცირე რამეს“ ისე, როგორც სადაო ეპილოგში. („ესთქვი ლექსი მცირე რაიმე“...) მაშასადამე ეპილოგის გამოყოფა იმ მოსაზრებით, რომ იქ ნახსენები „ესთქვი ლექსი მცირე“ არ შეეფერება დიდებინან ნაწარმოებს, არ შეიძლება, რადგან ასეთად იხსენიებს თეიმურაზი თავის პოემას შესავალშიც. ეპილოგის ბოლო სტროფი რომ მთლიანად „სარკე თქმულთა“ ეხება იქიდანაც ჩანს, რომ თეიმურაზი აქ ლაპარაკობს ყანდაარსი ყოფნისას, (და იქ კი საკმაო ხანს იყო იგი) სევედიანმა, გ. ს. აქლევანად, და დროს გასატარებლად, სევედის მოსაკლავად ვოქვი, იქ დავასრულეო. ცხადია თეიმურაზი ამას „სარკე თქმულთა“ შესახებ ამბობდა, თორემ რა დრო უნდა მოეკლა 13 სტროფიანი ლექსის დაწერით ან და მცირე ზომის, 13 სტროფიანი ლექსის დასრულებასზე. გასრულებასზე რატომ ილაპარაკებდა?

საკითხს ვერ სწევებს ეპილოგის უარყოფის სასარგებლოდ ვერც ნაწარმოების სათაური. იქ ვკითხულობთ სარკე თქმულთა ნათქვამია „მედის თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებული შემდგომად წელიწადისა ცხრისა თქმისა ამისა“. პროფ. კ. კეკელიძის გამოანგარიშებით სათაურში 1737 წ. იგულისხმება. გ. ჯაკობიას გამოანგარიშებით კი 1736. მაგრამ საქმე ისაა, რომ სათაური თხზულების დაწერიდან კარგა ხნის შემდეგაა მიწერილი და აღზად არც თეიმურაზის მიერ. ამიტომ ერთ წელიწადში შეეძლოა შესაძლებელი იყო. მაგრამ ეგე-

ბის არც შეეკლომასთან გეჭონდეს საქმე. „სარკე თქმულთა“ საკმაოდ ვრცელი თხზულებაა, — ეპილოგთანად 839 სტროფი, ამიტომ იგი, შესაძლებელია თეიმურაზს საქართველოშივე ჰქონდა დაწვებული და დამთავრა სპარსეთში — ყანდაარში 1738 წ. (თეიმურაზს სპარსეთში ნადირშაჰმა არა რაი აწყო „მისცა ნიჭნი მცირენი და წარაიქცნა ქანდაარს“ — ვახუშტი, „საქ-ცხოვრება“). ეპილოგი არაა დაწერილი „სარკე თქმულთას“ ძირითადი ტექსტის დამთავრებამისთანავე და ალბად არც ყანდაარში, არამედ უფრო გვიან — საქართველოში. ეპილოგის ბოლო სტროფში მოცემული ცნობები „სარკე თქმულთას“ ეხება:

„ვიყავე ყანდაარს მკუმნეარე, არა გულითა ღბინობით,  
ვთქვი მცირე ლექსი რაიმე სევდისა მოსათინობით,  
იქ დაეასრულე, ვინც ნახოთ, ნუ ვინ იქნებით წყინობით,  
მაშინ ჯდა ჭორონიკონი: უნი, კანი და ცინობით“.

ჩვენი საბუთების მიხედვით გაუმართლებლად მიგვაჩნია ეპილოგის ცალკე ნაწარმოებად გამოყოფა. ჩვენ ვიზიარებთ ე. თაყაიშვილისა და პროფ. კ. კეკელიძის აზრს ეპილოგის შესახებ. ეპილოგი მთლიანად „სარკე თქმულთას“ ეკუთვნის. ეპილოგში ნაჩვენებ თარიღში (1738 წ.) „სარკე თქმულთას“ დასრულება იგულისხმება. იგი ყანდაარში დამთავრება თეიმურაზს. ეპილოგი ამის შემდეგ უფრო გვიანაა დაწერილი და ალბად საქართველოში.

საინტერესოა საკითხი „ხილთა ქებას“ შესახებ. საქმე ისაა, რომ „ხილთა ქება“ მიეწერება სხვა ავტორთა შორის გარსევან ჩოლოყაშვილსაც. გარსევანი პირველ მწერლად ითვლება, რომელსაც „ხილთა ქება“ დაუწერია. პროფ. კ. კეკელიძე გარსევანის „ხილთა ქებათ“ სივლის სხვათა შორის S 1512, 118 და სხვა ხელნაწერებს. ალ. ბარამიძემ ია ევალძის „ანთოლოგიაში“ (ტ. 2) გამოაქვეყნა „ხილთა ქება“ რომლის ავტორად გამოცემაში სახელდებულია გარსევან ჩოლოყაშვილი. ტექსტი ალ. ბარამიძეს დაბეჭდილი აქვს ხელნაწერ S 1512 მიხედვით. ჩვენი აზრით S 1512 თეიმურაზს ეკუთვნის. ამ კრებულის სარჩევში, რომელიც შედგენილია დავით რექტორის მიერ იკითხება: „თეიმურაზ მეორისა მეფისაგან თქმული სხვა ბაასი ხილთ-ქებასა“. (თითქმის ანალოგიურია S 62 ტექსტი „ხილთა-ქებასა“) მოიპოვება ამ თხზულების სხვა ნუსხებიც, რომლებიც თეიმურაზს მიეკუთვნება, მაგრამ რომლებიც უფრო ვრცელია. პროფ. კ. კეკელიძის აზრით თეიმურაზის „ხილთა ქება“ „სიტყვა-სიტყვით ან ცოტაოდენი ცვლილებით იმეორებს გარსევანს“ (ლიტ. ისტ. ტ. 2, გვ. 438), ხოლო პროფ. ალ. ბარამიძე ამბობს: თეიმურაზის „ხილთა ქება“ „პირწმინდა განმეორებაა მე-17 საუკუნის პოეტის, გარსევან ჩოლოყაშვილის ანალოგიური თხზულებისა“. („ნარკვევები“, ტ. 2).

დაუჯერებელია, რომ თეიმურაზს სიტყვა-სიტყვით გაემეორებინოს გარსევანი და მხოლოდ გარსევანის „ხილთა ქებას“ გაგრძელება მოეცეს. თუ „გარსევანის“ „ხილთა ქება“ (ე. ი. S 1512 ხელნაწერში დაცული და სხვა.) ჰგავს თეიმურაზისას იმიტომ ხომ არა, რომ ისინი ორივე თეიმურაზს ეკუთვნის და ერთი და იგივე ავტორის ვრცელი და მოკლე რედაქცია, რაღა თქმა უნდა, ერთმანეთს ეგვანება? საინტერესოა, მოუღწევია თუ არა ჩვენამდე გარსევანის „ხილთა ქებას“ საჭირო იყო რედაქტორის ანგარიში გაეწია არსებულ მეცნიერულ შეხედულებათათვის ამ საკითხზე. მოეცა მათი კრიტიკული ანალიზი. და სიერათოდ გადაესინჯა საკითხი გარსევანის ავტორობისა. უამისოდ თეიმურაზის „ხილთა ქებას“ ტექსტი მკითხველს ექვს აღუძრავს.

საჭირო იყო გამოცემას დართოდა ბიბლიოგრაფია, რომელიც მკითხველს თეიმურაზის შესახებ არსებულ ლიტერატურას გააცნობდა.

ამ შენიშვნების შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია დავსძინოთ, რომ სარკეცნო გამოცემით გვაქვს თეიმურაზ II-ის თხზულებათა პირველი, თითქმის მთლიანი, მეცნიერული გამოცემა.

ნიკო ბაბიშვილი.



- აღ. აბაშელი—საუბარი ადიდებულ მტკვართან (ლექსი) № 10, შუქურაშვილი (ლექსი) № 3.
- ივ. აბაშიძე—ჯამბული (ლექსი) № 8.
- გრ. აბაშიძე—ორი ლექსი № 2, სამი უსახელო (ლექსები) № 3.
- ლადო ასათიანი—ციხის სიზმარი (ლექსი) № 8, ნამკაშურის წისკვილები (ლექსი) № 11.
- შ. აფხაძე—ორი სონეტი, № 7.
- კ. ბოზოხიძე—აკაკი (ლექსი), № 1.
- ვ. ვაბუცია—შეხვედრა ბელადთან (ლექსი), № 1. ძველ საქართველოში (ლექსი) № 5-6.
- გ. კალანდაძე—სამი ლექსი № 4.
- ქ. კალაძე—რომანი ლექსად № 8, გიზაფხულის მოგონებანი (ლექსები) № 9.
- გ. კაპაბიძე—ჩინარი (ლექსი) № 2, ალაზნთან (ლექსი) № 7, შენი სარკმელი (ლექსი) № 8, წიგნები (ლექსი) № 11.
- აღ. მაშაშვილი—წიგნიდან „მინიატურები“, (ლექსები), № 1.
- მ. მრევლიშვილი—ალმართზე (ლექსი) № 2.
- ი. ნონეშვილი—საათი აკაკის ოთახში (ლექსი) № 5-6.
- ა. ხაჯაია—ზღვასთან (ლექსი) № 7.
- ვ. სულაბერიძე—თეთრი თავსახვევი (ლექსი), № 12.
- გ. ტაბიძე—საუბარი ლირიკის შესახებ (პოემა) № 2, აკაკი წერეთელი (პოემა) № 5-6.
- ა. ქუთათელი—შავი შაშვი ჩოღა, ზედაზენზე, გმირის დაბადება (ლექსები) № 4.
- გ. ქუჩიშვილი—„ციხი-კალა“ (პოემა) № 7.
- აღ. შენგელია—ორი ლექსი № 9, დაბრუნება, დღეები (ლექსები) № 11.
- ს. ჩიქოვანი—ლექსები, № 12.
- გრ. ცეცხლაძე—სიკეთის კვალი (ლექსი) № 5-6.
- გ. ჭიჭიანი—შეხვედრა დასავლეთ უკრაინაში (ლექსი) № 9.
- აკაკი წერეთელი—დაუბეჭდავი ლექსები № 5-6.
- ქ. ჭიჭინაძე—ლენინი აკლამაში, (ლექსი), № 1. საბჭოთა უზბეკეთს (ლექსი), № 2.
- გ. ჯაბუშანიანი—ორი ლექსი № 7, მტრები (ლექსი), № 11.

რომანები, მოთხრობები, ნარკვევები:

- რ. გვეტაძე—„ბაში-აჩუკი“ (მოთხრობა) № 5-6.
- შ. დადიანი და აღ. ბურთიაშვილი—ლადო ცეცხოველი №№ 9, 10, 11.
- მ. ზონენაშვილი—როცა (მოთხრობა) № 7.
- პ. ლორია—მეცლელი (ნაწყვეტი რომანიდან) № 8.
- ლ. მებრეველი—ამირანი (მოთხრობა №№ 1, 2, 3.
- დ. სულაშვილი—ბავშვობა (მოთხრობა) № 12.
- ე. უბილაძე—მიწა (მოთხრობა) № 7.
- უიარაღო—შაჰეგბელნი (რომანი) №№ 9, 10, 11, 12.
- ა. ქუთათელი—თაგვები (მოთხრობა) № 7.
- დ. შენგელია—ციცკარი (რომანი) №№ 1, 2, 3, 4, შთაგონება (რომანი) №№ 10, 11, 12.
- პ. ჩხიკვაძე—ახალი ხმელეთი (რომანის ნაწყვეტი) № 8.

დრამატურბია:

- ი. ვაკელი—შამილი (ტრაგედია) №№ 8, 9.
- აკაკი წერეთელი—ირაკლი ბატონიშვილი (დრამა) № 5-6

თარგმანები:

- ფრედერიკო გარსია ლორკა—სისხლიანი ქორწილი (ტრაგედია. თარგმანი ნ. შიჭივასი და ს. კელიძისა) №№ 3, 4.
- ვ. შაიკოვსკია—რედინგის ციხის ბაღადა (თარგმანი დ. გაჩეჩილაძის) № 4.
- ჟან-პოლ სენ-პოლ—ჯანგარი (თარგმანი კ. კალაძის, კ. ქუჩინაძის, გრ. აბაშიძის) № 4.
- ინდური პოემა—რამაინა (თარგმანი რ. გვეტაძის) №№ 7, 9.
- ა. დიდუ—წერილები ჩემი წისკვილიდან (თარგმანი გ. ქუჩიძის) № 8.
- ი. ფრანკო—ორი ლექსი (თარგ. იასამანის) № 10.
- ზენეამენ კონსტან.—ადოლფი (თარგ. ქ. ირემიძის) №№ 11, 12.

## ქრიტიკა, კუმლიცისტიკა და ლიტერატურის ისტორია:



- ვ. ი. ლენინი—წერილები ინესა არმანისადმი № 3.
  - ვ. ი. ლენინი—(მოკლე ბიოგრაფია) № 4.
  - ვ. ი. ლენინი—ფრიდრიხ ენგელსი. № 11.
  - კ. ნ. ჩარკვანი—ხელოვნება და ლიტერატურა № 3.
  - ი. თაყაი—ელადიმერ ილიასძე ლენინი, № 1.
  - ი. ვ. ტიულენევი—წითელი არმიის 22 წლის თავი და საბჭოთა საქართველოს 19 წელი, № 3.
  - ლევან ასათიანი—ცხოვრება აკაკი წერეთლისა. №№ 1, 2, 3, 4, 5-6.
  - შ. აფხაიძე—ბრძოლის პოეტი. № 2.
  - დ. ბენაშვილი—ესთეტიკის საკითხები №№ 8, 9.
  - შ. ბურკაძე—ამხანაგ სტალინის ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ.
- № 12.
- გ. გაწერელი—ანდრეი ბელი, № 7. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, № 11.
  - სარედაქციო წერილი—ი. გოგებაშვილი, № 10.
  - კ. დოჩაძე—ენოშვილი, № 8.
  - ვ. იმედაძე—საბჭოთა პარტიოტიზმი. № 8.
  - ა. მაშაშვილი—ელადიმერ მთავრისე. № 4.
  - ა. მაშაშვილი—აკაკი წერეთელი და ქართული საბჭოთა მწერლობა, № 5-6.
  - გ. მეგრელიშვილი—ალ. წულუკიძე მუშათა კლასის გალატაკების შესახებ კაპიტალიზმის პირობებში, № 9.
  - გ. ნატროშვილი—მე-19 საუკუნის პოეტები (ალექსანდრე ჭავჭავაძე), № 3.
  - გ. ნატროშვილი—პანტელეიმონ ჩხიკვაძე, № 4.
  - გ. ნატროშვილი—ვაჟა-ფშაველა, № 7.
  - შ. რადიანი—ლენინი ქართულ პოეზიაში, № 4.
  - შ. რადიანი—გალაკტიონ ტაბიძე, № 7.
  - ნ. ტატიშვილი—დ. ერისთავის „სამშობლო“ № 10.
  - დ. შამათია—ნინო ნაკაშიძე, № 11.
  - ი. ჯაფარიძე—ენგელსი დიალექტიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების შესახებ, № 11.

## მემშარები და ლიტერატურული დოკუმენტები:

- შ. გოზალიშვილი—ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმოწერა ი. გოგებაშვილისადმი, № 10.
- შ. დადიანი—ჩემის წარმოდგენით, № 5-6.
- მ. დვა—აკაკის პირადი წერილები, № 5-6.
- ი. ენიკოლოპოვი—აკაკის მამის მიწერ-მოწერიდან, № 5-6.
- პ. ინჯოიძე—გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“, № 2.
- კ. მიქელაძე—დიდი აკაკი, № 5-6.
- გ. ორბელიანი—მგზავრობა ტფილისიდან პეტერბურგამდის, № 2.
- მ. საფარიძე—პაშვიანის—ცოტა რამ აკაკიზე, № 5-6.

## ხელოვნების საკითხები:

- მ. დუდუჩავა—მსოფლმხედველობა და შემოქმედების მეთოდი, № 7.
- ი. ზურაბიშვილი—ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, №№ 10, 11.

## წარსულიდან:

- გ. ბუჩიკაშვილი—გორი (ისტორიული ნარკვევი), № 2.
- ი. შაიშველაშვილი—ქრწინისის ომი (სამხედრო ისტორიული ნარკვევი), №№ 9, 10.

## ბიბლიოგრაფია:

- ალ. ბარამიძე—„ამირან დარეჯანიანის“ ახალი გამოცემის გამო, № 3.
- ვ. გოლუკვი—ანა ანტონოვსკაიის „დიდი მოღვაწე“, № 8.
- ა. მდივანი—ქიზიყური პოეტური ფოლკლორი, № 11.
- რ. მდივანი—დ. მესხის „მოგონებანი“ № 12.
- გ. მებუჯე—ვ. ბარნოვის „გეოგრაფიული საკითხი“, № 1. კ. გამსახურდიას „ბელადი“, № 9.
- გ. მებუჯე—ფურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, № 12.
- მიომხაილაველი—„ანალიტიკური პიბლიოგრაფია“, № 12.
- მკითხველი—ვ. ვახტანგის „ლექსები“, № 12.
- გ. ნატროშვილი—ალ. გომიანიშვილის „დარიალი“, № 12.
- ბ. ფლენტო—კ. კვიციანიის „ლექსები და პოემები“, № 4.
- ალ. სულავა—ი. გოგებაშვილის მოთხრობები, № 10.
- დ. შენგელია—ა. ბელიაშვილის „მოთხრობები“, № 12.

## შინაარსი:

ლენინი — (მეთაური წერილი) . . . . .	83-5
-------------------------------------	------

### მხატვრული ლიტერატურა

გლაკტიონ ტაბიძე — ლენინის ხსოვნა (ლექსი) . . . . .	9
ი. გრიშაშვილი — ახალწლის ღამეს (ლექსი) . . . . .	11
ლადო ბალიაური — ღამე (რომანიდან „შურისგება“) . . . . .	12
ალიო ადამია — ქორწილი კოლხიდაში (თავები პოემიდან) . . . . .	50
ანდრო ლომიძე — ნალები და ყვავილები (მოთხრობა). . . . .	57
კალე ბობოხიძე — წერილი ფრონტიდან (ლექსი) . . . . .	69
მ. ლერმონტოვი — დემონი (თარგმანი კონსტანტინე კიკინაძისა)	71

### საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ . . . . .	87
<b>მეცნიერება, პრიტიკა და პუბლიცისტიკა</b>	
ფილიპე მახარაძე — საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობას . . . . .	90
ვ. ესაიაშვილი — ლენინისა და სტალინის მეცნიერული წინასწარხედვის შესახებ . . . . .	99
შალვა რადიანი — ლეო ქიაჩელის შემოქმედება . . . . .	122

### ბიბლიოგრაფია

გრ. იარაღოვი — ილო მოსაშვილის ლექსები . . . . .	137
კლ. გოგიავა — დემნა შენგელაია — „ცისკარი“ . . . . .	142
გ. მებუჯე — რაქდენ გვეტაძე — „ლექსები პოემები“ . . . . .	144
შ. გოზალიშვილი — ალიო მაშაშვილი — თხზულებანი ერთ ტომად . . . . .	146
დ. შენგელაია — ვ. ავალიანი — „ლაპილ პირველი“ . . . . .	148
დ. შამათავა — ალ. ქაეჭავაძე — „თხზულებანი“ . . . . .	149
ნიკო ტატიშვილი — თეიმურაზ მეორე — თხზულებათა სრული კრებული 1940 წლის „მნათობის“ ნომრების შინაარსი . . . . .	153-157



ჩეკი: თბილისი, მანაშლას, 13. შწერაღთა სისახლე. ტელ. 3-71-84.  
ქანტორა: თბილისი, კაშოს, 40. სახელგამის პერიოდსტორია.

---

ტრაჟი 3.600. ხელმოწერილია დისაბეკდათ 7/III-41 წ. ანაწყოზის ზომა 7 X 12. საადრიცხვა  
ფორმათა რაოდენობა 10. შა 5696. შეკვეთის № 77.

---

სახელგამის ბეკდეთიი სიტყვის კომბინატი, ფორესის, 5.



015/30  
= 7356  
3360 + 256.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ